საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2002 წლის პირველი ნახევარი

WITH FINANCIAL ASSISTANCE OF UNDP AND GOVERNMENT OF THE NETHERLANDS

ჟურნალი გამოდის გაერო-ს განვითარების პროგრამისა
და ჰოლანდიის მთავრობის ხელშეწყობით

UNDP

საქართველოს სახალხო დამცველის

ანგარიში

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2002 წლის პირველი ნახევარი

სარჩევი

შესავალი....4
თავი I. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში....6
ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური ვითარება, ბრძოლა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ....6
მოქალაქეთა დარღვეული უფლებების გასაჩივრების თაობაზე საქართველოს სისხლის სამართლისა და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ....8
შინაგან საქმეთა ორგანოების წინასწარი მოთავსების ადგილებიდან საპყრობილეებში სხეულის დაზიანებითა და კანონით დადგენილი ვადების დარღვევით ბრალდებულთა გადაყვანის შესახებ....11
პროექტ „სწრაფი რეაგირების ჯგუფის“ დასკვნითი ანგარიში....15
საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არასათანადო განხილვის შესახებ....25
მოქალაქეთა საჩივრები საერთო სასამართლოების საქმიანობის შესახებ....40
საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ზოგიერთი კატეგორიის განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ....43
საქართველოში და მის გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა დარღვეული უფლებებისა და თავისუფლების აღდგენის თაობაზე შემოსული განცხადებების საფუძველზე სახალხო დამცველის რეკომენდაციების დაკმაყოფილების შესახებ....44
უგზოუკვლოდ დაკარგულ პ. ლ. კაზალიკაშვილის ძებნის საქმე....49
პოლიციის თანამშრომლების მიერ ვ. მარკილოვის ცემისა და მისთვის სხვადასხვა სახის დაზიანებების მიყენების შესახებ....50
შპს „ეროვნული ზარაფხანის“ თანამშრომელთა სამუშაოდან დათხოვნის კანონიერების შესახებ....51
იმერეთის მხარის შინაგან საქმეთა ორგანოებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ....52
სამეგრელოსა და ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა ორგანოებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ....52
თავისუფალი არჩევნების უფლება და 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები საქართველოში....53
შესრულებულ სამუშაოებზე თანხის ანაზღაურების და სასამართლო განხილვის გაჭიანურების შესახებ....56
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო, 2001 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების მიღების თაობაზე....58

თავი II. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში....59
საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, ემიგრაცია და სიღარიბის პრობლემა....60
საგადასახადო და მოსახლეობის ფულადი შემოსავლები....62
შრომის ბაზარი, უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემა....64
სახელმწიფო მოსამსახურეთა დარღვეული შრომითი უფლებების შესახებ....65
ცხოვრების დონე, ხელფასი, პენსიები და ფასები....68

ხანდაზმულ ადამიანთა სამედიცინო და სოციალური დახმარების
მდგომარეობის შესახებ 71
პოლიტრეპრესირებულთა სოციალური დაცვის პრობლემათა შესახებ 73
იძულებით ადგილნაცვალი პირები და პოსტ-კონფლიქტური ზონები
საქართველოში 74
ჯანმრთელობის დაცვა 77
განათლება და განათლების სისტემის რეფორმა 81
ეკოლოგიური მდგომარეობა 84
სათბობ-ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობა 85
წყალმომარაგება და სანიტარია 87
თბილისში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა მდგომარეობის შესახებ 88

თავი III. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 89
ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრის ანგარიში 91
ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის ანგარიში 98
სამხედრო პირთა უფლების დაცვის ცენტრის ანგარიში 105
მოკლე ანალიზი თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი პროგრამული
ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ პარამეტრებსა
და მის რეალურად შესრულებას შორის 111
რელიგიის უფლებათა დაცვის ცენტრის ანგარიში 115

თავი IV. ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 121
საერთაშორისო ამნისტიის (ამნესტი ინტერნეიშნლის) 2002 წლის
ანგარიში საქართველოს შესახებ 123
მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის 2002 წლის
I ნახევრის სტატისტიკური ინფორმაცია 128

© ყველა უფლებები დაცულია, 2002
UNDP © **2002**

დაიბეჭდა შპს "მერანში"

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის მორიგ მოხსენებას საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების მდგომარეობის შესახებ. მოხსენება მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად

მოცემულ მოხსენებაში ასახულია პერიოდი 2002 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, მოხსენებაში მოტანილი მასალები შეიცავს აგრეთვე უფრო ადრინდელ პერიოდსაც, რაც განხილული საკითხების სპეციფიკითაა განპირობებული.

მოხსენების მომზადებისას გამოყენებულია სხვადასხვა მასალები, კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შემოსული მომართვები და საჩივრები, სამთავრობო სტრუქტურების მიერ მოწოდებული ინფორმაციები და ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები.

მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ამთავითვე გავაკეთო რამდენიმე ზოგადი ხასიათის შენიშვნა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა განხილვა, ალბათ, ამ კონკრეტული მოხსენების ჩარჩოებს სცილდება, მაგრამ ამის გამო სულაც არ კარგავს თავის აქტუალობას.

ჯერ კიდევ 2000 წელს წარმოდგენილ ჩემს პირველ (სახალხო დამცველის როლში) ანგარიშში დასმული იყო მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემებს უკავშირდებოდა. ამ კუთხით არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, კანონმდებელს წარედგინა სრულიად კონკრეტული წინადადებები. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის №543 ბრძანებულების მიუხედავად, ამ მიმართულებით ჯერაც არაფერი გაკეთებულა.

ქვეყანაში მოქმედ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში არსებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შემლახველი დებულებების გამო, საქართველოს სახალხო დამცველს შეტანილი აქვს შესაბამისი სარჩელები საკონსტიტუციო სასამართლოში, საიდანაც ჩვენ არსებითი განხილვის შედეგებს ველით. მაგრამ საქმე ის არის, რომ არსებობს საკანონმდებლო ხარვეზების ისეთი კატეგორიები, რომელთა გამოსწორება მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტს ხელეწიფება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ სთხოვს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, სათანადო ყურადღებით მოეკიდოს ამ საკითხებს. საკუთარი შეცდომების გამოსასწორებლად, ალბათ, სულაც არ არის აუცილებელი დაველოდოთ საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო იქნება ეს თუ ევროსაბჭო) შესაბამისი ორგანოების შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებს.

მადლიერებით მინდა მოვიხსენიო საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა, რის შედეგადაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 352-ე მუხლი, რაც ითვალისწინებს ნებისმიერი ფორმით სახალხო დამცველზე ზემოქმედებასა და მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ხოლო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების შემთხვევაში კი აღგენს სასჯელის უფრო მკაცრ სახეებს, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ძალზედ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის ურთიერთობა სასამართლო ხელისუფლებასთან. როგორც ცნობილია, სახალხო დამცველს ორგანული კანონით გააჩნია უფლება, შეისწავლოს ყველა ინსტანცია, გავლილი და წარმოებით დამთავრებული სასამართლო საქმეები, ადამიანის უფლებათა არსებითი დარღვევების გამოვლენის მიზნით. აუცილებლობის შემთხვევაში, შესწავლის შედეგების საფუძველზე სახალხო დამცველი უფლებამოსილი იყო სასამართლო ორგანოებისათვის წარედგინა სათანადო რეკომენდაციები, რის შემდეგაც ხდებოდა საქმის ხელახალი განხილვა.

საქართველოს ახალი საპროცესო კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონსა და აღნიშნულ კოდექსებს შორის აშკარა კოლიზია შეიქმნა. პროცესუალურად სასამართლო აღარაა ვალდებული სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე არსებითი რეაგირება მოახდინოს, ვინაიდან საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის მექანიზმი გაუქმდა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება სასამართლო გადაწყვეტილებებზე რეკომენდაციების მიცემის თაობაზე, უბრალოდ ფიქციაა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკანონმდებლო ჩიხიდან სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს გამოსავალი. ამ კოლიზიის გადალახვის თვალსაზრისით ჩვენ გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები. ვთხოვ საქართველოს პარლამენტს, ერთობლივი ძალისხმევით მოვაგვაროთ ეს ყოვლად მიუღებელი წინააღმდეგობა.

და ბოლოს, საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ ბოლო პერიოდში ქვეყანაში მოხდა უფლებადაცვითი პრობლემების უკიდურესი პოლიტიზაცია, როდესაც „პოლიტიკანების" ხელში ადამიანის უმთავრესი უფლებები და თავისუფლებები კონიუნქტურული მიზანშეწონილობის მსხვერპლად გვევლინება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დემოკრატიის გზაზე მდგარი ქვეყნისათვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი აზრით, მაშინ, როდესაც მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელიღა რჩება, ბევრად უფრო მართებული იქნებოდა ეს დრო გამოგვეყენებინა ხალხის კანონიერი ინტერესების, მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვის სასარგებლოდ და არა საკუთარი წვრილმანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მიგვაჩნია, რომ წინამდებარე მოხსენებაც იმის თვალნათლივ მაგალითს წარმოადგენს, რომ ამ კუთხით საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

კვლავ მადლობის სიტყვებით მივმართავ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისს საქართველოში, რომლის თანადგომითა და მხარდაჭერით მოხერხდა სახალხო დამცველის წინამდებარე და სხვა პერიოდული მოხსენების მომზადება.

თავი I.
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში

ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური ვითარება, ბრძოლა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში გართულდა კრიმინოგენური ვითარება, რამაც არსებითად უარყოფითად იმოქმედა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, როგორიცაა ადამიანის ხელშეუვალი უფლება სიცოცხლეზე. ნაკლებად დაცული გახდა ადამიანის ისეთი უფლებები, როგორიცაა მისი ღირსების, პატივისა და თავისუფლების ხელშეუვალობა, უფრო მეტად ვიდრე წარსულში ირღვეოდა საკუთრების უფლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაში რეგისტრირებული მონაცემებით, ქვეყანაში რეგისტრირებულია 8796 დანაშაული, ნაცვლად გასული წლის 6 თვის 7975-ისა, ანუ დანაშაულის საერთო რაოდენობა გაიზარდა 821 ერთეულით, რაც შეადგენს 10,3 პროცენტს. 97 ერთეულით, ანუ 4 პროცენტით გაიზარდა მისი განსაკუთრებით მძიმე სახეები; 21 ერთეულით გაიზარდა განზრახ მკვლელობა და მისი მცდელობა, რამაც აბსოლუტურ ციფრში შეადგინა 226 ერთეული, ხოლო ზრდა გამოიხატა 10,2 პროცენტში.

მკვლელობა დამამძიმებელი გარემოების გარეშე რეგისტრირებულია 134 შემთხვევაში და იგი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 28 ერთეულით, ანუ 13 პროცენტით; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება გაიზარდა 35 ერთეულით, ანუ 31,3 პროცენტით; სხვისი ქონების ქურდობა მოხდა 2120 შემთხვევაში და გაიზარდა 577 ერთეულით, ანუ 23,5 პროცენტით; სატრანსპორტო საშუალებათა ქურდობა გაიზარდა 147-ჯერ; სხვისი ქონების ყაჩაღობა – 67 ერთეულით, ანუ 19,6 პროცენტით და შეადგინა 268 ერთეული; 113 ერთეულით გაიზარდა აგრეთვე სხვისი ქონების მიტაცება თაღლითობით.

მიუხედავად გამოვლინების გარკვეული ზრდისა, კვლავინდებურად არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა ისეთი დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიცაა გადასახადების თავის არიდება (131 – 2001 წლის I ნახევარი, 172 – 2002 წლის I ნახევარი); საბაჟო წესების დარღვევა (24 – 2001 წლის I ნახევარი, 64 – 2002 წლის I ნახევარი); მექრთამეობა (17 – 2001 წლის I ნახევარი, 23 – 2002 წლის I ნახევარი); შემცირდა ნარკოტიკების კონტრაბანდის გამოვლინება 1 ერთეულით და შეადგინა 11, ნაცვლად გასული წლის 12 ერთეულისა.

არადამაკმაყოფილებელია შინაგან საქმეთა, გენერალური პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს ორგანოების მუშაობა დანაშაულის გახსნის მიმართულებით. მიმდინარე წლის 6 თვეში შინაგან საქმეთა საგამოძიებო ორგანოების მიერ დანაშაულის გაუხსნელობის მოტივით შეჩერებულია 3101 სისხლის სამართლის საქმე, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 883 საქმით მეტი, რაც შეადგენს 50,7 პროცენტს; პროკურატურის საგამოძიებო ორგანოების მიერ შეჩერებულია 247 სისხლის სამართლის საქმე, რაც 49 ერთეულით, ანუ 24,7 პროცენტით მეტია გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით, ხოლო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ორგანოების მიერ შეჩერებულია 6 საქმით მეტი, ანუ 54,5 პროცენტით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გართულდა კრიმინოგენური ვითარება შიდა ქართლში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში; ქალაქებში: გორი, ზუგდიდი, ფოთი, კასპი, დედოფლისწყარო, ლანჩხუთი,

ზესტაფონი, წყალტუბო, ადიგენი, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში და მეტროპოლიტენის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ცნობით, საანგარიშო პერიოდში პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევების ფაქტებზე პროკურატურის ორგანოებში გადაგზავნილია 154 მასალა, პოლიციის 25 თანამშრომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით კი, მის დაქვემდებარებაში მყოფ საგამოძიებო ორგანოებში საანგარიშო პერიოდში არ შესულა უკანონო დაპატიმრებისა და დაკავების არც ერთი სისხლის სამართლის საქმე. რაც შეეხება თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ასეთი სახის დანაშაულის მხოლოდ 1 საქმე იყო მათ წარმოებაში.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, 2002 წლის პირველ ნახევარში პოლიციის ან სხვა ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილების შესრულებისას ცემისა და წამების არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და მსჯავრდებულად არ ყოფილა ცნობილი არც ერთი პირი. რაც შეეხება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტებს, მათ მიერ მსჯავრი დაედო 33 პირს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გავრცელებული სახე მიიღო მძევლად ხელში ჩაგდების შემთხვევებმა, მათ შორის, უცხოელის მიმართ, 2002 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრი დაედო მხოლოდ ორ პიროვნებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის 6 თვეში გადასახადების თავის არიდებისათვის აღძრულია 172 სისხლის სამართლის საქმე, საბაჟო ზეწესების დარღვევისათვის 64 საქმე, მექრთამეობისათვის 23 საქმე და ნარკოტიკების ფარული კონტრაბანდის 11 სისხლის სამართლის საქმე.

გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ეს მონაცემები სრულიად ეწინააღმდეგება მონაცემებს საქართველოს საერთო სასამართლოების საქმიანობის შესახებ. კერძოდ, საერთო სასამართლოების მიერ საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულია გადასახადების თავის არიდებისათვის 48 პირი, საბაჟო წესების დარღვევისათვის 13, ქრთამის აღებისა და გაცემისათვის 4, ნარკოტიკების უკანონო შემოტანისა და გადატანისათვის 4 პირი, რაც მიუთითებს საბაჟო და საგადასახადო სამსახურების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. იგი პირდაპირ კავშირშია საბიუჯეტო სახსრების მობილიზებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სერიოზულ ფისკალურ პრობლემებთან.

ტერორისტული აქტების, მათ შორის, საერთაშორისო ტერორიზმის გავრცელებული ხასიათისა და მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოების მიერ დასახელებული დანაშაულის ჩადენისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული არც ერთი პირი.

საერთო სასამართლოების საქმიანობის შესახებ მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ 2002 წლის I ნახევარში სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის სულ მსჯავრდებულ იქნა 4108 პირი, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1233 პირს, ანუ 30 პროცენტს; ტუსაღობა 8 პირს, ანუ 0,2 პროცენტს; შრომა-გამასწორებელი მუშაობა 22, ანუ 0,5 პროცენტს; პირობითი მსჯავრი დაედო 1730-ს, ანუ 42,1 პროცენტს; გათავისუფლდა ამნისტიით ან სხვა საფუძველზე 6, ანუ 0,1 პროცენტი; განაჩენის აღსრულება გადაიდო 13 პირის მიმართ, რამაც შეადგინა 0,1 პროცენტი; ჯარიმა დაედო 1077 პირს, ანუ 20,2 პროცენტს; გამართლებულ იქნა 26 პირი, ანუ 0,6 პროცენტი; თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის ჩამორთმევის უფლება არ შეფარდებია არც ერთ პირს.

როგორც ვხედავთ, სასჯელის ისეთი სახეები, რომლებიც არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან და როგორიცაა შრომა-გამასწორებელი სამუშაოები, საერთო სასამართლოების მიერ ჯერ კიდევ არასაკმარისად გამოიყენება.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში გამოვლენილი იქნა 12.991 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევა 12.453 პირის მიმართ, საიდანაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 10.687 პირს, აქედან 798 პირს მიეცა გაფრთხილება, 350 პირს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, 1 პირს შეეფარდა გამასწორებელი სამუშაო, ხოლო 9506 პირს დაეკისრა ჯარიმა 913.553,57 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც ამოღებულ იქნა 54.101,91 ათასი ლარი, ანუ 85.945,2 ათასი ლარით ნაკლები ამოსაღები თანხიდან.

მოქალაქეთა დარღვეული უფლებების გასაჩივრების თაობაზე საქართველოს სისხლის სამართლისა და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილით სახალხო დამცველისათვის მინიჭებული უფლებები, შეატყობინოს შესაბამის ორგანოებსა და პირებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ, რაც დაკონკრეტებულია ამავე მუხლის მე-3 ნაწილითა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სათანადოდ არ არის რეალიზებული.

სახელდობრ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსები, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების საფუძველზე არ შეიცავენ განაჩენისა და შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების, ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 594-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ახლადაღმოჩენილ და ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება აქვს მხარეებს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის ნათესავს, დამცველს ან სხვა დაინტერესებულ პირს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო გასაჩივრება საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით დაიშვება მხოლოდ მხარის განცხადების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველს, მისი უფლებამოსილების შესახებ ორგანული კანონის მე-12 და 21-ე მუხლების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევების დაფიქსირების შემთხვევებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში არსებული ხარვეზების გამო, უსაფუძვლოდ ერთმევა უფლება მოითხოვოს მათი აღდგენა.

გარდა ამისა, როგორც ჩემს წინა საპარლამენტო ანგარიშებში მივუთითებდი, ძალზე ხშირია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტისას სასამართლო ინსტანციების მხრიდან უხეში შეცდომის დაშვების ფაქტები, რომლებიც საკასაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სწორედ ამიტომაა, რომ პრაქტიკაში ვაწყდებით მოქალაქეთა და მსჯავრდებულთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევის ხშირ შემთხვევებს, რომლის დასაცავად სახალხო დამცველს არ მოეპოვება არავითარი მექანიზმები, ხოლო „სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები „ასეთ შემთხვევაში შევიდეს შესაბამის ინსტანციებში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნით", აღნიშნული მიზეზების გამო პრაქტიკაში არ სრულდება.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 2000-2001 წლებში სისტემატურად მივმართავდი საქართველოს პარლამენტსა და მის შესაბამის კომიტეტებს, რომლებშიც ვაყენებდი სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხებს, რაც დღემდე გადაუჭრელი რჩება და რის გამოც კვლავინდებურად უხეშად ილახება საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს მოქალაქეთა და მსჯავრდებულთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები.

2002 წლის 30 აპრილს №300/03 რეკომენდაციით მივმართე საქართველოს იუსტიციის მინისტრს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში აღნიშნულ საკითხებზე ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომლებსაც დასახელებული სამინისტრო დაეთანხმა და მომზადებულია შესაბამისი წინადადებები საქართველოს პარლამენტის მიერ განსახილველად.

საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებები მოქალაქეთა აღნიშნული უფლებების აღსადგენად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე გამოიხატება შემდეგში:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლებში უნდა იქნას შეტანილი შემდეგი დამატებები:

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვას „აწარმოებს" დაემატოს სიტყვები:

„ხოლო სახალხო დამცველმა შეიტანოს რეკომენდაცია მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესახებ, რომლის განხილვა სავალდებულოა".

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლს უნდა დაემატოს 101^1-ე მუხლი შემდეგი რედაქციით:

„კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, შესაძლებელია საქმის წარმოების განახლება სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, რომლის განხილვა სავალდებულოა".

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, თუ მისთვის ცნობილი გახდება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების ფაქტები.

კანონის ეს მოთხოვნა ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადებში მხარის მიერ არ არის გასაჩივრებული რაიონულ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოთა ძალაში შესული გადაწყვეტილებები, მაგრამ სახალხო

დამცველმა მიიჩნია, რომ მათი მიღების პროცესში დარღვეულ იქნა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

ვინაიდან ასეთი შემთხვევები არ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ვფიქრობ, უნდა იქნას შემუშავებული შესაბამისი ხასიათის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სახალხო დამცველს, მიმართოს რეკომენდაციით შესაბამის სასამართლო ინსტანციებს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესახებ.

– აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის პირველ ნაწილს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე აბზაცი:

„გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების გასვლის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისა და სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვის მოთხოვნის უფლება აქვს აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველს“.

შეცდომები, რომლებიც გამოვლინდება სახალხო დამცველის რეკომენდაციების შემოწმებით, უნდა იქნას მიჩნეული ახლადგამოვლინებულ გარემოებებად, რის გამოც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე, 594-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებში შეტანილ უნდა იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მესამე ნაწილს დაემატოს „გ“ პუნქტი:

„გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ დაშვებულ სასამართლო შეცდომაზე და რომელმაც თავი იჩინა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ“.

ვინაიდან სახალხო დამცველი არ წარმოადგენს პროცესის მონაწილე მხარეს, ამავე კოდექსის 594-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვას „მხარეებს“ – შემდეგ დაემატოს სიტყვები:

„ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში რეკომენდაციით მიმართვისა, სახალხო დამცველს“.

– ამავე მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე სტრიქონის სიტყვას „განცხადებით“ დაემატოს სიტყვები:

„სახალხო დამცველის რეკომენდაციით“, ხოლო

– 423-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 სტრიქონის სიტყვას „მოთხოვნით“ დაემატოს სიტყვები:

„აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის განახლება ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო დასაშვებია სახალხო დამცველის რეკომენდაციით“.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 596-ე მუხლში არაფერია ნათქვამი ახლადაღმოჩენილ და ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილებების გამოთხოვისა და შესწავლის შედეგად საჩივრის უსაფუძვლობის შემთხვევაში, თუ რა გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული. ამიტომ აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილს ახალი აბზაცით უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები:

„საჩივრის უსაფუძვლობის შემთხვევაში, მოტივირებული დადგენილებით უარს ამბობს საქმის წარმოების აღძვრაზე“.

– ამავე მუხლში ასევე არაფერია ნათქვამი ახლადაღმოჩენილ და ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში აღძრული საქმის წარმოების ვადების შესახებ, ამიტომ დასახელებული მუხლის მეორე ნაწილს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის ბოლო აბზაცი:

„ახლადაღმოჩენილ და ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება მიმდინარეობს 3 თვის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმის სირთულის, მოცულობისა და მისი საზოგადოებრივი რეზონანსის გათვალისწინებით,

საქართველოს გენერალურ პროკურორს შეუძლია გააგრძელოს საქმის წარმოების ვადა კიდევ 3 თვით".

ანალოგიური ხასიათის ცვლილებების შეტანას მოითხოვს აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საპროცესო კანონმდებლობაც.

– „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველი არ არის მხარე და პროცესის მონაწილე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 234-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, რეკომენდაციით მიმართოს ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესახებ, რომლის განხილვა სავალდებულოა".

იგივე მოთხოვნებია ჩამოყალიბებული გაერთიანებული ერების ორგანიზაცის ადამიანის უფლებათა კომიტეტის 74-ე სესიაზე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-40 მუხლის შესაბამისად განხილული საქართველოს მეორე პერიოდული მოხსენების შესახებ დასკვნის მე-16 პარაგრაფში, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ, თუმცა კომიტეტი მიესალმება საქართველოში ომბუდსმენის დანიშვნას, ის შეშფოთებით აღნიშნავს მისი რეკომენდაციების განხორციელების უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

შინაგან საქმეთა ორგანოების წინასწარი მოთავსების ადგილებიდან საპყრობილეებში სხეულის დაზიანებითა და კანონით დადგენილი ვადების დარღვევით ბრალდებულთა გადაყვანის შესახებ

2000 და 2001 წლების საპარლამენტო ანგარიშებში მივუთითებდი შინაგან საქმეთა ორგანოების წინასწარი მოთავსების ადგილებიდან საპყრობილეებში კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევითა და სხეულის დაზიანებებით პატიმართა გადაყვანის გავრცელებულ პრაქტიკაზე.

დაკავებულთა და პატიმართა კანონით მინიჭებული ამ უფლებების ხშირი დარღვევების გამო გადამჭრელი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით, სისტემატურად მივმართავდი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მაცნობებდნენ, რომ მათ მიერ ტარდებოდა ორგანიზაციული და საკადრო ღონისძიებები დაკავებულთა და ბრალდებულთა შელახული უფლებების აღსადგენად და პოლიციის იმ თანამშრომელთა, მათ შორის, ხელმძღვანელ მუშაკთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით, რომელთა უმოქმედობით ან/და კანონდარღვევის შედეგად ირღვეოდა პატიმართა უფლებები.

ამ საკითხზე მიმდინარე წლის იანვარში იმსჯელა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, კოლეგიაზე მიღებულ იქნა გარკვეული ზომები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მიუხედავად ამისა, როგორც ჩემს მიერ ჩატარებული შემოწმებებით იქნა გამოვლენილი, კვლავინდებურად ხშირია შინაგან საქმეთა ორგანოების წინასწარი მოთავსების ადგილებიდან საპყრობილეებში პატიმართა სხეულის დაზიანებითა და კანონით დადგენილი ვადების დარღვევით გადაყვანის შემთხვევები.

2002 წლის 1 იანვრიდან 30 მაისამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ საპყრობილეებში, კერძოდ, ქ. თბილისის №5, ქუთაისის №2 და ზუგდიდის №4 საპყრობილეებში სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით გადაყვანილ იქნა 131 ბრალდებული. აქედან: იანვარში – 20, თებერვალში – 18, მარტში – 40, აპრილში – 5, მაისში 15 ბრალდებული.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოებიდან აღნიშნულ პერიოდში სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით №5 საპყრობილეში მოთავსებული იქნა 46 ბრალდებული, აქედან: გლდანი-ნაძალადევის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 4; დიდუბე-ჩუღურეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოდან – 3; ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 25; ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 2; მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 1; ისანი-სამგორის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 1; შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 5; სატრანსპორტო პოლიციიდან – 2 და სამხედრო პროკურატურაზე რიცხული 4 პატიმარი.

დასახელებულ საპყრობილეში გადაყვანილ იქნა: ქვემო ქართლის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 10; შიდა ქართლის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 11; კახეთის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 6; სამცხე-ჯავახეთის შინაგან საქმეთა სამმართველოდან 3 პატიმარი.

სხეულის დაზიანებით შეყვანილი ამ პატიმრების სხეულის დაზიანების ხარისხი სხვადასხვაა. გვხვდება ისეთი დაზიანებები, როგორიცაა: ნაკვეთი ჭრილობები, ექსკორაციები, ექსკორაციები დაფარული შინდისფერი ფუფხით, თვალბუდის არეში სისხლნაჟღენთები. მაგალითად, ე. გ. ბარბაქაძე №5 საპყრობილეში შეყვანილია 2002 წლის 4 მარტს და აღენიშნებოდა დაზიანებები ფეხის გულებზე; ა. რ. ახეიანი 2002 წლის 3 მარტს შეყვანილია №5 საპყრობილეში და აღენიშნებოდა ორივე თვალზე სილურჯე და ცხვირის შეშუპება; თ. რ. მეთოშვილი საპყრობილეში შეყვანილია 2002 წლის 14 მარტს და აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები მარცხენა თვალბუდის არეში, ნახეთქი ჭრილობა კეფის არეში, ექსკორაციები ქვედა კიდურებზე; ე. კრიპინი, საპყრობილეში შეყვანილია 2002 წლის 17 მარტს, აღენიშნებოდა დაზიანებები ცხვირზე, შუბლზე და ყელის არეში; მ. გ. აქუბამელია საპყრობილეში შეყვანილია 2002 წლის 6 მაისს, მარჯვენა თვალბუდის არეში სისხლნაჟღენთებითა და ექსკორაციებით საფეთქელზე, მარცხენა ღაწვზე და მარცხენა წარბის ქვემოთ; ასევე მარცხენა წარბის ნახეთქი ჭრილობა, მარჯვენა ფეხის თითებზე მრავლობითი დაზიანებები, თავზე რამდენიმე ადგილას აღენიშნებოდა ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებები.

ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში 2002 წლის 1 იანვრიდან 30 მაისამდე სხეულის სხვადასხვა დაზიანებებით შეყვანილ იქნა 30 ბრალდებული, აქედან: იანვარში – 6; თებერვალში – 6; მარტში – 8; აპრილში 6; მაისში 7 ბრალდებული. ქ. წყალტუბოს შს განყოფილებიდან – 2; ბაღდათის შს განყოფილებიდან – 6; იმერეთის რეგიონის შს სამმართველოდან – 1; საჩხერის შს განყოფილებიდან – 1; ჭიათურის შს განყოფილებიდან – 4; ხონის შს განყოფილებიდან – 3; ვანის შს განყოფილებიდან – 1; მარტვილის შს განყოფილებიდან – 1 და თერჯოლის შს განყოფილებიდან 2 ბრალდებული. კერძოდ, ო. ხაჭვანს აღენიშნებოდა მარჯვენა და მარცხენა ქვემო კიდურების მუხლის სახსრების ზემოთ მრავლობითი ნაჩხვლეტი ჭრილობები; გ. გ. ვარდანიძეს, თ. ზ. გორგოძეს, გ. რ. მუსელიანს აღენიშნებოდათ თვალბუდის არეში სისხლნაჟღენთები; თ. შ. ბაღათურიას აღენიშნებოდა ცეცხლსასროლი იარაღით ნაფლეთი ჭრილობები, ქვედა ყბის ძვლის ჰორიზონტალური დაზიანება კისრის გვერდითი ზედაპირის არეში, ასევე სახის არეში აღენიშნებოდა მრავლობითი ექსკორაციები, ორივე თვალბუდის არეში სისხლნაჟღენთები.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის №4 საპყრობილეში სხეულის დაზიანებებით შეყვანილ იქნა 3 ბრალდებული: 2002 წლის 14 მაისს აბაშის შსს-დან შეყვანილ იქნა ს. ს. მინდაძე, რომელსაც აღენიშნებოდა დაზიანებები ზურგის არეში, ორივე ქვედა კიდურზე და ორივე თვალბუდის არეში დაჟეჟილობა; ზუგდიდის შსს-დან შეყვანილ იქნა მ. რ. ჯიჯავა, რომელსაც აღენიშნებოდა თვალბუდისა და ზურგის არეში დაზიანებები.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილეებში ამავე პერიოდში დაკავების 72-საათიანი ვადის დარღვევით შეყვანილ იქნა 200 ბრალდებული. კერძოდ, ქ. თბილისის №5 საპყრობილეში შეყვანილ იქნა 183 ბრალდებული, აქედან: იანვარში – 51; თებერვალში – 31; მარტში – 69; აპრილში – 18; მაისში 14 ბრალდებული.

კერძოდ:

1 დღის დაგვიანებით შეყვანილია – 100; 2 დღის დაგვიანებით – 16; 3 დღის დაგვიანებით – 40; 5 დღის დაგვიანებით – 7; 7 დღის დაგვიანებით – 1; 8 დღის დაგვიანებით – 5; 9 დღის დაგვიანებით – 1; 10 დღის დაგვიანებით – 2; 12 დღის დაგვიანებით – 1; 15 დღის დაგვიანებით – 2; 19 დღის დაგვიანებით – 3; 23 დღის დაგვიანებით – 3; 24 დღის დაგვიანებით – 1; 25 დღის დაგვიანებით 1 ბრალდებული.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოებიდან ვადის დარღვევით საპყრობილეში მოთავსებულ იქნა 47 ბრალდებული, მათგან: ბრალდებული კ. ს. ჩხეტიანი 19 დღის დაგვიანებით, მ. რ. ბოჭორიშვილი – 23 დღის დაგვიანებით, გ. ზ. აბრამიშვილი – 12 დღის დაგვიანებით და ა. შ.

შიდა ქართლის რეგიონებიდან დასახელებულ პერიოდში №5 საპყრობილეში შეყვანილ იქნა 45 ბრალდებული, მათგან: გორის შსს-დან ზ. ო. ზარიძე – 9 დღის დაგვიანებით; ი. მ. ედაშვილი – 5 დღის დაგვიანებით; ა. გ. ბირველიშვილი – 5 დღის დაგვიანებით და ა. შ.

კახეთის რეგიონიდან ამავე საპყრობილეში აღნიშნულ პერიოდში შეყვანილ იქნა 45 ბრალდებული, აქედან: ვ. ი. მეგრელიშვილი – 7 დღის დაგვიანებით; ლ. მ. მკერვალიძე – 25 დღის დაგვიანებით; ი. ზ. რეხვიაშვილი – 5 დღის დაგვიანებით; გ. ი. რეხვიაშვილი – 19 დღის დაგვიანებით; მ. ნ. ფირანიშვილი – 5 დღის დაგვიანებით; ვ. თ. კუპატაძე – 10 დღის დაგვიანებით და ზ. ო. თიბილაშვილი – 23 დღის დაგვიანებით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან დასახელებულ საპყრობილეში გადაყვანილ იქნა 23 ბრალდებული, აქედან: რ. ვ. ჯიქური – 8 დღის დაგვიანებით; ა. კ. მალხასიანი – 8 დღის დაგვიანებით; ნ. კ. პასტერნაკი – 24 დღის დაგვიანებით; ლ. ა. კუხიანიძე – 8 დღის დაგვიანებით; გოგოჩიძე – 8 დღის დაგვიანებით; ს. ა. ხაჩატურიანი – 5 დღის დაგვიანებით და რ. ვ. ზაზაძე 5 დღის დაგვიანებით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან №5 საპყრობილეში გადაყვანილ იქნა 13 ბრალდებული; ქვემო ქართლის რეგიონიდან – 10 ბრალდებული, მათ შორის, ნ. მ. ჩიკვილაძე – 15 დღის დაგვიანებით.

ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში ამავე პერიოდში გადაყვანილ იქნა 14 ბრალდებული, აქედან: იანვარში – 7, აპრილში – 3, მაისში – 4 ბრალდებული.

ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში შეყვანილია: თერჯოლის შს განყოფილებიდან – 4 ბრალდებული; ქუთაისის შს სამმართველოდან – 5; მარტვილის შს განყოფილებიდან – 1; ხარაგაულის შს განყოფილებიდან – 2; სამტრედიის შს განყოფილებიდან – 1; ლენტეხის შს განყოფილებიდან 1 ბრალდებული.

ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილეში კანონით დადგენილი დარღვევებით დასახელებულ პერიოდში მოთავსდა 3 ბრალდებული.

სწორედ ზემოაღნიშნული დარღვევის შემთხვევები გახდა მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გამართული კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მსჯელობის საგანი. კოლეგიის გადაწყვეტილებით,

დაევალა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს პ. მხეიძეს: ა) გააძლიეროს კონტროლი ქ. ქუთაისის №2, ქ. ზუგდიდის №4 და ქ. ბათუმის №3 საპყრობილეებში ადამიანთა უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, რათა აღრიცხული იყოს საპყრობილეებში პატიმართა სხეულის დაზიანებით და კონსტიტუციით გათვალისწინებული 72-საათიანი დაკავების ვადის დარღვევით შეყვანის თითოეული ფაქტი. აღნიშნულ ფაქტებზე მოკვლეული მასალები დაუყოვნებლივ გადაეგზავნოს შესაბამის პროკურატურას, თითოეული ასეთი ფაქტის შესახებ ეცნობოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტს, საქართველოს სახალხო დამცველს, იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელ საბჭოს – შემდგომი მონიტორინგის ჩატარების მიზნით; ბ) სისტემატური კონტროლი დააწესოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინებებისა და მასალების მოკვლევაზე;

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს გ. ჯანაშიას: სისტემატურად განახორციელოს კონტროლი საპყრობილეებში სხეულის დაზიანებითა და 72-საათიანი დაკავების ვადის დარღვევით პატიმართა შეყვანის ფაქტებზე და ყოველთვიურად გააანალიზოს აღნიშნული ინფორმაცია;

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს ა. ბორჯაძეს: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საპყრობილეებში სხეულის დაზიანებით შეყვანილ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას, რათა გამორიცხოს ფარული ტრავმების შედეგად პატიმართა ჯანმრთელობის გაუარესება და სხვა სახის სხეულის დაზიანებებით გამოწვეული შედეგები;

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს კ. უშიკიშვილს: მოახდინოს საპყრობილეებში პატიმართა სხეულის დაზიანებათა შესაბამისი ფოტოგრაფირების ფინანსური უზრუნველყოფა, რათა მოკვლეულ მასალებს ექიმ-ექსპერტის ცნობასთან ერთად დაერთოს სხეულის დაზიანების ლოკალიზაციის ფოტოსურათი;

პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ვ. ქავუარაძეს: უზრუნველყოს საპყრობილეებში სხეულის დაზიანებითა და 72-საათიანი დაკავების ვადის დარღვევით შემოსულ პირთა შესახებ დეტალური ინფორმაციის გაშუქება მასმედიის საშუალებით;

იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელ საბჭოს ეთხოვა, გააააქტიუროს მონიტორინგი საპყრობილეებში სხეულის დაზიანებითა და 72-საათიანი დაკავების ვადის დარღვევით პატიმართა შეყვანის ფაქტებზე შემდგომი რეაგირების განხორციელებასთან დაკავშირებით.

კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალა იუსტიციის მინისტრის მოადგილეს კ. კობერიძეს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მოადგილე ვ. ბენიძე 2002 წლის 17 ივლისს №19/1-8-2007 წერილით მატყობინებს, რომ განსახილველი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრის საკითხებს, რის გამოც სათანადო მასალები დაეგზავნათ ქვემდგომ პროკურატურებს და მათ შესრულებაზე დაწესებულია კონტროლი. გარდა ამისა, გენერალური პროკურატურა ამოწმებს სახალხო დამცველისაგან მიღებულ მასალებს, რომლის დამთავრების შემდეგ მიეცემა შეფასება კანონის დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხს, ხოლო შემოწმების შედეგებზე გადმომეცემა ვრცელი ინფორმაცია.

მიუხედავად ამისა, დღემდე შემოწმების შედეგებზე არ მიმიღია საბოლოო ინფორმაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, მთელ რიგ შემთხვევებში, პატიმართა საპყრობილეებში დაგვიანებით გადაყვანის მიზეზი ხდება სასამართლოების გაუმართავი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რაც იმაში გამოიხატება, რომ პატიმრობის შესახებ შერჩეული აღკვეთი ღონისძიებების თაობაზე მოსამართლის დადგენილებები დროულად არ გადაიგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოებსა და საგამოძიებო სამსახურებში. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, ნაცვლად მოსამართლის ბრძანებისა, ადგილი აქვს პატიმრობის შერჩევის შესახებ ცნობების გაცემას, რაც ხდება ბრალდებულთა საპყრობილეში დაგვიანებით გადაყვანისა და მათგან წინასწარი მოთავსების ადგილებში ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედების გამოყენებით ბრალდების მამხილებელი ჩვენებების გამოძალვის მიზეზი.

მიმდინარე წლის 4-დან 6 ივლისამდე ბრალდებული შ. თინიკაშვილი, რომელსაც წინასწარი პატიმრობა შეეფარდა 4 ივლისს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დატოვებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი მოთავსების საკანში, სადაც სწორედ აღნიშნულ პერიოდში მისგან, სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელების ფ. კენკებაშვილისა და მ. ჭაფოძის ჩარევის შედეგად, გამომძიებლის მიერ მიღებულ იქნა აღიარებითი ჩვენებები, 2002 წლის 2 ივნისს საარჩევნო ბიულეტენების გატაცების დროს მიკროავტობუსზე თავდასხმისა და შემდგომში მათი ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწვის შესახებ. შ. თინიკაშვილი საჩივარში მიუთითებს, რომ დროებითი მოთავსების საკანში, კანონის დარღვევით დატოვების შემდგომ, მისგან წამების მუქარით და მოტყუების გზით მიაღწიეს დასახელებული მამხილებელი ჩვენებების მიღებას.

როგორც გამოირკვა, 2002 წლის 4 ივლისს, სასამართლოს ბრძანება შ. თინიკაშვილის დაპატიმრებისა და მისი №5 საპყრობილეში მოთავსების შესახებ არც ბადრაგსა და არც გამომძიებელს არ ჩაბარებია. მოსამართლის ბრძანება შ. თინიკაშვილისთვის პატიმრობის შერჩევის შესახებ წინასწარი მოთავსების იზოლატორის მიერ მიღებულ იქნა მხოლოდ მეორე დღეს, ანუ 5 ივლისს. მიუხედავად ამისა, იგი დაუყოვნებლივ არ შესრულდა და ბრალდებული საპყრობილეში გადაყვანილ იქნა მხოლოდ მესამე დღეს, ანუ 6 ივლისს.

პროექტ „სწრაფი რეაგირების ჯგუფის“ დასკვნითი ანგარიში

აღნიშნული პროექტი დააფინანსა ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR). მისი მუშაობის ვადები მოიცავდა 2001 წლის 5 დეკემბრიდან 2002 წლის 5 ივნისამდე პერიოდს.

პროექტი განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატში შექმნილი „სწრაფი რეაგირების ჯგუფის“ მიერ. პროექტის პირველი ნაწილი ეხება პოლიციის წინასწარი დაკავების ადგილებში მოქალაქეთა უფლებების დარღვევათა გამოვლენას, ხოლო მეორე ნაწილი – სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დარღვევებს (კომენდატურა, ე.წ. „ჰაუპტვახტა“).

პროექტი განხორციელდა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოსა და ქვეგანყოფილებებში (მათი რიცხვი შეადგენს 8-ს) და ქ. თბილისის სამხედრო კომენდატურაში.

გარდა ამისა, ჯგუფი რეაგირებას ახდენდა სატელეფონო შეტყობინებებზე სხვა რაიონებისა და რეგიონის მოსახლეობის უფლებების დარღვევის ფაქტებზეც, კერძოდ, მარნეულის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, თბილისის სხვა რაიონების (ვაკე-საბურთალო, მთაწმინდა-კრწანისი, დიდუბე-ჩუღურეთი და ისანი-სამგორი).

პროექტის ძირითადი მიზანი იყო: პოლიციისა და სამხედრო კომენდატურის წინასწარი დაკავების ადგილებში სისტემატური მონიტორინგის განხორციელების გზით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევათა მინიმუმამდე დაყვანა; პოლიციასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის დონის ამაღლება; პოლიციის საქმიანობაში მეტი გამჭვირვალობის შეტანა და მისი საქმიანობისათვის ეფექტიანი გარემოს შექმნა.

მონიტორინგი პოლიციასა და სამხედრო კომენდატურის ოფისში ხორციელდებოდა მოულოდნელი ვიზიტების სახით. აგრეთვე, ხდებოდა შემოსულ შეტყობინებებზე სწრაფი რეაგირება. ვიზიტებს შორის ინტერვალი შეადგენდა 72 საათს, რაც მოიცავს დაკავებისათვის კანონით გათვალისწინებულ დროს. იგი საშუალებას აძლევდა ჯგუფს ჩაეტარებინა მონიტორინგი მის ხელთ არსებულ საქმეებსა და დაკავებულთა მდგომარეობაზე; გამოვლინდა რეგისტრაციაში გატარებულ პირთა დაკავების ხანგრძლივობა და ის პირი, ვინც განახორციელა დაკავება, აგრეთვე არარეგისტრირებული დაკავებული პირები. ჯგუფი ათვალიერებდა პოლიციის განყოფილების შენობა-ნაგებობებს, აფიქსირებდა იქ მყოფთა რიცხვს, ადგენდა, ჰქონდათ თუ არა მათ ადვოკატთან დაკავშირების საშუალება. ჰქონდა თუ არა ადგილი ძალოვანთა მხრიდან ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა სახის ზეწოლის ფაქტებს, საჭიროების შემთხვევაში, საქმის კურსში აყენებდა სახალხო დამცველს სათანადო რეკომენდაციისა და შუამდგომლობის მოსამზადებლად, აგრეთვე აძლევდა სათანადო მასალებს მასმედიის საშუალებებს. ჯგუფი განიხილავდა დარღვევის თითოეულ შემთხვევას, ახდენდა გამოვლენილ პრობლემათა სისტემატიზაციას, უშუალოდ ხვდებოდა იმ პირებს, რომელთა უფლებებიც დაირღვა მათ პრობლემებში უკეთ გარკვევისა და ამ პრობლემების დაძლევის მიზნით. პოლიციელებს, სამხედრო და წინასწარ დაკავებაში მყოფ პირებს უტარებდა შემეცნებით საუბრებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ და ამ საქმეში სახალხო დამცველის როლის შესახებ (ურიგდებოდათ სახალხო დამცველის კანონი და ბუკლეტები მისი კომპეტენციის შესახებ). ჯგუფი თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძოდ: „ადამიანის უფლებების დაცვის აქტივისტებთან", „ახალგაზრდულ პარლამენტთან", „თავისუფლების ინსტიტუტთან", „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამაინის უფლებათა დაცვისათვის", „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან". სამხედრო ხაზით: „მეომართა დაცვის კავშირთან", „საქართველოს ჯარისკაცის უფლებების დაცვის კავშირთან", „ეროვნული გვარდიის ვეტერანთა საბჭოსთან", საერთაშორისო ორგანიზაცია „თეთრ სახლთან". ჩატარდა კონფერენციები და რიგგარეშე სხდომები ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტის ერთობლივი განხილვის მიზნით.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ: ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებულ განყოფილებებში 2002 წელს 6 თვის განმავლობაში წარმოდგენილი იყო 234 დაკავებული პირი; აქედან:

– დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანილ იქნა 165 პირი;

– დაკავების დადგენილებით 82 პირი, მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით 83 პირი. ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საკანში მოთავსებულ იქნა 43 პირი;

– გათავისუფლებული იქნა გაუსვლელობის ხელწერილით და გადაეცა პოლიციას ზედამხედველობის ქვეშ 69 სამართალდამრღვევი;

– საპყრობილეში გადაყვანილ იქნა 122 პირი;

– დაკავებულთაგან 54-ს (ადვოკატის არყოლის გამო) ვერ გაეწია დროულად სამართლებრივი დაცვა ოჯახის სოციალურ- ეკონომიკური პირობების გამო.

პროექტის მუშაობის პერიოდში „სწრაფი რეაგირების ჯგუფში" შემოვიდა:

– 118 სატელეფონო ზარი, აქედან 17 პროექტის მიზანს არ შეესაბამებოდა;

6 თვის განმავლობაში ჩატარდა 121 მოულოდნელი ვიზიტი და 15 რეიდი, აქედან:

– გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოში განხორციელდა 11 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის I განყოფილებაში – 15 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის II განყოფილებაში – 12 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის III განყოფილებაში – 8 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის IV განყოფილებაში – 7 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის V განყოფილებაში – 10 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის VI განყოფილებაში – 9 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის VII განყოფილებაში – 7 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის VIII განყოფილებაში – 8 გასვლა, 1 რეიდი;
– გლდანი-ნაძალადევის IX განყოფილებაში – 8 გასვლა, 1 რეიდი;
– მცხეთა-მთიანეთის რეგიონი – 2 გასვლა, 1 რეიდი;
– ქვემო ქართლის რეგიონი – 4 გასვლა;
– მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველო – 4 გასვლა, 1 რეიდი;
– ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველო – 7 გასვლა, 1 რეიდი;
– დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველო – 6 გასვლა, 1 რეიდი;
– ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველო – 3 გასვლა, 1 რეიდი;
– თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდატურა – 57 გასვლა.

6 თვის განმავლობაში ჯგუფის საქმიანობამ მოიცვა რეგიონები, სადაც ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს, რის მაგალითებსაც ქვემოთ შევეხებით. პროექტის მუშაობა და გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს ახალი უფროსის დანიშვნა დაემთხვა ერთი და იგივე დროის მონაკვეთს. დასკვნით მოხსენებაში უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ რაიონში საკმაოდ მაღალია არაქართული მოსახლეობის წილი, რომელთა უმეტესობამ არ იცის ქვეყნის კონსტიტუცია და თავისი უფლებები, რაც ხელს უწყობდა ზოგიერთი პოლიციელის უკანონო მოქმედებას.

ჯგუფისათვის ცნობილი გახდა ჯ. ტელოევისა და დათო კალაშიანის ცემის გახმაურებული ფაქტები. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე ჯგუფს რამდენჯერმე ჰქონდა შეხვედრა პოლიციის სამმართველოს ახალ უფროსთან თ. ანჯაფარიძესთან, რომელმაც გამოთქვა მათთან თანამშრომლობის სურვილი. საჭიროდ მივიჩნიეთ თითოეული ფაქტის ირგვლივ ერთობლივად გვემუშავა და კანონის უზენაესობით დაგვეცვა უფლებაშელახული მოქალაქის უფლებები, რითაც ვცდილობდით ხალხსა და პოლიციას შორის „ჩატეხილი ხიდის" აღდგენას. სულ რამდენიმე თვეში, ჯგუფის მონაწილეობით, გლდანი-ნაძალადევის მოსახლეობის გამოკითხვითა და გასაუბრებით, დაკავებულებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ აღნიშნულ რაიონს შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად მოევლინა პროფესიონალი და თავის საქმის მცოდნე ნამდვილი პოლიციელი, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მის უწყებაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში და ცდილობს, რომ შინაგან საქმეთა სამმართველოს აპარატის თითოეული თანამშრომელი ერკვეოდეს და იცავდეს ამ თვალსაზრისით როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ძირითად პარამეტრებს.

ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობისა და მასთან სადღეღამისო დაკავშირების შესახებ გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით პრეს-რელიზების სახით გაზეთებში: „ახალი თაობა", „დილის გაზეთი", „Свободная Грузия", „The Georgian

Messenger", „რეზონანსი", „ჯორჯიან თაიმსი", თითქმის ყველა კომპანიის საინფორმაციო პროგრამებში.

ჯგუფის 6-თვიანი მოქმედების დროს გამოვლინდა შემდეგი: პროექტის მუშაობის პერიოდში გაკეთდა სახალხო დამცველის 54 რეკომენდაცია საქართველოს გენერალური პროკურორის ნ. გაბრიჩიძის, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრის კ. ნარჩემაშვილის სახელზე, რომლებიც დაკავშირებული იყო მოქალაქეთა უფლებებისა და სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობის დარღვევებთან. რეკომენდაციის შინაარსობრივ ამოცანას წარმოადგენდა შემდეგი: სამართალდამცავმა ორგანოებმა დაადგინონ დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირები; დააყენონ კანონიერების დამრღვევი პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხი; უზრუნველყონ კანონის სწორად გამოყენება; არ დაუშვან უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა; შექმნან საგამოძიებო შეცდომების გამოსწორების პირობები; დაიცვან მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები; დაამკვიდრონ საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეებისადმი პატივისცემა.

აღნიშნული პროექტი დააფინანსა ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (**OSCE/ODIHR**), როგორც ნაწილი წამების საწინააღმდეგო პროგრამისა, რის გამოც გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის მადლობით მინდა მოვიხსენიო „ადამიანურ განზომილებათა" ოფისის ხელმძღვანელობა. ცალკე აღსანიშნავია სახალხო დამცველის აპარატში მოვლინებული საერთაშორისო ექსპერტის, ბატონ კრასიმირ კანევის რეკომენდაციები „სწრაფი რეაგირების ჯგუფის" წევრთათვის საინტერესო საკითხებზე. და ბოლოს, ყველა ზემოთ წარმოდგენილი მასალა ჯგუფის წევრებს გვაძლევს უფლებას გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელ ისეთ აუცილებელ ნიშანს, როგორიცაა კანონის უზენაესობა, უნდა ემყარებოდეს ნებისმიერი პირის საქმიანობა.

„სწრაფი რეაგირების ჯგუფის" მიერ გამოვლენილ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის მწვავე და მძიმე შემთხვევებმა, რომლებმაც სამართალდამცავი სისტემის ზოგიერთი თანამშრომლის მხრიდან ადამიანებს უამრავი ტკივილი და ცრემლი მიაყენა, საფუძველს იძლევა, რომ აღნიშნული პროექტის არეალი გაფართოვდეს, ვინაიდან თბილისის გარეთ, რეგიონებში მდგომარეობა საგანგაშოა როგორც მოსახლეობის, ისე პოლიციის თანამშრომელთა დაბალი სამართლებრივი კულტურისა და ადამიანის უფლებათა სისტემის სრული არცოდნის თვალსაზრისით.

პოლიციის საქმიანობის მონიტორინგი შეიძლება მიმართულ იქნას შემდეგი პრობლემების გამოსავლენად და გამოსასწორებლად:

– წამება, ღირსების შემლახველი მოპყრობა;
– უკანონო დაკავება, არასანქცირებული ჩხრეკა;
– ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, როცა ამისი აუცილებლობა არ არსებობს;
– ფიზიკური ძალის გამოყენება;
– კონსტიტუციით გარანტირებული 72-საათიანი ვადის დარღვევა;
– პოლიციელის მიერ კანონის დარღვევის იგნორირება;
– დაკავება და ჩხრეკაზე დამსწრე ე. წ. „პროფესიონალი მოწმეების" გამოვლენა;
– უსახლკაროების, ახალგაზრდების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა.

სახალხო დამცველის მიერ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებისადმი, განსაკუთრებით სამართალდამცავი სისტემის ხელმძღვანელებისადმი გაკეთებულ სათანადო რეკომენდაციებზე მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ რეკომენდაციებში მითითებულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა ჰპოვეს სათანადო დადასტურება, მაგრამ საგამოძიებო ორგანოები შესაბამისი ხასიათის მითითებების შესრულებას, ზოგ შემთხვევაში, მიზანმიმართულად აჭიანურებენ, რათა პასუხისმგებლობას აარიდონ თავი. პროექტის მუშაობის ხანმოკლე პერიოდის ანალიზი ადასტურებს მის ეფექტიანობას და ფართო საზოგადოებისა და მოქალაქეთა უფლებების დარღვევაზე სწრაფად რეაგირების აუცილებლობას.

ამავე დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ პრობლემებს, რომელიც სამართალდამცველთა წინაშე დგას. ესენია, პირველ რიგში:

– დაბალი ხელფასი და მისი დროულად გაუცემლობა;
– დაბალი სამართლებრივი ცოდნის დონე ადამიანის უფლებათა სფეროში;
– მძიმე სამუშაო პირობები (ზამთარში უშუქობა, სამორიგეო ტრანსპორტის, საწვავის, რადიოკავშირის, ზამთრის სპეცტანსაცმლის უკმარისობა, დაუფინანსებლობა);
– პოლიციის თანამშრომელთა და მათი ოჯახის სოციალური დაუცველობა;
– დაკავებული პირის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის არქონა;

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამართალდამცავი თანამდებობის პირების შერჩევას, სწავლებას და მომზადებას; პოლიციის ორგანოების შენობების შეცვლას და კაპიტალურ შეკეთებას.

ხოლო რაც შეეხება სამხედრო კომენდატურას, საქართველოს პრეზიდენტს მივმართე რეკომენდაციით სამხედრო მოსამსახურეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით:

„საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოში ბოლო წლებში დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, რაც, პირველ რიგში, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. ამ უფლებების და თავისუფლებების დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი.

სწორედ ჩემთვის მონიჭებული უფლებამოსილებისა და დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს“. ამავე დროს მოქმედებს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 2 სექტემბრის №294 ბრძანებულება „საქართველოს შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“. ამ წესდების 44-ე, 45-ე, 46-ე, 52-ე,

53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე, 59-ე და მე-60 პუნქტების შესაბამისად, სასჯელის ზომად გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა პატიმრობა სხვადასხვა ვადით (10 დღე-ღამემდე). ამავე დროს სამხედრო მოსამსახურეთათვის პატიმრობის შეფარდება ამ წესდების შესაბამისად არ მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემოვდივარ რეკომენდაციით, შეიტანოთ ცვლილებები აღნიშნულ ბრძანებულებაში მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით".

სწრაფი რეაგირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების შესახებ

სახალხო დამცველის სწრაფი რეაგირების ჯგუფს მომართა არასრულწლოვან ზ. გოლუბიანის მშობელმა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი შვილის მიმართ პოლიციის თანამშრომლები, ფულის გამოძალვის მიზნით, მიზანმიმართულ დევნას აწარმოებდნენ. კერძოდ, არასრულწლოვანის მამა ვ. გოლუბიანი მუშაობს საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში. 15 წლის ზ. გოლუბიანი გასული წლის ივლისში კასპის რაიონის სოფელ კლიანში ნარკოტიკული ნივთიერება „მანაგუას" წვენის დამზადების ბრალდებით კასპის შს განყოფილების მუშაკებმა დააკავეს. მისი დაკავება მოხდა ნარკოტიკის გადაცემისთანავე. დაკავებულის მამა სახალხო დამცველის სახელზე დაწერილ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მისი შვილის მიმართ წინასწარ გამიზნული პროვოკაცია იყო მოწყობილი. პოლიციის განყოფილებაში არასრულწლოვანზე, წინასწარი მოკვლევის პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელეს. ადვოკატისა და მშობლების დასწრების გარეშე, შანტაჟითა და მუქარით, ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა კასპის შს განყოფილების მაშინდელმა უფროსმა დაკავებულის საქმეზე წინასწარი მოკვლევა ჩაატარა. მანვე არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი „დანაშაულის" დაფარვის მიზნით ქრთამის სახით სოლიდური თანხის გადახდა მოსთხოვა მშობლებს, რაზედაც უარი მიიღო, ამიტომ დაემუქრა მათ და ისინი პოლიციის შენობიდან გამოაძევა. კასპში დაწყებულმა პროვოკაციამ თბილისში გადმოინაცვლა და 2002 წ. 2 აპრილს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლების მიერ, სრულიად უმიზეზოდ, ავტობუსის გაჩერებიდან ძალის გამოყენებით ზ. გოლუბიანი აყვანილ და წარდგენილ იქნა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მე-2 განყოფილებაში; დაკითხვას რატომღაც ესწრებოდნენ კასპის პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებიც ადრე მოწყობილი პროვოკაციის მონაწილენი იყვნენ. კვლავ გაიჟღერა აღნიშნული თანხის მოთხოვნამ, რაზედაც სასტიკი უარი მიიღეს. ისინი იმუქრებოდნენ, რომ აღნიშნულ დანაშაულს დაამძიმებდნენ და საქმე გადასცეს პროკურატურას. არასრულწლოვანის დაკითხვისას პრიორიტეტი მიენიჭა არა მის აღმზრდელ პედაგოგებს, სადაც ის სწავლობდა, არამედ სხვა პედაგოგს, ვინმე ნარკოდაშვილს, რომელიც დევნილია სამაჩაბლოდან და სამი წელია რაც მუშაობს ისანი-სამგორის რაიონის №175-ე საშუალო სკოლაში.

სახალხო დამცველის აპარატში უშუალოდ სკოლის დირექტორთან გასაუბრების შემდეგ მოწვეულ იქნა პედაგოგი, მაგრამ ის არ გამოცხადდა აპარატში. გამოძიება ჭიანურდებოდა; ამ ხნის განმავლობაში მოზარდს მიესაჯა სამთვიანი პატიმრობა და იგი გადაყვანილ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეხუთე იზოლატორში, სადაც მოინახულეს „სწრაფი რეაგირების ჯგუფის" წევრებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების: „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებების დაცვისათვის", „თავისუფლების ინსტიტუტის", „ახალგაზრდა იურისტთა

ასოციაციის“ წარმომადგენლებმა. საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ არასრულწლოვანზე განხორციელდა ზემოქმედების მიუღებელი მეთოდები, რითაც დაირღვა მისი უფლებები. საქართველოს გენერალურ პროკურორს გაეგზავნა რეკომენდაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადგილი აქვს საქმეზე არაობიექტურ გამოძიებას, რის შედეგად მისი მსვლელობა აყვანილ იქნა კონტროლზე. საბოლოოდ, ზ. გოლუბიანი ა/წ. 21 ივნისს სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

„სწრაფი რეაგირების ჯგუფს“ მომართა ასევე არასრულწლოვან დ. ასატუროვის დედამ, რომელმაც განაცხადა, რომ 1999 წლიდან მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პოლიციის თანამშრომელთა მიერ ფიზიკური ზეწოლა ხორციელდება მათ ოჯახზე, კერძოდ: არასრულწლოვანი დ. ასატუროვი ჯოხით სცემეს გონების დაკარგვამდე, რის შედეგადაც ბავშვმა ტვინის შერყევა მიიღო. როგორც მშობელმა „ინტერ-პრესს“ განუცხადა, შვილის დასახსნელად პოლიციელებმა 500 ამერიკული დოლარი მოსთხოვეს. აღნიშნული თანხიდან მან 120 დოლარი და 400 მარკა გადაიხადა. დარჩენილი 120 დოლარის გადაუხდელობის გამო პოლიციამ დავით ასატუროვი „იარაღის უკანონო შენახვისა და გადაზიდვისათვის“ კვლავ დააკავა 9 აპრილს არასრულწლოვან მ. გოგინაშვილთან ერთად. ეს უკანასკნელი და დათო ერთად ეწეოდნენ შრომით საქმიანობას პეროვსკაიას ქუჩაზე, მანქანებს რეცხავდნენ, რითაც სოციალურად დაუცველ ოჯახს ეხმარებოდნენ (ოჯახის არც ერთი წევრი არ არის დასაქმებული). არასრულწლოვანების საქმე შეისწავლა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის სტაჟიორ გამომძიებელმა ნ. დგებუაძემ. ამავე რაიონის სასამართლომ არასრულწლოვანს შეუფარდა სამთვიანი პატიმრობა. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს, რათა პროკურატურის შესაბამის სამსახურს საკითხი ობიექტურად გამოეძიებინა. არასრულწლოვანის სასამართლო პროცესი დღემდე უშედეგოდ ჭიანურდება, რადგან აღნიშნულ საქმეში ადგილი აქვს უამრავ დარღვევას.

სახალხო დამცველის მიერ შუამდგომლობა გაეგზავნა როგორც საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ასევე შს მინისტრს, რომელშიც მითითებული იყო აღნიშნული დარღვევების შესახებ არასრულწლოვანთა დაკავების პროცესში და წინასწარი გამოძიების დროს უკანონო ქმედებებზე პოლიციელების მხრიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ზეწოლას ჩვენებების გამოძალვის მიზნით. ზემოაღნიშნული უწყებებიდან მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ პროკურატურის გამოძიებით დადგინდა არასრულწლოვანთა მიმართ აშკარა ძალადობის ფაქტები, რითაც ირღვეოდა მათი უფლებები. პასუხში მითითებულია მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციელების: ვეშაგურისა და მათიაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებზე, რის გამოც 2002 წლის 20 მაისს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში მათ მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №0602853, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 332-ე მუხლის I ნაწილით.

დამცველის უშუალო ჩარევით გათავისუფლდა წინასწარ პატიმრობაში აყვანილი 16 წლის ქ. აიწურაძე – ორი ბოცისა და ალუმინის ქვაბის ქურდობისათვის. დაკავებული პირადად მოინახულა სახალხო დამცველმა მე-5 საპყრობილეში, რის შედეგად საჭიროდ ჩათვალა არასრულწლოვანის ინტერესების დაცვისათვის ჩართულიყო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი, ადვოკატი დათო აბესაძე.

პროექტზე მუშაობის პერიოდში „სწრაფი რეაგირების ჯგუფის“ ინიციატივით შეეხვდით შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების სამმართველოს უფროსს და ვესაუბრეთ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა კატეგორიაზე – ე. წ. „ქუჩის ბავშვებზე“. ჩვენი აზრით, აქტუალური და დროული იქნება, მუშაობაში ჩართონ ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 9 სტუდენტი, რომლებმაც გამოთქვეს მუშაობის სურვილი ანაზღაურების გარეშე, რადგან ძნელად აღსაზრდელი ბავშვი

ფსიქოლოგიური პრობლემაა და მასთან მუშაობა დიდ სიფაქიზეს ითხოვს. ამ შეხვედრას ესწრებოდა განათლების სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი. ერთობლივი ძალისხმევით ე. წ. „ქუჩის ბავშვები" ჩავიყვანეთ კაჭრეთის ბავშვთა დასასვენებელ სანატორიუმში ზაფხულის არდადეგებზე.

ამ თემასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რაიონული ადგილობრივი თვითმართველობის სამსახურებში ჩამოყალიბდეს პროგრამა-მინიმუმი:

– ძნელად აღსაზრდელი ბავშვის ცნების დადგენა;
– ძნელად აღსაზრდელი ბავშვის წარმოშობის წყაროები (სოციალური, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო);
– ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა ტიპები (სისტემატიზაცია);
– პრობლემების გადაწყვეტის პრაქტიკული გზების მოძიება;
– ყურადღება მიექცეს ოჯახის ინსტიტუტის გამყარებას.

„სწრაფი რეაგირების ჯგუფის" მიერ გამოვლენილი დაკავების 72-საათიანი ვადის დარღვევისა და ფიზიკური ზეწოლის ფაქტები

- 21.12.2001 წელი მოქ. ტ. საფაროვას ძალისმიერი მეთოდებით მიყვანის მცდელობა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის II განყოფილებაში;

- 20.1.2002 წელს ვაკე-საბურთალოს პოლიციაში ფიზიკური ზეწოლის ქვეშ გამოძალეს ჩვენებები ბრალდებულ ნ. ჭიპაშვილს, რომელმაც ქ. თბილისის №5 საპყრობილეში ვენები გადაიჭრა;

- 29.01.2002 წ. გორის პოლიციის მუშაკთა მხრიდან სასტიკად ნაცემ მოქ. ა. ლიჩელს ადგილზე ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და შეეცვალა აღკვეთი ღონისძიება – გათავისუფლდა. იგი 5 თვის შემდეგ, მაისში, გაურკვეველ ვითარებაში მდინარეში დამხრჩვალი იპოვეს; მიმდინარეობს გამოძიება;

- 05.02.2002 წ. ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს მუშაკთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მოქ. ვ. მარკილოვის უკანონო დაკავებას, რომელმაც ცემის შედეგად მიიღო თვალის დაზიანება და მოხვდა ქალაქის №1 საავადმყოფოში;

- 02.02.2002 წ. მეტრო „სამგორის" გასასვლელში ოთხი პოლიციელის მიერ, ღამის 12 საათზე ნაცემი, თავის არეში დიდი ღია ჭრილობით მოქ. გ. ხიდაშელი მოხვდა ქალაქის №1 საავადმყოფოში;

- 25.02.2002 წ. საღამოს 17 საათზე დააკავეს 71-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ი. ნატროშვილი, რომლის დაკავება გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოში 5 საათის დაგვიანებით, საღამოს 22 საათზე გააფორმეს;

- 20.03.2002 წ. საღამოს 18 საათზე ადგილი ჰქონდა უკანონო დაკავებას მოქ. როსტიაშვილის მიმართ, რომელსაც მთელი ღამე სცემდნენ შეშის ნაჭრით მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის პოლიციელები;

- 10.04.2002 წ. 14 საათზე, გაგარინის ქუჩაზე, საკუთარი ავტომანქანიდან უკანონოდ აყვანილ იქნა მოქ. დ. სუთიაშვილი, მცხ. მცხეთის რაიონი, სოფ. დიღომში, რომელიც მიიყვანეს ვაკე-საბურთალოს პოლიციის I

განყოფილებაში. 11. 04 2002 წ. დღის 17 საათზე აღნიშნულ განყოფილებას მისი დაკავება დაფიქსირებული არ ჰქონდა;

- 09.02.2002 წ. ისანი-სამგორის პოლიციის I განყოფილებაში უკანონოდ დაკავებული ჰყავდათ მოქ. ნ. ისაკაძე, რომელზეც მთელი ღამის განმავლობაში პოლიციელებმა განახორციელეს ფიზიკური ზეწოლა. ამ უკანასკნელმა თვითონ არ მოინდომა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შემოწმება, რადგან არ ჰქონდა გარანტია, რომ პოლიციელთა მხრიდან შემდგომში არ ექნებოდა ადგილი მორიგ თავდასხმას;

- 09.03.2002 წ. ისანი-სამგორის პოლიციის II განყოფილების თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა 1978 წელს დაბადებულ მოქ. ა. ვარდოსანიძის უკანონო დაკავებას, რომელიც ცხოვრობს ვაზისუბნის დასახლება მე-4 მიკრორაიონის მე-14 კორპუსში;

- 20.03.2002 წ. რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ იქნა აყვანილი დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციელების მიერ, 21 წლის ბავშვთა სახლში აღზრდილი, უდედმამო ვ. ბეჟიკოშვილი, რომელმაც პროტესტის ნიშნად სახე დაისერა;

- 14.05.2002 წ. გლდანი-ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ ქ. ბათუმში დაკავებულ იქნა ძმები გია გოროზია და ლაშა გურგენიძე, რომელთა ეტაპირება თბილისში მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე;

- 16.05.2002 წ. 18 საათსა და 30 წუთზე საბურთალოს პოლიციის II განყოფილების თანამშრომლებმა ქუჩიდან აიყვანეს მოქ. გ. გეორხელიძე, დაბადებული 1982 წელს, მცხ. ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №7-ში. დაკავებული არ იქნა დაფიქსირებული დაკავების ჟურნალში.

განსაკუთრებული საქმე

თბილისის საოლქო სასამართლომ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლა ხულიგნობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებთან წინააღმდეგობის გაწევაში ბრალდებული ა. ლიჩელი. იგი დააკავეს 2002 წლის 29 იანვარს გორის პოლიციის თანამშრომლებმა, რის შემდეგ განყოფილებაში მიყვანისას სასტიკად სცემეს. დაკავებულის ადვოკატმა 4 თებერვალს მომართა „სწრაფი რეაგირების ჯგუფს“ დახმარებისათვის. მეორე დღესვე მას ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, მას სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები: ნაჭდევები, დაჟეჟილი ჭრილობები და მარცხენა მტევნის 4 თითის საფრჩხილე ფალანგიდან ფრჩხილის მოცილება, მიყენებული რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით. დაზიანებები მიეკუთვნებოდა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სახალხო დამცველმა წერილობითი რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს, პოლიციელების მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ აპარატში კონტროლზე იყო აყვანილი ა. ლიჩელიის საქმე, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მაისის თვეში იგი მდინარეში დამხრჩვალი

იპოვეს გაურკვეველ ვითარებაში. „სწრაფი რეაგირების ჯგუფს“ გადაწყვეტილი აქვს ამ საქმეს დაუბრუნდეს და გაარკვიოს, სინამდვილეში რა მოხდა.

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის 2001 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში აღნიშნული იყო „სწრაფი რეაგირების ჯგუფის“ მიერ სადავო ბინის გარშემო აღსრულების პროცესში ტერეზა საფაროვასა და მისი უსინათლო მამის, 74 წლის მოხუცის უფლებათა დარღვევისა და სახალხო დამცველის მიერ ამ საკითხზე გაკეთებული რეაგირების შესახებ. მიუხედავად ამისა, იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ შევჩერდე ამ საკითხზე. საქმე იმაშია, რომ სადავო ბინის საკითხზე, უკანასკნელი 9 თვის მანძილზე, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ჭიანურდება საქმის განხილვა და სასამართლო ვერ ღებულობს კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას. ამ საკითხს „სწრაფი რეაგირების ჯგუფი“, არსებულ მასალებზე დაყრდნობით, დაუბრუნდება საქმის სასამართლო განხილვის შემდეგ.

საქართველოს სახალხო დამცველსა და „სწრაფი რეაგირების ჯგუფს“ განცხადებით მომართა მოქ. ხ. პ.-მ იმის თაობაზე, რომ მისი არასრულწლოვანი შვილი წაყვანილი ჰყავდა ბაბუას ი.პ.-ს და იგი არ უბრუნებდა მას მშობლებს. კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ იმსჯელა ბავშვის მშობლებისათვის დაბრუნებაზე, მაგრამ ბაბუა არ სცნობდა სარჩელს და განმარტავდა, რომ მისი ქალიშვილი და ბავშვის დედა ხ. პ. ცხოვრობს თავის ყოფილ მეუღლესთან, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულია. საქმე განვიხილეთ, შევხვდით ორივე მხარეს. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ბაბუა კანონს არღვევდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, იზრდებოდეს და ცხოვრობდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ და იზრუნონ თავიანთ შვილებზე, დაიცვან არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანი ბავშვი უნდა ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოქ. ხ.პ.-ს სარჩელი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ არასრულწლოვანი ნ. ბ., დაბადებული 1992 წლის 13 აგვისტოს, შემდგომი აღზრდისათვის დაბრუნებოდა დედას ხ.პ.-ს. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება დღემდე ჭიანურდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2002 წლის 21 იანვარს მივმართე იუსტიციის მინისტრს, რათა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მოეხდინა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და შვილი დაბრუნებოდა დედას. ბავშვის ხანგრძლივი იზოლაცია საკუთარი დედისაგან წარმოშობს გაუცხოებას მშობლის მიმართ და შემდგომში მნიშვნელოვნად გააძნელებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. იუსტიციის სამინისტროდან მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ მიუხედავად აღმასრულებლების მრავალჯერადი ცდისა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ხერხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ამ პროცესს მრავალგზის ესწრებოდნენ ბავშვთა ფსიქოლოგები და პედაგოგები. მხარეებს შორის არსებული კონფლიქტური ურთიერთობა მოქმედებს არასრულწლოვანზე. „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ თანახმად, არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების უკანონი ხელყოფის ობიექტი.

ჩვენი მხრიდან აღვნიშნავთ, რომ ბავშვის მშობელი დედა ცნობილია, როგორც წესიერი და მზრუნველი აღმზრდელი. მისი შვილი ყოველთვის მოწესრიგებული და მომზადებული დადიოდა სკოლაში, არასოდეს არავის შეუმჩნევია, რომ ხ. პ. თავის შვილზე რაიმე ძალადობრივ ზემოქმედებას ახდენდა. ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომლითაც ერთობლივად მომართეს სახალხო დამცველს მე-7 გიმნაზიის მშობლებმა. ასევე საქმეში დევს მე-7 გიმნაზიის მასწავლებელთა ერთობლივი განცხადება, სადაც აღნიშნულია მოქ. ხ. პ.-ს, როგორც მშობლის ღირსებები. ისინი ადასტურებენ, რომ მისი შვილის სიბეჯითესა და

წესიერებაში დიდ როლს ასრულებდა მშობელი დედა და არასოდეს შეუმჩნევიათ დედის მხრიდან ბავშვის ცემის ფაქტი.

ჩვენი მხრიდან გაკვირვებას იწვევს ის, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარე მიმართავს სასამართლოს მაშინ, როდესაც ამ დეპარტამენტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, აღმასრულებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ". ამ საქმესთან დაკავშირებით მას შეეძლო 88-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენება და ბავშვი დროებით ნეიტრალურ ზონაში – საბავშვო დაწესებულებაში გადაეყვანა, საიდანაც ექსპერტების დაკვირვების საფუძველზე მოხდებოდა ბავშვის დედისთვის გადაცემა. ხოლო თუ ბავშვი გარკვეული დროის მანძილზე უარს იტყოდა დედაზე და მოითხოვდა ბაბუასთან დაბრუნებას, თავისთავად ცხადია, მის ინტერესებს მიენიჭებოდა უპირატესობა.

სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა თანამდებობის პირთა უსულგულობისა ან მიკერძოებული დამოკიდებულების მიზეზით არ სრულდება სასამართლო გადაწყვეტილებები.

აღნიშნული საქმე სახალხო დამცველის მიერ აყვანილია კონტროლზე.

„სწრაფი რეაგირების ჯგუფის" ჩარევის შედეგად, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, თავიდან იქნა აცილებული აფხაზეთში კონფლიქტის დროს დაღუპული მეომრის თ. მამიანის ქვრივისა და მისი ორი მცირეწლოვანი შვილის ბინიდან გამოსახლება.

და ბოლოს, მსურს ორიოდე სიტყვით შევჩერდე ამ მიმართებით მომავალი საქმიანობის პერსპექტივაზე.

მოქალაქეთა სასიცოცხლო პრობლემებს შორის ერთ-ერთი ძირითადი იყო და რჩება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, ამ უფლებათა შემლახავად კი ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენელი გვევლინება. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ამ პროექტის გაგრძელებას, რათა ქვეყნის მოსახლეობის დაუცველი ფენის წარმომადგენელებმა თავი დააღწიონ იმ ძალადობებს, რასაც ჯერ კიდევ გავრცელებული სახე აქვს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არასათანადო განხილვის შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ", „დ" და „ე" პუნქტების საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში სისტემატურად მივმართავდი საქართველოს გენერალურ პროკურორს რეკომენდაციებითა და წინადადებებით, საქართველოს მოქალაქეთა შელახული უფლებების აღდგენისა და ამ უფლებების დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ.

2000 წლის 25 სექტემბერსა და 26 სექტემბერს, 2001 წლის 22 თებერვალს, 4 აპრილს, 7 მაისს, 6 ივნისს, 21 ივნისსა და 15 აგვისტოს, 2002 წლის 23 იანვარს, 11 თებერვალს, 2 აპრილს, 7 მაისს, 4 ივნისს, 7 ივნისს სარეკომენდაციო წერილებით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს თ. შაფათავას უკანონო პატიმრობისა და სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების უსაფუძვლო აღძვრის, ასევე რ. ჩადუნელის მიმართ დეზერტირობისათვის სისხლის სამართლის საქმის

დაუსაბუთებელი აღძვრისა და ვ. ბიჩუკის მკვლელობის ფაქტზე ვ. ჯ. აფხაძის, ვ. თ. გვენეტაძისა და შ. ჯ. წულეისკირის უკანონო პატიმრობის გამო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის, გენერალური პროკურატურისა და მთავარი სამხედრო პროკურატურის შესაბამის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ.

2001 წლის 20 დეკემბერს, 2002 წლის 4 აპრილს, 22 აპრილს, 14 მაისს, 7 ივნისს, 12 ივლისსა და 18 ივლისს, №1333/03/897-მ, №527/03/897-მ, №604/03/897-მ, №935/03/897-მ, №736/03/404-მ, №1182/03/897-მ და №1192/03/897-მ რეკომენდაციებით მივმართე საქართველს გენერალურ პროკურორს ქ. ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიის მასწავლებლების: მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის უსაფუძვლო გათავისუფლების, მათი ნების საწინააღმდეგოდ განსაზღვრული ვადით სამსახურში მიღების, ამავე გიმნაზიის დირექტორის გ. თევდორაძის მიერ სამსახურებრივი სიყალბეების ჩადენისა და მ. მზაღოშვილის გაუპატიურების გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

2001 წლის 16 ოქტომბერს, 20 დეკემბერს, 2002 წლის 8 თებერვალს, 14 მაისს, 21 ივნისს, 24 ივნისსა და 12 ივლისს №1041/03/903-I, №1335/03/903-I, №14/03, №737/03/107-კ, №1018/03/903-I, №1055/03/107-ქ და №1184/03/107-კ რეკომენდაციით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს უ. ავალიანისა და თ. ქურდიანის ბრალდების საქმეებზე, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების აღძვრის შესახებ. 2002 წლის 20 მაისს, 12 ივლისსა და 1 აგვისტოს საქართველოს გენერალურ პროკურორს მივმართე №29/03/4, №30/03/4 და 22/03/4 რეკომენდაციებით ზ. აბაშიძის საჩივრის გამო, ლანჩხუთის რაიონის ნოტარიუსის ლ. რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის, შემდგომში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებების გაუქმებისა და ინგლის-ისრაელ-საქართველოს ერთობლივი საწარმო „სანთრიში" შავი ბაიხის ჩაის ფიქტიური შეტანის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

2001 წლის 20 ივლისს, 2002 წლის 8 თებერვალს, 2002 წლის 22 აპრილს და 2002 წლის 7 ივნისს №614/03/624-მ, №183/03/624-მ, 613/03/614-მ და №936/03/624-მ რეკომენდაციებით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, თ. მიქიას ფოთის შინაგან საქმეთა განყოფილების შენობიდან გადმოვარდნის შედეგად დაღუპვის გამო, სისხლის სამართლის საქმის არაობიექტური გამოძიებისა და გაჭიანურების შესახებ.

2002 წლის 7 თებერვალსა და 2002 წლის 25 აპრილს №153/03 და №667/03-191 რეკომენდაციით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, მარნეულის რაიონის „ლომთაგორას" მეცხვარეობის მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი მაღალი ძაბვის ხაზის დემონტაჟისა და გატაცების თაობაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით.

მიუხედავად არაერთგზის დასაბუთებული რეკომენდაციების გაგზავნისა, მათი უმეტესობა, სრულიად უსაფუძვლოდ, დღემდე არ არის დაკმაყოფილებული. ამასთან, გენერალური პროკურატურის პასუხებში განვითარებული მოსაზრებები და არგუმენტები არ გამომდინარეობენ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო და შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებიდან და ისინი ჩემს მიერ არ არის გაზიარებული. ზოგიერთი მათგანი კი, კერძოდ, მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის საჩივრები, ი. ოცხელის სახელობის ქუთაისის №1 გიმნაზიის დირექტორის გ. თევდორაძის მიერ სამსახურებრივი სიყალბეების ჩადენასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და რ. ჩადუნელის მიმართ დეზერტირობის ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, წარმოების აღძვრასა და შემდგომში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის, აგრეთვე მ. მზაღოშვილის გაუპატიურების გამო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმებისა და

შეჩერების შესახებ. ჩემი სისტემატური და დაჟინებული მოთხოვნების შედეგად, საბოლოო ანგარიშით, ჩემი რეკომენდაცია დაკმაყოფილდა. კერძოდ, გენერალური პროკურორის მიერ გაუქმდა გ. თევდორაძის მიერ სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის მასალებზე ქ. ქუთაისის პროკურატურის მიერ გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო რ. ჩადუნელის მიმართ დეზერტირობის ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით.

* * *

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 1993 წლის 3 აგვისტოს განაჩენით, თ. შაფათავა გამართლებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის I ნაწილით, 160-ე მუხლის I და II ნაწილებით, 213-ე და 214-ე მუხლებით გათვალისწინებულ ბრალდებაში და სასამართლო დარბაზიდან იქნა გათავისუფლებული.

უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თ. შაფათავას მიერ სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანის გამო გამოწვეული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის უშიშროების სამსახურში მოკვლევის კანონიერებაზე ზედამხედველობისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის გ. ფარულავას ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ, 1999 წლის 29 დეკემბერს, იმავე მოტივით, დაუსაბუთებლად აღიძრა წარმოება სისხლის სამართლის №643 საქმეზე, რომლის გამოძიება დაეკისრა საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

ჩემი ზემოაღნიშნული რეკომენდაციებით გენერალური პროკურორის ყურადღებას სისტემატურად ვამახვილებდი დასახელებული გადაწყვეტილების უსაფუძვლობის შესახებ და მისგან მოვითხოვდი ბოლო მოღებოდა საქმეზე გამოძიების გაჭიანურებას და შეწყვეტილიყო იგი წარმოებით.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე გაგზავნილი 2001 წლის 22 აგვისტოს №765/03/627 წერილით უფლება დავიტოვე, სასამართლოს მიერ ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, თ. შაფათავას მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმის შემთხვევაში, დამეყენებინა საქართველოს გენერალური პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს ყველა იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მიერ გამოტანილი უსაფუძვლო გადაწყვეტილებების შედეგად დაშვებულ იქნა უკანონო პატიმრობა და საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების უსაფუძვლო აღძვრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 26 დეკემბრის №247-საზ განჩინებით, უარი ითქვა საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების დაკმაყოფილებაზე, ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ თ. შაფათავასა და სხვათა მიმართ 1999 წლის 3 აგვისტოს გამამართლებელი განაჩენის ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების შესახებ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2002 წლის 23 იანვრის №45/03/627-შ რეკომენდაციით, საქართველოს გენერალური პროკურატურისაგან

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტების საფუძველზე მოვითხოვე განხილულიყო საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და გენერალური პროკურატურის ყველა იმ თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, პატიმრობაში უკანონო აყვანის, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების აღძვრისა და მის სასამართლოში გაჭიანურებით უსაფუძვლოდ წარმართვის გზით, ხელყვეს თ. შაფათავასა და სხვათა უფლებები.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ბ. ბიწაძემ 2002 წლის 13 მარტის №13-28-98/2002 წერილით, იმ მოტივით, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად, დისციპლინური გადაცდომიდან გასულია 6 თვე, უსაფუძვლოდ მითხრა უარი დასახელებული რეკომენდაციის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, სრული დუმილით, შეგნებულად, ნებსით თუ უნებლიეთ, გვერდი აუარა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას, რომელთა არასწორი გადაწყვეტილებებით, ასევე უსაფუძვლოდ იქნა აღძრული წარმოება საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო.

2002 წლის 7 ივნისის №707/03/627-შ რეკომენდაციაში გენერალური პროკურორის ყურადღება გავამახვილე მასზედ, რომ ახლადაღმოჩენილ გარემოებასთან დაკავშირებით მხარის საჩივრის განხილვის წესის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების აღძვრა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა თავისი შედეგებით არათუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ეს გენერალური პროკურატურის მიერ იქნა დაფიქსირებული ზემოხსენებულ წერილში, არამედ წარმოადგენდნენ ერთგვაროვან პროცესუალურ მოქმედებათა კატეგორიას. სისხლის სამართლის საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრა წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქმედებას, რომელიც სისხლის სამართლის წარმოების ჩარჩოებში განიხილავს საქმეზე წარმოების აღძვრას, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას, სასამართლოში წარდგინებით შესვლას, შემდგომში სასამართლოს მიერ განაჩენის გაუქმებას, საქმის დამატებით გამოძიებაზე დაბრუნებას ან ხელახალი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც თავისი შედეგებით ვერ იქნება განხილული სისხლის სამართლის საქმის წარმოებისაგან მოწყვეტით, ანუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 596-ე მუხლის I და II ნაწილების მოთხოვნებით. ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში, საქართველოს გენერალური პროკურორი გამოითხოვს რა სისხლის სამართლის საქმეს, აღძრავს წარმოებას საჩივრის გამო და გამოძიებას ავალებს პროკურორს ან გამომძიებელს, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს საქმის გადასინჯვის შესახებ დადგენილების გამოტანა ზემოაღნიშნული შედეგების გათვალისწინებით.

მიმდინარე წლის 7 ივლისს, №117/03/329-შ რეკომენდაციით კვლავ გავამახვილე გენერალური პროკურორის ყურადღება ამ საკითხზე. ამასთან ერთად, მივუთითე იმ გარემოებაზე, რომ ჩემს ადრინდელ რეკომენდაციებში აღნიშნული იყო არა მარტო თ. შაფათავას უკანონო პატიმრობის თაობაზე პასუხისმგებლობის, არამედ მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გაუქმების მიზნით, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების უსაფუძვლოდ აღძვრის გამო დასახელებული უწყებების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა ხანდაზმულობის ვადები შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, არ იყო გასული.

უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიმართ ზემოხსენებული დარღვევებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების თაობაზე 2002 წლის 2 აპრილს №502/03/627 რეკომენდაციით მივმართე აგრეთვე საქართველოს უშიშროების

მინისტრს, რომელსაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, დღემდე ჩემთვის არ მოუწოდებია ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

ამრიგად, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა უარს ამბობს რა თ. შაფათავასა და სხვათა უფლებების დარღვევის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე სახალხო დამცველის დასაბუთებული რეკომენდაციების დაკმაყოფილებაზე, თავიანთ სისტემაში ქმნიან ასეთი უფლებების შელახვის პრეცედენტს, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდები.

* * *

რამაზ ჩადუნელს ერთი წლის ასაკიდან აღენიშნებოდა მენჯ-ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა. სხვაობა ფეხის კიდურებს შორის 4-5 სანტიმეტრს შეადგენდა, რის გამოც იგი კოჭლობდა და მკურნალობას გადიოდა სურამის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში. ასეთ მდგომარეობაში, 1997 წელს ბორჯომის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ იგი გაწვეულ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებში. სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში რ. ჩადუნელი რამდენჯერმე იქნა ჰოსპიტალიზებული. დახმარებისათვის მან არაერთგზის მიმართა სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას, მაგრამ მის თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს, რის გამოც იგი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამხედრო სამსახური, რისთვისაც დეზერტირობის ბრალდებით მიუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჩემი შუამდგომლობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში 2000 წლის 5 დეკემბერს რ. ჩადუნელს ჩაუტარდა გამოკვლევა, რომლითაც დაავადებათა ცხრილის თაობაზე თავდაცვის მინისტრის 1996 წლის №360 ბრძანების 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მას დაუდგინდა მშვიდობიან დროს სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდული ვარგისიანობა, რის გამოც იგი ექვემდებარებოდა თადარიგში ჩარიცხვას.

აქედან მოყოლებული, 2001 წლის 22 თებერვლის №114/07/231-ჩ, 4 აპრილის №251/07/231-ჩ, 6 ივლისის №560/04-12/231-ჩ, 2002 წლის 11 თებერვლის №215/04-2/231-ჩ და 4 ივნისის №909/04-12/231 რეკომენდაციებით, საქართველოს გენერალური პროკურორისაგან ვითხოვდი აღძრულიყო რ. ჩადუნელის სისხლის სამართლის საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოება საქმის გადასინჯვისა და განაჩენის გაუქმების მიზნით. ამ საკითხზე არაერთგზის შეხსენების შემდეგ, გენერალური პროკურორის მიერ 2002 წლის 29 ივნისს №22-82-02 პასუხით მეცნობა, რომ 2002 წლის 14 მაისს დამტკიცდა დასკვნა ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 30 მაისის განჩინებით, რ. ჩადუნელის ბრალდებების საქმეზე გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის განაჩენი და ამ უკანასკნელის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედებების არარსებობის გამო.

ამრიგად, რ. ჩადუნელის შელახული უფლებები კი საბოლოოდ აღსდგა, მაგრამ სახალხო დამცველის რეკომენდაციების დაკმაყოფილება სრულიად დაუსაბუთებლად გაჭიანურდა საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურასა და გენერალურ პროკურატურაში 1 წლისა და 4 თვის განმავლობაში.

* * *

1995 წლის 20 აგვისტოს ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამშრომლები, მათ შორის, მასწავლებლები: მ. მურუსიძე და მ. ახრახაძე სკოლის დირექტორის ა. სანდუხაძის ბრძანებით გათავისუფლდნენ სამსახურებრივი მოვალეობისაგან.

ბრძანება მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ უსაფუძვლოდ მივიჩნიე, ვინაიდან ამავე ბრძანებით ა. სანდუხაძემ თვითონვე გაითავისუფლა თავი დირექტორის მოვალეობისაგან, რის გამოც მას, როგორც სამსახურიდან გათავისუფლებულს, არ გააჩნდა სხვა პირის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება.

ასევე, დასახელებულ პირთა სამსახურიდან გათავისუფლება მივიჩნიე უსაფუძვლოდ იმ მიზეზით, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათი დათხოვნა არ შეიძლებოდა შვებულებაში ყოფნის დროს, ამასთან, ამავე კოდექსის 42^2 მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნებით, სკოლის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სალიკვიდაციო კომისია ვალდებული იყო 2 თვით ადრე ეცნობებინა შრომითი მოწყობის ორგანოებისათვის მუშაკთა მოსალოდნელი მასობრივი გათავისუფლების შესახებ, მათი სპეციალობებისა და კვალიფიკაციის მითითებით, რაც არ გაკეთებულა. ა. სანდუხაძემ მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის გათავისუფლებისას ჩაიდინა ასევე სამსახურებრივი სიყალბე, ვინაიდან ბრძანება გამოსცა 1995 წლის 21 აგვისტოს და დაათარიღა იგი უქმე, კვირა დღის 20 რიცხვით, მაშინ როდესაც სამსახურში გამოცხადდა მხოლოდ 1995 წლის 30 აგვისტოს (განმცხადებლის განმარტებით). შემდგომში ჩაიდინა რა სამსახურებრივი სიყალბე, გიმნაზიის ახლადდანიშნულმა დირექტორმა გ. თევდორაძემ 1995 წლის 5 სექტემბერს, აგვისტოს 20 რიცხვით, მაშინ როცა ჯერ კიდევ არ იყო დანიშნული გიმნაზიის დირექტორის თანამდებობაზე, გააფორმა ბრძანება მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის განსაზღვრული ვადით გიმნაზიის მასწავლებლებად დანიშვნის შესახებ; იმავდროულად, მათზე ზემოქმედების შედეგად, აგვისტოს 21 რიცხვით გააფორმა მათთან ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულება და ყოველივე ეს გააკეთა იმ მიზნით, რომ გაემართლებინა და მეტი დამაჯერებლობა მიეცა მასწავლებელთა ნების საწინააღმდეგოდ, მათი განსაზღვრული ვადით სამუშაოზე მიღების შესახებ გადაწყვეტილებისათვის.

ამგვარი დარღვევების მიუხედავად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის საოლქო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ინსტანციის მიერ, სრულიად უსაფუძვლოდ ეთქვა უარი მ. მურუსიძესა და მ. ახრახაძეს დასახელებული გადაწყვეტილებების გაუქმებაზე.

შევისწავლე რა დასახელებული მასალები, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორის ა. სანდუხაძისა და ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიის დირექტორის გ. თევდორაძის მიერ, შრომის კანონმდებლობის დარღვევითა და სამსახურებრივი სიყალბეების ჩადენის გზით მ. მურუსიძისა და მ. ახრაძახის სამსახურიდან დათხოვნისა და სამსახურში განსაზღვრული ვადით მიღების ხელშეკრულებების მათთან გაფორმების დადასტურების შემთხვევაში, შეიქმნებოდა ახლადაღმოჩენილი გარემოებები, რომლებიც გახდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის საფუძველი.

სწორედ ამ მიზნით, 2001 წლის დეკემბრიდან რეკომენდაციებით შევდიოდი საქართველოს გენერალურ პროკურორთან დასახელებული დარღვევებისა და სიყალბეების შესწავლისა და ამ საკითხზე ქ. ქუთაისის პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმების შესახებ.

სახელდობრ, სათანადო დასაბუთებით რეკომენდაციები გენერალური პროკურორის სახელზე ჩემს მიერ გაიგზავნა 2001 წლის 20 დეკემბერს №1333/03897-მ,

2002 წლის 20 თებერვალს №266/03/897-მ, 2002 წლის 22 აპრილს №604/03/897-მ, 2002 წლის 7 ივნისს №935/03/897-მ და 2002 წლის 12 ივლისის №1182/03/807-მ.

მიუხედავად ამისა, გენერალური პროკურატურის მიერ სისტემატურად მეცნობებოდა გ. თევდორაძის მიერ ჩადენილი სიყალბეების დაუდასტურებლობის შესახებ და მხოლოდ 2002 წლის 3 ივლისს გადმომეგზავნა №15-1-9გ-2002 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ მისი კონკრეტული მითითებით გაუქმდა ქ. ქუთაისის პროკურატურაში მიღებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ და მასალები შემდგომი სრულყოფილი შემოწმებისათვის გადაეგზავნა იმერეთის საოლქო პროკურატურას.

ამ შემთხვევაშიც გენერალურ პროკურატურას 7 თვე დასჭირდა სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნების შესრულებისათვის.

* * *

2001 წლის 20 ივლისს №614/03/624-მ რეკომენდაციით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურატურას ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ პოლიციის შენობიდან გადმოგდების გზით თ. მიქიას მკვლელობის თაობაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის არაობიექტური გამოძიების შესახებ.

2001 წლის 27 ივლისს ჩემს სახელზე გადმოგზავნილი გენერალური პროკურორის მოადგილის თ. მონიავას №19-გ-2001 წერილიდან ირკვევა, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში გამოიკვეთა საქმისათვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი გარემოებები, რომელთა შემოწმების შედეგად მიღებულ იქნებოდა ობიექტური გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, გამოძიების არაობიექტური და ტენდენციური წარმართვის შესახებ, 9 თვის შემდეგ, 2002 წლის 22 აპრილს კვლავ მომმართა ქ. ფოთში, ტაბიძის ქ. №12-ში მცხოვრებმა, ქ. ოჩამჩირიდან დევნილმა ლამარა მიქიამ. განცხადებაში იგი მიუთითებდა ქ. თბილისის პროკურატურის გამომძიებლის შ. გენგაშვილის მიერ დაზარალებულის ჩვენების ოქმში მისთვის ცნობილი გარემოებების დაფიქსირებაზე, ქურდობის ეპიზოდში მასალების გაცნობაზე ადვოკატისათვის უარის თქმისა და გ. ებრალიძისა და მ. კაკაჩაძის დაკითხვის გზით ამ უკანასკნელის საქმეში მონაწილეობისაგან ჩამოშორების მცდელობის შესახებ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, განმცხადებელი ითხოვდა სისხლის სამართლის საქმე მიეღო წარმოებაში გენერალურ პროკურატურას.

გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ბ. ბიწაძის 2002 წლის 4 ივლისს ჩემს სახელზე გამოგზავნილი №15-1-8-გ-2000 წერილიდან ირკვევა, რომ საქმის წარმოებაში მიღებაზე განმცხადებელს უარი ეთქვა. ამასთან, დასახელებულ წერილში უარყოფილია გამომძიებელ შ. გენგაშვილის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისა და ადვოკატის საქმეში მონაწილეობისაგან ჩამოშორების მცდელობები. გარდა ამისა, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე მატყობინებს, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს გენერალურმა პროკურორმა დაზარალებულ ლ. მიქიას უშუალო მონაწილეობით მოისმინა საქმეზე გამოძიების მიმდინარეობა და ამ უკანასკნელის საჩივრებში მოყვანილი მოსაზრებებისა და გარემოებების გათვალისწინებით, გამოძიებას მისცა შესაბამისი მითითებები.

ჩემს 2001 წლის 20 ივლისის, 2002 წლის 8 თებერვლის, 2002 წლის 22 აპრილისა და 2002 წლის 7 ივნისის რეკომენდაციებზე გენერალური პროკურორის დასახელებული პასუხები საფუძველს მაძლევს გამოვთქვა მოსაზრება, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების არაობიექტური, არაკვალიფიციური მიმდინარეობისა და გაჭიანურების თაობაზე, ვინაიდან ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფოთის, ქუთაისისა და ქ. თბილისის პროკურატურა ვერ ახერხებს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას და საბოლოო გადაწყვეტილების

მიღებას, რის გამოც მიმდინარე წლის 12 აგვისტოს მივმართე მორიგი №1369/03/521-მ რეკომენდაციით საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, ბატონ ბ. ბიწაძის 2002 წლის 20 აგვისტოს №15-1-8გ-2002 წერილით მეცნობა, რომ საქმეზე გამოძიების გაჭიანურება გამოწვეული იყო· საექსპერტო დაწესებულებებში დასკვნების შედგენის ხანგრძლივობით (2 თვე, 4 თვე და 15 დღე), რა დროსაც საქმის მასალები, ფაქტობრივად, მათთან იყო გადაგზავნილი.

* * *

2001 წლის 14 ნოემბერს განცხადებით მომმართა შპს „გარახას" დირექტორმა დ. სორდიამ, მარნეულის 110/35/10 კვტ ქვესადგურიდან მოწოდებული 30.000 გრძივი მეტრის 10 კ/ვოლტიანი ალუმინის ელექტროგადამცემი ხაზის, უნიკალური რკინის ბოძების დემონტაჟისა და ჯართად ჩაბარების გზით მათი გატაცების შესახებ.

როგორც განცხადებაში იყო მითითებული, მან აღნიშნული დანაშაულის შესახებ მიმართა მარნეულის რაიონის პროკურატურას და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, რომლებმაც განცხადებაზე კანონით გათვალისწინებული რეაგირება არ მოახდინეს.

2002 წლის 27 თებერვალს საქართველოს გენერალურ პროკურორს მივმართე 153/03 რეკომენდაციით, განეხილა დ. სორდიას განცხადებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების კანონიერების საკითხი.

დასახელებული უწყებიდან 2002 წლის 2 აპრილს მიღებული №19/1-4-2002 პასუხიდან ირკვევა, რომ 1990 წლიდან მარნეულში ფუნქციონირებდა „ლომთაგორას" მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც იმავე წლის 26 იანვარს კოოპერატივ „შადრევანთან" გააფორმა ხელშეკრულება ამ უკანასკნელის მასალებითა და მომწყობი დანადგარებით ფერმებში ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების გაყვანის შესახებ, კერძოდ, იაღლუჯზე არსებულ ბრიგადებში, რისთვისაც ვალდებულებას იღებდა ჩაერიცხა ავანსის სახით კოოპერატივის ანგარიშზე შესრულებული სამუშაოსათვის გათვალისწინებული თანხის 20%. ხელშეკრულების მიხედვით, მეცხვარეობის მეურნეობამ კოოპერატივ „შადრევანისგან" მიიღო შესრულებული სახით 10 კვტ· ელექტროგადამცემი ხაზი, რაც დადასტურებულ იქნა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით. 1995 წელს „ლომთაგორას" მეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს „ლომთაგორა", რომელმაც მარნეულის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით, 49 წლის ვადით იჯარით აიღო 7200 ჰა მიწის ნაკვეთი იაღლუჯის მთის მიდამოებში. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული 1996 წლის 25 ოქტომბრის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, შპს „ლომთაგორას" მარნეული-იაღლუჯის დასახლებაში საკუთრებაში გადაეცა მეურნეობის ქონება და შენობა-ნაგებობები, საერთო ფართით 17233მ^2, მათ შორის, 10 კვტ· ელექტროგადამცემი ხაზიც, რომელსაც ხანძრის გაჩენის საშიშროების მოტივით შემდგომში გაუკეთდა დემონტაჟი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან როგორც ეს ზემოხსენებულ წერილშია მითითებული, არ დადასტურდა დ. სორდიას განცხადებაში მოყვანილი ელექტროგადამცემი ხაზების გატაცება, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მარნეულის საგამოძიებო განყოფილებაში გამოტანილ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რაც გენერალური პროკურატურის მიერ კანონიერად იქნა მიჩნეული.

2002 წლის 24 მაისს გენერალური პროკურორის მოადგილის გ. თვალავაძის ხელმოწერით მივიღე პასუხი, რომლითაც ირკვევა, რომ შპს „ლომთაგორასთან" დაკავშირებული საკითხების შესწავლა დამატებით დაევალა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას.

შემოწმების შედეგებზე გენერალური პროკურატურისაგან საბოლოო პასუხი დღემდე არ მიმიღია.

* * *

მიმდინარე წლის 14 მაისს გენერალურ პროკურორს მივმართე №736/03-404-მ რეკომენდაციით, მ. მზაღოშვილის გაუპატიურების თაობაზე გამოტანილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმების შესახებ.

რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ მიუხედავად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნისა, რომლითაც მ. მზაღოშვილს სხეულზე აღენიშნებოდა ძალადობის ნიშნები, ასევე ამ უკანასკნელის საქალწულო აპკი იყო დარღვეული, ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებისა და ქალაქის პროკურატურის მიერ არ განხორციელდა გადაუდებელი ღონისძიებები საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მრავალგზის დაუსაბუთებელმა უარის თქმამ გამოიწვია მოწმეთაგან მხოლოდ ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, რამაც საშუალება წაართვა გამომძიებელს შეესრულებინა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, გაეფრთხილებინა ისინი წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე გაეფრთხილებინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები არასწორი დასკვნისათვის ანალოგიური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქმის მასალებზე დღემდე არ ჩატარებულა ყველა ის საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც საშუალებას მისცემდა გამოძიებას, შეგროვებულიყო დანაშაულის უტყუარი მტკიცებულება.

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, ბატონ ბ. ბიწაძის 2002 წლის 19 აგვისტოს №15-1-5გ-2002 წერილით მეცნობა, რომ გენერალური პროკურორის დავალებით, 2002 წლის 10 ივლისს იმერეთის საოლქო პროკურატურამ გააუქმა მ. მზაღოშვილის გაუპატიურების შესახებ შეკრებილ მასალებზე ჭიათურის რაიონული პროკურატურის 1999 წლის 21 ნოემბრის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სსკ 117-ე მუხლის I ნაწილით და ქვემდებარეობით გადაეცა ჭიათურის რაიონულ პროკურატურას.

ამრიგად, მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ, შესაძლებელი გახდა მ. მზაღოშვილის გაუპატიურების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

* * *

ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, კერძოდ, 2001 წლის 23 მარტს №206/03-6/222, 22 ივნისს №493/04-8/222-დ, 12 სექტემბერს №866/03/222-დ, 19 ოქტომბერს №1060/03/222, 26 დეკემბერს №1381/03/222-დ, 2002 წლის 1 აპრილს №496/03/192-დ, 2002 წლის 8 მაისს №718/03/192-დ, 2002 წლის 7 ივნისს №934/03/192-დ რეკომენდაციებით მივმართავდი საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოვითხოვდი მ. დობორჯგინიძის სხეულის დაზიანებების გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების კანონიერების შემოწმებას.

მ. დობორჯგინიძე არ ეთანხმება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, მისთვის სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებების მიყენების შესახებ. იგი გენერალურ პროკურატურაში არაერთგზის გაგზავნილ საჩივრებში მიუთითებს, რომ მისთვის არ გაუცვნიათ დადგენილება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ასევე გამოძიების მიერ არ მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა ამ საკითხზე ექსპერტის დასკვნას, რამაც მას საშუალება მოუსპო

ექსპერტის წინაშე დაეყენებინა შუამდგომლობები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შესახებ და გადაეცა გამოძიებისათვის ექსპერტიზისათვის საჭირო მასალები. ასევე მას არ გასცნობია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება, რამაც საშუალება არ მისცა პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაესაჩივრებინა იგი.

მიუხედავად ჩემს რეკომენდაციებში მითითებული მ. დობორჯგინიძის, როგორც დაზარალებულისათვის კანონით მინიჭებული უფლებების დარღვევისა, გაცნობოდა ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებასა და ექსპერტის დასკვნას, საქართველოს გენერალური პროკურატურა ვერ უარყოფდა რა ამ დარღვევების არსებობას, ხსნიდა მას მ. დობორჯგინიძესთან ამ უკანასკნელის ბრალით კონტაქტის დამყარების შეუძლებლობის მოტივით, რაც დაზარალებულის მიერ არაერთგზის მოტივირებულად იქნა უარყოფილი.

მხოლოდ, 2002 წლის 15 ივლისს, ანუ 1 წლისა და 4 თვის შემდეგ, გენერალური პროკურატურა იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ჩემი რეკომენდაციები მ. დობორჯგინიძისაგან ექსპერტიზისთვის საჭირო ყველა მასალის გენერალურ პროკურატურაში მიღებისა და ექსპერტისათვის დასაყენებელი საკითხების გარშემო მისი მოსაზრებების მიღების შესახებ, რაც დაადასტურა 2002 წლის 15 ივლისს №15/2-1-2002 წერილით.

მოცემულ შემთხვევაში ჩემს მიერ არ განიხილება მ. დობორჯგინიძეზე მიყენებული დაზიანებების ხარისხის თაობაზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის სისწორე, არამედ საუბარია მასზე, რომ გენერალური პროკურორის მიერ მრავალი წლის მანძილზე არ ეძლეოდა სათანადო შეფასება მისი უფლებების დარღვევის შემთხვევებს და არ გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ამ დარღვეული უფლებების აღსადგენად.

* * *

მიმდინარე წლის 2 ივნისს, დაახლოებით 20 საათზე, ქ. ახალქალაქში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების დროს, №2 საარჩევნო უბანზე თავი მოიყარა მრავალმა ამომრჩეველმა, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ დაგვიანების გამო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამ დროს საარჩევნო უბანზე გამოცხადდა საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი გ. მაითესიანი, რომელმაც მოუწოდა საარჩევნო კომისიის წევრებს, არ მოეწერათ ხელი არჩევნების ჩატარების ოქმებზე. ამ სიტყვების გაგონებაზე საარჩევნო უბანზე მყოფმა ახალქალაქის პოლიციის შტაბის უფროსმა ა. სურენიანმა, სამძებროს უფროსმა რ. მელტონიანმა, დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსმა ა. მელქონიანმა და უბნის ინსპექტორმა რ. პალიანმა უმოწყალოდ სცემეს გ. მაითესიანი. ყოველივე ამის შემდეგ ამ უკანასკნელმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, რის შემდეგ იგი მიიყვანეს რაიონის პოლიციაში.

მომხდარი ინციდენტის შესახებ მაშინვე ცნობილი გახდა სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახალხო დამცველის წარმომადგენელ ლ. ლევონიანისათვის, რომელიც ამ ფაქტის შემოწმების მიზნით გამოცხადდა პოლიციის რაიგანყოფილებაში, პოლიციის სამორიგეო ნაწილის უფროს კ. კოკოჩიანს წარუდგინა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მოითხოვა გ. მაითესიანთან შეხვედრა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სათანადო რეაგირება.

გ. მაითესიანის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, ახალქალაქის რაიონული პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე წლის 11 ივლისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ახალქალაქის პოლიციის მუშაკების მიმართ, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით, რომელიც ქვემდებარეობით შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად გადაეგზავნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას.

* * *

2001 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში აღვნიშნავდი, რომ 16 იანვარს მ. მამულაშვილმა განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურას, პოლიციელ ა. შიგარდელაშვილის მიერ ქ. თბილისის ფსიქიატრიულ კვლევით ცენტრში მისი იძულებით მოთავსების თაობაზე, რომლის მიღებაზეც მას სრულიად უსაფუძვლოდ უთხრეს უარი.

მხოლოდ ჩემი ჩარევის შემდეგ, დასახელებულმა პროკურატურამ მიიღო დაზარალებულისაგან განცხადება და მისი შემოწმების შემდეგ ქ. თბილისის პროკურატურამ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-3 ქვეგანყოფილების პოლიციის თანამშრომლის ა. შიგარდელაშვილის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე 2001 წლის 23 თებერვალს აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

ზერელედ, არასრულყოფილად და მიკერძოებულად ჩატარდა რა საგამოძიებო მოქმედებები, 2001 წლის 16 ივლისს, ქ. თბილისის პროკურატურის მიერ წარმოებით შეწყდა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული არამართლსაწინააღმდეგო ქმედების მოტივით.

არ დავეთანხმე რა მიღებულ გადაწყვეტილებას, 2002 წლის 14 იანვარს №20/03/29-გ რეკომენდაციით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორსა და ქ. თბილისის პროკურორს, დაბრუნებოდნენ დასახელებული საქმის განხილვას და მიეღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ქ. თბილისის პროკურორმა დააკმაყოფილა რა ჩემი რეკომენდაცია, 2002 წლის 15 თებერვლის №18-5-გ-2002 წერილით მაცნობა დასახელებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე დადგენილების გაუქმების შესახებ; ამასთან, უფროს გამომძიებელ ა. ბარბაქაძეს ააცილა საქმე და იგი გადასცა სხვა გამომძიებელს, რომელსაც რეკომენდაციის გათვალისწინებით მისცა მითითება, უზრუნველყო საქმეზე ობიექტური გამოძიების ჩატარება და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მიუხედავად ამისა, 2002 წლის 25 მაისს ა. შიგარდელაშვილის მიმართ ზემოაღნიშნული მოტივით კვლავ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, რასაც არ დავეთანხმე და 2002 წლის 1 ივლისს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მივმართე ქ. თბილისის პროკურორსა და საქართველოს გენერალურ პროკურორს დასახელებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე მიღებული დადგენილების გაუქმების შესახებ.

2002 წლის 26 ივლისს ქ. თბილისის პროკურორმა №18-გ-2002 წერილით მაცნობა რეკომენდაციის დაკმაყოფილების შესახებ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ ა. შიგარდელაშვილის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე 1 წლისა და 6 თვის განმავლობაში გამოძიება მიმდინარეობს არაობიექტურად, არაკვალიფიციურად და დღემდე ჭიანურდება მასზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

* * *

ჩემს მიერ განხილულ იქნა ინგლის-საქართველო-ისრაელის ერთობლივი საწარმო „სანთრის" დირექტორის ზურაბ აბაშიძის საჩივარი, სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოების მიერ მისთვის შავი ბაიხის ჩაის ღირებულების გადახდის უსაფუძვლოდ დაკისრების თაობაზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და ლანჩხუთის რაიონული სასამართლოდან გამოთხოვილი მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ დასახელებული სასამართლოს 1998 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით

დაკმაყოფილდა შპს „თეკას“ სარჩელი და ერთობლივი საწარმო „სანთრის“ მის სასარგებლოდ დაეკისრა 412.790 ტ. შავი ბაიხის ჩაის ღირებულება და პროცენტი ვადაგადაცილებულ თითოეულ დღეზე, სულ 110.826 აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 1999 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით (საქმე №304) ერთობლივი საწარმო „სანთრის“ დამფუძნებლის ზ. აბაშიძის საზედამხედველო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ლანჩხუთის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლანჩხუთის რაიონის ნოტარიუსმა ლ. რამიშვილმა „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევით, მაშინ როცა ერთობლივი საწარმო „სანთრის“ მრგვალი ბეჭედი არ იყო დარტყმული ჩაის შესყიდვის ხელშეკრულებაზე და ისეთ პირობებში, როცა ზ. აბაშიძე არ იმყოფებოდა მასთან, დაამოწმა ხელშეკრულებაზე ამ უკანასკნელის არარსებული ხელმოწერა. სასამართლოს მასალებში არ მოიპოვება შავი ბაიხის ჩაის დასახელებული რაოდენობის შპს „სანთრიში“ შეტანისა და იქიდან გადატვირთვის დამადასტურებელი მასალები და ყოველივე ამის შესახებ დადგენილებისა და განჩინების გამოტანის დროს არ უმსჯელიათ ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატას, ასევე სასამართლო საქმეში არ მოიპოვება შავი ბაიხის ჩაის დასახელებული რაოდენობის ერთობლივ საწარმო „სათრიში“ შეტანისა და იქიდან გადატვირთვის დამადასტურებელი მასალები.

ლანჩხუთის რაიონის პროკურორის მოადგილე მ. სარიშვილმა 1999 წლის 28 მაისის დადგენილებით, აგრეთვე გურიის საოლქო პროკურორმა გ. მგელაძემ 2000 წლის 8 ნოემბრის დადგენილებით, აღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლად და მსჯელობის გარეშე, უსაფუძვლოდ უარი თქვეს ლ. რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, შემდგომში შეწყვიტეს საქმე, ხოლო დადგენილების ასლები არ გააცნეს ზ. აბაშიძეს, რითაც მოუსპეს მისი გასაჩივრების საშუალება. აღნიშნული დადასტურებულია გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორების: ნ. ბესტავაშვილისა და ვ. ჯანყარაშვილის მიერ გამოტანილი 2001 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით. ამასთან, გენერალური პროკურატურა შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ დადასტურებულად ცნო ლანჩხუთის რაიონის პროკურორის მოადგილისა და გურიის საოლქო პროკურატურის მიერ გამოძიების პროცესში დაშვებული პროცესუალური დარღვევები, რაც ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით დატოვეს რეაგირების გარეშე.

იმის გამო, რომ ლანჩხუთის რაიონისა და გურიის საოლქო პროკურორებს ლ. რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა და საქმის შეწყვეტის თაობაზე დადგენილების გამოტანის დროს არ უმსჯელიათ ჩაის შესყიდვის ხელშეკრულებაზე ზ. აბაშიძის არარსებული ხელმოწერისა და მრგვალი ბეჭდის გარეშე მისი დამოწმების ეპიზოდის კანონიერებაზე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გარემოებები მსჯელობის გარეშე დატოვა, აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის სასამართლომ, რომელმაც მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ არ აცნობა ზ. აბაშიძეს, რითაც წაართვეს მას კანონით დადგენილ ვადებში მისი გასაჩივრების საშუალება, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე, 2002 წლის 20 მაისს №29/03/4 რეკომენდაციით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, განეხილა ლანჩხუთის რაიონის ნოტარიუსის ლ. რამიშვილის მიმართ ყალბი სანოტარო ხელშეკრულების გაფორმებით სამსახურებრივი სიყალბის ჩადენისა და ერთობლივი საწარმო „სანთრისთვის“ ყალბი სასაქონლო სატრანსპორტო ზედდებულებისა და მიღება-ჩაბარების აქტებით ჩაის მზა

პროდუქციის თითქოსდა მიწოდების თაობაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი.

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ბ. ბიწაძის 2002 წლის 25 ივნისის №15-1-შ-გ 2002 წერილით მეცნობა, რომ ლ. რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა და შემდგომში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გამოტანილი დადგენილება კანონიერად მიიჩნია ლანჩხუთის რაიონის სასამართლომ და 2001 წლის 12 ივნისის დადგენილებით, უსაფუძვლობის გამო, უარი უთხრა ზ. აბაშიძეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ მხედველობიდან გაუშვა ის გარემოება, რომ, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ლანჩხუთის რაიონის, გურიის საოლქო პროკურორებმა და ლანჩხუთის რაიონულმა სასამართლომ განხილვის გარეშე დატოვეს და არ იმსჯელეს ბაიხის შავი ჩაის შესყიდვის ხელშეკრულებაზე ზ. აბაშიძის არარსებულ ხელმოწერაზე და ერთობლივი საწარმო „სანთრის" მრგვალი ბეჭდის გარეშე მისი დადასტურების, აგრეთვე ჩაის, თითქოსდა „სანთრისთვის" მიწოდების კანონიერების შესახებ.

გენერალურმა პროკურატურამ არ გაითვალისწინა აგრეთვე ჩემს რეკომენდაციაში მითითებული გარემოებები იმის შესახებ, რომ თუ დადასტურებული იქნებოდა ნოტარიუს ლ. რამიშვილის მიერ ჩადენილი სიყალბეები, აგრეთვე შავი ბაიხის ჩაის ერთობლივ საწარმო „სანთრისთვის" ფიქტიური მიწოდება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის საფუძველზე, შეიქმნებოდა ახლადაღმოჩენილი გარემოებები, რაც ზ. აბაშიძის საჩივრის გამო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების წარმოებით განახლების საფუძველი გახდებოდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ დავეთანხმე გენერალური პროკურატურის მიერ ჩემს ხსენებულ რეკომენდაციებზე გამოგზავნილ პასუხებს, რის გამოც მიმდინარე წლის 12 ივლისსა და 1 აგვისტოს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე დადგენილების გაუქმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის განხილვის მოთხოვნებით კვლავ შევედი №30/03/4 და №22/03/4-თ რეკომენდაციებით საქართველოს გენერალურ პროკურორთან.

* * *

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არა თუ არ შეასრულა ქ. ბათუმში მსჯავრდებულ თემურ ხაჩიშვილის ეტაპირების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება, არამედ გააუქმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერორისტული აქტის შესახებ ამ უკანასკნელის განცხადების საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან ერთად ეტაპირების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე დადგენილების გაუქმების შესახებ პროკურორის პროცესუალურ გადაწყვეტილებას არ შეიძლება ავტომატურად მოჰყოლოდა მსჯავრდებულის ბათუმში ეტაპირების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, ვინაიდან საპროცესო იძულების ღონისძიებების გადაწყვეტილების მიღება ან შეცვლა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფარგლებში წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო ინსტანციების და არა პროკურატურის პრეროგატივას.

გარდა ამისა, ყურადღებას ვამახვილებ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, თავის მხრივ, აღძრა რა სისხლის სამართლის საქმე ხაჩიშვილის განცხადების საფუძველზე, დაუშვა

იგივე დარღვევები, რაც გახდა აჭარაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის შესახებ დადგენილების მის მიერვე გაუქმების საფუძველი. კერძოდ, არ გააჩნდა რა ამ საკითხზე ხაჩიშვილის წერილობითი განცხადება, არ გამოკითხა იგი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, არ გააფრთხილა ცრუ დასმენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ; ასევე, არ ჩაატარა მსჯავრდებულის განცხადებაში მითითებული ტერორისტული აქტის ორგანიზატორების: შ. კვირაიასა და ჯ. ბაბილაშვილის გამოკითხვა.

ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ არ აღძრა კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად იმჟამინდელმა გენერალურმა პროკურორმა (ჯ. ბაბილაშვილი) სისხლის სამართლის საქმე, მაშინ როცა განცხადებებს ტერაქტების მზადების შესახებ მასმედიის საშუალებით თავად ა. აბაშიძე აკეთებდა.

გარდა ამისა, დაუშვა რა ზემოაღნიშნული დარღვევები, ყოფილი გენერალური პროკურორი ბ. მეფარიშვილი დღესაც ჯიუტად იცავს საკუთარ პოზიციას, რაც, ვფიქრობ, ბევრად უფრო შემაშფოთებელია, ვინაიდან საქმე გვაქვს მცდელობასთან, საპროცესო კანონმდებლობის ელემენტარული ნორმების დარღვევა გადატანილ იქნას პოლიტიკურ სიბრტყეში.

ვიმეორებ, პროკურორს არა აქვს უფლება, თავისი დადგენილებით გააუქმოს სასამართლო გადაწყვეტილება და ამ საკითხს პოლიტიკასთან არაფერი აქვს საერთო. თუმცა, ქვეყანაში, სადაც გამამართლებელი სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად, პატიმარი ასანიძე კვლავ რჩება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში, აღარც ყოფილი გენერალური პროკურორის განცხადებები უნდა გვაკვირვებდეს.

* * *

უჩა ნუგზარის ძე ავალიანს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით, 15 წლის ვადით დაედო მსჯავრი, გიორგი სინჯიაშვილთან, თემურ ეფრემიძესა და მამუკა ღლონტთან ერთად, ვაჟა ძერიას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის, ამ უკანასკნელის მკვლელობისა და მისი შვილის, ზურაბ ძერიას ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრის, აგრეთვე ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივრის უცვლელად დატოვების შემდეგ, ქ. ირკუტსკში მცხოვრებ შალვა ქურთაულის, გია სამხარაძისა და თემურ ქავთარაძის ახსნა-განმარტების გათვალისწინებით, რომლითაც დასტურდება ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის დროს უ. ავალიანის დასახელებულ ქალაქში ყოფნა და რომელზეც სასამართლო ინსტანციებს არ უმსჯელიათ, 2000 წლის 7 სექტემბერს საქართველოს გენერალურ პროკურორთან შევედი №600/01-1/704 რეკომენდაციით, აღიძრას წარმოება ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, რაც ყოველგვარი საფუძვლის გარეშე არ იქნა გაზიარებული.

შემდგომში, 2001 წლის 5 მარტს საქმეზე კვლავ წარმოიშვა ახლადაღმოჩენილი გარემოებები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მამუკა ღლონტი, რომელიც სასამართლო განაჩენით იმხილებოდა უ. ავალიანთან ერთად ვ. ძერიას ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში, გამართლებულ იქნა და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის ნაწილში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უ. ავალიანი ძერიების საცხოვრებელ სახლთან, როგორც ეს მითითებულია სასამართლოს განაჩენით, ვერ მივიდოდა მ. ღლონტის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით. ყოველივე ამან შექმნა საფუძველი 2001 წლის 16 ოქტომბერს განმეორებით მიმემართა გენერალური პროკურატურისათვის №1042/03/903-I რეკომენდაციით, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების აღძვრის

შესახებ, რაც კვლავინდებურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, არ იქნა დაკმაყოფილებული.

შემდგომში, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 7 დეკემბრის განაჩენით, ძერიას ოჯახზე უ. ავალიანთან ერთად ყაჩაღური თავდასხმის ბრალდება მოეხსნა აგრეთვე თ. ეფრემიძეს, რამაც უკვე მესამეჯერ შექმნა საქმეზე ახლადაღმოჩენილი გარემოება, რის გამოც გასული წლის 20 დეკემბერსა და მიმდინარე წლის 21 ივნისს გენერალურ პროკურორთან შევედი №1335/03/903-I და №1018/03/903 რეკომენდაციებით საქმეზე წარმოების აღძვრის შესახებ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ისევ ჯიუტადაა უარყოფილი.

* * *

2002 წლის 4 აპრილს, 26 ივნისსა და 12 ივლისს №14/03, №1055/03/107-ქ და №1184/03/107 რეკომენდაციით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს თემურ ქურდიანის ბრალდების საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების აღძვრის შესახებ.

რეკომენდაციებში მითითებულია გენერალური პროკურატურის გამომძიებელ გ. ბესიაშვილის, გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს უფროსის თ. მონიავასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ჯ. ლეონიძის მიერ ჩადენილ სიყალბეებზე და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვს 20 დღის განმავლობაში შემოწმების ჩატარებას. მიუხედავად ამისა, თ. ქურდიანის ბრალდების საქმე გენერალური პროკურატურის მიერ დღემდე სრულყოფილად არ არის შემოწმებული და სახალხო დამცველის რეკომენდაციები დღემდე გაუზიარებელი რჩება.

* * *

ვ. ბიჩუკის მკვლელობაში მონაწილეობის თაობაზე ბრალდების დაუდასტურებლობისა და მტკიცებულებების კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვების გამო, 2001 წლის განმავლობაში სისტემატურად შევდიოდი რეკომენდაციით საქართველოს გენერალურ პროკურორთან ვ. ჯ. აფხაძის, კ. თ. გვენეტაძის, შ. ჯ. წულეისკირისა და ზ. შ. ფაილოძის მიმართ პატიმრობის სხვა სახის არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიებებით შეცვლის შესახებ, ასევე ვითხოვდი საქმე თავისი სირთულისა და ბრალდებულთა მხრიდან გამოძიებისათვის უნდობლობის გამოცხადების გათვალისწინებით, წარმოებაში მიეღო გენერალურ პროკურატურას.

კერძოდ, გენერალურ პროკურორს ამ საკითხზე მივმართე 2001 წლის 7 მაისს №311/01-1, 2001 წლის 21 ივნისს №479/03/347-ა და 2001 წლის 15 აგვისტოს №732/03/347-ა რეკომენდაციებით, რომლებიც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ იქნა გაზიარებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის (პირველი ინსტანციით) 2002 წლის 8 ივლისის განაჩენით ზემოდასახელებული პირები გამართლებული იქნენ და გათავისუფლდნენ პატიმრობიდან, რის გამოც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" და „გ" პუნქტების საფუძველზე 2002 წლის 16 ივლისს საქართველოს გენერალურ პროკურორს მივმართე №1203/03/330-6, 347-ა რეკომენდაციით, ემსჯელა საქართველოს მთავარი სამხედრო და რეგიონული პროკურატურების იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა კანონშეუსაბამო მოქმედებების გამო ვ. ჯ. აფხაძე, კ. თ. გვენეტაძე, შ. ჯ.

წულეისკირი და ზ. შ. ფაილოძე ხანგრძლივი პერიოდის, 1 წლისა და 6 თვის განმავლობაში, იმყოფებოდნენ უკანონო პატიმრობაში.

რეკომენდაციების განხილვის შედეგებზე დღემდე არ მიმიღია პასუხი.

მოქალაქეთა საჩივრები საერთო სასამართლოების საქმიანობის შესახებ

ძალოვანი უწყებების თანამშრომლების მიერ იარაღით ვაჭრობაში მამხილებელი ჩვენებების მიმცემ ა. ა. პაიკაევისათვის ჯანმრთელობის დაზიანების მიყენების გამო არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიების შეფარდების კანონიერების შესახებ

მიმდინარე წლის აპრილში, ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლების I ქუჩა, ბინა 12-ში მცხოვრებ კარინა სურენის ასულ პუნიაკინას ჩემს სახელზე გამოგზავნილი განცხადებით ირკვევა, რომ მისი მეუღლე, გიორგი სტეფანეს ძე მანაშვილს, უცხო პიროვნებამ დანით სახის არეში მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა და რომ საგამოძიებო სამსახური აპირებდა მისთვის არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიების შერჩევას.

როგორც გამოირკვა, დაზარალებულ გ. მანაშვილს 2002 წლის 30 მარტს დაზიანებები მიაყენა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ქ. არღუნში, სტეპის ქ. №29-ში მცხოვრებმა, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა აიეფ ავტიევის ძე პაიკაევმა. მომხდარი კონფლიქტის დროს ა. პაიკაევმა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნით, თავად მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. დადგენილი იქნა აგრეთვე, რომ ამ უკანასკნელმა მასობრივი ინფორმაციის, კერძოდ, ტელეარხების საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია და იარაღის ვაჭრობაში ამხილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზოგიერთი სხვა ძალოვანი უწყებების თანამშრომლები, სახელდობრ, პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2002 წლის 22 აპრილს, საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების თაობაზე №603/03/413-პ შუამდგომლობით მივმართე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგამოძიებო სამსახურს, რომელმაც მაცნობა, რომ ა. პაიკაევს ჯანმრთელობისათვის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებებისათვის, რისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 18 თვემდე, ან თავისუფლების შეზღუდვა ვადით 3 წლამდე, ან ტუსაღობა ვადით 3 თვემდე, ან თავისუფლების აღკვეთა ვადით 3 წლამდე, წარედგინა ბრალდება.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გ. ნაჭყებიას მიერ 2002 წლის 2 აპრილის დადგენილებით, უარი ეთქვა გამომძიებელს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რაც ითვალისწინებდა აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას.

დასახელებული რაიონის პროკურატურის მიერ გასაჩივრებულ იქნა მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ.

არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შემდეგ ა. პაიკაევი მიიმალა, რის გამოც 2002 წლის 30 ივნისს, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა, სისხლის სამართლის საქმეზე შეჩერდა სამართალწარმოება.

მანამდე, 2002 წლის 18 ივნისს, მიღებულ იქნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტების დასკვნა, რომლითაც გ. მანაშვილს აღენიშნებოდა ნაკვეთი ჭრილობა, იგი მიყენებული იყო რაიმე ბასრი საგნის მოქმედებით და განეკუთვნებოდა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

ისეთ პირობებში, როცა ა. პაიკაევი იარაღით ვაჭრობაში ამხელდა ძალოვანი უწყებების მთელ რიგ მაღალჩინოსნებს, რის გამოც საჭიროებას მოითხოვდა მისი მონაწილეობითა და კანონით გათვალისწინებული წესით, ჩატარებულიყო შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, ამ უკანასკნელის საპატიმროდან გათავისუფლება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნის მიუღებლობის მოტივით, საეჭვოა და იწვევს მთელ რიგ გაუგებრობებს.

შედეგად ა. პაიკაევმა თავი აარიდა გამოძიებას და მიიმალა. მასმედიის მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი მოკლულია. შემდგომ ა. პაიკაევი დააკავეს ყალბი საბუთებით თურქეთ-საქართველოს საზღვარზე. მიგვაჩნია, რომ ისანი-სამგორის სასამართლოს არ უნდა შეეცვალა აღკვეთი ღონისძიება, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო ასეთი შედეგები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოსამართლე რ. ვარაზაშვილის დისციპლინური დევნის შეწყვეტის თაობაზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2001 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში აღვნიშნავდი, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას ჩემს მიერ გაეგზავნა №390/01-1/359-ც რეკომენდაცია, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის მოსამართლის რ. ვარაზაშვილის, სასამართლოს მდივნის გ. მიქელაძის, მოსამართლის თანაშემწის მ. ონაშვილის მიერ, შერიგების თაობაზე მ. ბარბაქაძის განცხადების გამოქვეყნებისა და საქმის შეწყვეტის, ამ უკანასკნელისა და მოქალაქე დ. ცხვედაძის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის, განსასჯელთან შერიგებისა და საქმის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს სხდომის, აგრეთვე ბარბაქაძისა და ცხვედაძის სატელეფონო საუბრის შესახებ ყალბი ოქმისა და ცნობის შედგენის შესახებ.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ჩემი რეკომენდაციის გათვალისწინებით, მოსამართლე ვ. ვარაზაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სისხლისა და სამოქალაქო საქმეები მოკვლეულ მასალასთან ერთად რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მიუხედავად ხსენებული სიყალბეებისა და დარღვევებისა, უზენაესმა სასამართლომ მოსამართლე რ. ვარაზაშვილის მიმართ შეწყვიტა დისციპლინური დევნა, რასაც არ დავეთანხმე და ჩემი 2002 წლის 9 იანვრის №5/03/359-ც წერილით მოვითხოვე სათანადოდ დასაბუთებული ინფორმაციის გადმოგზავნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწის ლ. კალანდაძის 2002 წლის 4 თებერვლის №07/235 წერილით მეცნობა რ. ვარაზაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ, რასაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი ჩემი, 2002 წლის 30 აპრილის №689/03/10-ც რეკომენდაციით კვლავ არ დავეთანხმე და მოვითხოვე მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჩემი დასახელებული რეკომენდაციის პასუხად, 2002 წლის 20 მაისს №01/104 წერილით მაცნობა, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, რ. ვარაზაშვილის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა და დისციპლინური საქმის სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით შეიქმნა სადისციპლინო კომისია, რომლის გადაწყვეტილების შესახებ შემატყობინებდა დამატებით.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2002 წლის 17 ივნისის №01/131-გ წერილით ირკვევა, რომ ვინაიდან რ. ვარაზაშვილის მიმართ ადრე აღძრული იყო დისციპლინური დევნა, რომელსაც არ მოჰყვა მისი პასუხისგებაში მიცემა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ იმავე ბრალდებით აღნიშნული პირის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია, მის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა. იგივე მოსაზრებაა განვითარებული უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 17 ივლისის №01/158-გ წერილშიც.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დასახელებული წერილის ფონზე იბადება სრულიად მართებული შეკითხვა: იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე რ. ვარაზაშვილის მიმართ ადრე აღძრული იყო დისციპლინური დევნა, რომელსაც არ მოჰყვა მისი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა, რის გამოც მის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა, მაშინ რატომ აღიძრა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით შესაბამისი დისციპლინური დევნა და რა მიზეზით შეიქმნა სადისციპლინო კომისია?! ან კიდევ, ისეთ შემთხვევაში, როცა ჩემს მიერ ჩატარებული შემოწმებით და პროკურატურის დასკვნით მთლიანად იქნა დადასტურებული რ. ვარაზაშვილის მიერ სიყალბეების ჩადენის ფაქტები, კონკრეტულად, რა საფუძველზე ითქვა უარი მისი დისციპლინური დევნის შეწყვეტაზე?

ჩემს მიერ მიმდინარე წლის 21 ივნისს №1019/03/10-ც რეკომენდაციაში დაყენებულ ამ კითხვებზე უზანაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვერ მოახერხა დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხის გაცემა.

ამგვარად, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, უხეშად ილახება უზენაესი სასამართლოს მიერ დ. ცხვედაძის უფლებები, მოსამართლე რ. ვარაზაშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო მიაღწიოს მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე უკანონო გადაწყვეტილებების გადასინჯვას.

სასამართლო გადაწყვეტილების გაგზავნაზე მოპასუხისათვის უარის თქმის შესახებ

2001 წლის 4 იანვარს განცხადებით მომმართა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. №16, ბინა 30-ში მცხოვრებმა ქეთევან სეფაშვილმა, ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების მოპასუხისათვის გაგზავნის შესახებ ცნობის გაცემაზე მისთვის უსაფუძვლოდ უარის თქმის შესახებ.

ჩემს მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ 2000 წლის 26 ოქტომბერს ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა რა ქ. სეფაშვილის სარჩელი, აღადგინა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს საბავშვო ბაღის „იმედის" გამგის თანამდებობაზე, მაგრამ იმ მოტივით, რომ დასახელებული გადაწყვეტილება არ მიუღია მოპასუხეს, საქართველოს უზანესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2001 წლის 5 დეკემბრის განჩინებით გაუქმებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო

პალატის 2001 წლის 2 და 25 სექტემბრის განჩინებები და საქმე სააპელაციო საკითხის დასაშვებობისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქ. სეფაშვილის სასამართლო გადაწყვეტილებების მოპასუხეთათვის გადაგზავნის შესახებ ცნობის გაუცემლობის კანონიერების შესახებ, 2002 წლის 5 თებერვალს №143/03/142-ს წერილით მივმართე ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო 2002 წლის 21 თებერვალს №278/03/142-ს წერილით თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს.

სახალხო დამცველის დასახელებულმა წერილებმა გავლენა იქონიეს დაჩქარებულიყო ქ. სეფაშვილის სასარჩელო განცხადებების განხილვა, რა დროსაც გაირკვა, რომ ამ უკანასკნელის სამსახურში აღდგენის შესახებ მთაწმინდა-კრწანისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის განჩინება დროულად იყო გადაგზავნილი მოპასუხის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტისათვის, რომლის მიერ საჩივარი სააპელაციო სასამართლოში შეტანილი იყო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც სამინისტრო იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის სასარჩელო განცხადებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ზოგიერთი კატეგორიის განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ

გ. გოგოლაძის საქმე

მიმდინარე წლის აპრილში განცხადებით მომმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში მოთავსებულმა მსჯავრდებულმა გ. გოგოლაძემ, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლების კანონიერების შემოწმების შესახებ.

ჩემს მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 15 დეკემბრის განაჩენით, მსჯავრი დაედო რა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მეორე ნაწილით – ორი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთით, გ. გოგოლაძეს დაეკისრა დაზარალებულ მ. ლ. ჩადუნელისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 156 ლარის გადახდა.

ვინაიდან სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში დაუსაქმებლობის გამო მან ვერ შეძლო სათანადო თანხების გამომუშავება, სასამართლომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, მისი მრავალსულიანი ოჯახის წევრები, მათ შორის, მცირე და არასრულწლოვანების: ლამარა, მამუკა, რაუდენ, ფიქრია და ლალი გოგოლაძეების ბინიდან გამოსახლების შესახებ.

ოჯახის მცირე და არასრულწლოვან წევრთა ბინიდან გამოსახლება მივიჩნიე რა სრულიად დაუსაბუთებლად და მიუღებლად, მიმდინარე წლის 22 აპრილს №612/03/445-გ რეკომენდაციით მივმართე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესახებ.

ამ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნ. გვენეტაძე 2002 წლის 9 ივლისის წერილით მატყობინებს, რომ, ვინაიდან, ბინიდან გამოსახლების თაობაზე, კანონით დადგენილი წესით, ბორჯომის რაიონული სასამართლოს 1993 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება არ ყოფილა გასაჩივრებული, უზენაესი სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამგვარად, ერთი მხრივ, ეჭვს არ იწვევს მრავალსულიანი ოჯახის წევრების ერთადერთი ბინიდან გამოსახლების შესახებ ბორჯომის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უსაფუძვლობა, ხოლო მეორეს მხრივ, სახეზე გვაქვს საქმის გადასინჯვის თაობაზე უარის თქმის შემთხვევა, რაც გამოწვეულია სასამართლო შეცდომის გამო სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით, რომლის აღმოფხვრის საკითხებზე კონკრეტულადაა მითითებული წინამდებარე ანგარიშის მე-11, მე-12 და მე-13 გვერდებზე.

საქართველოში და მის გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა დარღვეული უფლებებისა და თავისუფლების აღდგენის თაობაზე შემოსული განცხადებების საფუძველზე სახალხო დამცველის რეკომენდაციების დაკმაყოფილების შესახებ

ვ. გ. ბაბაიანის საქმე

ვაჩაგან გრანტის ძე ბაბაიანის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა და ძებნის შესახებ უკანონო დადგენილების გამოტანისა და უსაფუძვლო დაპატიმრების შესახებ, 2002 წლის 5 თებერვალს მომმართა ახალქალაქის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ა. მ. პალაჯიანმა.

განცხადების შესწავლით გამოირკვა, რომ ვ. გ. ბაბაიანმა, რომელსაც გადაჰქონდა ნინოწმინდის რაიონიდან ახალქალაქში, მისი მართვის ქვეშ მყოფი კუთვნილი ავტომანქანით სიგარეტები და გადაჰყავდა მგზავრები, არაფერი იცოდა დასახელებული პროდუქციის უაქციზო წარმომავლობის შესახებ.

დაიკითხა რა დაკავებისას მოწმის სახით, ვ. ბაბაიანი გაშვებულ იქნა ავტომანქანითურთ გაუსვლელობის თაობაზე გაფრთხილების შესაბამისი ხელწერილის ჩამორთმევის გარეშე.

შემდგომში, უაქციზო სიგარეტების რეალიზაციისა და და შემძენთა მიმართ, ნინოწმინდისა და ახალქალაქის საგამოძიებო სამსახურებში აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები და დამნაშავეთა მიმართ სასჯელის სახით გამოყენებულ იქნა საჯარიმო სანქციები.

ვინაიდან გადაადგილების თაობაზე ვ. ბაბაიანის მიმართ საგამოძიებო ორგანოების მიერ არ ყოფილა დაწესებული არავითარი შეზღუდვა, იგი მოწმის სახით, დაკითხვიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ვიდრე დააკავებდნენ, სამუშაოს საშოვნელად გაემგზავრა ქ. სოჭში, სადაც 2001 წლის ბოლომდე ცხოვრობდა ვაგონ-სათავსში.

ასეთ პირობებში შინაგან საქმეთა ნინოწმინდის საგამოძიებო ორგანოების მიერ, ვ. ბაბაიანი ცნობილ იქნა ეჭვმიტანილად და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, ვინაიდან ეჭვმიტანილის სახით ცნობილი პირის მიმართ ძებნის გამოცხადება დაუშვებლადაა მიჩნეული.

2000 წლის 8 თებერვალს დასახელებული დარღვევების შესახებ №181/03/150 შუამდგომლობით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოვითხოვე ვ. ბაბაიანის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ დადგენილების გაუქმება.

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ბ. ბიწაძის 2002 წლის 3 მარტის №15/2-2-2002 წერილით მეცნობა, რომ ვინაიდან ვ. ბაბაიანის მიმართ გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და არ არსებობდა მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და ძებნის გამოცხადების საფუძველი, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორს დაევალა შესაბამისი დადგენილების გაუქმება, ხოლო ნინოწმინდის საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლის ჯ. ჯიშკარიანის დასჯის თაობაზე წერილი გაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ჩემს მიერ იმავე დღეს ეცნობა საჩივრის ავტორს.

ლ. ი. ინასარიძის საქმე

2002 წლის 21 იანვარს განცხადებით მომმართა ქ. თბილისში, ერწოს ქ. №6-ში მცხოვრებმა ლეილა მაჭარაძემ, პატიმრობიდან გათავისუფლებული მისი შვილის საქართველოში დასაბრუნებლად დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

ლევან იუზას ძე ინასარიძე, დაბადებული 1965 წელს, გასამართლებულ იქნა უკრაინაში ავტომანქანის გატაცებისათვის. 2001 წლის 9 აგვისტოს ამნისტიის შესახებ 2001 წლის 5 ივნისს უკრაინის კანონის საფუძველზე, იგი გათავისუფლებულ იქნა სასჯელის მოხდისაგან ორი წლის გამოსაცდელი ვადით.

ვინაიდან გამოსაცდელი ვადა არ არის ამოწურული, ინასარიძეს უარი ეთქვა საქართველოში დაბრუნებაზე, ამასთან, მას არ გააჩნდა საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან შესაბამისი ცნობა, რის გარეშე შეუძლებელი იყო მისი სამშობლოში გამომგზავრება.

2001 წლის 25 იანვარს №65/03/85-მ შუამდგომლობით მივმართე საქართველოს კონსულს უკრაინაში ნ. გოგიტიძეს, ხოლო №64/03/85-მ შუამდგომლობით ადამიანის უფლებათა დაცვის რწმუნებულს უკრაინის უმაღლეს რადაში, ქალბატონ ნ. კარპაჩოვას, რომელსაც ვთხოვე დახმარების აღმოჩენა ინასარიძისათვის სათანადო დოკუმენტების გაფორმებისა და სამშობლოში დაბრუნების საკითხში.

ქალბატონმა ნ. კარპაჩოვამ 2002 წლის 10 ივნისის №659/16-02-30 წერილით მაცნობა, რომ ჩემი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, გამონაკლისის სახით, ლ. ი. ინასარიძეს ნება დაერთო დაბრუნებულიყო საქართველოში და ამ უკანასკნელს მიეცა საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

ჩემი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ მზადყოფნა გამოხატა აგრეთვე უკრაინაში საქართველოს კონსულმა ნ. გოგიტიძემ 2002 წლის 22 თებერვლის №02/57-02 წერილით.

მ. ცქიტიშვილის საქმე

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა საჩივრებით მომმართავენ უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები, მათი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის კანონიერების შემოწმების შესახებ.

2001 წლის სექტემბრიდან ვაწარმოებ მიმოწერას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტთან ბულგარეთის რესპუბლიკიდან დაუსაბუთებელი დეპორტაციისა და ამ ქვეყნის მოქალაქეების: იანევა ზლატინასა და იანევა პლამენას მიერ ფირმა „მედეა ოლდ"-ის კუთვნილი ფულადი თანხების თაღლითური გზით მითვისების შესახებ.

ერთი წლის მიმოწერის პროცესში საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა (ზ. გამსახურდია) ზოგჯერ უარყოფდა სახალხო დამცველის აპარატიდან ამ საკითხზე შუამდგომლობის მიღების ფაქტს, ზოგჯერ კი ადასტურებდა მას და მხოლოდ ამის შემდეგ, რამდენჯერმე გაგზავნილი შეხსენებების შემდეგ, მიმდინარე წლის 27 ივნისს, გადმოგვიგზავნა ქ. სტამბულში, საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ მათთვის მიწოდებული ქ. სოფიის სამხედრო პროკურატურის მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის მიერ საქართველოს მოქალაქის განცხადების შესრულებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ, მუხტარ ცქიტიშვილს საშუალება მოუსპო დროულად გაცნობოდა სოფიის სამხედრო პროკურატურის გადაწყვეტილებას და გაესაჩივრებინა იგი კანონით დადგენილ ვადებში.

ზ. გ. ვეფხვაძის საქმე

2002 წლის 12 თებერვალს განცხადებით მომმართა ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის მე-2 კვ. მე-5 კორპ. ბინა 47-ში მცხოვრებმა ზოია მიხეილის ასულმა ვეფხვაძემ, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიერ მისი ამავე გამგეობის ვაჭრობის განყოფილების კვების ტექნოლოგიური ლაბორატორიის გამგის ტოლფასოვან სამუშაოზე აღდგენის თაობაზე, ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 10 სექტემბრის №2/817 გადაწყვეტილების აღსრულებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის შესახებ.

განცხადების შესწავლით გამოირკვა, რომ აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, გამგეობის როგორც ყოფილი, ისე ახლანდელი ხელმძღვანელობა (თ. ქურხული), ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარს ამბობდა ზ. ვეფხვაძის მიმართ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, რითაც უხეშად არღვევდა მის უფლებებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჩემს შუამდგომლობაზე 2002 წლის 13 ივნისს №04/01-193 წერილით მაცნობა, რომ ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში ზ. ვეფხვაძის სააღსრულებო საქმე არ ყოფილა მიღებული.

ჩემს, მიმდინარე წლის 12 თებერვლის №220/03/193-ვ რეკომენდაციაში, რომელიც გავუგზავნე ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებელს, ბატონ თ. ქურხულს, ყურადღება გავამახვილე იმ გარემოებაზე, რომ ზ. ვეფხვაძის სამუშაოზე აღდგენაზე უარის თქმა ეწინააღმდეგებოდა როგორც დასახელებული სასამართლოს გადაწყვეტილებას, ისე საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნებს.

მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე დამჭირდა არგუმენტირებული რეკომენდაციების ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლისათვის გაგზავნა, რათა მათ მიერ აღდგენილიყო ზ. ვეფხვაძის შელახული უფლებები. სახელდობრ,

ჩემს მიერ შემდგომ პერიოდში დასახელებული რაიონის გამგეობაში გაიგზავნა 2002 წლის 17 აპრილს №577/03/193-3, 2002 წლის 30 მაისს №850/04-7/193-ვ, 2002 წლის 24 ივნისს №1047/03-193-ვ და 2002 წლის 12 ივლისს №1180/03/193-ვ რეკომენდაციები.

მხოლოდ ამის შემდეგ, 2002 წლის 19 აგვისტოს, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა თ. ქურხულმა №4475/15 წერილით მაცნობა, რომ ზ. ვეფხვაძე 1 აგვისტოდან აღდგენილ იქნა სამუშაოზე და მის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდა.

ამრიგად, მხოლოდ 7 თვის დაჟინებული მოთხოვნების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ზ. ვეფხვაძის დარღვეული უფლებების აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. ვეფხვაძის სამსახურში აღდგენის საკითხი ჩემს მიერ აყვანილი იყო ყოველდღიურ კონტროლზე, რაზედაც მას განემარტებოდა ჩემთან მიღების დროს, იგი მაინც განაგრძობდა ამ საკითხზე განცხადებებით მომართვას მაშინაც კი, როცა მას ეცნობა, რომ რაიონის გამგეობას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი სამსახურში აღდგენა.

ჯ. თვალავაძის საქმე

2001 წლის 19 ნოემბერს განცხადებით მომმართა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას I შესახ. №3-ში მცხოვრებმა ჯემალ თვალავაძემ, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ წელთა ნამსახურების ჩავლის გამო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე უარის თქმის შესახებ.

როგორც გამოირკვა, ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ჯ. თვალავაძეს წელთა ნამსახურების ნუსხაში ჩაეთვალა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სისტემაში გუშაგ-პოლიციელად მუშაობის პერიოდი, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის ფულად ატესტატში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საჭიროება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზურგის დეპარტამენტი და დაცვის პოლიციის დეპარტამენტი სრულიად დაუსაბუთებლად ამბობდა უარს დასახელებული საფინანსო დოკუმენტში ცვლილებების შეტანაზე იმ მოტივით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის თაობაზე“ სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულება დავალებული ჰქონდა სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს.

ფულად ატესტატში ცვლილებების შეტანაზე უარის თქმა მივიჩნიე უსაფუძვლოდ, რის გამოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზურგის დეპარტამენტისა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარეებს (ვ. დავითაია, თ. სულავა) 2002 წლის 11 იანვარსა და 18 თებერვალს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით მივმართე №14/01-1/977 და №240/01-1/977 რეკომენდაციებით. დაცვის პოლიციის თავმჯდომარეს გაეგზავნა ჩემს მიერ შეხსენება მიმდინარე წლის 22 მარტს. შემდგომში სახალხო დამცველის აპარატის დეპარტამენტის უფროსთან მოწვეულ იქნენ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო დარგის მუშაკები, რომლებსაც განემარტათ, რომ პოლიციელთა ფულად ატესტატში ცვლილებების შეტანა განეკუთვნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მათ კომპეტენციას.

2002 წლის 25 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ თ. სულავას №50/8-454 წერილით მეცნობა 2000 წლის 27 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ და გადმომეგზავნა მათ მიერ გამოწერილი ფულადი ატესტატი, რომლის საფუძველზე ჯ. თვალავაძეს სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ 44 ლარის ნაცვლად, დაენიშნა პენსია 59 ლარის ოდენობით.

გ. ხეჩიკაშვილის საქმე

2002 წლის 12 თებერვალს განცხადებით მომმართა ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქ. №13-ში მცხოვრებმა გივი ხეჩიკაშვილმა, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემისათვის აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დაუსაბუთებელი უარის თქმის შესახებ.

როგორც განცხადებაში იყო მითითებული, დასახელებული მიწის ნაკვეთი, 150მ^2 ოდენობით, წარმოადგენდა ნაგავსაყრელს, იგი მას ამუშავებდა 1990 წლიდან და მოჰყავდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ვინაიდან იგი და მისი ოჯახის წევრები ამჟამად არიან უმუშევრები, დასახელებული მიწის ნაკვეთის გარდა არ გააჩნიათ არსებობის სხვა საშუალება. განმცხადებელი ასევე ეჭვს გამოთქვამდა მიწის ნაკვეთის აგრარული უნივერსიტეტისათვის კუთვნილების თაობაზე, რის გამოც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მოთხოვნა ნაკვეთის მისთვის გადაცემის თაობაზე მიიჩნია უსაფუძვლოდ.

განმცხადებლის მოთხოვნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ" პუნქტის საფუძველზე, მიმდინარე წლის 1 აპრილს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან №498/03/196-6 წერილით მოვითხოვე შესაბამისი ხასიათის ინფორმაციის მოწოდება, რაზედაც 2002 წლის 14 აპრილს №01-08/50-ით მეცნობა, რომ უნივერსიტეტსა და ქალაქის მერიას შორის სადავო მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ დაიბრუნეს და ერთ-ერთ მათგანს ამუშავებდა გ. ხეჩიკაშვილი, ამ უკანასკნელს იჯარით იმ შემთხვევაში გადაეცემოდა, თუ უნივერსიტეტის თანამშრომლებზე ქვეიჯარით მიწის გადაცემის შემდეგ აუთვისებელი დარჩებოდა ამ ნაკვეთების გარკვეული ნაწილი.

სადღეისოდ დავა გ. ხეჩიკაშვილსა და აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის ამოწურულია.

ნ. კ. ჩიგოვაძის საქმე

მიმდინარე წლის 29 იანვარს განვიხილე ქ. თბილისში, მოსეშვილის ქ. №1-ში მცხოვრები ნინო კარლოს ასული ჩიგოვაძის განცხადება, მისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის შესახებ.

როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გასამართლებული იყო რა საქართველოს სსკ 17-107-ე მუხლით, 2001 წლის ივლისში საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან პირობით, 4 წლის ვადით, რის გამოც შესაბამისი საპასპორტო ორგანოები მას უარს ეუბნებოდნენ საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე.

მივიჩნიე, რომ ნ. კ. ჩიგოვაძისათვის დასახელებული მიზეზით პასპორტის გაცემაზე უარის თქმა ეწინააღმდეგებოდა შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პიროვნების უფლებას, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ამა თუ იმ ქვეყანაში თავისუფლად შესვლისა და გამოსვლის შესახებ.

ნ. გ. ჩიგოვაძე სწავლობს ქ. მოსკოვში, II სამედიცინო ინსტიტუტის მეანგინეკოლოგიის ფაკულტეტზე, რისთვისაც ესაჭიროება დასახელებულ ქალაქში ხშირი მოგზაურობა. მის მიერ პირობით სასჯელის შესახებ ვალდებულებების შესაძლო დარღვევა გამოიწვევს შესაბამისი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებას, რის გამოც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნულ ბიუროს ვთხოვე ნ. ვ. ჩიგოვაძისათვის პასპორტის მიღებაში სათანადო დახმარების აღმოჩენა.

დასახელებული უწყებიდან 2002 წლის 19 ავგსიტოს №47/1-145 წერილით მეცნობა, რომ ნ. კ. ჩიგოვაძეზე 2002 წლის 5 თებერვალს გაიცა საქართველოს მოქალაქის №081982 პასპორტი.

ლ. მარჯანიძის საქმე

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლომ 1999 წლის 12 მაისის სააღსრულებო ფურცლით დაკმაყოფილდა რა სააქციო საზოგადოება „ხიდმშენის" სარჩელი, მიიღო გადაწყვეტილება, ნინო კაპანაძე თავისი ოჯახის წევრებთან ერთად გამოსახლებულიყო ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, მე-15 კორპუსის II მ/რ-ში არსებული საცხოვრებელი სადგომიდან.

1999 წლის 12 ივლისს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს აღმასრულებელმა გ. ჭილაიამ განახორციელა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ნ. კაპანაძე კვლავ შეიჭრა დასახელებულ ბინაში და მისი იქიდან გამოსახლება დღემდე არ მოხერხდა.

გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ, იმავე საცხოვრებელი სადგომის თვითნებურად დაკავების შემთხვევაში, „სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც ნ. კაპანაძის მიერ დაკავებული სადგომის გამოთავისუფლება დამატებით სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. პრობლემის მოსაგვარებლად მიღებულ იქნა მხარეებს შორის მორიგების გადაწყვეტილება.

2002 წლის 11 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულის ა. სვანიძის, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-4 განყოფილების სექტორის უფროსის კ. გუგეშაშვილისა და ნ. კაპანაძის მონაწილეობით შედგა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, ეს უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობდა საცხოვრებელ სადგომში წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობისა და სხვა სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯების ბინის ფაქტობრივი მფლობელის ლ. მარჯანიძის მიერ ანაზღაურების შემთხვევაში, იგი გაათავისუფლებდა დასახელებულ საცხოვრებელ სადგომს.

ლ. მარჯანიძე ამჟამად, წლების შემდეგ, შესახლებულია მის კუთვნილ ბინაში.

უგზოუკვლოდ დაკარგული პ. ლ. კაზალიკაშვილის ძებნის საქმე

1999 წლის მაისიდან ვცდილობ დავადგინო ქ. თბილისში მცხოვრები პავლე ლავრენტის ძე კაზალიკაშვილის ადგილსამყოფელი, რომელიც 1997 წელს ბრუნდებოდა რა ბულგარეთიდან, გზად გაიარა ოდესის ოლქის ქ. ბელგოროდ-

დნესტრსკში, საიდანაც 5 და 7 ივლისს დაურეკა ჩრდილო ოსეთის (ალანია) დედაქალაქ ვლადიკავკაზში დედას, ბელა დიმიტრის ასულ კაზალიკაშვილს და შეატყობინა კვირის ბოლოს სახლში დაბრუნების შესახებ.

მას შემდეგ პ. ლ. კაზალიკაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია.

უგზოუკვლოდ დაკარგულის მამა ამ ხნის განმავლობაში შვილის დაძებნის შესახებ სისტემატურად მიმართავდა საქართველოს, უკრაინისა და ჩეჩნეთის სათანადო ორგანოებს.

1999 წლის 11 მაისს პ. ლ. კაზალიკაშვილის დაძებნის თაობაზე დახმარების შესახებ მივმართე ადამიანის უფლებათა დაცვის რწმუნებულს უკრაინის უმაღლეს რადაში, ქალბატონ ნ. კარპაჩოვას, რომლის ძალისხმევამ ამ მიმართულებით შედეგი ვერ გამოიღო.

2001 წლის 18 ოქტომბერს და 2002 წლის 14 აპრილს პ. ლ. კაზალიკაშვილის დაძებნის თაობაზე მივმართე აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დავალებული აქვს მისი ძებნის თაობაზე სათანადო საქმის შედგენა და ღონისძიებების გატარება.

მიუხედავად ამისა, დასახელებული სამინისტრო დღემდე ვერ ახერხებს ძებნილი პირის დადგენას, თუმცა მატყობინებს, რომ სამძებრო დავალებები გაიგზავნა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე რუსეთის ფედერაციასა და მოლდავეთის შესაბამის უწყებაში, სათანადო დავალება მიეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულუფლებიან წარმომადგენელს დსთ-ს ქვეყნების საკითხების საკოორდინაციო ბიუროში.

პ. ლ. კაზალიკაშვილის ძებნის საქმე ჩემს მიერ აყვანილია კონტროლზე.

პოლიციის თანამშრომლების მიერ ვ. მარკილოვის ცემისა და მისთვის სხვადასხვა სახის დაზიანებების მიყენების შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2002 წლის 31 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორის რაიონის საგამოძიებო სამსახურში შეხვდა ალუმინის ქურდობისათვის დაკავებულ, 1948 წელს დაბადებულ ვასილ თედორეს ძე მარკილოვს. ამ უკანასკნელის განმარტებით, იგი პირველად დაკავებული იყო გასული წლის 24 ნოემბერს, შემდეგ წარადგინეს პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც პოლიციის შენობაში იგი უმოწყალოდ სცემა პოლიციის რამდენიმე თანამშრომელმა, რის გამოც გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის №1 საავადმყოფოს ქირურგიულ, ხოლო შემდეგ თვალის განყოფილებაში.

დასახელებული საავადმყოფოს ცნობით, ვ. მარკილოვი იქ მიყვანილი იყო სასწრაფო დახმარების მანქანით, რა დროსაც აღენიშნებოდა სახის მიდამოების მრავლობითი ექსკორაცია, მარჯვენა თვალბუდის სისხლნაჟღენთები, დაჟეჟილი ჭრილობები მარჯვენა წარბის არეში. 2001 წლის 28 ნოემბერს ვ. მარკილოვს გაუკეთდა ქირურგიული ოპერაცია.

ქ. თბილისის პროკურატურის 2002 წლის 27 აგვისტოს წერილით ირკვევა, რომ 2001 წლის 27 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე, ვ. მარკილოვი გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, „პეტრე-პავლეს" სასაფლაოზე ცდილობდა სარქის და ანტონ ოგანოვების საფლავებიდან ალუმინის სხმულების ფარულ გატაცებას. საფლავის ღობის მტვრევის გამო გამოწვეულ ხმაურზე საფლავთან მისული, ერთის მხრივ, ცოლ-ქმარ ავთანდილ მარგველანს, ნელი ანდრიასიანსა და,

მეორეს მხრივ, ვ. მარკილოვს შორის მომხდარი კონფლიქტის დროს, დასახელებულმა პირებმა ამ უკანასკნელს მიაყენეს სხეულის დაზიანება.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი რამდენჯერმე შეეცადა ვ. მარკილოვისთვის მიყენებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზების დადგენას, მარგველანსა და მის მეუღლესთან გასაუბრების გზით, რაც ვერ მოახერხა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხსენებული პირები თავიანთ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფებოდნენ. რაც შეეხება ვ. მარკილოვის სხეულის დაზიანებებით საავადმყოფოში მიყვანას, იგი დადასტურებულია ამ უკანასკნელის ადვოკატის ქ. გელაშვილის მიერ, რომელიც მიუთითებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი მან საავადმყოფოში წარადგინა პოლიციის თანამშრომლებთან ერთად. თვით ვ. მარკილოვი კატეგორიულად აცხადებს, რომ მისთვის დაზიანება სასაფლაოზე არავის მიუყენებია და იგი ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიაზე დააკავეს და შემდგომში შინაგან საქმეთა დანაყოფის შენობაში მას მიაყენეს დაზიანებები პოლიციის თანამშრომლებმა.

შპს „ეროვნული ზარაფხანის" თანამშრომელთა სამუშაოდან დათხოვნის კანონიერების შესახებ

შპს „საქართველოს ეროვნული ზარაფხანის" თანამშრომლები: ნუნუ გოგოლაძე, ლეონორა ლობჟანიძე, ქეთევან ღვინეფაძე, ლამზირა ტყებუჩავა, მანიჟა ქარელიძე, მარიამ ობგაიძე და იზოლდა ცარციძე, ზარაფხანის დირექტორის 2000 წლის 20 აპრილის, 21 აპრილისა და 18 მაისის ბრძანების შესაბამისად, საწარმოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, დასახელებულმა პირებმა, სამუშაოზე აღდგენის მიზნით, სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დასახელებული პირები აღდგენილ იქნენ სამსახურში.

2002 წლის 14 მაისს ეროვნული ზარაფხანის იურისტმა სამსახურში სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგენილ შვიდივე პირს გააცნო დირექტორის მოთხოვნა, გაეფორმებინათ საწარმოსთან განსაზღვრული ვადით (ორი თვით) შრომითი ხელშეკრულება. უარის მიღების შემდეგ, ზარაფხანის დირექტორის ბრძანებით, ნ. გოგოლაძე და ლ. ტყებუჩავა კვლავ იქნენ გათავისუფლებული სამსახურებრივი მოვალეობისაგან.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მოსარჩელე ნ. გოგოლაძის სასარჩელო განცხადება მოპასუხე ეროვნულ ზარაფხანასთან შრომითი უფლებების აღდგენის თაობაზე, რაც იმავე სასამართლოს 2001 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმებულ იქნა. შემდგომში სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული თბილისის საოლქო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

ნ. გოგოლაძის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა რამდენიმე საათის განმავლობაში მის მიერ სამუშაო უბნის მიტოვება, რაც გამომდინარეობდა ოჯახური მდგომარეობიდან. აღნიშნულის თაობაზე ამ უკანასკნელმა მიუთითა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ხაჩიძის სახელზე დაწერილ განცხადებაში. მიუხედავად ამისა, ნ. გოგოლაძის ეს ოფიციალური თხოვნა არ იქნა მიღებული მხედველობაში და იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან შრომის

დისციპლინის დარღვევის ხელოვნურად შექმნილი მოტივით. ფაქტობრივად კი, ეს უკანასკნელი იდევნებოდა სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ შეასრულა ეროვნული ზარაფხანის დირექტორის დ. ლორთქიფანიძის მოთხოვნა, გაეფორმებინა საწარმოსთან შრომითი ხელშეკრულება, რაც, სამწუხაროდ, არ იქნა მიღებული მხედველობაში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

მიმაჩნია, რომ ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული ზარაფხანის დირექტორისგან, საწარმოს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული, ვინაიდან ძვირფას ლითონებზე მომუშავე პირის საქმიანობის რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ და, აქედან გამომდინარე, მისი მუშაობის ხარისხისა და შედეგების შეფასება სამუშაოზე მიღებიდან 2 თვის გასვლის შემდეგ ნაკლებად ეფექტიანი იქნება.

იმერეთის მხარის შინაგან საქმეთა ორგანოებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ

პოლიციის თანამშრომლების დ. ჩხეიძისა და სხვათა პასუხისმგებლობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში იმერეთის მხარის პოლიციის დანაყოფების მუშაობაში გამოვლენილ იქნა ადამიანის უფლებების შემლახავი ფაქტები, რის შესახებაც იმერეთის მხარეში სახალხო დამცველის რწმუნებულის ქეთევან კანდელაკის მიერ გაეგზავნა ინფორმაცია მხარის შს მთავარი სამმართველოს უფროსს ზაზა ძნელაძეს, რომელმაც ოპერატიულად განიხილა მიწოდებული მასალები. დისციპლინური სასჯელი დაედო 12 ოპერატიულ მუშაკს. პოლიციის ოთხი განყოფილების უფროსი: დიტო ჩხეიძე, ზურაბ ჩიტია, სოსო ზივზივაძე და გოჩა ბაკურაძე გათავისუფლებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ტიტე იოსელიანი, აკაკი კობეშავიძე, დავით ჩირგაძე, კახაბერ გველესიანი, რატი ასანიძე და მამუკა ტეფნაძე დათხოვნილი არიან შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა ორგანოებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ

ჯ. ქირიას დაკავების კანონიერებისა და ცემის შესახებ

ხობის რაიონის სოფ. ხამისქურში მცხოვრები ჯუმბერ ქირია კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე დააკავეს შს განყოფილების მუშაკებმა: კ. შუშანიამ (კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი), რ. კემულარიამ და სცემეს, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთში სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ გაეგზავნა შუამდგომლობა საოლქო პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამხარეო პოლიციას, რის შედეგადაც საოლქო პროკურატურაში (გამომძიებელი ზ. კუტალია) აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო შს სამმართველოს მიერ კ. შუშანია გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

საჩივარი დღემდე კონტროლზეა, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე არ არის დადგენილი ბრალდებული პირი და ძიება ჭიანურდება, ხოლო როგორც ირკვევა, ხობის კრიმინალური პოლიციის უფროსის გათავისუფლებაც ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან იგი რამდენიმე ხნის შემდეგ ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-6 განყოფილების ინპექტორად იქნა გადაყვანილი.

ბ. ფონიას ცემის შესახებ

შს ზუგდიდის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის ბ. ფონიას მიერ 2002 წელს დაკავებულ იქნა მოქ. კ. ვართაგავა. ის პოლიციაში მიყვანის შემდეგ სცემეს.

ამ ფაქტზე ბ. ფონიას მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

თავისუფალი არჩევნების უფლება და 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები საქართველოში

როგორც ცნობილია, თავისუფალი არჩევნების უფლება გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით, რომლის თანახმად, უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება. გარდა ამისა, თავისუფალი არჩევნების უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოს სერიოზული საერთაშორისო ვალდებულებები აქვს. სახელდობრ, საქართველო მიერთებულია გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტს, რომლის შესაბამისად, თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა „მისცეს ხმა და არჩეულ იქნას საყოველთაო, პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას" (მუხლი 25, პუნქტი ბ). გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა მიუერთდა ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას. ამ დოკუმენტის პირველი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, „მაღალი ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული ხმის მიცემის გზით იმგვარ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევაში".

ორივე საერთაშორისო დოკუმენტიდან მოტანილი დებულებები საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაშინ, როდესაც გაეროს პაქტი ამახვილებს ყურადღებას თავისუფალი არჩევნების უფლებაზე, როგორც მოქალაქის ინდივიდუალურ თავისუფლებაზე, ევროპის კონვენცია აყალიბებს მოთხოვნებს იმ ინსტიტუციონალური სისტემის მიმართ, რომელიც უნდა არსებობდეს დემოკრატიულ სახელმწიფოში განსახილველი უფლების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში თავისუფალი არჩევნების უფლება მოიცავს აგრეთვე ადგილობრივი წარმომადგენლობითი ხელისუფლების არჩევნებს.

ჩვენს მიერ გაკეთებული ეს დათქმა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საანგარიშო პერიოდში საქართველოში ჩატარდა სწორედ ადგილობრივი არჩევნები. სამწუხაროდ, დრომ გვიჩვენა, რომ ამ ფაქტს ჰქონდა ერთადერთი დადებითი მხარე – ის, რომ არჩევნების ჩატარება, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მოხერხდა.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნების ჩატარების პროცესი და მის გარშემო მომხდარი მოვლენები აშკარად მეტყველებს სერიოზულ დარღვევებზე. უფრო მეტიც, საქართველოს პირობებში მოხდა არჩევნების, როგორც ინსტიტუტის, გარკვეული დისკრედიტაცია.

არ ვაპირებ მიმდინარე წლის 2 ივნისის ადგილობრივი არჩევნების პოლიტიკური შედეგების განხილვას. ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ ამ არჩევნების ის ასპექტები, რომლებიც უშუალო შეხებაშია მოცემული თავისუფლების განხორციელებასთან.

როგორც ცნობილია, არჩევნებამდე სერიოზულ ვნებათაღელვას იწვევდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცსკო-ს) შემადგენლობის და მასში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლობების საკითხი. საქართველოს პარლამენტმა საბოლოოდ მიიღო შესაბამისი ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ 2002 წლის 1 მაისისათვის – არჩევნებამდე ერთი თვით ადრე. ამის გამო, ცსკო-ს თითქმის არ დარჩა დრო საარჩევნო კამპანიის ნორმალური ორგანიზებისათვის. შედეგად ჩვენ მივიღეთ ის, რაზეც ყველა დამკვირვებელი მიუთითებდა – მოუწესრიგებელი და ქაოტური საარჩევნო პროცესი. „ასეთი ქაოტური არჩევნები დიდი ხანია არ ყოფილა. ამაში, პირველ რიგში, დამნაშავეა პარლამენტი, რადგან საარჩევნო კანონის შეცვლა ვადის მიწურულში დაიწყო, მით უმეტეს, რომ რეალურად არაფერი შეცვლილა", – ასე შეაფასეს ექსპერტებმა აღნიშნული პროცესი (არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი").

წინასაარჩევნო ატმოსფეროზე საუბრისას, შეუძლებელია არ აღინიშნოს ორად გაყოფილი მოქალაქეთა კავშირის საკითხი. მის ადგილზე შექმნილი ორი პარტიის არჩევნებში მონაწილეობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა უზენაეს სასამართლოში და ეს სავსებით შეესაბამება ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის სტანდარტებს. როგორც აღნიშნა ორგანიზაცია „აირის საქართველოს" – კანონის უზენაესობის პროგრამის მისიის ხელმძღვანელმა, ბატონმა ჰოვარდ ფენტონმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა კანონის უზენაესობის პრინციპის გამოყენების ბრწყინვალე მაგალითს. მაგრამ სასამართლოში დამარცხებულ მხარეს აღნიშნული გადაწყვეტილება არ მოეწონა. შედეგად მივიღეთ ის, რაზეც იგივე ფენტონი წერდა: „რაოდენ გულსატკენი იყო იმის ცქერა, თუ როგორ ედავებოდნენ „რეფორმატორები" ამ კანონიერ სასამართლო გადაწყვეტილებას, რა შეურაცხმყოფელ ფორმებში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შედეგი მათთვის მიუღებელი იყო".

ჩვენი აზრი ამ ინციდენტთან დაკავშირებით ასეთია – თუ ვსაუბრობთ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობაზე (რაზეც მიუთითებს ქვეყნის კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი), საჭიროა ვიზრუნოთ ამ ხელისუფლების ავტორიტეტსა და პრესტიჟზე. ეს მოთხოვნა თანაბრად ვრცელდება როგორც რიგით მოქალაქეებზე, ისე პოლიტიკურ პარტიებზე.

წინასაარჩევნო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტოლოგები და იურისტები 2 ივნისის არჩევნების დროს მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე ლაპარაკობდნენ. მათ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისადმი სპეციალური მიმართვაც შეიმუშავეს, რომელშიც პოლიტიკოსებს მოუწოდებდნენ – არ დაუშვან მოსალოდნელი ექსცესები და სამოქალაქო დაპირისპირება. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ამგვარი განცხადებების საფუძველად საარჩევნო კამპანიის აგრესიულობას აცხადებდნენ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისადმი მიმართვა მიიღო ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ „თეთრი მანდილი". მიმართვაში ისინი მოუწოდებდნენ პოლიტიკოსებს, ბოლო მოუღონ გაუთავებელ შიდა

არეულობას და ერთმანეთს ღირსეულად მოექცენ, რადგან სხვა შემთხვევაში გამარჯვება – დამარცხების ტოლფასია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ თემას გამოეხმაურა თვით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II მიმართვაში „საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, საქართველოს მოსახლეობას" მოუწოდებს პოლიტიკურ მოღვაწეებს შეურაცხმყოფელი მიმართვების ნაცვლად, მოსახლეობას წარუდგნენ თავისი რეალური სამოქმედო პროგრამებით, პოლემიკა კი აწარმოონ პოლიტიკური მორალის ნორმების გათვალისწინებით, რაც ადამიანის პიროვნული ღირსების დაცვას გულისხმობს.

არსებითად, საქმე გვქონდა საარჩევნო პროცესში ბრძოლის დაუშვებელი მეთოდების გამოყენებასთან, რამაც ირიბად ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მოქალაქეთა თავისუფალი არჩევნების უფლების განხორციელებაზე. ერთ-ერთ ამგვარ აკრძალულ მეთოდს ჩვენ კიდევ შევეხებით.

რაც შეეხება თვით საარჩევნო კამპანიის მსვლელობას და მის შედეგებს, ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ყველა არსებული შეფასების განზოგადებისა და ჩვენი საკუთარი დაკვირვების შედეგად უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. არჩევნები იმდენად ცუდად იყო ორგანიზებული, რომ ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხა ხალხმა საკუთარი ნების გამოხატვა. წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, მთლიანად გაეკონტროლებინა საარჩევნო პროცესი, 2 ივნისს ყველაფერი უკვე თითქმის თვითდინებაზე იყო მიშვებული;

2. რადგან მოქალაქეთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა ერთ სასტარტო მდგომარეობაში აღმოჩნდა, მასობრივი და ცენტრალიზებული გაყალბება არ ყოფილა. ამავე დროს, საარჩევნო პროცედურის განხორციელებისას დამკვირვებლებმა აღნიშნეს შემდეგი ძირითადი დარღვევები: მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მიერ დამატებითი სიებით სარგებლობა, ავადმყოფთა სიების კანონდარღვევებით შედგენა, კონვერტებისა და ბიულეტენების ხელმოწერების და ბეჭდის გარეშე გამოყენება, საარჩევნო უბნების დაგვიანებით გახსნა ან საერთოდ დაკეტვა, სააგიტაციო პლაკატების არსებობა საარჩევნო უბნებში, ასევე ბიულეტენების დაგვიანებით მიწოდება, საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ კანონის უცოდინარობა. საბოლოო ჯამში, დარღვევები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ მათ შესასწავლად აუცილებელი გახდა სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნა;

3. ზემოთქმულის შედეგი გახდა ის დასკვნა, რომელიც გააკეთა საქართველოში ჩამოსულმა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის დელეგაციამ: „არჩევნების არასათანადო მომზადების შედეგად გამოირიცხა მათი სამართლიანი ჩატარების შესაძლებლობა";

4. ჩვენი აზრით, ყველა დონის მომავალი არჩევნების ნორმალურ პირობებში ჩატარების მიზნით მიზანშეწონილია:

ა) მოხდეს ამომრჩეველთა სიების ელექტრონული ვერსიის შექმნა და მათი ინტერნეტში განთავსება, რათა ყველა დაინტერესებულმა პირმა თუ პოლიტიკურმა ძალამ ნებისმიერ დროს შეძლოს მათი გადამოწმება;

ბ) გადაისინჯოს საარჩევნო კოდექსის ის ნაწილი, რომელიც რაიონის დონეზე ასოციირებული საკრებულოს ჩამოყალიბების ზოგად პრინციპებს ეხება. თავისუფალი არჩევნების უფლების განხორციელების თვალსაზრისით, საკმაო ეჭვს იწვევს ის მდგომარეობა, როცა ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირი არჩევნები მთავრდება სოფლის დონეზე, ხოლო რაიონის საკრებულოს ფორმირება ხორციელდება ex officio სოფლის გამგებლების ხარჯზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს

რაიონის წარმომადგენლობითი ორგანოების არა არჩევნებთან, არამედ დაკომპლექტებასთან;

გ) მკაცრად განისაზღვროს საარჩევნო დარღვევებისთვის პასუხისმგებლობის საკითხი და განხორციელდეს კანონის შესაბამისი დებულებები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ჩათვლით;

დ) ცსკო-მ არჩევნების შედეგები უნდა გამოაქვეყნოს თითოეული უბნის მიხედვით. საუბნო შედეგების გამჭვირვალობა გაზრდის საუბნო კომისიების პასუხისმგებლობას და, შესაბამისად, ობიექტურობას.

წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების პროცესში დაშვებული დარღვევების გარდაუვალ შედეგად გვევლინება ის ვითარება, რომლის გამო ჯერაც არ შედგომია თავის საქმიანობას თბილისის საკრებულო. სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, აუცილებელი გახდა თბილისელ ამომრჩეველთა ხმების ხელახალი გადათვლა. ახლადარჩეულ თბილისის საკრებულოს მუშაობა 24 ივნისს უნდა დაეწყო. ეს ვადა სულ ცოტა, რამდენიმე თვით გადაიწია. ანალოგიური მდგომარეობაა ქუთაისში. უფრო მეტიც, თუ გადათვლის შედეგად ხმების 20%-ზე მეტი გაუქმდება, საჭირო გახდება თბილისში საკრებულოს ახალი არჩევნების ჩატარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება და ვერ უზრუნველყო სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ამით ამომრჩეველთა დიდ მასას, ფაქტობრივად, წაართვეს მთავარი პოლიტიკური უფლება, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

იმედია, მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროს ხელისუფლება გაითვალისწინებს წლევანდელი ადგილობრივი არჩევნების მწარე გაკვეთილს და სათანადო დასკვნებს გააკეთებს. სხვას ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, საუბარია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის შესახებ, რომლის შელახვა კარგს არაფერს მოგვიტანს.

დაბოლოს, ვუბრუნდები რა საარჩევნო ბრძოლის წარმართვის მეთოდებს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დემოკრატიისკენ მიმავალ მრავალეროვან ქვეყანაში, საარჩევნო ბრძოლის პირობებშიც კი, უნდა არსებობდეს „ილეთები", რომელთა გამოყენება აბსოლუტურად დაუშვებელია. მხედველობაში მაქვს ზოგიერთი პოლიტიკოსის ეროვნული წარმომავლობის, როგორც ნეგატიური მახასიათებლის თემის გათამაშება. თვით ამ საკითხის ამოტივტივება წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაციის უარეს მაგალითს. საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს ყველა პოლიტიკოსს თავი შეიკავოს ამ თემის განხილვისაგან, რადგან რასისტული გამოხდომები ნამდვილად არ შეესაბამება ჩვენი ხალხის მენტალიტეტს, საქართველოს კულტურას და ტრადიციებს.

შესრულებულ სამუშაოებზე თანხის ანაზღაურებისა და სასამართლო განხილვის გაჭიანურების შესახებ

ჩვენს წინა საპარლამენტო ანგარიშში მოცემული მრავალი პრობლემა დღესაც გადაუწყვეტელია, რაზედაც განმეორებით გვიწევს მათზე საუბარი – თუ როგორ სრულდება ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელთა დანაპირები და წარმოვაჩინოთ კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობა, რომელთა ქმედებითაც სრულიად უსაფუძვლოდ ილახება შრომითი კოლექტივების თუ ცალკეული ადამიანების უფლებები.

ასე მაგალითად, სამშენებლო ტრესტი №13 არც თუ ცოტა ხნის წინათ ითვლებოდა ერთ-ერთ ძლიერ სამშენებლო ორგანიზაციად და შეეძლო ეწარმოებინა უმსხვილეს და ურთულეს ობიექტთა მშენებლობა, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურების ხელისშეწყობით დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია და ამ ტრესტის მუშაკები უწყებიდან უწყებაში დადიან თავიანთი დარღვეული უფლების აღსადგენად. საქმე ის გახლავთ, რომ სააქციო საზოგადოება №13 ტრესტის შრომითმა კოლექტივმა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 თებერვლის №63 განკარგულების საფუძველზე, კეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა: აღადგინა დაზიანებული უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) ადმინისტრაციული შენობა, მოაწყო სხდომის დარბაზი, ბიუროს სამუშაო კაბინეტი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარა მინისტრთა კაბინეტის (სახელმწიფო კანცელარიის) ადმინისტრაციული შენობის სახურავს და განახორციელა ზუბალაშვილების სახლის აღდგენითი სამუშაოები. მაგრამ, როცა დღის წესრიგში დადგა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება, დამკვეთი ორგანიზაციები: საქართველოს პარლამენტის აპარატი და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური, თავს არიდებენ დავალიანების გადახდას და მათი მოთხოვნით იწყება გადამოწმება, თუ რამდენად რეალურია შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ამ შემოწმებითაც დადასტურდა დავალიანების რეალობა, თუმცა ვალის დაფარვა მაინც არ განხორციელდა. კონკრეტულად, აუდიტორულმა ფირმა „ბეგამ", პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითმა კომისიამ, საქართველოს კონტროლის პალატამ, მთაწმინდის რაიონის სასამართლოს განჩინების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და გამოკვლევითი ცენტრის კომისიამ, სახელმწიფო მინისტრის 2000 წლის 29 სექტემბერს №76 ბრძანებით სპეციალურად შექმნილმა სამთავრობო კომისიამ გადამოწმების შედეგად დაასკვა, რომ დავალიანება დამკვეთების მხრიდან ტრესტის სასარგებლოდ შეადგინა 1.878.620 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებით, რაც საგრძნობლად ნაკლებია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებით გათვალისწინებულ ლიმიტზე. მათ შორის, პარლამენტის შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე სამუშაოების ჩატარებისათვის დავალიანების სახით ირიცხება 942.384 დოლარისა და 981,6 ათასი ლარის ოდენობა, მინისტრთა კაბინეტის კაპიტალურ რემონტზე – 19.274 აშშ დოლარი და გ. ზუბალაშვილის სახლზე – 22.088 აშშ დოლარი. აღსანიშნავია ისიც, რომ დამკვეთებსა და ტრესტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ჯარიმის სახით ყოველთვიური გადასახადი მოიცავს 8.857 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

საგულისხმოა ისიც, რომ მშენებლობის თვითღირებულება მკვეთრად გაიაფებულია და, ფაქტობრივად, მოთხოვნილი საგადასახადო დავალიანება შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 44 პროცენტს შეადგენს. ცნობისათვის: 1 კვ. მეტრის ღირებულება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 492 ლარის ფარგლებში, ფაქტობრივად კი დაჯდა 218 ლარი. შექმნილი ვითარების გამო 2001 წლის 6 აგვისტოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრის, ბატონ გ. არსენიშვილისაგან მოვითხოვეთ მიეღო ზომები ტრესტის კოლექტივის დარღვეული შრომითი უფლებების აღსადგენად, მაგრამ შედეგი დღემდე არ ჩანს. თუმცა, ხსენებული დავალიანება წარმოადგენს რეალურს, რომლის გადახდასაც არავითარი სასამართლო პროცესები არც უნდა სჭირდებოდეს. საგულისხმოა ისიც, რომ თვით სასამართლო განხილვები მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობს დიდუბე-ჩუღურეთის, ვაკე-საბურთალოს, თბილისის საოლქო და უზენაეს სასამართლოებში, მაგრამ დღემდე საბოლოო გადაწყვეტილება არ არსებობს და სრულიად მარტივი საქმე ხელოვნურად არის გართულებული. ამიტომაც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ ლ. ჭანტურიას წინადადების სახით ეთხოვა გაარკვიოს საქმის განხილვის გაჭიანურების

მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, განიხილოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან 1997 წლიდან დღემდე საკითხი იხილებოდა დიდუბის, ვაკის, თბილისის საქალაქო, საოლქო და უზენაეს სასამართლოებში, ხოლო მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ ჩატარდა 27 პროცესი და საკითხის არსებითად განხილვა რატომღაც არ მოხერხდა.

№13 ტრესტის უკიდურესად უარყოფით ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ა/წლის 15 ივლისის ჩვენს რეკომენდაციაზე სახელმწიფო მინისტრმა, ბატონ ა. ჯორბენაძემ დავალება მისცა ფინანსთა, მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრებს პრობლემის მოგვარებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო, 2001 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების მიღების თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, რაც დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2001 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების მეორე პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის პერსონალურ დაქვემდებარებაში შევიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა ძალოვანი სტრუქტურები. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. ასევე, კონსტიტუციის 91-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება და წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას. ამდენად, მათი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პერსონალურ დაქვემდებარებაში გადასვლა ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას.

2002 წლის 25 ივნისს №421/07 რეკომენდაციით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისაგან მოვითხოვე შეეცვალა მიღებული დადგენილება და იგი მოეყვანა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2002 წლის 26 ივლისის №268 წერილით მეცნობა, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მასმედიის წარმომადგენლების მიერ გავრცელებული იქნა პრეზიდიუმის დადგენილების პროექტი, რომელიც შემდგომში დაიხვეწა, რის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების საბოლოო ვარიანტში, ავტონომიური რესპუბლიკის საერთო სასამართლოებისა და ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დაქვემდებარების შესახებ მოთხოვნა არ ფიგურირებს.

თავი II

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით ქვეყანა შეუერთდა „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს", რითაც აღიარა უფლება შრომაზე, ანუ, შრომის სახეობის თავისუფალ არჩევანზე, მუშაობის სამართლიან და ხელსაყრელ პირობებსა და უმუშევრობისაგან დაცვაზე, თითოეულის უფლება – ჰქონდეს თავისი ოჯახის არსებობისათვის საჭირო საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი პირობები. ამიტომ სახელმწიფოს ზრუნვის უმთავრეს მიზნად უნდა იქცეს ადამიანთა დასაქმება, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა და მათი უფლებების დაცვისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარება.

აღნიშნული ვითარება ნათლად აისახა სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებებსა თუ საჩივრებში, სატელეფონო ზარებსა და პირად საუბრებში. ამის დასადასტურებლად ერთ მაგალითს მოვიყვან. როდესაც შეიქმნა „სწრაფი რეაგირების ჯგუფი", რომლის მიზანი (პოლიციის წინასწარი დაკავების ადგილებისა და სამხედრო კომენდატურის მონიტორინგი იყო) და საკონტაქტო ტელეფონები გაშუქდა მასმედიის საშუალებით, რომლითაც უამრავი ზარი შემოდიოდა. მოქალაქეები ითხოვდნენ ჯგუფისაგან სწრაფი რეაგირების გაკეთებას პენსიების, ხელფასებისა და სოციალური საკითხების მოგვარებას. აპარატმა განიხილა არაერთი განცხადება, რომლებიც ეხებოდა საარსებო მინიმუმის უქონლობას, უკიდურეს სიღატაკესა და გაჭირვებას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძირითადად ხელფასებისა და პენსიების დაგვიანებით გაცემას. განცხადებათა დიდი ნაწილი ეხებოდა უმუშევრობის პრობლემას. არაფერს ვიტყვი ახალსა და განსაკუთრებულს, როცა აღვნიშნავ, თუ როგორ მოქმედებს უმუშევრობის მაღალი დონე მოსახლეობის შესაძლებლობებზე, მათ გადახდისუნარიანობაზე. ამდენად, რომ განვაზოგადო შემოსული განცხადებები, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება – მათთვის, რბილად რომ ვთქვათ, ძნელი გასაგებია, რატომ არ იზრდება მათი რეალური შემოსავალი, როცა მატულობს გადასახადი ისეთ აუცილებელ მომსახურებაზე, როგორიცაა ელექტროენერგია, წყალი, გაზი, სატელეფონო თუ სხვ.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ მოქალაქეები თავიანთ თხოვნა-მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან ერთად აუცილებლად მიიჩნევენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნას, ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას, სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოთა საქმიანობის სრულყოფას, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრას.

ანგარიშის ამ თავის მომზადებისას ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა ის ძირითადი პრობლემები, რომლებზეც უწევდა აპარატს მუშაობა საანგარიშო პერიოდში. გამოვიყენეთ სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მოპოვებული ინფორმაცია, აპარატში შემოსული, განხილული და განზოგადებული მიმართვები, დავეყრდენით საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ მონაცემებს.

სამწუხაროდ, არსებული მასალის ზედაპირული ანალიზიც კი იმაზე მეტყველებს, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური უფლებების მდგომარეობა არათუ არ გაუმჯობესდა, არამედ მთელი რიგი პოზიციების მიხედვით გაუარესდა კიდეც.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტი გულისხმობს, რომ მოცემული ქვეყნის პირობებში, პრაქტიკულად, შეუძლებელია უფლებათა მთელი

ამ ჯგუფის სრულფასოვანი განხორციელება. პაქტის წევრ ქვეყანას მოეთხოვება ეტაპობრივად მიაღწიოს კონკრეტული უფლებების დაცვის სათანადო დონეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარია მუდმივი წინსვლის, პროგრესის უზრუნველყოფის შესახებ და სახელმწიფოს პოზიტიურ მოქმედებებზე ამ მიმართულებით. ამ თვალსაზრისით დაუშვებელია შეჩერება და, მით უმეტეს, უკვე მიღწეული დონისა და პოზიციების დათმობა, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა დარღვევას.

ამგვარი მიდგომის გათვალიწინებით ცხადი უნდა გახდეს, რაც წარმოადგენს სახალხო დამცველის უკმაყოფილების მიზეზს საქართველოში ეკონომიკური და სოციალური უფლებების მდგომარეობის გამო. ამის ყველაზე ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს არსებული სტატისტიკური ინფორმაცია ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, ემიგრაცია და სიღარიბის პრობლემა

საქართველოსთვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად კვლავ ადამიანური რესურსების შენარჩუნება რჩება. 90-იან წლებში მოსახლეობის გადინებამ მაღალ დონეს მიაღწია. დღეისათვის საქართველოში შეუძლებელია მიგრაციის მასშტაბების შესახებ ზუსტი მაჩვენებლების მოპოვება (TACIS-ის მონაცემების მიხედვით, ქვეყნიდან გასულია დაახლოებით 800 ათასი ადამიანი). საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2002 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ქვეყანაში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 4409.8 ათას კაცს. 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებთან შედარებით, ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა თითქმის ერთი მილიონი კაცით, ანუ დაახლოებით 20%-ით. ფაქტობრივად, ეს ციფრი ასახავს საქართველოდან გასულ მიგრანტთა (საუბარია შრომით მიგრაციაზე და ემიგრანტებზე) რაოდენობას და არა მოსახლეობის ბუნებრივ კლებას. მიგრანტები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად:

– რომელთა შორის ოჯახის ერთი წევრი მაინც იმყოფება საქართველოში;

– როდესაც მთელი ოჯახი წასულია.

მიგრაციის გამომწვევი მიზეზები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა – მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების სიმცირე, ნაკლებ ხელსაყრელი სამეწარმეო გარემო – აიძულებს ადამიანებს საარსებო სახსრები ქვეყნის გარეთ ეძებონ. მათ მიერ გამოგზავნილი თანხა ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთ, ხშირ შემთხვევაში კი, ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. მიგრაცია სიღარიბესთან მიმართებაში მოკლე პერიოდის მანძილზე უფრო მეტად შედეგს წარმოადგენს, ვიდრე მიზეზს, ხოლო უფრო შორეული მომავლისათვის არსებული ტენდენციების უცვლელობის პირობებში, ქვეყნის მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს მაძლევს შემდეგი მონაცემები: საქართველოს ფარგლებს გარეთ გასულთა აბსოლუტური უმრავლესობა – 80%-ზე მეტი სამუშაოდაა გასული; მათ შორის, 80%-ზე მეტი – 20-25 წლის ასაკისაა, ხოლო ნახევარზე მეტი საშუალოზე მაღალი განათლებისაა.

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრაციის დღევანდელი მასშტაბების შენარჩუნების პირობებში, მოსალოდნელია საქართველოდან ადამიანური რესურსების მნიშვნელოვანი გადინება, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა პირველწყაროდან მოპოვებული ინფორმაციით,

ყოველწლიურად საზღვარგარეთ წასვლას „აქტიურად“ ცდილობს დაახლოებით 30-35 ათასი კაცი. მათი უმრავლესობის (70-75%) წასვლის მიზანი საზღვარგარეთ მუშაობაა, ხოლო წამსვლელთა განაწილება ასაკისა და განათლების მიხედვით ისეთივეა, როგორც საზღვარგარეთ მყოფთა შემთხვევაში. ეს სერიოზული პრობლემაა ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

რაც შეეხება მიგრაციის მასშტაბების ცვლილებების პერსპექტივას, არსებული პირობების უცვლელობის შემთხვევაში, ის არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება. ერთ-ერთი გამოკვლევიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 400 ათასამდე კაცს აქვს საქართველოდან წასვლის სურვილი. საზღვარგარეთ წასვლის მნიშვნელოვანი მოტივია მუდმივად საცხოვრებლად წასვლა. ამის სურვილი მეოთხედზე ნაკლებს გააჩნია, ხოლო საზღვარგარეთ წასვლის სურვილის უმნიშვნელოვანეს მოტივად რჩება განსაზღვრული ვადით სამუშაოდ წასვლა – ასეთთა წილი წასვლის მსურველთა შორის 2/3-ზე მეტს აქვს. ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ საქართველომ სამუდამოდ ან ხანგრძლივი დროით დაკარგა მოსახლეობის 1/5, რის ძირითად მიზეზს ვხედავთ სწორედ ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაუცველობაში. უპირველეს ყოვლისა, საუბარია სიღარიბის პრობლემაზე. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ აღინიშნება არანაირი დადებითი დინამიკა სიღარიბის დონის, სიღრმისა და სიმწვავის შემცირების თვალსაზრისით, რაც მოსახლეობაში უიმედობის გრძნობას ბადებს და სამშობლოდან სამუდამოდ ან/და დროებით (უკეთესობის მოლოდინში) წასვლისკენ უბიძგებს.

ამ პროცესების შესაჩერებლად საუკეთესო გზა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რაც ცალსახად დამოკიდებულია სახელმწიფოს სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელსაც შედეგად მოჰყვება სამეწარმეო გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც უკვე თავისთავად დასაქმების პრობლემის მოხსნის აუცილებელი პირობის შექმნის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

რაც შეეხება სიღარიბის პრობლემას, ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის მასშტაბურმა ზრდამ გაამწვავა აღნიშნული პრობლემაც.

სიღარიბისა და უთანაბრობის უარყოფითი ხასიათის შესახებ საზოგადოება საკმაოდ კარგადაა ინფორმირებული. სიღარიბის ცნება თავისი შინაარსით ფარდობითია და მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონით. სიღარიბის პრობლემის შესწავლის ძირითად ამოცანას მოსახლეობის კეთილდღეობის შესწავლა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სიღარიბის შესწავლა ხდება მოსახლეობის მოხმარების დონის წინასწარ განსაზღვრული კეთილდღეობის გარკვეულ დონესთან შედარებით.

ცხოვრების დონის ერთ-ერთ ინდიკატორს სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა და მასში სურსათის წილის მოცულობა წარმოადგენს. ამ მხრივ მოხმარების სტრუქტურა საქართველოში არცთუ სახარბიელოა, ვინაიდან სასურსათო ხარჯები (ფულადი ხარჯები და საკუთარი წარმოების კვების პროდუქტების მოხმარება ერთად) საშუალოდ მთლიანი მოხმარების 60 პროცენტის დონეზეა. ქალაქში, სოფელთან შედარებით, ასეთი ხარჯების ხვედრითი წილი რამდენადმე მაღალია, რაც ერთის მხრივ, გამოწვეულია სოფლად ფულადი რესურსების დეფიციტით, ხოლო მეორეს მხრივ, ქალაქად გარკვეული ტიპის არასასურსათო ხარჯების აუცილებლობით.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მთლიანი ხარჯები (არასამომხმარებლო ხარჯების ჩათვლით) თვეში საშუალოდ 84,4 ლარს შეადგენს (შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ეკვივალენტურ ერთ სულზე გადაანგარიშებით – 32,6 ლარი), რაც 3,4-ჯერ ნაკლებია ზღვარს ზემოთ მყოფებთან შედარებით. დარიბები 11-ჯერ ნაკლები თანხების გამოყოფას ახერხებენ განათლებასა და ტრანსპორტზე, 4-6-ჯერ ნაკლებს ჯანმრთელობის დაცვაზე, სათბობზე, ტანსაცმელსა და სხვა ტიპის

დანახარჯებზე. შინამეურნეობის ბიუჯეტის ფორმირება ხდება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით. ესენია: მიწა, ხელფასი, თვითდასაქმება, ტრანსფერტები, ნათესაური კავშირები, განუცხადებელი ნაღდი ფული. ზემოაღნიშნულ წყაროებს თავისი გარკვეული როლი და მნიშვნელობა აქვს, თუმცა არც ერთი მათგანი სტაბილური და საიმედო არ არის.

ბოლო ათწლეულში განვითარებული მოვლენების შედეგად ხელფასის, როგორც შემოსავლის ძირითადი წყაროს როლი, უმნიშვნელო გახდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ქრონიკულ გაუცემლობაზე.

თვითდასაქმებულთა შორის ორი ძირითადი ჯგუფია – საკუთარ მიწაზე და არასასოფლო დარგში დასაქმებულნი. პირველ ჯგუფში შედის თვითდასაქმებულთა 80-85%, მისგან მიღებული შემოსავალი ნატურალურია. რაც შეეხება თვითდასაქმების მეორე ჯგუფს – არასასოფლო დარგს, მათი როლი შემოსავლებში განსაკუთრებული მნიშვნელობით არ გამოირჩევა. სახელმწიფო ტრანსფერტები თავისი მოცულობით უმნიშვნელოა, მაგრამ საკმაო როლს ასრულებს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ბიუჯეტის ფორმირებაში. საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მეზობლური, ნათესაური, მეგობრული ურთიერთდახმარების ტრადიცია, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიღარიბესთან მიმართებაში. ამ ტრადიციის შედეგია ის, რომ ღარიბთა შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს კერძო ტრანსფერტებს, როგორც ფულადი, ასევე ნატურის სახით. განუცხადებელი შემოსავლები ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გასაზომია. ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიღარიბის პრობლემა საქართველოში მწვავედ დგას და მის დაძლევას დღევანდელი ტემპით საკმაო დრო დასჭირდება.

მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარზე ქვემოთ იმყოფება. 13-15% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მოსახლეობის მესამედს წლის მანძილზე ერთხელ მაინც მოუწია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ყოფნა (იგულისხმება დღეს მოქმედი საარსებო მინიმუმი). ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი სიღარიბის ზღვარზეა.

საგადასახადო და მოსახლეობის ფულადი შემოსავლები

როგორც ცნობილია, საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს. იმაზე, თუ როგორ სრულდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, დამოკიდებულია საბიუჯეტო სექტორის დაფინანსება, სოციალური სფეროს უზრუნველყოფა და სხვ. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა ადეკვატური დაცვა. არადა, ამ მაჩვენებელთან მიმართებაში მდგომარეობა არასახარბიელოა: ნაერთი ბიუჯეტის 2002 წლის პირველი ნახევრის საგადასახადო შემოსავლებმა ამავე პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 14,2% შეადგინა (2001 წლის პირველ ნახევარში – 14,3%). წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით, სახეზეა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც რეგრესი. 2000-2002 წლებში გადასახადების ამოღების მიღწეული დონე მეტად დაბალია და იგი არსებითად ჩამორჩება არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმრავლესობის დონეს. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, ეს მდგომარეობა ძირითადად საქართველოს ეკონომიკაში აღურიცხავი ეკონომიკური საქმიანობის დიდი წილით აიხსნება. გარდა

ამისა, საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულების 40%-მდე შინამეურნეობების სექტორის არაფორმალური წარმოების წილად მოდის. ეს ფაქტორი კი საგრძნობლად ავიწროებს საგადასახადო დაბეგვრის ბაზას.

გარდა ამისა, ჯერჯერობით არ არის მიღწეული საბიუჯეტო პროცესის სათანადო ეფექტიანობა, გამჭირვალობა და რესურსების სამართლიანი გადანაწილება. ამავე პერიოდში ვერ იქნა მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებები სახელმწიფო ფინანსების განმტკიცების საქმეში; კვლავ დაბალია ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

2001 წელს საქართველო აღმოჩნდა საგარეო ვალების მომსახურებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი თანხების გადახდის აუცილებლობის წინაშე, რაც ართულებდა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას. მხოლოდ 2001 წელს ვალების მომსახურების მიზნით უნდა მიმართულიყო 200 მლნ ამერიკული დოლარი, ხოლო 2002 წელს – 235 მლნ, „პარიზის კლუბის" ფარგლებში საგარეო კრედიტორებთან შეთანხმების შესაბამისად.

საგარეო ვალები რესტრუქტურიზებულია 20 წლის ვადით. ამასთან, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება 4%-ის დონეზე. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს საბიუჯეტო სახსრები ქვეყნის ეკონომიკურ გაანგარიშებაზე მიმართული ღონისძიებებისა და რეფორმების შემდგომი გაგრძელების დაფინანსებისათვის, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს არსებული სოციალური მდგომარეობის ოდნავ მაინც გაუმჯობესებას.

ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად მოქმედებს და განსაზღვრავს მოსახლეობის ფულად შემოსავლებს. ეს აქსიომაა. მაგრამ აქ მინდა შევეხო მათ სამართლიან პრეტენზიებს შემნახველ სალაროებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის საკითხზე, რომელმაც სერიოზულად იმოქმედა მოსახლეობის ფულად შემოსავლებზე. ამ პრობლემაზე არაერთი საჩივარი იყო შემოსული აპარატში, რომელთა შესწავლამაც ცხადყო, რომ ეს საკითხი კიდევ კარგა ხანს იჩენს თავს. თითქმის ასეთი სახისაა პრობლემა, რომელიც ეხება გაკოტრებული კომპანიებისა და ბანკების მიერ მოსახლეობისაგან თანხების მოზიდვასა და მათ დაუბრუნებლობას. ძალზე სუსტი მუშაობა გასწია ამ მხრივ სახელმწიფომ, რომელმაც, ფაქტობრივად, ვერ უზრუნველყო ვერც დაზარალებულ მეანაბრეთა ფულადი სახსრების ანაზღაურების ეფექტიანი გზის გამოძებნა, ვერც სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რის გამოც არსებული პრობლემები ჯერ კიდევ გადაუჭრელია და, როგორც ჩანს, მისი გადაწყვეტის რეალური გზები ვერც უახლოეს მომავალში გამოიძებნება.

ექვსი თვის შედეგებზე აგებულ მოხსენებაში საკმაოდ რთულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ყოვლისმომცველი სურათის შექმნა. სახალხო დამცველმა შეგნებულად გაამახვილა ყურადღება ნეგატიურ ასპექტებზე, რადგან სწორედ ეს არის მისი ყურადღების ძირითადი ობიექტი და სწორედ ამ დარღვევების გამოსწორება უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის პრიორიტეტულ ამოცანას და უპირველეს საზრუნავს.

სახალხო დამცველს არა აქვს და ვერც ექნება მზა რეცეპტი აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ერთი კი ცხადია – მოცემული სიტუაცია წარმოადგენს ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა სფეროში არსებული დარღვევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს.

შრომის ბაზარი, უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემა

სიდარიბეზე ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მოქმედ ფაქტორთა რიცხვს უმუშევრობა, ანუ დასაქმების პრობლემა განეკუთვნება.

შრომის ბაზარი საქართველოში არაორგანიზებული ხასიათისაა, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული ცვლილებებითა და, მეორე მხრივ, ამ სფეროს რეგულირების არასრულყოფილი მექანიზმებით.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფილია დასაქმების ორი ძირითადი სტატუსი: დაქირავებული მომუშავე და თვითდასაქმებული.

ეკონომიკის განუვითარებლობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა ორჯერ ჩამორჩება თვითდასაქმებულებს და ამ მონაცემებს შემცირების ტენდენცია გააჩნია.

საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებულთა 98% საკუთარ მეურნეობაში, საწარმოში ან კერძო საქმეში ოჯახის წევრებთან ერთად არიან თვითდასაქმებულნი, მათგან – 80%-ზე მეტი სოფლად. წლიდან წლამდე მცირდება სამუშაოს მიმცემ (დამქირავებელ) მეწარმეთა რაოდენობა, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენა, რაც საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის ნაკლებად ხელსაყრელ პირობებზე მიუთითებს.

2001 წლის მონაცემებით (ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაცია), უმუშევართა საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 235,6 ათას კაცს, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 11,1%-ს. აბსოლუტურ ციფრებში და პროცენტულად უმუშევარ მამაკაცთა რიცხვი აღემატება სამუშაოს არმქონე ქალთა რაოდენობას.

ამავე დროს, დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხოვნობა უმუშევართა საერთო რაოდენობის მხოლოდ 12%-ს შეადგენს. ჩემი აზრით, ეს მეტყველებს იმაზე, რომ უმუშევართა უმეტესობას სახელმწიფოს დახმარების არანაირი იმედი არა აქვს. უმუშევრები ცდილობენ საკუთარი ძალებით იშოვონ სამსახური ან მიმართავენ დასაქმების კერძო სტრუქტურებს. სახალხო დამცველის აზრით, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო თითქმის ვერაფრით ეხმარება უმუშევარს, მან უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დასაქმების კერძო სტრუქტურების საქმიანობა სამართლებრივ ჩარჩოებში ხორციელდებოდეს. 2001 წელს პარლამენტის მიერ მიღებულია ახალი კანონი „დასაქმების შესახებ", ხოლო 2002 წლის იანვარში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცდა დებულება „დასაქმების კერძო სააგენტოების სავალდებულო შეტყობინების შესახებ".

ვუბრუნდები რა სახელმწიფო სამსახურებში რეგისტრირებულ უმუშევართა საკითხს, აღვნიშნავ, რომ 2002 წლის იანვარ-ივნისში მათი რაოდენობა გაიზარდა 1640-დან 29779-მდე. უმუშევართა 64,8%-ს აქვს უმაღლესი ან პროფესიულ-ტექნიკური განათლება; ბოლო სამუშაო ადგილის მიხედვით, 51,1% სპეციალისტი იყო. კვლავინდებურად, უმუშევრობა, უმეტეს წილად, სპეციალისტების პრობლემად რჩება.

2002 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობა წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით თითქმის 23%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, აბსოლუტურ ციფრებში მათი რიცხვი არ აღემატება 1390-ს, ე. ი. ერთ ვაკანტურ ადგილზე მოდის 20 პრეტენდენტი. ცხადია, რომ უმუშევართა შრომითი მოწყობის

შანსი საკმაოდ მცირეა. ამას სტატისტიკაც ადასტურებს. კერძოდ, 2002 წლის იანვარ-ივნისში დასაქმების სამსახურების მეშვეობით დასაქმებულთა რიცხვი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 44,4%-ით შემცირდა და 2493 კაცი შეადგინა. დასაქმებულთა შორის მხოლოდ 38,6% ქალია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სახელმწიფო არ, ან ვერ ასრულებს თავის კონსტიტუციურ ვალდებულებას, რომელიც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში" (მუხლი 32). საქმე გვაქვს შრომის უფლების არსებით დარღვევასთან. ზოგადი შეფასებით კი აღინიშნება პირდაპირი კავშირი დასაქმების დონესა და სხვა ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის დონეს შორის. ეს ნიშნავს იმას, რომ შრომის უფლების შელახვა იწვევს ეროგვარ ჯაჭვურ რეაქციას, ამ ჯგუფის სხვა უფლებებზე ნეგატიური ზეგავლენის თვალსაზრისით.

სახელმწიფო მოსამსახურეთა დარღვეული შრომითი უფლებების შესახებ

ქ. თბილისის საგადასახადო უწყებაში 2000 წელს ჩატარებული რეფორმის შედეგად მრავალი საგადასახადო მოხელის შრომითი უფლებები აშკარად რომ დაირღვა, ამ საკითხს ჩვენს წინა საპარლამენტო ანგარიშშიც განსაკუთრებული ადგილი დაეთმო და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის უფლებამოსილების ფარგლებში მოვითხოვე საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსა და საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისაგან კანონიერების აღდგენა. თუმცა, მათ მიერ კეთილი ნება არ იქნა გამოვლენილი, რის გამოც სათანადო ანალიზის საფუძველზე მივმართე საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ე. შევარდნაძეს განეხილა მინისტრის ლ. ძნელაძისა და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის ლ. ჩრდილელის დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი. საკადრო პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ორი წლის შემდეგ, სისტემის უწყებაში დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ ი. ზაუტაშვილის მიერ და ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2001 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული საგადასახადო მოხელეთა უმრავლესობა ხელშეკრულების ფორმით დასაქმდა თბილისის საოლქო საგადასახადო ინსპექციებში. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯები სამართლიანობის აღსადგენად და მომავალშიც გაგრძელდება მუშაობა, რადგან რეზერვში მყოფ მოხელეთა რიცხვი დიდია.

იმდენად, რამდენადაც საგადასახადო სისტემაში რეფორმის ჩატარების დღიდან მუდმივად ვარ ჩართული საგადასახადო მოხელეთა დარღვეული უფლებების აღდგენის საქმეში, ამიტომ კარგად ვიცი, სად, რომელ რგოლში ირღვეოდა მოხელეთა შრომითი უფლებები, ვის რა წვლილი მიუძღვის ამ საქმეში და ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს ღიად და საჯაროდ. ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენთან შემოსული განცხადება-საჩივრების უმეტესი ნაწილი მოდის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მისამართით და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამ რაიონის გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული თბილისის საბიუჯეტო შემოსავლების დავალების შესრულება. რეფორმის ჩატარებიდან თითქმის ორი წლის განმავლობაში მოცემულ რაიონში მრავალი ხელმძღვანელი კადრი შეიცვალა. კერძოდ, რაიონის ინსპექციის ხელმძღვანელად ჯერ დაინიშნა თ. ცირეკიძე, შემდეგ თ. კალმახელიძე, იგი შეცვალა

თ. ყურაშვილმა, ხოლო ა/წლის თებერვლიდან მუშაობს ზ. მელქაძე და მთელი ამ ხნის მანძილზე კანონიერების დარღვევას ისეთი მასობრივი ხასიათი არ ჰქონია, როგორიც შეინიშნება ზ. მელქაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, რადგან მის მიერ გამოიცა არაერთი იურიდიულად დაუსაბუთებელი ბრძანება. არ არის გათვალისწინებული არც საქმის არსი და არც ადამიანების ბედი. კერძოდ, კანონდარღვევით გათავისუფლდნენ: გიორგი იაშვილი, ნინო ალავიძე, დიმიტრი კვერღელიძე, ლევან ბერიძე, ბესიკ მელაძე, ავთანდილ ლეჟავა, მერაბ მიქელაძე, ბესიკ ნოზაძე და გულო ჩიბუხაშვილი, რომლებიც 2000 წლის 21 აგვისტოს როგორც კონკურსში გამარჯვებულები, მუშაობდნენ დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის აკრეფის განყოფილებაში საგადასახადო ინსპექტორებად და ახორციელებდნენ სამსახურებრივ მოვალეობებს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2001 წლის 27 ივნისის №546 ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად. მათ შორის, კანონდარღვევით გამოცემული ბრძანებები დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს 2002 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 2/848) გაუქმებულ იქნა და დასახელებული ყველა მოხელე დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი, რაც ინსპექციის 2002 წლის 7 მაისის ბრძანებით აღსრულებულ იქნა. თუმცა, 14 მაისს ზ. მელქაძის ბრძანებით მათ კვლავ შეუწყდათ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება ისე, რომ მოკვლევა არ იყო ჩატარებული, რომელსაც დღესაც აწარმოებს გენერალური ინსპექცია.

ზ. მელქაძის კანონისადმი გულგრილი დამოკიდებულება ასევე ნათლად იკვეთება დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექტორების: ქ-ნ ჟ. ფხაკაძისა და ბატონ ბ. წაქაძის მიმართ გატარებული ღონისძიებითაც. ქ-ნ ჟ. ფხაკაძე 2002 წლის 11 თებერვლის ბრძანებით დაინიშნა გადასახადების აკრეფის განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე და თანამდებობრივი სარგო განესაზღვრა დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. ე. ი. იგი დაინიშნა შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებით, ანუ განუსაზღვრელი ვადით. მიუხედავად ამისა, ზ. მელქაძის 2002 წლის 7 მაისის ბრძანებით ჟ. ფხაკაძე და ბ. წაქაძე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, მათი შრომის დავის საკითხი ამჟამად იხილება დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში და დარწმუნებული ვარ, მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს იმ დასკვნის საფუძველს, რომ საგადასახადო ინსპექციაში კანონიერების დაცვა უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია. ჩემი აზრით, ეს ხდება იმიტომ, რომ უწყებაში მოშლილია კოლექტიური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი და იმიტომაც, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობენ ისეთი პირები, რომელთაც არ სურთ სამართლიანობის დაცვა და არც სათანადო კვალიფიკაცია ჰყოფნით ამისათვის. მაგალითად, ინსპექციის უფროსის ერთ-ერთი მოადგილის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად მუშაობს დ. ტოპეშაშვილი, რომელსაც საატესტაციო საკვალიფიკაციო ტესტირება არც კი გაუვლია, ხოლო მეორე მოადგილედ კ. ბერაძე, რომელიც მანამდე მუშაობდა მსხვილგადამხდელთა ინსპექციაში, იყო არაწარმატებული კადრი და მის დაბალ კვალიფიკაციაზე იტყობინებოდა თავად ყოფილი მინისტრი ლ. ძნელაძე, თუმცა მაინც დაინიშნა. კადრების ასეთი შერჩევა შეიმჩნევა სხვა საგადასახადო ინსპექციებშიც და შეიძლება ამითაც იყოს განპირობებული საბიუჯეტო დავალებების შესრულების არასასურველი მდგომარეობა, საგადასახადო შემოსავლების თანხების შემობრუნების, ე. წ. „პრაკრუტკების“ ოპერაციები, გადამხდელთა პირად ბარათებზე ზედმეტად დარიცხული თანხები, გადამხდელების სხვადასხვა საგადასახადო ინსპექციებში თანხების გადატანა-გადმოტანა, ისე რომ არ ხდება საგადასახადო ბაზის ცვლილებების ანალიზი და შესაბამისი საგეგმო მაჩვენებლების კორექტირება. ასე მაგალითად, დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ 2002 წლის იანვარში სოციალური ფონდებიდან და ტერიტორიული ერთეულების

ბიუჯეტიდან საბანკო არხების მეშვეობით მოთხოვნილია და უკანონოდ (უნაშთოდ) ცენტრალურ ბიუჯეტშია გადატანილი, შესაბამისად, 72 ათასი და 280 ათასი ლარი, რითაც ხელოვნურად არის გაზრდილი ცენტრალური ბიუჯეტის საგეგმო პარამეტრების შესრულების მაჩვენებელი. ეს საკითხები სიღრმისეულად არის გაშუქებული საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2002 წლის 6 ივნისის №12/1 დადგენილებით და ჩაითვალა, რომ საგადასახადო უწყებაში გამოიკვეთა ისეთი უარყოფითი ტენდენცია, როგორიცაა: საბიუჯეტო პარამეტრების ფიქტიური შესრულება, ბიუჯეტის საკასო შეუვსებლობა – განსაკუთრებით სოციალური ფონდების ნაწილში, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის თანხების არასწორი გამიჯვნა და ა. შ. შექმნილი მდგომარეობის გამო მოტივირებული დასკვნა ჩემს მიერ ეცნობა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ ი. ზაუტაშვილს დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექციის ხელმძღვანელთა დაკავებულ თანამდებობაზე მიზანშეუწონილობის საკითხთან დაკავშირებით და იმედს გამოვთქვამ, კანონის მოთხოვნები დაცული იქნება.

წინა საპარლამენტო ანგარიშის მოსმენისას პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონ ა. აბრალავამ მოითხოვა განმარტება, თუ რატომ ირღვევა ქ-ნ ლუდმილა კვეკვესკირის შრომითი უფლებები. საქმის შესწავლით დასტურდება, რომ კვლავ ადგილი აქვს ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან კანონიერების იგნორირებას. ლუდმილა კვეკვესკირი სპეციალობით არის საფინანსო დარგის მუშაკი და იურისტი, საგადასახადო უწყების შექმნის დღიდან მუშაობდა ამ სფეროში, იყო თბილისის საგადასახადო ინსპექციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი. მან 2000 წლის აგვისტოში მიიღო მონაწილეობა საკვალიფიკაციო გამოცდაზე. მაგრამ ვინაიდან რეფორმა ჩატარდა დარღვევით, მრავალმა საგადასახადო მოხელემ და, მათ შორის, ლ. კვეკვესკირმაც, სარჩელით მიმართა სასამართლოს და ვაკე-საბურთალოს 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით მათ წარმატებულად ჩაეთვალათ პირველი ტურის შედეგები და უფლება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ გასაუბრების მეორე ტურში. საბოლოოდ, ქ-ნ ლ. კვეკვესკირს მთელს საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გააჩნია, სამინისტრო და დეპარტამენტი დადებითად ახასიათებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მან კანონიერად მოითხოვა დანიშნულიყო იმ თანამდებობაზე, რომელზეც კონკურსის წესით აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ მინისტრის ყოფილმა პირველმა მოადგილემ ლ. მუმლაძემ ლ. კვეკვესკირს შესთავაზა დროებით ემუშავა დიდუბე-ჩუღურეთის ინსპექციაში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე, ხოლო ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობის გამოთავისუფლების შემთხვევაში, განიხილებოდა მისი პერსონალური საკითხი. თუმცა, ამ დაპირების მიუხედავად, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაშიც არ ყოფილა მისი კანდიდატურა განხილული. ამის თაობაზე არსებობს ფრაქცია „XXI საუკუნის“ თავმჯდომარის, ბატონ ვ. ბოჭორიშვილის შუამდგომლობა, ასევე ჩვენი წინადადებაც, მაგრამ დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ლ. ჩრდილელს საერთოდ არ განუხილავს ეს მოთხოვნა. უფრო მეტიც, ვაკე-საბურთალოს 2001 წლის 5 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, რომლითაც სამინისტროს დაევალა მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა განეხორციელებინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 77-ე მუხლისა და სამინისტროს შიდა ნორმატიული აქტის შესაბამისად, არც ეს იქნა გათვალისწინებული. დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელთან, ბატონ ი. ზაუტაშვილთან ჩვენი შეხვედრის დროს სხვა საკითხებთან ერთად, ქ-ნ ლ. კვეკვესკირის შრომით უფლებებზეც გამახვილდა ყურადღება. მისი განმარტებით, ლ. კვეკვესკირი წარმატებული, მაღალი კვალიფიკაციის მუშაკია და პრინციპულ პიროვნებად ხასიათდება. მიუხედავად ამისა, მისი დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი დღემდე განუხილველია.

როგორც ხედავთ, თითქმის ორი წელი დაგვჭირდა მიგვეღწია მცირედი შედეგისათვის და ეს ხდება იმიტომ, რომ კანონის დარღვევისათვის ჯერჯერობით პრინციპულად არავის მოეთხოვა პასუხი.

დარღვეული შრომითი უფლებების შესახებ კიდევ ერთ მაგალითზე შევჩერდები. საქმე ეხება იმას, თუ როგორ იცავს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ქ-ნ ქეთევან ადამიას შრომით უფლებებს. ქალბატონი ქეთევან ადამია სამინისტროს 2002 წლის 14 მარტის №39 ბრძანებით ჩარიცხულია საკადრო რეზერვში, თუმცა „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 30-ე მუხლის თანახმად, ნამდვილად შეიძლებოდა მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის ვაკანტურ თანამდებობაზე მისი უკონკურსოდ დანიშვნა. მიუხედავად ამისა, სამინისტროში გადაწყდა ჩატარებულიყო ატესტაცია და რეზერვში მყოფ პირთა მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომხდარიყო ოპტიმალური კანდიდატურის შერჩევა და ამაში მიუღებელი არაფერია. მაგრამ მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის 13 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული ვაკანსიის შესახებ, ქ-ნ ქ. ადამიამ მონაწილეობა მიიღო შესარჩევ საკონკურსო ტურში და როგორც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმიდან ირკვევა, დადებითი შეფასება დაიმსახურა, თუმცა მისი დასაქმების პერსონალური საკითხი არც კი განხილულა. ამასთანავე, როგორც ოქმიდან ირკვევა, წარმოდგენილ კანდიდატთაგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭების შეუძლებლობის გამო, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად. არადა, „საჯარო სამსახურის შესახებ" ორგანული კანონის 36-ე მუხლით კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განაცხადი; აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ საკონკურსო-საატესტაციო კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატის წამოყენებაზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მოთხოვნა დარღვეულია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამიტომ ვითვალისწინებდით რა ქალბატონ ქ. ადამიას საკვალიფიკაციო მონაცემებს, რომელიც 1992-1998 წლებში იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა და, მათ შორის, მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოში კონსულტანტად, მრჩევლად, არის დარგის კარგი სპეციალისტი და ეს დასტურდება საკვალიფიკაციო შედეგებით, წინადადების სახით ვთხოვე ბატონ რ. გილიგაშვილს, ქ. ადამია დაესაქმებინა იმ თანამდებობაზე, რაზედაც საკვალიფიკაციო გამოცდის დროს შეტანილი ჰქონდა განაცხადი.

ცხოვრების დონე, ხელფასი, პენსიები და ფასები

ცხოვრების დონის დინამიკა ნათლად ჩანს შემდეგი ცხრილიდან, რომელშიც ასახულია საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი 2002 წლის ივნისში 2001 წლის ივნისთან შედარებით:

(ლარი)

ოჯახის სულადობა	ერთსულიანი	ორსულიანი	სამსულიანი	ოთხსულიანი	ხუთსულიანი
ივნისი 2001	104,5	167,3	188,2	209,1	235,2
ივნისი 2002	110,0	176,0	198,0	220,0	247,2

როგორც ჩანს, ყველა ტიპის ოჯახისათვის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი გაიზარდა. ამავე დროს, მინიმალური ხელფასის მაჩვენებელი უცვლელი დარჩა და შეადგენს ნორმატიული მინიმალური ხელფასის (რომელიც ყველა სხვა შემოსავალთან ერთად უზრუნველყოფდა საარსებო მინიმუმის დონეზე 4-სულიანი ოჯახის ბიუჯეტის არადეფიციტურობას) მხოლოდ 40%-ს. 1998 წლიდან, ინფლაციის მიუხედავად, საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ გაზრდილა ხელფასები, პირიქით, ყოფილი ფინანსთა მინისტრის ინიციატივით 2000 წლიდან გაუქმებულია მატერიალური დახმარების და პრემიალური ფონდები, რომელთა ჯამი შეადგენს საჯარო მოსამსახურის ხუთი თვის სარგოს. არ არის გადაწყვეტილი დაუბეგრავი ხელფასის მინიმუმის საკითხი (1995 წლიდან შეადგენს 9 ლარს), როცა მინიმალური ხელფასი შეადგენს 20 ლარს და ისიც იბეგრება. ზემოაღნიშნულის გამო, მოსახლეობა ჩაყენებულია არაადეკვატურ მდგომარეობაში. ამ სიტუაციაში ხელფასი კარგავს თავის ძირითად მასტიმულირებელ ფუნქციას და ერთგვარ სოციალურ დახმარებად გადაიქცა, რომელიც არ არის დაკავშირებული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან. ეს აბსოლუტურად დაუშვებელია და, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხშირად სიღარიბის ზღვარს მიღმა მოხვედრას განაპირობებს, ასაკია. დასაქმების ასაკობრივი სტრუქტურა საქართველოში საკმაოდ არასტანდარტულია.

მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში საპენსიო ასაკის მოსახლეობა ძირითადად ეკონომიკურად არააქტიურია. ესე იგი, ამ ასაკის მოსახლეობა არ მუშაობს და არც ეძებს სამუშაოს, ვინაიდან მათ უკვე საკმარისად იმუშავეს და დასვენებიც უფლებაც აქვთ. საქართველოში კი მდგომარეობა განსხვავებულია. დასაქმების დონე ყველაზე მაღალი სწორედ საპენსიო ასაკის მოსახლეობაშია და ეს განსაკუთრებით სოფლად გვხვდება.

სიღარიბით ყველაზე მეტად მოცულ ფენას მარტოხელა პენსიონერები და ის ოჯახები განეკუთვნებიან, რომლებიც მხოლოდ არაშრომისუნარიანი ასაკის წევრებისაგან შედგება.

საქართველოში არსებული სახელმწიფო საპენსიო სისტემის მდგომარეობა ერთ-ერთი უმძიმესია პოსტ-სოციალისტურ სივრცეში, რაც ეკონომიკური პროცესების ასახვას წარმოადგენს და სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროში 90-იანი წლების დასაწყისიდან მიმდინარე მოვლენების შედეგია:

- წარმოებული პროდუქტის ოდენობის მკვეთრი ვარდნა დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების შემცირების გამო;
- ეკონომიკის არაფორმალური სექტორის სწრაფი ზრდა; ფისკალური დისციპლინისა და საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადების ამოღების დაბალი დონე;
- სახელმწიფოს მიერ მომსახურებათა გაწევის უნარის სისუსტე.

შედეგები საპენსიო სისტემისათვის კატასტროფული აღმოჩნდა: გადასახადების რეალურად გადამხდელთა რაოდენობა ბევრად უფრო შემცირდა პენსიის მიმღებთა რაოდენობასთან შედარებით, რის გამოც საპენსიო სისტემის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (დასაქმებულთა შეფარდება პენსიონერებთან) 80-იანი წლების დასასრულს არსებული 2.8-დან დღეისათვის 0.8-მდე დაეცა. ხელფასები შემცირდა და მათი გადახდა დაგვიანებით ხდება. გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. აღნიშნულის შედეგად ხელფასის იმ ფონდის მოცულობა, საიდანაც გადასახადების ფაქტიური გადახდა ხდება (დაბეგრილი ხელფასების წილი) 2000 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტის ტოლი აღმოჩნდა, რამაც საპენსიო სისტემაში მწვავე საშემოსავლო კრიზისი გამოიწვია, შედეგად კი – საპენსიო დავალიანებები გაიზარდა.

1999 წლისათვის ქვეყანაში იყო 950.000 პენსიონერი, რაც შეადგენდა მოსახლეობის ოფიციალური რაოდენობის 19 პროცენტს. საპენსიო დავალიანებებმა 2000 წლისათვის შეადგინა დაახლოებით 100 მლნ. ლარი, რაც დაახლოებით 7 თვის გაუცემელი პენსიების ტოლია.

2001 წლის ბოლოსათვის ირიცხებოდა 896,0 ათასი პენსიონერი, ანუ ქვეყნის სახეზე მყოფი მოსახლეობის 20,3%, ხოლო მათ მიმართ დავალიანება განისაზღვრება 90 მლნ ლარით. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე პენსიონერთა რაოდენობა სულ უფრო მცირდება. 1997 წლიდან მათი რიცხვი შემცირდა 83,4 ათასი კაცით, ხოლო 1999 წელთან შედარებით – 27,7 ათასი კაცით.

გადამხდელთა რიცხვის შემცირებასთან ერთად შემცირდა დასაბეგრი ხელფასის ოდენობაც. ამ ორი ფაქტორის კომბინაციამ შეამცირა პენსიონერთათვის აუცილებელი დასაბეგრი ბაზა. როგორც წესი, ღარიბ ქვეყნებს ახასიათებთ დიდი არაფორმალური სექტორი და გადასახადების არასაკმარისი შეგროვება. საქართველო ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენს.

პენსიების დაფინანსება რთულდება იმითაც, რომ ასაკობრივი სტრუქტურით საქართველო უფრო ხანდაზმული ქვეყანაა შემოსავლის ანალოგიური დონის მქონე ქვეყნებთან შედარებით.

თუ განვიხილავთ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში საშუალო პენსიის ფარდობას ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალთან, საქართველო აქაც ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა. 1996 წელს საშუალო პენსიის ოდენობა შემოსავალთან ერთ სულ მოსახლეზე 12 პროცენტია. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება, თუ გავითვალისწინებთ სამომხმარებლო დანახარჯების რეალურ მაჩვენებლებს. 1997 წლის რეალური საბიუჯეტო მონაცემებით ეს მაჩვენებელი 8 პროცენტს შეადგენდა.

საპენსიო უზრუნველყოფაში მთავრობის ჩარევა, როგორც წესი, ძირითადად ორი მიზნით არის განპირობებული: 1. ხანდაზმულობის ასაკში სიღატაკის თავიდან აცილებით და 2. სიცოცხლის მთელი პერიოდის განმავლობაში მოხმარების დაახლოებით თანაბარი დონის შენარჩუნებით მკვეთრი ვარდნების გარეშე. საქართველოში დღეისათვის ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფო პენსია ვერ შეძლებს ვერც ერთი მიზნის მიღწევას.

საპენსიო სისტემის ფინანსური შესაძლებლობები და სიდიდე გაცილებით უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე ყოფილი სოციალისტური სამყაროს ქვეყნებში. სისტემა მეტად დაბალ პენსიებს არიგებს, განიცდის დეფიციტს მაღალი სოციალური გადასახადების მიუხედავად და უზრუნველყოფს შრომითი შემოსავლების მქონე მეტად მცირე ნაწილს. როგორც ზემოთ განვიხილეთ, დღეისათვის მას არ ძალუძს მიაღწიოს სახელმწიფო სისტემის ორ ძირითად მიზანს: შეზღუდოს სიღარიბე ხანდაზმული ასაკის მოსახლეობაში, ან უზრუნველყოს მოხმარება საპენსიო ასაკში. სახელმწიფოს მიზანია შექმნას ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ორივე მიზნის შესრულებას და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

რა თქმა უნდა, პენსიონერთა სოციალურ დაცვას საკმაოდ სერიოზული საბიუჯეტო თანხები სჭირდება. ეს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ მოხუცი პენსიონერისათვის დრო არ ითმენს, ბუნებრივი კლების პროცესის შეჩერება შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლად დასაჩქარებელია საპენსიო რეფორმის განხორციელება, დიფერენცირებული პენსიების შემოღება და მათი ოდენობის გაზრდის საკითხის გადაწყვეტა.

პენსიების მომატებასთან დაკავშირებით მივმართე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელმაც მაცნობა, რომ პენსიების მომატება დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ სახსრებთან და საჭიროა გამოიძებნოს მისი დაფინანსების წყარო, რაც დღეისათვის შეუძლებელია, რადგან სახელმწიფოს დასაფარი აქვს 90 მილიონი ლარი წინა წლების საპენსიო

დავალიანება და მის დაფარვამდე, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდება პენსიების მომატების საკითხის გადაწყვეტა.

ამასთანავე გვაცნობა, რომ სამინისტროს მიერ მომზადებულია და მთავრობაში განსახილველად წარდგენილია კანონპროექტი „სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ", რომლითაც აგრეთვე გათვალისწინებულია არსებული პენსიების ინდექსირება. ამ კანონპროექტის ამოქმედება განსაზღვრულია 2004 წლის 1 იანვრიდან. საჭიროა აღნიშნული კანონპროექტის საჯარო განხილვა, რათა შედეგად არ მივიღოთ ისეთივე „ეფექტი", როგორიც სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას მოჰყვა.

ფასების ზრდის ტენდენცია ელექტრომომარაგებაზე, გაზზე და წყალზე და სხვ. არ შეეფერება იმ სოციალურ ფონს, რომელიც ამჟამადაა საქართველოში.

2002 წლის იანვარ-ივნისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 103% შეადგინა, რაც თვეში საშუალოდ 0,49%-იანი ინფლაციის ტოლფასია. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია 2001 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით (0,15%). თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში (2002 წლის ივნისი 2001 წლის ივნისთან შედარებით) ფასების საერთო დონე გაიზარდა 5,5%-ით, მათ შორის სურსათზე – 7%-ით. შეგახსენებთ, რომ, სტატისტიკის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურაში სურსათს პირველი ადგილი უჭირავს და მის შეძენაზე დახარჯული თანხის ოდენობა სულ უფრო მატულობს.

ხანდაზმულ ადამიანთა სამედიცინო და სოციალური დახმარების მდგომარეობის შესახებ

თერაპიის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიკოს ნ. ყიფშიძის, საქართველოს გერონტოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრის, აკადემიკოს ირ. ჭუმბურიძის თხოვნით, ჩემს მიერ განხილულ იქნა, თუ რა ღონისძიება ტარდება საქართველოში ხანდაზმულთა და მოხუცთა ასაკის ადამიანთა სამედიცინო და სოციალური დახმარების მიზნით და ირკვევა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ფაქტობრივი მდგომარეობა რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს, მით უმეტეს, როცა ამ ადამიანთა რიცხვი შესამჩნევად იზრდება. 2000 წლის მონაცემებით, 60-74 წლოვანებას მიღწეულთა რიცხვმა 1,6 მილიონი შეადგინა, 70-89 წლის ასაკისა – 207,4 ათასი, ხოლო 90 წელზე ზევით – 25,6 ათასს გადააჭარბა. მათ შორის, ასაკოვან ქალთა რიცხვი საშუალოდ 60-70 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კატეგორიის ადამიანთა დიდი ნაწილი შეპყრობილია ქრონიკული პათოლოგიით, დაბალი ფსიქოფიზიკური და სოციალური აქტივობით და საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.

მართალია, საქართველოში არსებობდა და დღესაც არსებობს მრავალი გაფანტული და არაკოორდინირებული დაწესებულება თუ საზოგადოება, რომლებიც დაკავებულნი არიან მოხუცი ადამიანების პრობლემებით, მაგრამ მათზე ზრუნვის ეფექტი იმდენად დაბალი იყო, რომ სახელმწიფომ ჯანდაცვის სამინისტროს სახით, ივალდებულა შეექმნა გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამედიცინო-მეთოდური ცენტრი და იგი 1976 წლიდან ფუნქციონირებს თერაპიის ინსტიტუტის სტრუქტურულ შემადგენლობაში. აქ მუშავდება დაბერებისა და დღეგრძელობის დემოგრაფიის საკითხები, ტარდება უფროსი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ავადობისა და სიკვდილიანობის, ფსიქოლოგიური თავისებურებების მონიტორინული, მედიკამენტოზური პროფილაქტიკა და მკურნალობა, რაც დაკავშირებულია

ძირითადად გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრს გააჩნია რესპუბლიკაში ერთადერთი, 10-საწოლიანი გერიატრიული სტაციონარი. ამდენად, აღნიშნულ ცენტრს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მოხუცებულთა გამოკვლევისა და რეაბილიტაციის საქმეში. თუმცა, ამ მიზნის განხორციელებაში ცენტრს მრავალი პრობლემა გააჩნია. პირველ რიგში ის, რომ თერაპიის ინსტიტუტის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შემდეგ ცენტრი გადასულია თვითდაფინანსებაზე და პაციენტთა დღევანდელი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, შემოსავლები ძალზედ დაბალია, რაც უარყოფითად მოქმედებს ცენტრის გამართულ მუშაობაზე. ყოველივე ეს იწვევს კვალიფიციური სპეციალისტების გადინებას და მნიშვნელოვანწილად აფერხებს გერონტოლოგიის პრობლემების კვლევას. ეს დარგი არ შეიძლება ვითარდებოდეს მხოლოდ დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფისა და თანადგომის გარეშე. არც ის არის სიახლე, რომ სახელმწიფო ვალდებულია გააკონტროლოს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულება, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს სამედიცინო დახმარება და ეს მოთხოვნა კონსტიტუციური ნორმაა. ამასთანავე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტით, რომელსაც საქართველოც შეუერთდა, სახელმწიფომ ივალდებულა, უპირველეს ყოვლისა, თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ჯგუფების მიხედვით; გამოიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა ჯანმრთელობის დარგში, განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები და ამ მიზნისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოს თანხის ის რაოდენობა, რომელიც ეფექტიანს გახდის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას. თუ ამ მოთხოვნათა კრიტერიუმებით გადავხედავთ გერონტოლოგიისა და გერიატრიის ცენტრის ფაქტიურ ფუნქციონირებას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მეცნიერული და პრაქტიკული გერონტოლოგიის არსებობა და განვითარება შეუთავსებელია თერაპიის ეროვნული ცენტრის, როგორც სააქციო საზოგადოების პრინციპთან, მით უმეტეს, დღევანდელი სოციალური სიდუხჭირის პირობებში. ეს საკითხი სახელმწიფო უზრუნველყოფის გზით არის გადაწყვეტილი ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებსა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. საქართველოს გერონტოლოგიის ცენტრის სპეციალისტების დასაბუთებული გაანგარიშებით, თუ უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის აუცილებელი ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-პრაქტიკული ქვედანაყოფი გამოეყოფა თერაპიის ეროვნულ ცენტრს და პაციენტთა კვება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და სამედიცინო მომსახურება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამისათვის თურმე საკმარისი ყოფილა საწყის ეტაპზე წელიწადში, არა უმეტეს 53,0 ათასი ლარით დაფინანსება, რომ სტაციონარ-ამბულატორული დახმარება გაეწიოს ათასზე მეტ მოხუცს, მაშინ როცა დღეისათვის მხოლოდ ერთეულებს ეწევათ ასეთი სახის დახმარება. ამასთანავე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ გერონტოლოგია შეტანილ იქნას ჯანდაცვის რეფორმის პრიორიტეტულ მიმართულებათა ჩამონათვალში. სახელმწიფოს ამის გაკეთება შეუძლია და ვალდებულია თავისი მოსახლეობის წინაშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით ვთხოვე სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ა. ჯორბენაძეს გადაეწყვიტა ცენტრის წინაშე არსებული პრობლემა. მან ეს საკითხი განიხილა და აიყვანა მკაცრ კონტროლზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (მინისტრის მოადგილე ვ. ჭეიშვილი) მაცნობა, რომ გერონტოლოგიასა და გერიატრიასთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებულ იქნება 2003 წლის სახელმწიფო პროგრამების ჭრილში.

პოლიტრეპრესირებულთა სოციალური დაცვის პრობლემათა შესახებ

კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულების სოციალური დაცვის შესახებ" მიღებულ იქნა 1997 წლის 12 დეკემბერს. მიუხედავად ამისა, პოლიტრეპრესირებულთა პრობლემები კვლავ მოუგვარებელია. კერძოდ, ეს ეხება გარდაცვლილ რეპრესირებულთა შვილებისათვის გაზრდილი პენსიის (45 ლარი) მიღებას, მათი ოჯახების ქონებრივი უფლებების აღდგენას, ფულად კომპენსაციას და ა. შ

სახალხო დამცველის აპარატს მჭიდრო კონტაქტი აქვს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულთა ოჯახებთან, მათ მიერ შექმნილ საზოგადოებრივ ორგანიზაცია „მემორიალის" წევრებთან, რომელთა განმარტებით და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთა შვილების რაოდენობა 18,0 ათასია. ისინი კანონიერად ითხოვენ გაზრდილი პენსიის მიღებას, რაც არ ხორციელდება. ამის კონკრეტული დასტურია თუნდაც სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული განყოფილების განმარტება, რომ პენსიის გადაანგარიშება პოლიტრეპრესირებულთა მემკვიდრეებზე კვლავ შეჩერებულია. ამიტომ საქმის დეტალური გარკვევის მიზნით, ა/წლის 22 თებერვალს ფინანსთა სამინისტროსაგან მოვითხოვე აეხსნა, თუ რომელი ნორმატიული აქტით შეიზღუდა პენსიის გადაანგარიშება. მათი განმარტებით კი, ეს შეჩერებულია „2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-13 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე. თუმცა, „ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" 2000 წლის 14 ივნისის კანონის მიხედვით, შეზღუდვები მოიხსნა 2002 წლის 1 იანვრიდან. უფრო მეტიც, სახელმწიფო ბიუჯეტის №7 დანართის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია 6480 ათასი ლარის გაცემა, ე. ი. ამ თანხით შესაძლებელია გაზრდილი პენსიის გაცემა არა მარტო პოლიტრეპრესირებულთათვის, არამედ გარდაცვლილთა მეუღლეების, მშობლებისა და იმ შვილებისათვის, რომლებიც ახლდნენ მშობლებს გადასახლების ადგილებში, მაგრამ მთლიანად ვერ ფარავს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა გარდაცვლილ რეპრესირებულთა შვილებისათვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ფინანსთა სამინისტრომ იზრუნოს მოცემული თანხის გაზრდისათვის იმ ოდენობით, რომ გარდაცვლილ რეპრესირებულთა შვილებს (ნაშვილებს) საშუალება ჰქონდეთ მიიღონ კუთვნილი პენსია – 45 ლარი. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტრო თუ არ აპირებდა რეპრესირებულთა შვილების გაზრდილი პენსიით უზრუნველყოფას, მაშინ ისევე, როგორც 1998, 1999, 2000 და 2001 წლებში, პარლამენტისათვის უნდა წარედგინა მოთხოვნა კანონის შესაბამისი პუნქტების შესრულების გადავადების შესახებ (თუმცა, თავისთავად, ამგვარი გადავადება უკვე მეხუთე წელია არღვევს აღნიშნული კატეგორიის პირთა უფლებებს), რაც არ გაუკეთებია და საკანონმდებლო აქტებში დამატებისა და შესწორების შესახებ არ არის შეტანილი შესწორება რეპრესირებულთა შვილების პენსიის ოდენობის შეზღუდვის თაობაზე. ამდენად, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულების სოციალური დაცვის შესახებ" 1997 წელს მიღებული კანონის მოთხოვნები ძალაში რჩება.

ამასთანავე, ფინანსთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირს, რომელიც იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილას, გადასახლებაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სპეციალურ დასახლებაში, გარდაცვლილი რეპრესირებულის შრომისუუნარო მეუღლეს, მშობელსა და შვილს (ნაშვილებს), მიუხედავად დასაქმებისა, მიეცემათ

ყოველთვიური პენსია სათანადო გადაანგარიშებით. მაგრამ „ბიუჯეტის შესახებ" კანონში ეს არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, ამ კანონის მე-13 მუხლის მეორე პუნქტი მოითხოვს: „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირთა პენსიის ოდენობა 2002 წელს განისაზღვროს ომის ინვალიდებისათვის დადგენილი პენსიის დონეზე ე. ი. 45 ლარის ოდენობით", ხოლო გარდაცვლილი რეპრესირებულის შრომისუუნარო მეუღლე, მშობელი, შვილი არც კი მოიაზრება, რაც წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის მე-12 პუნქტთან. არადა, ყველა პიროვნება თანასწორია კანონის წინაშე და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება საერთაშორისო პაქტებიდან გამომდინარე, მათ თანასწორ დაცვაზე. ამდენად, რეპრესირებულთა შვილებს (ნაშვილებს) სამართლიანად ეკუთვნით მიიღონ ის, რაც კანონით განსაზღვრულია. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით თხოვნით მივმართე ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ ე. შევარდნაძეს და საკითხი ელოდება გადაწყვეტას.

იძულებით ადგილნაცვალი პირები და პოსტ-კონფლიქტური ზონები საქართველოში

1990-1994 წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთში) სეპარატისტული ძალების მიერ ინსპირირებული შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად 300 ათასზე მეტმა ადამიანმა (ძირითადად ქართულმა მოსახლეობამ) იძულებით დატოვა საკუთარი სახლ-კარი და დროებით შეაფარა თავი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს. დღემდე ვერ მოხერხდა აღნიშნული კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარება, რის გამოც იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვის საკითხმა გრძელვადიანი პრობლემის სახე მიიღო და მძიმე ტვირთად აწევს ქვეყანას, ხოლო აღნიშნული ტერიტორიები დე-ფაქტო იმყოფებიან საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის მიღმა. მათ მართვას ახორციელებს სეპარატისტული რეჟიმები, რომელთა ლეგიტიმურობასაც არ ცნობს საერთაშორისო სამართლის არც ერთი სუბიექტი.

აღნიშნული კონფლიქტების შედეგად, უშუალოდ კონფლიქტების ზონებში და მეზობელ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა დაზარალდა. იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოს ყველა რეგიონში ცხოვრობენ, მაგრამ მათი დიდი ნაწილი კონცენტრირებულია სამეგრელოში, იმერეთსა და თბილისში. იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციისა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი შერჩევითი გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური მდგომარეობის ფონზე, კიდევ უფრო უარესი სურათია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის (ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კომპაქტურ ცენტრებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის):

– მათ მიერ შრომითი აქტივობიდან მიღებული საშუალო შემოსავალი უფრო დაბალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე;

– უმუშევრობის დონე იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ორჯერ მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე, ხოლო კომპაქტურ ცენტრებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის იგივე მაჩვენებელი – თითქმის 3-ჯერ;

– იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა შედარებით მაღალ მწარმოებლურ დარგებში არიან დასაქმებულნი;

– იძულებით გადაადგილებული პირების (განსაკუთრებით, კომპაქტურ ცენტრებში) საცხოვრებელი პირობები უარესია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში.

იძულებით გადაადგილებულ პირთა შემოსავლის ძირითად წყაროს დასაქმება და სამთავრობო დახმარება წარმოადგენს. უმნიშვნელო დამატებითი წყაროებია საზღვარგარეთ მომუშავე ოჯახის წევრების მიერ გადმორიცხული სახსრები, მოწეული საკვები, საჩუქრები ნათესავებისაგან და საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარება, როგორც ფულადი, ისე ნატურით. საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა თავისი მოცულობით ერთ-ერთი უდიდესთაგანია. 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროგრამაზე დანახარჯებმა 56 მილიონი ლარი, 1999 წელს – 51 მილიონი და 2000 წელს – 42,5 მილიონი ლარი შეადგინა. 2000 წლის მონაცემებით, იძულებით გადაადგილებული პირები მთავრობისაგან თვეში 12 ლარს იღებს, ხოლო საპენსიო ასაკს მიღწეულნი – დამატებით 13,4 ლარის ოდენობით პენსიას (ჩვეულებრივი პენსია 20%-იანი დანამატით). კომპაქტურ ცენტრებში იძულებით გადაადგილებულ პირებს საბაზისო 12 ლარიდან 5 ლარი ექვითებათ – 3 ლარი ელექტროობისათვის, 1 ლარი წყლისათვის და 1 ლარი სანიტარიული მიზნებისათვის.

იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტად რთულია. არსებული მდგომარეობიდან საბოლოო გამოსავალი ერთადერთი და უპირობოა – მათი უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ კერაზე. საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისათვის.

აღნიშნული ტერიტორიების სეპარატისტულ მმართველობასთან მიმდინარე მოლაპარაკებებში მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო) და მეგობარი ქვეყნები.

საქართველოს პოზიცია, რომელსაც იზიარებს საერთაშორისო საზოგადოება და რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ძირითად ნორმებს, ითვალისწინებს ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭებას აღნიშნული რეგიონებისათვის, ოღონდ უმთავრესი პრინციპის დაცვით:

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა;

– იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.

აღნიშნული მიდგომები არაერთხელ იქნა მხარდაჭერილი გაეროსა და ეუთოს ფორუმებზე და აისახა შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებში (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტები).

სამშვიდობო მოლაპარაკებების, ასევე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების განლაგების შედეგად შესაძლებელი გახდა ლტოლვილების გარკვეული ნაწილის დაბრუნება (დაახლოებით 10%) აფხაზეთში, გალის რაიონსა და ცხინვალის რეგიონში, მაგრამ მათი უსაფრთხოების, ისევე როგორც ფუნდამენტური უფლებების გარანტიები, არ არსებობს.

დღეისათვის პრიორიტეტულ ამოცანად რჩება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ ადგილებში უპირობო და ღირსეული დაბრუნების დაწყება, გალის რაიონში გაეროს ეგიდით გარდამავალი საერთაშორისო სპეციალური ადმინისტრაციის შექმნა, მიტოვებულ მატერიალურ ფასეულობებზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე ლტოლვილთა უფლებების უპირობო დადასტურება.

პოლიტიკური მოგვარების პროცესის პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკური კავშირების განახლებაზე აღნიშნულ რეგიონებთან, რაც დაპირისპირებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ. შექმნილია ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭო

და ქართულ-ოსური შერეული საკონტროლო კომისია, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად, კოორდინაციას უწევენ ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური პროექტების განხორციელებას.

მიმდინარე ეტაპზე უკვე დაწყებულია პოსტ-კონფლიქტური ზონების რეაბილიტაციის პროცესი, რაც ძირითადად საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით მიმდინარეობს. ამ მიმართულებით შედარებით აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ცხინვალის რეგიონში, სადაც 1997 წლიდან მოქმედებს რიგი სარეაბილიტაციო პროექტები გაეროს განვითარების პროგრამით და ევროკავშირის დაფინანსებით. ევროკავშირის კონფლიქტებით დაზარალებული ტერიტორიების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა 3,5 მლნ ევროს ოდენობის პროექტი, რომლის შედეგადაც მოხდა ცხინვალის წყალმომარაგებისა და ელექტრომომარაგების ქსელების აღდგენა, აღდგა ოთხი საშუალო სკოლა, ჩამოყალიბდა რიგი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ამ ეტაპზე ხორციელდება (1,5 მლნ ევრო) გორი-ცხინვალის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა, გაზსადენების ქსელის რეაბილიტაცია და ელექტროენერგიის მიწოდება რეგიონისათვის ენგურჰესიდან. მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი დამატებით გამოყოფილი 2,5 მლნ ევროს ფარგლებში სარეაბილიტაციო პროექტების დაგეგმვაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობასა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარებით შეუდგა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. შემუშავებული გეგმის თანახმად, გატარდა სარეკლამო კამპანია ქ. ცხინვალში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, აგრეთვე ზნაურისა და ჯავის რაიონებში. სოციალური ინვესტიციების ფონდის საქმიანობის მთავარ პრინციპს წარმოადგენს უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურება კონკრეტული პრობლემის დასახელების პროცესში. ფონდის სარეაბილიტაციო ინვესტიცია შეადგენს მისი მთლიანი ღირებულების 80-90 პროცენტს, თემის თანამონაწილეობა კი (ფულადი სახსრები, მასალები, ტრანსპორტი, სამუშაო ძალები) შეადგენს 10-20 პროცენტს.

თემების წარმომადგენელთა მიერ გამოვლინდა ყველაზე აქტუალური პრობლემები და სოციალური ინვესტიციების ფონდში წარმოდგენილია 29 წინადადება, რის შემდეგაც განხორციელდა შერჩეული ობიექტების სოციალურ-ტექნიკური შეფასება და შემდგომი პროექტირება. ამ პერიოდისათვის გამოცხადებულია ტენდერი 7 ობიექტზე და შეფასების სტადიაზე 6 ობიექტი იმყოფება. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ადგილობრივი მოსახლეობის დადებითი დამოკიდებულება ფონდის საქმიანობის მიმართ.

სოციალური ინვესტიციების ფონდმა დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები პროექტის მეორე ეტაპის განსახორციელებლად, რომელიც სავარაუდოდ, 2002 წლის მეორე ნახევრისათვის არის დაგეგმილი. აღნიშნული მეორე ეტაპის ძირითადი მიმართულებები იქნება სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გაგრძელება და ადგილობრივ დონეზე ინსტიტუციური განვითარების (თემთა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების) ხელშეწყობა.

ჯერჯერობით უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო რთულდება სარეაბილიტაციო პროექტების დაწყება აფხაზეთში. მიუხედავად ამისა, დაიწყო ენგურჰესის სარეაბილიტაციო პროექტი. ევრობანკის მიერ გამოყოფილია გრძელვადიანი კრედიტი 38 მილიონი ევროს ოდენობით ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატების აღსადგენად. აღნიშნულ კრედიტს ემატება ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 5 მლნ ევროს ოდენობის გრანტი. ევროკავშირის მიერ ასევე გამოყოფილია 5 მლნ ევრო ენგურის კაშხლის მისაყრდნობი ფარის რეაბილიტაციისათვის (მიმდინარეობს პროექტის წინასატენდერო პროცედურა).

პოლიტიკური პრობლემის მოგვარების პროცესში, პროგრესის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის წინაშე დადგება აღნიშნული რეგიონების ეკონომიკური რეაბილიტაციის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების, მათი ქონების დაბრუნების, სახლ-კარისა და განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენის ამოცანა. ასევე აღსანიშნავია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადასაჭრელი იქნება დაბრუნებულ პირთა სოციალური დახმარების, მათი დასაქმებისა და განვითარების საკითხები.

ამ ურთულესი ამოცანების დაძლევაში საქართველოს დასჭირდება საერთაშორისო საზოგადოების დახმარება და უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე მას ამ ეტაპზე უწევენ. ამ თვალსაზრისით უკვე არსებობს გარკვეული დაპირებები. მაგ., 1999 წლის 22 ივნისის „ლუქსემბურგის კავკასიური სამიტის" დეკლარაცია (ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს ერთობლივი დეკლარაცია).

კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების პროცესის წინსვლის თაობაზე, კონკრეტული პროგნოზის გაკეთების შეუძლებლობის პირობებში, საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ქმედითი პროგრამის განხორციელებას იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების სოციალური მხარდაჭერის, მათი დასაქმებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით. ამ მიმართულებით 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 60 მლნ ლარი. იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის პროცესში ჩართულია ასევე საერთაშორისო საფინანსო და ჰუმანიტარული ორგანიზაციები.

გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და მსოფლიო ბანკის ინიციატივით საქართველოს მთავრობასთან ერთად შეიქმნა კომისია, რომელიც შეიმუშავებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ახლებურ მიდგომებს და იზრუნებს მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის. კომისიის საქმიანობა ხელს შეუწყობს დევნილების სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, მათთვის ადგილებზე გარდამავალი და განვითარებაზე ორიენტირებული დახმარების აღმოჩენას.

აღნიშნული კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთო ეკონომიკურ გაჯანსაღებას ქვეყანაში, კერძოდ, უკონტროლო ტერიტორიებიდან კონტრაბანდის შემოსვლის აღკვეთას, საერთაშორისო კომუნიკაციების აღდგენას, ლარის ბრუნვის არეალის გაფართოებას, რეგიონებს შორის ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენას, ყოფილი კონფლიქტის ზონებში მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფ განვითარებას, ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟისა და ნდობის აღდგენის შედეგად დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა

სახელმწიფო ვალდებულება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უზრუნველყოფს ადამიანის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლების – სიცოცხლისა და მკურნალობის უფლების განხორციელებას. ამდენად, იგი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ქვაკუთხედის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მისი განხორციელება დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების აშენების მაგისტრალური მიმართულების უმთავრესი გარანტიაა. ამ ვალდებულების თანამიმდევრული და სრული განხორციელება ქვეყნის მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შენარჩუნების აუცილებელი პირობაა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს არ გააჩნდა სათანადო რესურსები უფასო ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. ქვეყანაში იყო ჭარბი რაოდენობის ექიმი და სხვა მედპერსონალი არაადეკვატურად მცირე სახელმწიფო ხელფასებით. მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ავადმყოფებს აღარ ჰქონდა საშუალება, გადაეხადათ სამედიცინო მომსახურების საფასური, რის გამოც სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვა მკვეთრად შემცირდა, გაიზარდა პაციენტთა უკმაყოფილება მომსახურების სახეების, სამედიცინო დანიშნულების ინვენტარით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის შეზღუდვის გამო.

1995 წლის შუა პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებული ჯანდაცვის სისტემის რეფორმა განპირობებული იყო ჯანდაცვის სისტემაში არსებული კრიზისით. რეფორმის მიზანი იყო გარდამავალ პერიოდში ჯანდაცვის სისტემის ისეთი მოდელის შექმნა და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფდა დარგში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დანერგვას, ადამიანის უფლებების დაცვას და დემოკრატიული მექანიზმების გამოყენებას ჯანდაცვის მართვისა და სახელმწიფო რეგულირების საქმეში. რეფორმით გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემიდან სადაზღვევო სისტემაზე გადასვლა, რასაც თან ახლდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის როლსა და პასუხისმგებლობაში. გამიზნული იყო, რომ სახელმწიფოს უნდა შეენარჩუნებინა თავისი ზეგავლენა ჯანდაცვის სისტემაზე მკაცრი მარეგულირებელი საფინანსო და სალიცენზიო მექანიზმების საშუალებით. შეზღუდული სახელმწიფო დაფინანსება უნდა წარმართულიყო სახელმწიფო ჯანდაცვის პრიორიტეტულ პროგრამებზე და კლინიკური მომსახურების საბაზისო პაკეტზე. 1996 წელს რეფორმით გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტების ხელშეწყობის მიზნით, დამტკიცდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა: ეფექტიანი დანახარჯების საფუძველზე აგებულ სახელმწიფო ჯანდაცვის მექანიზმების გამოყენებისაკენ ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციას; შერჩეული სამედიცინო დანიშნულების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და აღჭურვის გზით დედათა და ბავშვთა მომსახურების ეფექტიან უზრუნველყოფას; სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე პერსონალის შრომითი რესურსების განვითარებას; ჯანდაცვის დამოუკიდებელი ფონდის განვითარების ხელშეწყობას (მისი რეგიონული ფილიალების დაარსებით).

მიუხედავად იმისა, რომ აშკარა პროგრესი შეიმჩნეოდა ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მსვლელობაში, აღნიშნულმა რეფორმებმა მაინც ვერ მიაღწია მომხმარებლის დონემდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ხარისხთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ეჭვგარეშეა, რომ სექტორში არსებული ძირითადი პრობლემა ფინანსებთან არის დაკავშირებული, რასაც ართულებს ჭარბი საწოლთა ფონდი და კადრები (განსაკუთრებით სპეციალისტთა მაღალი ხვედრითი წილი). ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაა დიდ ქალაქებში, ხოლო პერიფერიული რაიონები განიცდიან ამ სიმძლავრეების დეფიციტს, რაც ასიმეტრიულ სურათს ქმნის ქვეყანაში და იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო პროგრამების შესრულების საქმეში უმთავრესი პრობლემა არათანამიმდევრული, არარეგულირებული და, რაც მთავარია, არასრული დაფინანსებაა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მკვეთრად შეიცვალა საკვები პროდუქტების მოხმარების რეჟიმი. მკვეთრად იკლო დღის რაციონის კალორიების ოდენობამ სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის, რაც სხვადასხვა სახის დაავადების განვითარებასა და ნაადრევ სიკვდილს იწვევს.

რთული ეკონომიკური მდგომარეობის, ცხოვრების პირობების გაუარესების, საერთო გულგრილობისა და პესიმიზმის ფონზე მკვეთრად გაიზარდა, როგორც

მთლიანად მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მოზარდებში თამბაქოს მოხმარების, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის შემთხვევები.

ეს ტენდენციები დაკავშირებულია გარდამავალ პერიოდში ახალი რისკ-ფაქტორების (უმუშევრობა, სიღატაკე და მუდმივი სტრესი) წარმოშობასთან, რამაც გამოიწვია თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების ზრდა, არაჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტივობის შემცირება.

ჯანმრთელობა უაღრესად მგრძნობიარეა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მიმართ (შემოსავალი, განათლება, დასაქმება). ზოგიერთი გამოკვლევებით დადგინდა, რომ დაავადების ნახევარზე მეტი სწორედ ამ ფაქტორებით არის გამოწვეული.

ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის სექტორი კვლავაც დამოკიდებულია USAID-სა და UNICEFF-ზე ვაქცინებისა და საჭირო მოწყობილობების მოწოდების თვალსაზრისით, რაც ესოდენ აუცილებელია მოშლილი გეგმური იმუნიზაციის პროცესისათვის. უკანასკნელ წლებში ვაქცინაციას დაქვემდებარებულ დაავადებებთან დაკავშირებით არ ჰქონია ადგილი ძირითად ეპიდემიურ შემთხვევებს. ტუბერკულოზი კი კვლავ რჩება ძირითად საფრთხედ. ტუბერკულოზის სიხშირე ბავშვებსა და მოზარდებში მატულობს. იგი ძირითადი პრობლემაა პენიტენციურ სისტემაში, სადაც პატიმართა 5-10 პროცენტი დაავადებულია.

სახელმწიფო მომსახურების ხარისხის შემცირებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობაზე: დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობისა და ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის რაოდენობრივი მაჩვენებლები გაიზარდა, საგრძნობლად შენელდა მოსახლეობის ზრდის ტემპი. ასევე ორჯერ იმატა გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური დაავადებების (გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევების რაოდენობა, ხშირ შემთხვევაში კი ქალებში, რაც გამოწვეულია სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვის დაგვიანებით, რაც მიუთითებს ადრეული დიაგნოსტიკის გაუმჯობესების აუცილებლობაზე), ტრავმატიზმის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რაოდენობამ, აივ/შიდსის შემთხვევათა ოდენობაც მზარდი მაჩვენებლით ხასიათდება.

ამჟამად საქართველოში რეგისტრირებულ აივ/შიდსის შემთხვევათა რაოდენობა შეადგენს 131-ს, ხოლო აივ-ინფიცირებულ პირთა რეალური რიცხვი, სავარაუდოდ, 2000-მდეა. იმუნოდეფიციტის ვირუსითა და შიდსით დაავადებული 131 პაციენტიდან 113 მამაკაცია და 18 ქალი. პაციენტთა უმრავლესობის ასაკი 23-40 წელია. შემთხვევათა ყველაზე დიდი რიცხვი გამოვლინდა თბილისში. საქართველოში ამ დაავადებულთა ოფიციალურად რეგისტრირებული რაოდენობა არ არის მაღალი, თუმცა, საქართველო წარმოადგენს ამგვარი დაავადებების გავრცელების მაღალი რისკის მქონე ქვეყანას, რაც გამოწვეულია მეზობელ ქვეყნებში ამ ინფექციების სიხშირის სწრაფი ზრდით, მოსახლეობის მზარდი მიგრაციით, ნარკოტიკული ნივთიერების ფართო მოხმარებით, ფინანსური პრობლემებით.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რეგისტრირებულ შემთხვევათა მაჩვენებელი არ ასახავს რეალურად არსებულ სიტუაციას, რამდენადაც პაციენტებს ურჩევნიათ გამოიყენონ ანონიმური სამედიცინო მომსახურება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1997 წლის შემდეგ, რაც შეიქმნა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკის ფედერალური პროგრამა და სახელმწიფო უზრუნველყოფდა ვენერიული დაავადებების უფასო გამოვლენასა და მკურნალობას, შეინიშნება აღნიშნულ დაავადებათა რაოდენობის შემცირება, რაც, ძირითადად, გამოწვეულია პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური შეღავათებით.

აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ გაძნელდა ეპიდზედამხედველობა და საკარანტინო სამუშაოები, განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციების კონტროლი და სხვა გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკა, მართვა

და კოორდინაცია, რეაქტივების, სადეზინფექციო საშუალებებისა და სხვა მინიმალური მარაგის შექმნა, ბაზის განმტკიცება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. გაიზარდა ინფექციური დაავადებების რიცხვი, ძირითადად, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების, სიდატაკის გავრცელებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების არასაკმარისად ჩატარების გამო.

გაიზარდა ისეთი დაავადებების შემთხვევები, რომლებიც აღმოფხვრილად ითვლებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ და დღემდე აქტუალურ პრობლემას ცოფი წარმოადგენს.

უკანასკნელ პერიოდში იმატა წყლით გამოწვეული ინფექციური დაავადებების რიცხვმა.

1990 წლიდან დაწყებულმა რადიკალურმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია მასობრივი სოციალური სტრესი და, აქედან გამომდინარე, ფსიქო-სოციალური და ქცევითი პრობლემების ზრდა. მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით ხასიათდება ფსიქიკურ პრობლემათა მაჩვენებელი, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი შეიარაღებული კონფლიქტების რეგიონებიდან უსაფრთხოებისა და თავშესაფრის ძებნაში. ადამიანთა აღნიშნული ჯგუფები აწყდებიან მრავალ პრობლემას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. სწრაფად იზრდება რეაქტიული ფსიქოზების, ფსიქომატური დარღვევებისა და დეპრესიების მაჩვენებელი. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში თვითმკვლელობათა რაოდენობამ სამჯერ იმატა.

ასეთ რთულსა და ექსტრემალურ პირობებში არ შეიძლება არ აღინიშნოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეფორმის გზაზე გაწეული საკმაოდ შრომატევადი და არცთუ პოპულარული მუშაობა, თუმცა, მომავალში თუ ასე გაგრძელდა, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების საფინანსო უზრუნველყოფა, რეფორმა საერთოდ დისკრედიტირებული აღმოჩნდება საზოგადოებისათვის.

ჯანდაცვის სფეროზე მსჯელობისას აღსანიშნავია ერთი ზოგადი ტენდენცია – მომსახურების მომწოდებელთა და ბენეფიციართა რიცხოვნობის საგრძნობი ზრდა. თუ პირველ შემთხვევაში მდგომარეობა შეიძლება აიხსნას პერსონალის ოპტიმიზაციის ტენდენციით, მეორე შემთხვევა მოითხოვს უფრო სერიოზულ დაკვირვებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ადგილი არ აქვს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის საერთო გაუარესებას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ადამიანის სოციალური უფლების დარღვევის წყაროს.

ქვეყნის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში 2001 წლის ბოლოსათვის მეთვალყურეობაზე იმყოფებოდა 741,7 ათასი ავადმყოფი, ნაცვლად 2000 წლის 679,6 ათასისა. დაკვირვებაზე მყოფი ავადმყოფებიდან 103,9 ათასი (14%) 14 წლამდე ასაკის ბავშვია, ხოლო 16,9 ათასი (2,3%) – 15-17 წლის ასაკის მოზარდი.

2001 წელს სტაციონარში შემოვიდა 208,3 ათასი ავადმყოფი (2000 წელს – 205,4 ათასი), რომელთა 1,9% გარდაიცვალა. სტაციონარში შემოსული ავადმყოფებიდან 47,2 ათასი (22,7%) - 14 წლამდე ასაკის ბავშვია (2000 წელს – 21,6%).

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რეგისტრირებულ ბავშვთა დაავადებების მიხედვით სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით, 2001 წელს 2000 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით (47,7%-ით), სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებებით (31%-ით) დაავადებულთა რაოდენობა. რაც შეეხება ზრდასრულ პაციენტებს, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რეგისტრირებულ დაავადებულთა რაოდენობის დინამიკა (სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით) გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებით დაავადებულთა რაოდენობა (2001 წელს 2000 წელთან

შედარებით 42,9%-ით), ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით (42,5%-ით), სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით (29,2%-ით), სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებებით (25%-ით). ამ მონაცემების ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ დიდებშიც და ბავშვებშიც საგრძნობლად იმატა ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით, სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებებით დაავადებულთა რიცხვმა. რა თქმა უნდა, ორი წლის დინამიკა არ იძლევა რაიმე საფუძვლიანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, მაგრამ ყურადღება რომ ნამდვილად გასამახვილებელია, ეს ფაქტია.

2001 წელს საქართველოში აღირიცხებოდა 19,5 ათასი ექიმი (2000 წელს – 21,1 ათასი) და 23,4 ათასი კაცი საშუალო სამედიცინო პერსონალი (2000 წელს – 26,2 ათასი). მოსახლეობის 100 ათას კაცზე გაანგარიშებით 443 ექიმი და 532 საშუალო სამედიცინო პერსონალი მოდის (2000 წელს შესაბამისად 474 და 588). ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობის შემცირება და, შესაბამისად, თითოეული ექიმისა და მედდის დატვირთულობის ზრდა დადებით მოვლენას წარმოადგენს, თანაც მაშინ, როცა ავადმყოფთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში ხორციელდება სხვადასხვა ფედერალური და მუნიციპალური პროგრამები. ამავე დროს, 2001 წელს მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მთლიანი ხარჯების 4,2%-ს შეადგენდა, ნაცვლად 2000 წლის 3,9%-ისა. გამოდის, რომ პროგრამები ხორციელდება, ხოლო მოსახლეობა მკურნალობაში სულ უფრო მეტ ფულს იხდის.

განათლება და განათლების სისტემის რეფორმა

ისეთი მასშტაბური ღონისძიება, როგორიცაა განათლების სისტემის რეფორმა, რასაკვირველია, მწვავე სოციალურ პრობლემებს წარმოშობს. სტრუქტურულ ცვლილებებს თან სდევს სისტემის სუბიექტთა რაოდენობის მკვეთრი ცვლილებები, რაც იწვევს სოციალური ფონის გაუარესებას, უმუშევრობისა და სკოლის კონტროლის გარეშე დარჩენილი მოზარდების პრობლემათა გამწვავებას. ამ მხრივ უდავოდ საინტერესოა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშემწყობი პროექტი.

განათლების სისტემის რეფორმის მიზნით, საქართველოს განათლების სამინისტრომ დაიწყო „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროგრამის“ განხორციელება, რომლის რატიფიცირება მოხდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლის ოქტომბერში. აღნიშნული პროგრამის ცხოვრებაში გატარება მოხდება მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი „ადაპტირებადი პროგრამის კრედიტის“ (აპკ) მეშვეობით. შემოთავაზებული პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნისა და მისი სრულყოფისათვის გამიზნული პროგრამის მხარდაჭერას, როგორც ეს განსაზღვრულია განათლების შესახებ 1997 წლის კანონით და მთავრობის წერილით განვითარების სტრატეგიის შესახებ.

ადაპტირებადი პროგრამის კრედიტი ითვალისწინებს 60 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას და სამ 4-წლიან ეტაპად იყოფა. აღნიშნული პროექტი სამი კომპონენტისაგან შედგება: I. დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მიზნების შეცვლა, რათა მოხდეს ცოდნის გადაცემისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; II. პოლიტიკის განხორციელების ეფექტიანობის და

მართვის ამაღლება ცენტრალური აპარატისა და ადგილობრივ დონეებზე, რომლის დანიშნულებაა ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებისას სამართლიანობის პრინციპების დაცვა და ეფექტიანობის ამაღლება, რამდენიმე რაიონში ექსპერიმენტის ჩატარება ეფექტიანობის ასამაღლებლად და საჭირო მეთოდოლოგიის (ინსტრუმენტების) შემუშავება და გადაწყვეტილების მიღების ხარისხის გაუმჯობესების, პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულობის ხარისხის გაზრდის მიზნით; III. პროექტის განხორციელების პროცესის მხარდაჭერა.

ამ პროგრამის განხორციელების დაწყება ნავარაუდევი იყო 2001 წლის ივლისში. პირველ ეტაპზე გამოყოფილი სესხის ოდენობა, დაახლოებით 25,9 მილიონი ამერიკული დოლარი, ხოლო მეორე და მესამე ეტაპებისათვის ნავარაუდევი სესხის ოდენობა, მათი დამტკიცების შემთხვევაში, შესაბამისად, 20 მილიონი და 14,1 მილიონი ამერიკული დოლარი. მესამე ეტაპის დასასრულს დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში უკეთესად იქნება მომზადებული მოსწავლეების სწავლებისადმი წაყენებული იმ მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ დონეზე შესასრულებლად, რომელთა წინა პლანზე წამოწევაც განპირობებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესით და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობით და ექნება სექტორში არსებული მატერიალური, ფინანსური და ადამიანთა რესურსების უფრო ქმედითად და ეფექტიანად გამოყენების უნარი, რომლის მიზანია ყოველი მოქალაქისათვის ხარისხიანი განათლების მიღება.

მიუხედავად ასეთი მასშტაბური და შთამბეჭდავი გეგმებისა, უნდა ითქვას, რომ მიმდინარე რეფორმის ხელშემწყობი პროექტი არ ითვალისწინებს სტანდარტებს, პროგრამებისა და შეფასების სისტემის შექმნას ყველა კატეგორიის ბავშვებისათვის. მაგ., მხედველობის მიღმაა დარჩენილი ინვალიდი ბავშვები. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 8500-მდე ინვალიდი ბავშვია (მათ შორის, 500-მდე იძულებით გადაადგილებული). სამწუხაროდ, ინვალიდ ბავშვთა სტატისტიკას მატების ტენდენცია აქვს. აუცილებელია განათლების რეფორმის პროგრამის გადასინჯვა, მისი საჯაროობა და გამჭირვალობა.

არ შეიძლება არ შევეხო უმაღლესი და საშუალო განათლების არასახელმწიფო სექტორის ზრდას, რომელიც სკეპტიკურად მოიაზრება და ექმნება ბარიერები, თუნდაც საკუთრებით ურთიერთობის რეგულირების მხრივ. ამდენად, ირღვევა ამ სფეროში ჩაბმულ ადამიანთა უფლებებიც. ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა გაუმართლებელია, რადგან სხვას რომ თავი დავანებოთ, არის რეგიონები, სადაც არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირებას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ლიცენზირების გამართული და ობიექტური მექანიზმის არსებობის კვალობაზე, საბაზრო პრინციპი ამ პრობლემასაც აუცილებლად მოაწესრიგებს. ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე ისიც არ უნდა იყოს უმნიშვნელო, რომ ამ სექტორში ჩაბმამ მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგიურ და სამეცნიერო კადრებს, რომლებიც სიღატაკის ზღვარზე არიან მისული, საარსებო მინიმუმისათვის ბრძოლა ოდნავ მაინც გაუადვილა.

დაბოლოს, განათლების პრობლემებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ „განათლების შესახებ" კანონი, რომელმაც საკმაო საფუძველი შეუქმნა სისტემის გარდაქმნა-განათლებას, ითვალისწინებდა გარკვეული დამატებითი ნორმატიული ბაზის შექმნასაც, ურომლისოდაც კანონის სრულყოფილად ამუშავება შეუძლებელია. საწუხაროდ, ასეთი ბაზის ჩამოყალიბება-განმტკიცების პროცესი რიგ შემთხვევებში გაჭიანურდა, რამაც, თავის მხრივ, შეაფერხა სისტემის რეფორმა და ხშირად გაუგებრობის წყაროდაც იქცა, მათ შორის, უფლებათა დაცვის კუთხითაც.

2001/2002 სასწავლო წლის დასაწყისისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 3187 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. მათგან 3141 – დღის (მათ შორის 787 – დაწყებითი, 688 – საბაზო, 1666 – საშუალო, აქედან 45 გიმნაზია და 28 ლიცეუმი) სკოლა, 16 გონებრივი და ფიზიკური განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა, ერთი სპეციალური და 29 დამოუკიდებელი საღამოს სკოლა,

სადაც სწავლობდა 688,2 ათასი მოსწავლე, მათგან 682,9 ათასი – დღის სკოლებში (მათგან ორი ათასი გონებრივი და ფიზიკური განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლებში) და 5,3 ათასი - საღამოს სკოლებში.

ბოლო წლების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც სკოლების რაოდენობა, ისე მოსწავლეთა რიცხვი, სულ უფრო კლებულობს. ამაზე შემდეგი ცხრილიც მეტყველებს.

	სკოლების რაოდენობა					მოსწავლეთა რაოდენობა (ათ. კაცი)				
სასწავლო წელი	1997/ 1998	1998/ 1999	1999/ 2000	2000/ 2001	2001/ 2002	1997/ 1998	1998/ 1999	1999/ 2000	2000/ 2001	2001/ 2002
	3 223	3 237	3 201	3 201	3 187	721,8	722,5	714,4	704,5	688,2

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსწავლეთა რაოდენობა მცირდება როგორც ქართულ, ისე არაქართულ სკოლებში. თუმცა, ბოლო ათი წლის ინფორმაციის მიხედვით, მოსწავლეთა რიცხოვნობის შემცირება უფრო შეეხო რუსულენოვან სკოლებს. ასე, მაგალითად, თუ 1990/91 სასწავლო წელს რუსული სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი შეადგენდა 180,3 ათას კაცს, 1995/96 სასწავლო წელს ეს ციფრი შემცირდა 51,8 ათას კაცამდე, ხოლო 2000/2001 სასწავლო წელს – 38,1 ათას კაცამდე (4,7-ჯერ). ნაწილობრივ ეს ფაქტი აიხსნება მიგრაციული პროცესით, რომლის შედეგად რუსულენოვანი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიატოვა საქართველო. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მხოლოდ ამას გამოეწვია რუსული სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის ამგვარი შემცირება. ალბათ, ადგილი აქვს სხვა ფაქტორებსაც – რუსული ენის სწავლა ნაკლებად პრესტიჟული და საინტერესო გახდა (ვთქვათ, ინგლისურთან შედარებით), შესუსტდა მისი ფუნქცია საზოგადოებაში.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია შემდეგი – რუსული ენა წარმოადგენს გაეროს და ეუთოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენას, ამ ენაზე საუბრობს ჩვენი მეზობელი ქვეყნის 150-მილიონიანი მოსახლეობა, ამ ენის მეშვეობით საქართველოსა და რუსეთს შორის ხორციელდებოდა და ხორციელდება ადამიანური, სამეცნიერო, კულტურული კონტაქტები. გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა პოზიციები უჭირავს რუსულ ენას აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონში – ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილებში. დაბოლოს, ახლის, მათ შორის ახალი ენების, სწავლა, სულაც არ უნდა ნიშნავდეს ძველის უგულებელყოფასა და დავიწყებას. ეს ნებისმიერი თვალსაზრისით გაუმართლებელია.

განათლების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2000/2001 სკოლა მიატოვა და სწავლა აღარ გააგრძელა 13,7 ათასმა მოსწავლემ. მათგან მე-9 კლასის დამთავრების შემდეგ აღარ გააგრძელა სწავლა 10,0 ათასმა მოსწავლემ (62,2 ათასიდან). სახალხო დამცველის აზრით, მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა, რადგან:

- აშკარად ვერ სრულდება კანონის მოთხოვნა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების შესახებ (წინა სასწავლო წელთან შედარებით 2001/2002 სასწავლო წელს 1-4 კლასების მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 20,9 ათასით, ანუ 7,7%-ით. ამავე დროს, სწავლის სხვა საფეხურებზე აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ, მაგრამ გაიზარდა);
- ხშირ შემთხვევაში არაჯეროვნად ხორციელდება ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა მიკრორაიონის დონეზე;
- არ არსებობს სასკოლო ასაკის იმ ბავშვთა სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა, რომლებიც არ დადიან სკოლაში.

2000/2001 სასწავლო წელთან შედარებით საშუალო პროფესიულ სასწავლებში მოსწავლეთა კონტინგენტი შემცირდა 2536 კაცით, ანუ 7,8%-ით. აქედან, სახელმწიფო სასწავლებლების ბიუჯეტური დაფინანსების ჯგუფები შემცირდა 3487 კაცით (15,9%-ით), ფასიანი ჯგუფები კი გაიზარდა 1298 კაცით (23,5%-ით). ჩვენი აზრით, საკმაოდ საგულიხმო მაჩვენებლებია, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია განათლების ამ სფეროს დაფინანსების საკითხი. ამ ჭრილში აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება – წლიდან წლამდე მცირდებოდა საშუალო პროფესიული სასწავლების მოსწავლე-სტიპენდიანტთა რაოდენობა. მხოლოდ ბოლო ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 886-დან (1997/98 წელი) ნულამდე (2000/2001 წელი) დავიდა.

ეკოლოგიური მდგომარეობა

90-იანი წლების დასაწყისიდან დაწყებულმა ეკონომიკური აქტივობის დაქვეითებამ არაერთგვაროვანი ზეგავლენა იქონია საქართველოში გარემოს დაცვის მდგომარეობაზე. ერთის მხრივ, შემცირდა ბუნებრივ გარემოზე საწარმოო სექტორის მხრიდან უარყოფითი ზემოქმედება, ხოლო მეორეს მხრივ, გაიზარდა გარემოზე მოსახლეობის ზეწოლა საკვები, ენერგეტიკული და სხვა პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუარესებამ (როგორიცაა სასმელი წყლის მიწოდება და საკანალიზაციო სისტემები, ჩამდინარე წყლების გამწმენდი და ნაპირსამაგრი ნაგებობები, საავტომობილო გზები და ა. შ.) განაპირობა გარემოზე არასამრეწველო სექტორის მხრიდან ზემოქმედების ზრდა. ეკონომიკური და ფინანსური სიდუხჭირე ეკოლოგიასთან მიმართებაში სხვადასხვა სახით გამოვლინდა.

საწარმოო აქტივობის შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად იკლო სამრეწველო ჩამდინარე წყლებითა და სასოფლო-სამეურნეო შხამ-ქიმიკატებით ზედაპირული წყლების დაბინძურებამ. საგრძნობლად შემცირდა ენერგეტიკული და სამრეწველო ობიექტებიდან ჰაერის დაბინძურებაც. თუმცა, ტექნოლოგიების მოძველების გამო, პროდუქციის ერთეულზე დაბინძურების დონე არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ტრანსპორტიდან გამონაბოლქვის შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რომელიც კვლავ იზრდება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, მოსახლეობის ჯანმრთელობას.

სასმელი წყლის მიწოდების, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემები ქვეყნის მასშტაბით განაგრძობს მოშლას; საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების სისტემა თითქმის მთლიანად მოშლილია და ნარჩენები საცხოვრებელ უბნებში ან, უკეთეს შემთხვევაში, სათანადოდ მოუწყობელ ნაგავსაყრელზე იყრება. არ არსებობს საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების გადასამუშავებელი საშუალებები, საწარმოებსა და მოსახლეობას არა აქვთ შესაძლებლობა, ამ პრობლემისათვის აუცილებელი თანხები გაიღონ. სახელმწიფო კონტროლის სისტემის შესუსტების გამო, რაც ნაწილობრივ ეკონომიკური მიზეზითაა განპირობებული, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ხშირად სათანადო ნებართვის გარეშე ხდება, ეს კი იწვევს გარემოს მდგომარეობის გაუარესებას, ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას და ბიომრავალფეროვნების შემცირებას. ვერ ხერხდება ეროზიასთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების დაფინანსება, რის შედეგადაც მცირდება ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ელექტროენერგიის დეფიციტი, წიაღისეული, საწვავის ხელმიუწვდომლობა და

სიძვირე ზრდის შეშის მოხმარებას და იწვევს მის გაკაფვას. ენერგოდეფიციტის გამო ქალაქებში ფართოდ გამოიყენება ინდივიდუალური გათბობის საშუალებები, რაც ზრდის შენობის შიდა ჰაერის დაბინძურებას და იწვევს ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესებას.

ვერ ხერხდება გარემოს მდგომარეობის მონიტორინგისა და გარემოს დაცვითი სამსახურების მუშაობისათვის საჭირო თანხების უზრუნველყოფა, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან სათანადო გარემოს დაცვით კონტროლსა და ბუნებათსარგებლობის რეგულირებას. თავის მხრივ, გარემოს ხარისხი და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. კერძოდ, გარემოს მდგომარეობის გაუარესება იწვევს ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესებას, რაც ამცირებს სამუშაო ძალის შრომის ნაყოფიერებას. საფრთხე ემუქრება ტურიზმის განვითარების პერსპექტივას, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში გარემოს სიჯანსაღეზე. მდინარეების, ტბებისა და შავი ზღვის დაბინძურება, თევზჭერის არასწორი პრაქტიკა და ბრაკონიერობა საფრთხეს უქმნის საქართველოში თევზჭერის მრეწველობის განვითარებას. ხე-ტყის უკანონო, უსისტემო ჭრა ამცირებს საქართველოს ტყეების პროდუქტიულობას, ნიადაგდაცვით, წყალშემნახავ, რეკრეაციულ და სხვა ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ფუნქციებს. ნიადაგის ეროზიის, დამლაშებისა და გაუდაბნოების მიმდინარე პროცესები აღმოსავლეთ საქართველოში აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობისათვის ახალი ტიპის საშიშროების სახით გამოვლინდა გვალვა. მაგ., 2000 წლის გვალვამ 400 მლნ. ლარზე მეტი ზარალი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების სოფლის მეურნეობას. ამ ზარალის მასშტაბი ბევრად გაზარდა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისათვის ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი ფინანსური სახსრების სიმცირემ. გრძელვადიან პერსპექტივაში გლობალური კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების გათვალისწინებით, მდგომარეობა, შესაძლოა, უფრო დამძიმდეს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში სასმელი და სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

სათბობ-ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ

საქართველოში ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად კვლავ რჩება მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შექმნილი მდგომარეობა უკანასკნელი წლების მანძილზე სხვადასხვა სახის პრობლემებით არის განპირობებული, რომელთაგან უმთავრესია საკუთარი მოპოვების სათბობ-რესურსების უკმარისობა და მომხმარებელზე მიწოდებული ელექტროენერგიის რეალიზაციის მოუწესრიგებლობა. ამ უკანასკნელმა დარგში მიმდინარე სტრუქტურული გარდაქმნების პროცესში (2000 წლიდან მიმდინარეობს სათბობ-ენერგეტიკის კომპლექსის ძირეული რეფორმა) ქრონიკული ხასიათი მიიღო და ელექტროენერგეტიკულ სექტორში არსებული ფინანსური კრიზისი განაპირობა.

რესურსებზე ფასების ზრდის შედეგად შეიზღუდა იმპორტი. უკანასკნელი წლების სტატისტიკური მონაცემებით, 1989 წელთან შედარებით ენერგიის საერთო მოხმარება შემცირებულია 4,3-ჯერ, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი რესურსების მოხმარება, როგორიცაა ბუნებრივი აირი, ნავთობპროდუქტები და ელექტროენერგია, შესაბამისად – 6-ჯერ, 3,5-ჯერ და 2,4-ჯერ.

ენერგეტიკულ სექტორში გამოიკვეთა სხვა სირთულეებიც, რომელთა დიდი ნაწილი შედეგია ჯერ კიდევ მემკვიდრეობით შემორჩენილი გეგმური ეკონომიკისა.

მიუხედავად იმისა, რომ დარგში ხორციელდება სტრუქტურული რეფორმები, ჯერჯერობით სრულად ვერ ხდება ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერგეტიკული სტრუქტურების და მათი ბაზისის ჰორიზონტალურ კავშირებზე ტრანსფორმაცია.

არადა, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი გახლდათ ენერგეტიკის სექტორის რეფორმირება. რესტრუქტურიზაციის შედეგად ერთმანეთისაგან გაიმიჯნა კომერციული და რეგულირების ფუნქცია, შეიზღუდა მონოპოლია და ჩამოყალიბდა კონკურენტუნარიანი გარემო; შეიქმნა დარგის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ინსტიტუტები – ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი); სატარიფო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით ენერგორესურსებზე (ელექტროენერგია, გაზი) გატარდა ღონისძიებები.

დაიწყო სადისტრიბუციო ქსელების პრივატიზება. ერთ-ერთი დიდი სადისტრიბუციო ობიექტის „თელასის“ მესაკუთრე გახდა ამერიკული კომპანია „AES“, რომლის მეშვეობით მოხერხდა მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მოხმარებული ენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის გაუმჯობესება. 2001 წელს საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი 5 წლით მართვაში გადაეცა ესპანურ-შოტლანდიურ-კანადურ კონსორციუმს, რომლის ძირითადი მონაწილე ესპანური „იბედროლა“ წარმოადგენს ევროპაში ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას.

სტრუქტურული რეფორმის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი იყო ელექტროგადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საწარმოთა გაერთიანება და ერთ იურიდიულ პირად ჩამოყალიბება. ამ გაერთიანებით უნდა გაუმჯობესებულიყო ენერგოსისტემის მართვის პროცესი და ხელი უნდა შეწყობოდა ელექტროენერგიის განაწილებას მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ადეკვატურად, ანუ ელექტროენერგია მიეწოდოს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც სრულად იხდის მის საფასურს. საქართველოში ჩამოყალიბდა ოთხი მსხვილი გამანაწილებელი კომპანია (თბილისის, კახეთის, აჭარისა და დანარჩენი საქართველოსი).

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, დარგის ფინანსური გაჯანსაღება არ მოხერხდა. უკანასკნელ წლებში დაგროვებული დავალიანება, წინასწარი შეფასებით, დაახლოებით 550 მილიონ აშშ დოლარზე მეტია, რაც მოხმარებული ენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლის, სუსტი მართვის, არასწორი პოლიტიკისა და სისტემაში არსებული კორუფციის შედეგია.

როგორც ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია გვატყობინებს, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული სატარიფო პოლიტიკის სფეროში. პირველად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისის გარდა) უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები (8,4 თეთრიდან 8,1 თეთრამდე), თუმცა დღემდე არ არის გაფორმებული ხელშეკრულება „ეი-ი-ეს თელასსა“ და ინდივიდუალურ ელექტრომომხმარებელს შორის.

ამავე კომისიის ცნობით, მათ შექმნეს სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებს შეადგენს საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა. მათ დააფიქსირეს უსამართლო და ჯგუფური გამორთვების დიდი ოდენობა, ძველი დავალიანების არასწორად დაანგარიშების ასობით განცხადება და სხვ.

დღემდე ირღვევა მომხმარებელთა უფლებები. გარდა ამისა, ენერგეტიკის სფეროში გადაუჭრელია ხელფასების დროულად გაცემის პრობლემა, რაც გამოიხატება კიდეც ხშირ საპროტესტო აქციებსა და ელექტროენერგიის მასობრივ გამორთვებში სისტემის თანამშრომელთა მხრიდან. ისინი სიღატაკის ზღვარზე

იმყოფებიან. ენერგეტიკის კომპლექსში (გენერაცია-გადაცემა-დისპეტჩერიზაცია) დასაქმებული ათასობით ადამიანი თვეების განმავლობაში ვერ იღებს ხელფასს. უხეშად ირღვევა ადამიანის შრომითი და საკუთრების უფლება, ირღვევა „ენერგეტიკის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი და სემეკის გადაწყვეტილება (12.04.02), რომლის მიხედვითაც ენერგეტიკოსები ვალდებულნი არიან, არგადამხდელ კომპანიებს არ მიაწოდონ ელექტროენერგია. საბითუმო ბაზარს პირდაპირ დანიშნულებით ევალება, რომ მწარმოებელს მისცეს განკარგულება არგადამხდელს შეეზღუდოს ელექტროენერგია, მაგრამ ენერგეტიკოსებმა ვერ აიძულეს ელექტროსაბითუმო ბაზარი, გასცეს განკარგულება ელექტროენერგიის შეზღუდვის შესახებ.

„ეი-ი-ეს თელასისა“ და სხვა სამომხმარებლო კომპანიების მიერ გადახდილია მათ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ღირებულების მხოლოდ 5%, რაც სახელფასო დავალიანების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ვფიქრობ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ სასწრაფოდ, კანონთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს წარმოებითი და ფინანსური ურთიერთობები, რათა დაცულ იქნას აღნიშნულ სფეროში დასაქმებულთა და მოსახლეობის უფლებები.

წყალმომარაგება და სანიტარია

საქართველო ოდითგანვე განთქმულია წყალუხვობითა და სასმელი წყლისა და კანალიზაციის კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით. ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 97 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 72 პროცენტი სასმელ წყალს ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემიდან ღებულობდა. მაგრამ დროთა განმავლობაში აქაც თავი იჩინა სერიოზულმა პრობლემებმა. ფინანსების ნაკლებობამ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში შეუძლებელი გახადა არსებულ ინფრასტრუქტურაში წესრიგის შენარჩუნება და სისტემა სერიოზულად მოიშალა. ქვეყნის წყალგაყვანილობის სისტემის 80 პროცენტი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. წყლის მიწოდების წყვეტილობა სერიოზულად აუარესებს ხარისხს და ზრდის წყლის დაბინძურების დონეს. არადა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რაოდენ დიდია წყლის მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 70 პროცენტით არის დამოკიდებული წყლის ხარისხზე), ცხადი ხდება დარგში სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობა, რაც გულისხმობს როგორც სისტემის დაუყოვნებლივ გააუმჯობესებას, ასევე მისი გრძელვადიანი განვითარების წინაპირობებს შექმნას. როგორც ცნობილია, წყლისა და კანალიზაციის სექტორის რეგულირება და, საერთოდ, მისი ნორმალური ფუნქციონირება მოიცავს რამდენიმე ფაქტორს: ეკონომიკა და მმართველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობა (ეპიდემიოლოგია და სანიტარია); გარემოს დაცვა და ბუნებრივი პირობები.

ეკონომიკური რეგულირება ხდება უშუალოდ სახელმწიფოსა და ადგილობრივი ორგანოების მიერ. არაეფექტიანმა მმართველობამ სექტორი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა. სავალალო მდგომარეობაში იმყოფება წყალგაყვანილობები და კანალიზაცია, რის გამოც არაერთხელ ყოფილა მოსახლეობის მოწამვლის შემთხვევები სხვადასხვა ინფექციური დაავადებებით. მოსახლეობის დიდ ნაწილს შეფერხებით მიეწოდება სასმელი წყალი. არის შემთხვევები, როცა წყლის მიწოდება არ ხდება რამდენიმე დღით და კვირაობითაც. გაცილებით მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში.

შესუსტებულია კონტროლი მიწოდებული წყლის ხარისხზე, არ არის დარეგულირებული გამდინარე წყლების კონტროლი. ურთულესი მდგომარეობაა შექმნილი აღნიშნულ სექტორში, სადაც აუცილებელი რეფორმების წარმატებით განხორციელებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ფინანსური რესურსების სიმწირე და მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობა. უფრო მეტიც, დარგში არაადეკვატური კაპიტალური დაბანდების გამო, სისტემის მდგომარეობა უარესდება. ამდენად, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სექტორში შექმნილი მდგომარეობა სცილდება აღნიშნულ სფეროს და სერიოზულ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

თბილისში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა მდგომარეობის შესახებ

მოგეხსენებათ, 2002 წლის 25 აპრილს, თბილისში მიწისძვრის შედეგად, საცხოვრებელი სახლების დაზიანების აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი, ბატონი ა. ჯორბენაძე. მერიაში ჩამოყალიბდა სპეციალური შტაბი და დაზარალებულთა დახმარების საქალაქო ფონდი. ფონდის ხელმძღვანელის ზურაბ გუდავაძის განმარტებით, ანგარიშის მომზადების პერიოდისათვის (2002 წლის 1 ივლისი) მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში მობილიზებულია 1,8 მილიონი ლარი. თუმცა, ეს სრულებით არ არის საკმარისი დაზარალებულთა სრულყოფილი დახმარებისათვის. წლის ბოლომდე კიდევ 3,0 მილიონი ლარის მობილიზებაა ნავარაუდევი. ფონდის ანგარიშზე ასევე ირიცხებოდა 50 ბინა, მაშინ როცა ქ. თბილისში, არაზუსტი მონაცემებით, 700-მდე ოჯახი ჭერის გარეშეა დარჩენილი და საქალაქო შტაბმა ივალდებულა წლის ბოლომდე ბინებით დაკმაყოფილება. ფონდში არსებული თანხა 550 ბინის შესყიდვის შესაძლებლობას იძლეოდა და იგი მესამე კატეგორიის დაზიანებულთა დასაკმაყოფილებლად უნდა განხორციელებულიყო. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატს მრავალი დაზარალებული მოქალაქე აკითხავს და მათი განმარტებით, მდგომარეობის შესახებ შეტანილი განცხადებების პასუხებსაც ვერ ღებულობენ ამ უწყებებიდან და გაურკვეველ მდგომარეობაში არიან, მით უმეტეს, შემოდგომის მოახლოებასთან ერთად, მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენივე აპარატის თანამშრომლის მ. შაშიაშვილის საცხოვრებელი პირობები უკიდურესობამდეა მისული. სახლი, სადაც იგი ცხოვრობდა, აღრიცხული იყო როგორც მწვავე ავარიული (ჩუღურეთის რაიონი, ჩიტაიას ქ. №1) და 2002 წლის 30 იანვარს „ეი-ი-ეს თელასის" მიზეზით გაჩენილი ხანძრის შედეგად (რაც დადასტურებულია თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს 2002 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით) უფრო დაზიანდა. 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად კი იქ ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნა და იგი შეკედლებულია ახლო ნათესავებთან. ცნობისათვის: სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტების ოფიციალური დასკვნით, სახეზეა სახლის მზიდი კონსტრუქციების მნიშვნელოვანი დაზიანება, შენობის ნაწილებს შორის დარღვეულია კავშირი, დაზიანების ხარისხი შეადგენს 75 პროცენტს და განეკუთვნება მესამე კატეგორიის ავარიულ სახლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახლის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია, ექვემდებარება აღებას და მშენებლობის განხორციელებას. კომისიის დასკვნა გადაეცა თბილისის მერიასა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, მაგრამ რაიმე სახის ზომები დღემდე არ არის მიღებული. მოქ. მ. შაშიაშვილმა ასევე განცხადებით მიმართა დახმარებისათვის

სპეციალურად შექმნილ ფონდს, მაგრამ არც მათგან ისმის პასუხი. შექმნილი ვითარების გამო, რეკომენდაციით მივმართე სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ა. ჯორბენაძეს და საქმე კვლავაც განხილვის სტადიაშია.

2002 წლის 25 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ მნიშვნელოვანი დაზიანება მიაყენა ასევე თბილისის საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის ობიექტებს. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს, თბილქალაქპროექტისა და განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთა ერთობლივი დასკვნების საფუძველზე დადგენილია, რომ დედაქალაქში არსებული 417 ობიექტიდან სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება მიიღო 382-მა. მათ შორის, მესამე კატეგორიის დაზიანება გამოვლინდა 7 სკოლასა და 8 ბაგა-ბაღში, სადაც შეჩერებულ იქნა სასწავლო პროცესი და განახლდება მხოლოდ კონსტრუქციული გამაგრების შემდეგ. მეორე კატეგორიის დაზიანება გამოვლინდა 202 ობიექტზე, მათ შორის, 115 სკოლასა და 87 ბაღში. ქალაქის მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის ცნობით, არსებული დაზიანების აღმოსაფხვრელად 20 მილიონი ლარია საჭირო, რომლის დაფინანსების წყარო დღემდე გადაუწყვეტელია. დაზიანებულ ობიექტებზე მდგომარეობა უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია და თბილისის განათლების სისტემა სრულყოფილად არ აღმოჩნდა მზად ახალი სასწავლო წლისათვის.

თავი III.
სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

სტრატეგიის დეპარტამენტი

სტრატეგიის დეპარტამენტმა საანგარიშო პერიოდში მოამზადა წინამდებარე ანგარიში, განიხილა 117 კანონპროექტი.

სახალხო დამცველის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მისთვის ორგანული კანონის 21-ე მუხლის ი) პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იქნა კონსტიტუციური სარჩელები იმ ნორმატიული აქტების გაუქმების მოთხოვნით, რომლებიც ზღუდავენ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ მიზნით 2002 წლის 24 მაისს და 26 ივნისს შეტანილი საკონსტიტუციო სარჩელებით სახალხო დამცველმა მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლების გაუქმება, რომლებიც არ იძლევიან დაკავებული ან დაპატიმრებული პირისთვის დაუყოვნებლივ დამცველის დახმარების მიღების უფლებას და ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლებას. ყველასათვის ცნობილია, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ამავე დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ეჭვმიტანილს დაკავებისას არ განემარტება დამცველის დახმარების მოთხოვნის უფლება. ასევე ამ კოდექსის 146-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილ

თანამდებობის პირთან დაკავებულის მიყვანის შემდეგ დაუყოვნებლივ დგება დაკავების ოქმი. ამ ოქმშიც არ არის გათვალისწინებული დაკავებულისათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლების განმარტების ვალდებულება. სსსკ 146-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკავებულის შემოწმება პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში უნდა დამთავრდეს დაკავებულის მიყვანიდან არა უგვიანეს 12 საათისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების დამთავრების შემდეგ, მოკვლევის ორგანოს უფროსი ან მოკვლევის ორგანოს სხვა უფლებამოსილი თანამდებობის პირი ცნობს დაკავებულ პირს ეჭვმიტანილად. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად, დაკავებულ პირს მხოლოდ ეჭვმიტანილად ცნობის შემდეგ აქვს უფლება ისარგებლოს დამცველის მომსახურებით. ე. ი. გამოდის, რომ დაკავების შემთხვევაში პირს უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის მომსახურებით პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მისი მიყვანიდან მხოლოდ 12 საათის შემდეგ. ასევე ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს 9 (ცხრა) თვეს. ეს დებულება ჩამოყალიბებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – „კოდექსი") 162-ე მუხლის მესამე პუნქტში, რომლის შესაბამისად განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, გამომძიებლის მოტივირებული შუამდგომლობითა და საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლეს შეუძლია ბრალდებულის პატიმრობის ვადა გააგრძელოს 9 თვემდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, კოდექსის 162-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის და 406-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიებების, ვადის გამოთვლისას ბრალდებულის და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის დრო მხედველობაში არ მიიღება.

გარდა ამისა, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველი აქტიურად თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან იმ ნორმატიული აქტების შეცვლის მიზნით, რომლებიც ასევე ზღუდავენ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ მაგალითს. ყველასათვის ცნობილია, რომ კონსტიტუციის შესაბამისად, „დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს". ამავე დროს მოქმედებს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 2 სექტემბრის №294 ბრძანებულება „საქართველოს შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ", რომლის მიხედვით სასჯელის ზომად გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა პატიმრობა სხვადასხვა ვადით (10 დღე-ღამემდე). სამხედრო მოსამსახურეთათვის პატიმრობის შეფარდება არ მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით აღნიშნული ვაცნობე ქვეყნის პრეზიდენტს 2002 წლის 20 ივნისს გაგზავნილი წერილით. ქვეყნის პრეზიდენტის რეაქცია იყო მყისიერი და წერილის გაგზავნიდან 10 დღეში, ა. წ. 30 ივნისს ძალოვან მინისტრებს დაავალა წარმოედგინათ დასმულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებები. ცხადია, თუ თუ რა დიდ მნიშვნელობას აქცევს პრეზიდენტი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. თუმცა, არ შეიძლია სინანულით არ აღვნიშნო, რომ ანალოგიური სულისკვეთება არ გამოხატულა

შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელების მიერ და საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია.

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2001 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების თაობაზე, რომლის მეორე პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პერსონალურ დაქვემდებარებაში შევიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა ძალოვანი სტრუქტურები. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის შესაბამისად კი, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. ასევე, კონსტიტუციის 91-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება და წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას. ამდენად, მათი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პერსონალურ დაქვემდებარებაში გადასვლა ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას.

წინა ანგარიშში საუბარი გვქონდა ამ დეპარტამენტის (მისი სპეციფიკიდან გამომდინარე) სტრუქტურაში სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულების მქონე ცენტრების შექმნაზე, სადაც დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად იმუშავებდნენ მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები.

ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული ცენტრების საანგარიშო პერიოდის საქმიანობის ანგარიშები.

ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრის ანგარიში

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული პრობლემების ფონზე ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უმწვავესი თემაა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. საქართველო მიუერთდა ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციას, რამაც გარკვეული იმპულსი მისცა სახელმწიფოს, უფრო ქმედითი ღონისძიებები გაეტარებინა ბავშვთა დაცვის თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე საქართველოში ამ პროფილით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პრობლემების სიმწვავე და აქტუალობა, სამწუხაროდ, თუ არ მატულობს, არ შენელებულა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა სამუშაომ ნათლად დაგვანახა, რომ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, ქვეყანაში მართლაც შემაშფოთებელი მდგომარეობაა. თბილისის ქუჩებში საგრძნობლად გაიზარდა უსახლკაროდ დარჩენილი, მათხოვრად ქცეული გაუბედურებულ ბავშვთა რაოდენობა. ბევრი მათგანი მეძაობით ირჩენს თავს და არჩენს ოჯახს. ამ კატეგორიის მოზარდებზე ყოველდღიური ზრუნვა და ყურადღება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა გახდეს. რა თქმა უნდა, იგულისხმება ხელისუფლების მხრივ არა მარტო მორალური და სახელმწიფოებრივი თანადგომა, არამედ,

უპირველეს ყოვლისა, მიზანმიმართული და კარგად გააზრებული სოციალური პოლიტიკა. თუმცა, რეალური მდგომარეობა საპირისპირო სურათს გვაძლევს. ბავშვთა უფლებები ირღვევა თითქმის ყველა სფეროში, რასაც ხელს უწყობს, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელეთა გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. მოქალაქეთა მომართვები და სატელეფონო ზარები ცხადყოფს მოსახლეობის ნიჰილისტურ განწყობას, ადამიანებმა დაკარგეს მდგომარეობის გამოსწორებისა და დახმარების იმედი.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ძირითადი პრობლემა ოჯახების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, რასაც განაპირობებს მძიმე სოციალური ყოფა. განსაკუთრებით მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა, დაბალი ანაზღაურება. ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სიღატაკის დაძლევა გახდა – სიღატაკესთან ბრძოლა არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკური არსებობისათვის პირობების შექმნით. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ოჯახური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, როგორც უმუშევრობის პრობლემის გარკვეულწილად მოგვარების სერიოზული მიმართულება. ძლიერი ოჯახი, რომელიც სახელმწიფოს ხელში შემყურე არ არის, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და ძლიერი სახელმწიფოს გარანტს. მით უმეტეს, რომ საქართველოს აქვს ოჯახური ბიზნესის წარმოების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება – ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვა, თექის თელვა, სხვადასხვა სუვენირების, თიხის ნაკეთობათა წარმოება. გარდა ახლად ფორმირებული ოჯახური ბიზნესის სახეობებისა, არსებობს აგრეთვე ტრადიციული ოჯახური წარმოება, რომელთა დიდი პროცენტი მოდიოდა მაღალმთიან რეგიონებზე, თუმცა ტრადიციების მოშლის ტენდენცია აქაც შეიმჩნევა. ხევსურეთში საზღვრის გადმოწევამ გამოიწვია საძოვრების დაკარგვა და, შესაბამისად, მოსახლეობა ვეღარ მისდევს მეცხვარეობას.

მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აისახა ბავშვთა ჯანმრთელობაზეც. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობას უპირატესად (თითქმის 80-85%-ით) სწორედ სოციალურ-ეკონომიკური, ბიოლოგიური და გარემო ფაქტორები განსაზღვრავს, სამედიცინო ფაქტორების გავლენა კი 15%-ს არ აღემატება. მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საარსებო საშუალებების მოძიება და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება გახდა, ხოლო ჯანმრთელობაზე ზრუნვამ უკანა პლანზე გადაიწია. უკანასკნელი 10 წლის მონაცემების მიხედვით, ექიმთან მიმართვები 1 სულ მოსახლეზე თითქმის 7-ჯერ, ხოლო სასწრაფო დახმარების გამოძახებები კი თითქმის 10-ჯერ შემცირდა. იგივე დინამიკა იკვეთება ბავშვთა პოლიკლინიკებში მიმართვების თაობაზე არსებული მონაცემების მიხედვითაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2002 წელს მოსახლეობაში ბავშვთა დაავადებიანობის მაჩვენებელმა ყოველ 10 000 ბავშვზე შეადგინა 3 375,5, ხოლო ავადობამ – 2496,0. ჩვენს ხელთ არსებული ბოლო მონაცემებით, 2001 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით (47,7%-ით), სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებებით (31,0%-ით), ტრავმებითა და მოწამვლებით (13,6%-ით), სასუნთქი ორგანოების დაავადებებით (4,8%-ით) დაავადებულთა რაოდენობა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა პერინატალური სიკვდილიანობის კლება, თუმცა მისი მაჩვენებელი ისევ მაღალი რჩება, რასაც განაპირობებს მიზეზთა მთელი სპექტრი, როგორც სამედიცინო, ისე არანაკლებ მნიშვნელოვანი – სოციალური.

მართალია, საქართველოს პარლამენტმა გასული წლის ოქტომბერში რატიფიცირება მოახდინა მსოფლიო ბანკის მიერ 60-მილიონიანი კრედიტის სარეფორმო პროგრამის, მაგრამ მიმდინარე რეფორმის ხელშემწყობი პროექტი არ ითვალისწინებს სტანდარტების, პროგრამებისა და შეფასების სისტემის შექმნას ყველა ბავშვისათვის, მხედველობის მიღმაა დარჩენილი ინვალიდი ბავშვები. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 8500-მდე ინვალიდი ბავშვია (მათ შორის 500-მდე იძულებით გადაადგილებული). 10.000 მოსახლეზე გაანგარიშებით,

ინვალიდ ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 17,9%-ს. ინვალიდ ბავშვთა სტატისტიკას აქვს მატების ტენდენცია. გასულ წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საქართველოდან წარმოდგენილი მოხსენების განხილვის საფუძველზე გამოთქვა შეშფოთება იმ ფაქტზე, რომ ქვეყანაში არასაკმარისი ძალისხმევაა მიმართული ინვალიდი ბავშვების ჩვეულებრივ სკოლებში და მთლიანად საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის. აუცილებელია განათლების რეფორმის ხელშემწყობი პროგრამის გადასინჯვა და მისი განხორციელებისათვის განსაზღვრული ვადების შემცირება.

დღეისათვის საგანმანათლებლო სისტემაში, გარდა კანონით დაშვებული მშობელთა გადასახადებისა, სკოლის განვითარების ფონდში (ე.წ. „სასკოლო ფონდი") დამკვიდრდა მშობელთა მიერ არაფორმალური გადასახადების სხვადასხვა სახეობები, მათ შორის, გადასახადები დამატებით (სტანდარტზევით) საგანმანათლებლო მომსახურებაზე, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ნაკლებშემოსავლიან ოჯახებს. 2000-2001 სასწავლო წელთან შედარებით 2002 წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რიცხოვნობა შემცირდა 16,3 ათასით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სკოლიდან განთესილი 986 ბავშვი, „ქუჩის ბავშვებისა" და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების განათლება. სასწრაფოდ შესაქმნელია ინტენსიური პროგრამები, რომელიც დაეხმარება სწავლას ჩამორჩენილ, სკოლიდან განთესილ ბავშვებს დასძლიონ ჩამორჩენა და თანატოლებთან ერთად გააგრძელონ სწავლა. ამ კატეგორიის ბავშვებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება. აუცილებელია ამ ტიპის სასწავლებლების რეანიმირება და საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამოყენებადი პროფესიების ინტენსიური შესწავლა.

მთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეთა პირობების გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამ და „განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა, რომელმაც დაადგინა ჩვენი ქვეყნისათვის ამ პრობლემის პრიორიტეტულობა. მაღალმთიან რაიონებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გაიხსნა სასწავლო კლასები 3-4 ბავშვისათვის, მაშინ როდესაც არსებული ნორმატივია 25 მოსწავლე, X-XI კლასის მოსწავლეები კი გათავისუფლებულნი არიან სწავლის საფასურის გადასახადისაგან. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა რჩება გადასაჭრელი – მთლიანად არ სრულდება კანონის ზოგიერთი მოთხოვნა. კერძოდ, მაღალმთიანი რაიონების პედაგოგებს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მუშაკებს არ ეძლევათ ხელფასის დანამატები ჰიფრომეტრული სიმაღლის მიხედვით: 1200 მეტრამდე – 50%, ხოლო 1200 მეტრის ზევით – 70%; არა აქვთ დაწესებული კომუნალური შეღავათები. ამასთან, სრულად არ ხორციელდება მოთხოვნა პენსიონერი პედაგოგებისათვის ხელფასთან ერთად პენსიის სრულად გაცემის თაობაზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს გაუმჯობესებას.

საგანგაშო მდგომარეობაა სკოლამდელ დაწესებულებებში. საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს 1195 სკოლამდელი დაწესებულება. 1990 წელთან შედარებით სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი თითქმის განახევრდა, რაც გამოწვეული იყო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. სკოლამდელი დაწესებულებები შემცირდა 1284 ერთეულით. შესაბამისად, შემცირდა მათში ჩაბმულ ბავშვთა ხვედრითი წილი 41,6%-დან 22,6%-მდე. დანიშნულების მიხედვით მათი უმრავლესობა (99%) საერთო ტიპისაა, 3 – სპეციალური და 2 – სანატორიული. 22 სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობს 55 სპეციალური დანიშნულების ჯგუფი, სადაც ირიცხება 947 ბავშვი, აქედან 827 მეტყველებს, 110 სმენა და 37 მხედველობადარღვეული აღსაზრდელია. მიუხედავად აღნიშნული ტიპის დაწესებულებების ფუნქციონირების აუცილებლობისა, სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრალური მომარაგების სისტემის მოშლის

შედეგად შემცირდა მათი სახელმწიფო დაფინანსება. ამან გამოიწვია დაწესებულებათა მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მკვეთრი გაუარესება. კაპიტალურ რემონტს საჭიროებს დაწესებულებათა 75,1%, ავარიულ მდგომარეობაშია 16,7%. სახელმწიფო დოტაციების მოხსნის შემდეგ სკოლამდელი დაწესებულებები ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაძლებლობების ფარგლებში, ამიტომ ის ყველა რაიონში სხვადასხვაა. ადგილობრივი ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსებას მისი ყველა მუხლის მიხედვით. ხდება მხოლოდ ხელფასების ანაზღაურება, პროდუქტებიდან – პურის შესაძენი თანხის გამოყოფა და ნაწილობრივ, გასათბობი საშუალებებით უზრუნველყოფა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოქმედ სკოლამდელ დაწესებულებებში.

გაურკვეველია, როდის შეძლებენ ფუნქციონირებას მიმდინარე წლის 26-27 თებერვლის ქარიშხლისა და 25 აპრილის მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის ობიექტები. თბილისის მერიის მონაცემებით, შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა ერთობლივი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე არსებული 417 ობიექტიდან სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება მიიღო 382-მა ობიექტმა. აქედან, III კატეგორიის დაზიანება გამოვლინდა 15 ობიექტში (7 სკოლა და 8 ბაღი), რომელთაგან 6 ობიექტში (4 სკოლა და 2 ბაღი) შეჩერებულია სასწავლო პროცესი, ხოლო დარჩენილი 9 ობიექტის ცალკეულ კორპუსსა და კლასებში სასწავლო პროცესი განახლდება მხოლოდ ფუნდამენტალურ-კონსტრუქციული გამაგრების შედეგად; II კატეგორიის დაზიანება მიიღო 202 ობიექტმა (115 სკოლა და 87 ბაღი). აქედან სერიოზული დაზიანება, რაც განპირობებულია კიბის უჯრედების, ცალკეული სართულების, ფლიგელების ან სასწავლო-აღმზრდელობითი ოთახების ექსპლუატაციის შეჩერებით – აღინიშნა 44 სკოლაში და სასწავლო პროცესი დასაშვებია მკაცრი შეზღუდვებით. I კატეგორიის დაზიანება გამოვლინდა 168 ობიექტში (79 სკოლა და 89 ბაღი). არსებული დაზიანების საორიენტაციო განფასება ამ კატეგორიის ობიექტების რეაბილიტაციისათვის 20 მილიონ ლარზე მეტია. ვიმედოვნებთ, რომ თბილისის მერიის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ 2002-2003 სასწავლო წლისათვის მაქსიმალურად უზრუნველყონ სწავლის პროცესის დაწყება განათლების სისტემის დაწესებულებებში, რეალიზებული იქნება.

შედარებით მოწესრიგებულია მდგომარეობა ჩვილ ბავშვთა სახლების (ქ. თბილისი, მახინჯაური) დაფინანსებასთან დაკავშირებით. თუმცა ჩვილ ბავშვთა უფლებები - განვითარდნენ სრულად და ჰარმონიულად, მხოლოდ მათი სასიცოცხლო პირობების შექმნით არ ამოიწურება. მიუხედავად იმისა, რომ „შვილად აყვანის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი აღიარებს ბავშვის ერთ-ერთ უმთავრეს უფლებას – იცხოვროს და აღიზარდოს ოჯახში, იგივე კანონი ქმნის სირთულეებს ბავშვთა გაშვილებასთან დაკავშირებით. კანონის თანახმად, მარტოხელა დედა ბავშვის გაშვილებაზე თანხმობას წერს ბავშვის დაბადებიდან ექვსი კვირის შემდეგ. ხშირ შემთხვევაში, მშობიარე იპარება სამშობიარო სახლიდან და, როგორც წესი, სამშობიარო სახლში შედის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე, მის მიერ დასახელებულ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების მოკვლევის შედეგად ნაპოვნი ბავშვების მშობლების ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება. ამჯამად თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში იმყოფება 22 აღსაზრდელი, რომელთა დედებმაც განაცხადეს წერილობითი თანხმობა ბავშვის მუდმივად დატოვების შესახებ დაბადებისთანავე, მაგრამ მათი გაშვილების პროცესი ვერ ხორციელდება, ვინაიდან ხელწერილის ჩამორთმევის დრო არ შეესაბამება კანონში მითითებულ ვადას. მარტო თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში ახალშობილის მუდმივად დატოვების შესახებ მშობლების ხელწერილის საფუძველზე 2000 წელს მოთავსდა სულ 69 ახალშობილი (34 – ფიზიოლოგიურ განყოფილებაში, 15 – ნეოროლოგიურ განყოფილებაში; მათ შორის 49 – სხვადასხვა

სამშობიარო სახლებიდან, 12 – სხვადასხვა კლინიკებიდან, 8 – დატოვებულ იქნა ბავშვთა სახლში). 2001 წელს კი 74 ახალშობილი (48 – ფიზიოლოგიურ განყოფილებაში, 16 - ნევროლოგიურ განყოფილებაში; მათ შორის 64 – სხვადასხვა სამშობიარო სახლებიდან, 7 – სხვადასხვა კლინიკებიდან, 3 – დატოვებულ იქნა ბავშვთა სახლში).

სიძნელეები არის როგორც ქვეყნის შიდა, ასევე უცხო ქვეყანაში გაშვილებასთან დაკავშირებით. ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით იმატა პირდაპირმა გაშვილებამ როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუ 1999 წელს საზღვარგარეთ გაშვილდა მხოლოდ 6 ბავშვი, გასულ წელს საერთაშორისო გაშვილებას ამ ფორმით დაექვემდებარა 58 ბავშვი, ხოლო მიმდინარე წელს უკვე 39 ბავშვი გაშვილდა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიაჩნია, რომ მოქმედი კანონმდებლობა გაშვილების საკითხებს ამომწურავად არეგულირებს, რეალობამ ცხადყო, რომ საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს დახვეწას და შესაბამისი მექანიზმის შემუშავებას, რომელიც წინ აღუდგება არსებული დარღვევებისა და კორუფციის ფაქტებს.

ბავშვის უფლებები ირღვევა, ხშირ შემთხვევაში, ერთ-ერთი მშობლის პირადი ინტერესების გამო. ამ ბოლო დროს იმატა ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვთა გატაცების ფაქტებმა. ამასთან დაკავშირებით წარმოებაშია რამდენიმე საქმე.

იუსტიციის სამინისტროს წარმოებაშია საქართველოს მოქალაქის მამუკა შიხაშვილის განცხადება თავისი არასრულწლოვანი ბავშვების - გიორგი და დავით შიხაშვილების დაბრუნების შესახებ. 2001 წლის 20 სექტემბერს ეთერ შველიძე, ყალბი საბუთების გამოყენებით, არასრულწლოვან შვილებთან ერთად გაემგზავრა ქ. პრაღაში.

ეს საკითხი სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობაში. მართალია, კანონი სრულად განსაზღვრავს არასრულწლოვანთა ქვეყნიდან გასვლისა და ქვეყანაში შემოსვლის წესებს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სპეციალური ამკრძალავი ნორმა მშობლის მიერ ბავშვთა უკანონო გადაადგილებისა და დაუბრუნებლობის თაობაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ მინდა დავუბრუნდე გიორგი თორაძის საქმეს. აღნიშნული საკითხი სახალხო დამცველის აპარატში დღემდე კონტროლზეა აყვანილი. მოქალაქე გ. თორაძეს უკვე ხელზე აქვს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ბავშვი უნდა დაბრუნდეს საქართველოში. აღსრულება ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საბერძნეთის იუსტიციის სამინისტროსთან, რათა მოხდეს უკანონოდ გადაყვანილი ბავშვის საქართველოში დაბრუნება. საბერძნეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო საქმეებში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის განყოფილების უფროსის, ბატონ ე. კუზელის პასუხიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა მიმდინარეობს ამ ქვეყნის სასამართლო უწყებაში, სადაც საუბარია ბავშვის გატაცების თაობაზე, რასაც მე პირადად, არ ვეთანხმები, რამდენადაც საქართველოში აღნიშნული საკითხის განხილვა ხდება ბავშვის უკანონო გაყვანასთან დაკავშირებით. ეს სხვადასხვა სამართლებრივი შეფასებაა.

საქართველოს სასამართლო უწყებამ უნდა იმსჯელოს ბავშვის აღზრდა-განვითარების მოვალეობების გადანაწილებაზე მშობელთა უფლებამოსილების ფარგლებში. ჩემი რწმუნებული პირადად შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების წარდგენით, რომლის უშუალო დახმარებით სახალხო დამცველის რეკომენდაცია გადაეგზავნა საბერძნეთში საქართველოს საკონსულოს უფროსს, ბატონ ვ. გაბელაიას, საიდანაც ველით პასუხს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ქუჩაში სარჩოს საძიებლად გამოსულ ბავშვთა მზარდი რაოდენობა. ისინი ცდილობენ თავი ირჩინონ მათხოვრობით, მეძაობით, დანაშაულებრივი ქმედებებით. ხშირ შემთხვევაში ბავშვებს ამისაკენ უფროსები უბიძგებენ. სამწუხაროდ, ჯერაც არ არსებობს „ქუჩის ბავშვთა" პრობლემატიკის ამსახველი ზუსტი სტატისტიკური მონაცემები, არ არის დათვლილი და სარწმუნოდ შეფასებული საქართველოს დიდ ქალაქებში ქუჩის მაწანწალა ბავშვთა რაოდენობა; დაუმუშავებელია შესაბამისი მეთოდიკა; არ არის შექმნილი ამ მდგომარეობის მონიტორინგის სისტემა. ასოციალური ქცევის ბავშვების რაოდენობის დასადგენად ბოლო წლებში ჩატარებული რამდენიმე გამოკვლევის შედეგად, მარტო თბილისში 2500-მდე მაწანწალა ბავშვია. ამ კატეგორიის ბავშვებს შორის მასობრივად არის გავრცელებული მუნი და ტილები, უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, იზრდება მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2002 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში რეგისტრირებულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი 384 დანაშაული, რაც 3 ერთეულით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და მისმა ხვედრითმა წილმა ქვეყანაში რეგისტრირებულ საერთო დანაშაულებში შეადგინა 4,5%. არასრულწლოვანთა ხაზით ოპერატიულ ვითარებაში ერთგვარი სტაბილიზაციის მიუხედავად, კვლავ მაღალია მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებში ქონებრივი სახის დანაშაულის ხვედრითი წილი, რამაც მიმდინარე წლის 6 თვეში შეადგინა 80%-ზე მეტი. ანალიზით ირკვევა, რომ კვლავ განსაკუთრებული სიმწვავით დგას მოზარდებს შორის ნარკომანიის, ტოქსიკომანიისა და პროსტიტუციის ზრდის პრობლემა. საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში აღრიცხვაზე აყვანილი მოზარდებიდან შემჩნეულნი არიან: ნარკოტიკების მოხმარებაში – 9, ლოთობაში - 15, პროსტიტუციაში - 28, მათხოვრობაში - 788 მოზარდი, მაშინ როდესაც მათი რეალური რაოდენობა გაცილებით მეტია.

2002 წლის დასაწყისში უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა პრობლემამ (ფარული სახით) ახალი დატვირთვა შეიძინა. მნიშვნელოვნად იმატა მეძავი მოზარდების რიცხვმა, რომელთა უმეტესობა სექსუალური და ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. გამოკვლეული მოზარდების უმრავლესობას აღენიშნება პოსტტრავმული სტრესული მოშლილობები, პიროვნული დარღვევები, დევიანტური სექსუალური და აუტოდესტრუქციული ქცევები, ტოქსიკური ნივთიერებებისადმი ლტოლვა.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი საბჭოსა და შესაბამისი სტრუქტურების მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა გოგონათა შორის დამნაშავეობისა და მეძაობის ზრდის მაღალი პროცენტი. სამწუხაროდ, ისინი უფრო სასტიკი ფორმით ჩადიან დანაშაულს, ვიდრე ვაჟები, რასაც სერიოზული მიხედვა სჭირდება. ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა, გოგონებმა უნდა მიიღონ საბაზო განათლება, გაიარონ როგორც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ასევე დაეუფლონ მათთვის შესაფერის ხელობას.

2002 წლის პირველ ნახევარში სამართალდამცავთა გააქტიურების მიუხედავად, კვლავ ხარვეზებით მიმდინარეობდა მუშაობა „ქუჩის" სამართალდამრღვევებთან. შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა 3474 სამართალდამრღვევი მოზარდი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრში მოთავსდა 355 მოზარდი. აქვე აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა განმეორებითაა მოთავსებული დაწესებულებაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების მიერ სრულად არ არის გამოყენებული მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მოქმედი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესაძლებლობები არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის აღკვეთა-აცილების საქმეში.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საქართველოს სახალხო დამცველის შუამდგომლობებისა, რომელიც სასამართლოს მიერ, ხშირ შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნა, დამნაშავეობის პრობლემა არასრულწლოვანებს შორის დღეისათვის უფრო მწვავედ დგას. არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანები დანაშაულს რამდენჯერმე სჩადიან. აღნიშნულ პრობლემას ღრმა სოციალური ფესვები აქვს. ბავშვებს დანაშაულისაკენ ძირითადად უბიძგებს ოჯახში შექმნილი არაჯანსაღი გარემო – დაბალი შემოსავლები ან მათი საერთოდ არარსებობა, სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი ძალადობა ოჯახში. ასეთ შემთხვევაში ბავშვები ხშირად გარბიან სახლიდან; ისინი ავლენენ ძალადობას ქუჩაში, სკოლაში, ადვილად იქცევიან სამართალდამრღვევებად. ამ მეტად მტკივნეული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს არასრულწლოვანთა დასაქმება. სახელმწიფო მხარდაჭერისა და მეურვეობის პროგრამების პარალელურად, საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლიათ მეწარმეებს (ეს ჯერ კიდევ აუმოქმედებელ რეზერვს წარმოადგენს) არასრულწლოვანთა შრომითი დასაქმება მათი გადარჩენისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბების უმთავრესი წინაპირობა გახდება. მეწარმეებმა უფრო გაბედულად უნდა მიანდონ ამ ახალგაზრდებს ადგილი საწარმოებში, კერძო სექტორში მათი ინტერესების, პრობლემებისა და შესაძლებლობის მიხედვით. ბავშვი ხომ ის ბუმერანგია, რომელიც მომავალში დაუბრუნდება საზოგადოებას და აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სახით.

დღემდე მოუგვარებელია პატიმარ ქალთა და ბავშვთა სახლებში მყოფი მათი შვილების ერთმანეთთან შეხვედრის საკითხი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ხელმძღვანელობა ამას ვერ ახერხებს უსახსრობის გამო, ამავე დროს ვერაფრით გაირკვა, თუ რომელ სახელმწიფო სტრუქტურას ევალება ამ საკითხის მოგვარება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბავშვები მოკლებული არიან დედის მზრუნველობას, რის გამოც სახელმწიფოს უძნელდება ამ კატეგორიის ბავშვთა სრულფასოვანი ინტეგრირება საზოგადოებაში. შედეგად, ამ ბაშვების სახით ვღებულობთ მაღალი რისკის ჯგუფს, რომელთა ჩართვა დამნაშავეობაში მეტად რეალური ხდება. გამოსავალს ისევ ბავშვთა სახლების დირექტორები პოულობენ, რომლებიც პერიოდულად ახერხებენ საკუთარი ხარჯებით ბავშვების მიყვანას პატიმარ დედებთან. იყო შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებული ქალის – აბდულაევას 9 წლის შვილი გაიპარა მარტყოფის ბავშვთა სახლიდან და საღამოს 9 საათზე მიადგა სასჯელაღსრულებითი დაწესებულების კარს. ბავშვი მიიღეს და ხუთი დღის განმავლობაში იქ იმყოფებოდა. დაწესებულების ხელმძღვანელობა დაუკავშირდა მარტყოფის ბავშვთა სახლის დირექტორს. გაირკვა, რომ ბავშვთა სახლის თანამშრომლები საერთოდ არ ეძებდნენ დაკარგულ ბავშვს. ხელმძღვანელობა იძულებული გახდა თავისი ხარჯებით გაეგზავნა ბავშვი მარტყოფში. სამწუხაროდ, ამას სისტემატური ხასიათი ვერ ექნება. არსებული პრობლემის მოგვარება საქართველოს განათლების სამინისტროს პრეროგატივაა და ბავშვების მიყვანა მსჯავრდებულ დედებთან უნდა ხდებოდეს ქალთა სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დირექციასთან შეთანხმებით.

საგრძნობლად გამოსწორდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მდგომარეობა. თითქმის ერთი წლის შემდეგ მოხერხდა სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა თუ მოთხოვნის შესრულება და მიმდინარე წლის 31 მაისს ავჭალაში ოფიციალურად გაიხსნა არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება, რომელიც თითქმის პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. დაწესებულებაში მოთავსებული 31 არასრულწლოვანიდან 6 იქნა შეწყალებული. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შეშფოთებას იწვევს მოზარდთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც მათთან ფსიქოდიაგნოსტიკურ და საგანმანათლებლო მუშაობის აუცილებლობას განაპირობებს. „ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის“ მონაცემებით, მოზარდებს ახასიათებთ ნარკომანიისადმი ზეპოზიტიური

დამოკიდებულება, არიან ზედმეტად მგრძნობიარენი მათ გარშემო მიმდინარე ყველა მოვლენისადმი, განიცდიან მუდმივ დისკომფორტს, რამაც შეიძლება გაზარდოს მათში დევიაციური ქცევის წარმოშობის ალბათობა, ნაკლებად ცდილობენ მოექცნენ გარშემომყოფების ზეგავლენის ქვეშ. სწორედ ამიტომ, თუ სწორად არ მოხდება ცხოვრებისეული მიზნების გაცნობიერება და, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნებისა და ღირებულებების კორექცია, შესაძლოა, მოზარდების აქტიურობა გადაიზარდოს დესტრუქციულ ქმედებებში და ნაკლებად მართვადი გახდნენ.

ვფიქრობ, არსებული პრობლემების მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის განკარგულება ბავშვთა დახმარების ერთიანი ეროვნული სამოქმედო პროგრამის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კონვენციით აღიარებული სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომპლექსურ გადაწყვეტას. მიმდინარე წელს შემუშავდა პროგრამის სამოქმედო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დარგების მიხედვით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ მუშაობას.

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს UNICEF-ის საქართველოს წარმომადგენლობასთან, სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საანგარიშო პერიოდში ცენტრი კვლავაც აგრძელებდა შერჩევით მონიტორინგს. შევისწავლეთ მდგომარეობა კაჭრეთის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში, სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სახლებში, ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში. იხილება სკოლებში საგანმანათლებლო მდგომარეობა, სკოლებიდან ბავშვთა მასობრივი განთესვის პრობლემები და მიზეზები.

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიასთან. ეკლესიის წინამძღვარ მამა გიორგისთან (ჩაჩავა) ერთად შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს „ქუჩის ბავშვების" მშობლებთან საუბრებს, მათ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, ამგვარი ოჯახების ამ მდგომარეობამდე მისვლის გამომწვევი მიზეზების შესწავლას, შესაძლო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას, რაც, ვფიქრობ, შეამცირებს მშობლების მხრიდან ბავშვებზე ძალადობის ფაქტებს (მათხოვრობა, მეძაობა, კანონით აკრძალული მუშაობა) და რისკის ჯგუფის ბავშვების რაოდენობას.

ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის ანგარიში

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული განვითარება საქართველოში

სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა და მამაკაცს შორის თანასწორობის განმტკიცება, ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში მათი მონაწილეობისათვის ხელშეწყობა.

სწორედ ამ მიზნების განსახორციელებლად სტრატეგიის დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი. ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო"-სთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა ქალთა უფლებების ეროვნული სამსახურის შესაქმნელად, რომლის ძირითადი მიზანია ქალთა და ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის ახალი პრაქტიკის დანერგვა, ქსელური,

კოორდინირებული და ინტეგრირებული მუშაობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ცენტრის ანგარიში ემყარება შემოსულ განცხადებებს, საჩივრებს, სატელეფონო ზარებს, მოქალაქეებთან პირადი კონტაქტებს, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ მასალებს.

საქართველო გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ყველა მსგავს სიტუაციაში მყოფი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემები მთელი სიმწვავით დგას ჩვენს წინაშეც. საქართველო განიცდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის ტრანფორმაციის პერიოდს, რომელიც არასოდეს არ მიმდინარეობს მშვიდად. ამ დროს, როგორც წესი, ყველაზე მეტად ზარალდებიან საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენები – ქალები, ბავშვები და მოხუცები.

თანამედროვე საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის განხილვა უშუალოდ უკავშირდება გენდერულ განვითარებას. გენდერი არის სოციალური სქესი. სწორედ სოციალური და არა ბიოლოგიური. გენდერის ცნება მოიცავს ბიოლოგიურ სქესს თავისი სოციალური ზედნაშენით – სქესთან ასოცირებული როლით, სტატუსითა და სხვა ნიშნით.

ამგვარად, გენდერი კომპლექსური ცნებაა. სწორედ გენდერი და არა ბიოლოგიური სქესი უდევს საფუძვლად სქესთა კონფლიქტს. ბევრი სქესთა კონფლიქტს არარსებულს და ხელოვნურად გამოწვეულს უწოდებს. ხშირად ამ პრობლემებზე ლაპარაკი გაღიზიანებას იწვევს, რადგან ასოცირდება ფემინისტურ მოძრაობასთან, რომელსაც, ზოგჯერ, რბილად რომ ვთქვათ, პათოლოგიური ფორმა აქვს მიღებული. ამ კონფლიქტს რეალური საფუძველი აქვს. ის ქალთა მრავალსაუკუნოვანი დისკრიმინაციის შედეგია და ამიტომ გარდაუვალია. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, ე. წ. რადიკალური ფემინიზმის წარმოშობასთან ერთად, მან განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა. ქალის მდგომარეება ბევრად გაუმჯობესდა, როგორც ოჯახში, ისე სამსახურში. იმდენად გაუმჯობესდა, რომ ბევრი იმასაც თვლის, რომ საკითხმა მნიშვნელობა დაკარგა და ქალის უფლებები აღარ ირღვევა. არიან ისეთებიც, ვისი აზრითაც, უკვე მომწიფდა მომენტი, რათა დაიწყოს ბრძოლა მამაკაცთა უფლებების დასაცავად.

რამდენად სამართლიანი და აქტუალურია ეს საქართველოსთვის?

ბოლო დროს მოსახლეობის გაღარიბებამ კიდევ უფრო გაამწვავა გენდერული დისბალანსი საზოგადოებაში. სიღარიბის მასშტაბის ზრდამ არსებითი კორექტივები შეიტანა და სპეციფიკური პრობლემები შექმნა პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის თვალსაზრისით. შესამჩნევად შემცირდა შობადობა, გაუარესდა ქალთა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემისადმი ხელმისაწვდომობა, გაიზარდა უმუშევრობა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ფაქტები.

საქართველოს მოსახლეობის 52 პროცენტს ქალები წარმოადგენენ, რომელთაგან მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, ინვალიდი ქალები, იძულებით გადაადგილებული ქალები ბავშვებთან ერთად ითვლებიან სიღარიბის მაღალი რისკის მატარებლებად.

სიღარიბის განზომილებების (უნარი, შესაძლებლობები, უზრუნველყოფა და ხელშეწყობა) გენდერული დახასიათება ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ნეგატიური გავლენა მოახდინა სიღარიბის ზრდამ ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, დემოგრაფიული პროცესების განვითარებაზე.

სოციალური დაცვის გარანტიების შემცირებამ, წარმოების იმ დარგების ლიკვიდაციამ, სადაც ქალთა დიდი ნაწილი იყო დასაქმებული, გამოიწვია ქალთა უმუშევრობის მაღალი დონე. კიდევ უფრო გართულდა ქალებისათვის რეპროდუქციული და ეკონომიკური ფუნქციების შერწყმა; ოჯახის მოვლასთან ერთად, ქალებმა ვერ შექმნეს სათანადო ფინანსურ-მატერიალური ბაზა იმის გამო,

რომ მათთვის გართულებულია ქვეყანაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა და მასზე კონტროლი.

სიღარიბის ფენომენმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქალზე, როგორც პიროვნებაზე და სოციუმზე. სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვის შეკვეცამ და სკოლის გარეშე ბავშვთა მოვლის შესაძლებლობების შემცირებამ მნიშვნელოვნად გაართულა მათი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა. ქვეყანაში არსებულმა ენერგოკრიზისმა, გაზმომარაგების პრობლემამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ქალის ჯანმრთელობასა და ფსიქიკას.

ხშირად ირღვევა ქალის ეკონომიკური და შრომითი უფლებები (დეკრეტიდან დაბრუნებულ ქალი სამუშაოზე არასასურველი მუშაკი ხდება, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში).

საბიუჯეტო ორგანიზაციები საშტატო შემცირებისას ქალებს უფრო იოლად ათავისუფლებენ, რაც უკავშირდება სტერეოტიპს, რომ ოჯახში კაცია მარჩენალი. თუმცა, ბოლო ათწლეულში შექმნილმა ვითარებამ საპირისპირო სიტუაცია დაგვანახა – ხშირად სწორედ ქალია ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

ქალთა დასაქმებისა და სოციალური დახმარების პრობლემა საქართველოში მეტად მტკივნეულია. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დასაქმებულ ქალთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ, იმავდროულად, სამუშაო ადგილები სწრაფად მცირდება. დასაქმების სფეროში ქალთა რაოდენობის შემცირების შემდეგ, მომუშავე ქალთა რიცხვი 40 პროცენტამდეა. ამასთანავე, მომუშავე ქალთა რიცხვი გაიზარდა „დახურული" ეკონომიკის არაფორმალურ სფეროსა და არასრულყოფილ დასაქმებაში. ასევე ხშირად ქალები არალეგალურად მუშაობენ და ამ დროს ისინი კანონმდებლობით დაუცველნი არიან.

საქართველოს კონსტიტუციით, ყველა მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერი თანამდებობის დაკავება, თუ იგი დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. რეალურად არსებობს მრავალი დაბრკოლება, რაც ხელს უშლის ქალებს ეკავოთ მაღალი თანამდებობები. ხშირია დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებების შემთხვევა, რასაც მთავრობის მხრიდან არ მოჰყოლია ამ პრაქტიკის გამოსწორების მცდელობა.

სოფლად მცხოვრები ქალები თავიანთი უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან და ცხოვრობენ უფრო ტრადიციულ ჩარჩოებში, ვიდრე ქალაქში მცხოვრები ქალები. განქორწინებული და უშვილო ქალები სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებიან.

ქალების მონაწილეობა ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში ძალიან მცირეა.

არ არსებობს სოფლად მცხოვრები ქალების დახმარების პროგრამები; არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა სოფლად მცხოვრებ ქალთა ოჯახის დაგეგმვის სფეროში.

საერთოდ, მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ ქალი ნამდვილად არის დისკრიმინაციის ობიექტი, თუმცა იმის განსაზღვრა, თუ რა არის დისკრიმინაცია, იოლი არ აღმოჩნდა. გაეროს კომისია „ქალთა სტატუსის შესახებ" 1946 წლიდან მუშაობდა ქალთა მდგომარეობის შესწავლის საკითხებზე და მისი მთავარი ამოცანა იყო მსოფლიო მასშტაბებით განესაზღვრა ის შემთხვევები და სიტუაციები, როდესაც ქალები ყველაზე სასტიკ დისკრიმინაციას განიცდიდნენ. 1979 წლის 18 დეკემბრის კონვენციამ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საბოლოოდ განმარტა ცნება „ქალთა დისკრიმინაცია", როგორც სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან შეზღუდვა, რომელმაც, შესაძლებელია, შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში, ქალის ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის

თანასწორობის აღიარების სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.

აღნიშნულ კონვენციას საქართველო მიუერთდა 1994 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია აღიარებს ყველა ადამიანის დაბადებით და კანონის წინაშე თავისუფლებას, არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს ქალის დისკრიმინაციას სქესობრივი განსხვავებისა და ოჯახური მდგომარეობის სტატუსის საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობით ფორმალურად დაცულია თანასწორობის უფლება. უმეტესად ამ ნორმათა იმპლემენტაცია მხოლოდ ნაწილობრივ ხდება, რის მთავარ მიზეზადაც შეიძლება ჩაითვალოს ქალთა საკითხებისადმი ტრადიციული მიდგომა. ხელისუფლება და საზოგადოება ქალთა საკითხებს განიხილავს უფრო დედობის ასპექტში და არა როგორც ქალის – ადამიანის დამოუკიდებელ უფლებებს.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მთელ მსოფლიოში ქალებმა დაიწყეს უპრეცედენტო საერთაშორისო მოძრაობა ქალის ადამიანის უფლებებისათვის. 1985 წელს ქალებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების მსოფლიო კონფერენციაზე ქ. ნაირობიში (კენია) ადამიანის უფლებები მიჩნეულ იქნა ქალებთან მიმართებაში საკვანძო საკითხად. 1995 წელს ქალებისადმი მიძღვნილი პეკინის მსოფლიო კონფერენციის შემდგომ ადამიანის უფლებები ატაცებულ იქნა ათასობით ქალის მიერ და მსოფლიოს სახელმწიფოების მთავრობათა სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. შემდგომში ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციაზე – ვენა (ადამიანის უფლებები), ქაირო (მოსახლეობა) და კოპენჰაგენი (სოციალური განვითარება) ქალის უფლებების აქტივისტებმა ბიძგი მისცეს ყველა სფეროში ქალებისა და მათი უფლებების უგულებელყოფის გამოაშკარავების პროცესის დაწყებას და დაასაბუთეს, რომ ქალთა სტატუსის გაუმჯობესება ზოგადად დამოკიდებულია ყველა სფეროში მათი უფლებების განვითარებაზე.

ამ აქტივიზმით გამოწვეული ეფექტი სრულიად განსაკუთრებული აღმოჩნდა საერთაშორისო დონეზე. ისტორიაში პირველად სახელმწიფოებმა და მათმა მთავრობებმა „ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად" დაისახეს, ეკისრათ პასუხისმგებლობა ქალის – ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამ და სხვა შეპირებული ცვლილებების გატარებისა, საერთაშორისო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ქალები მთელ მსოფლიოში ჯერ კიდევ დგანან იმ ყოველდღიური რეალობის წინაშე, როცა ხდება მათი ფუნდამენტური უფლებების უარყოფა. უფრო მეტიც, მათ ძალიან ხშირად აკლიათ საკმარისი გამოცდილება და ცოდნა, რათა სათანადოდ გამოიყენონ ადამიანის უფლებების სისტემა ძალადობასთან საბრძოლველად და საკუთარი უფლებების გასავითარებლად. უამრავმა ქალმა არ იცის საკუთარი უფლებები, არ იციან არაფერი ქალის – ადამიანის უფლებებისათვის მსოფლიო მოძრაობის შესახებ და უყურებენ ადამიანის უფლებათა სისტემას, როგორც რაღაც აბსტრაქტულსა და მათთვის მიუღწეველს.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ ქალებზე არსებითი ზემოქმედება მოახდინა. საყურადღებოა, რომ დასაქმებულ ქალთა რიცხვი საბიუჯეტო სამსახურებში 60 პროცენტით შემცირდა, მაშინ როცა ანალოგიური მონაცემები მამაკაცებში მხოლოდ 29 პროცენტს შეადგენს. ქალების დიდი ნაწილი უმუშევარია, იმავდროულად, მათი ანაზღაურების დონე ერთგვარად ჩამორჩება მამაკაცების ხელფასს.

გარდამავალ პერიოდში მამაკაცთა დასაქმების დონე, ქალებთან შედარებით, უფრო სტაბილურია. ქალთა ადაპტაცია ახალ ეკონომიკურ პირობებთან გაცილებით რთული აღმოჩნდა. წარმოების სფეროში უმუშევარი აღმოჩნდა 292.400 ქალი. უმუშევრობის ასეთი მაღალი ხარისხი გამოწვეულია მსუბუქი, კვებისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა გაჩერებით, რაც ტრადიციულად „ქალთა" საქმიანობის სფეროდ ითვლებოდა. ბევრმა ქალმა სამუშაო დაკარგა განათლებისა და ჯანდაცვის

რეფორმის პერიოდში. უმუშევრობასთან დაკავშირებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინა სამეწარმეო საქმიანობაში ქალთა უკიდურესად დაბალი მონაწილეობა.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ქალთა დაახლოებით 46 პროცენტმა დაკარგა სამუშაო ადგილი, ხოლო ბოლო მონაცემებით, საქართველოში ქალთა ხელფასი 1,6-ჯერ ჩამორჩება მამაკაცისას, რაც, ძირითადად, პროფესიული და დასაქმების სფეროში არსებული სეგრეგაციით იყო განპირობებული. ქალთა უდიდესი ნაწილი განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული, სადაც შრომის ანაზღაურების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სფეროებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებს.

სიღარიბემ განსაკუთრებით იმოქმედა ქალთა ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობაზე. თუ მოვახდენთ სიღარიბის ფენომენის გავლენის დიფერენცირებას ფეხმძიმე ქალზე, მეძუძურ დედაზე, ინვალიდ და მარტოხელა დედებზე, დავინახავთ, რომ საქართველოში გატარებულმა ჯანმრთელობის რეფორმამ ჯერჯერობით ვერ შექმნა ხელსაყრელი პირობები ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. არ არსებობს პრევენციული მედიცინა ქალებისათვის, რომელიც მათი და შვილების ჯანმრთელობის გარანტს წარმოადგენს. განსაკუთრებით თვალშისაცემია სიღარიბესა და განათლებას შორის ურთიერთკავშირი. გარდა ამისა, განათლების სისტემაში აშკარად გამოხატულმა გენდერულმა დისპროპორციამ ამ დარგში თავმოყრილ ქალთა მასობრივი გაღარიბება გამოიწვია.

საბაზრო ეკონომიკამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქალის მწარმოებლური და ანაზღაურებადი შრომის წილი ფორმალურ და არაფორმალურ სექტორში. ისინი ძირითადად საქმიანობენ მცირე საწარმოებში ან თვითდასაქმდებიან და არა აქვთ საშუალება მიიღონ აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა სფეროში (სექტორში) გადაწყვეტილების მიღებაში.

სიღარიბემ გაამძაფრა ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა. შეიმჩნევა ძალადობის ტენდენციები ოჯახებში, რაც როლური ფუნქციების რღვევითაა გამოწვეული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღეისათვის უბნის ინსპექტორების მიერ გამოვლენილი და აღრიცხვაზე აყვანილია 8658 ოჯახური კონფლიქტის შემთხვევა. მათ შორის, 2001 წელს – 4537, 2002 წელს – 4121. აქედან მოგვარებულია 1183 შემთხვევა.

გაფართოვდა ქალთა შრომითი მიგრაციის პროცესი, რომლის დროსაც ქალები ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან. უცხოეთში ქალები მუშაობენ მათი კვალიფიკაციისთვის სრულიად შეუსაბამო სამუშაოზე, რაც იწვევს სამუშაო ძალის დევალვაციას. მათთვის არ არსებობს სოციალური და ლეგალური დაცვის გარანტიები. ყველაფერი ეს სავალალო შედეგებს იძლევა, როგორც დემოგრაფიული, ასევე ოჯახის ღირებულებების თვალსაზრისით. ამ უმძიმესი ვითარების ფონზე უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა შრომითმა მიგრაციამ გარკვეული როლი შეასრულა მათი ოჯახების ფიზიკურ გადარჩენაში (საშუალოდ ისინი თვეში 200-250 აშშ დოლარს უგზავნიან ოჯახებს).

ნათელია, რომ დღეს რაც უფრო ღარიბია ოჯახი, მით მეტია ქალის ეკონომიკური წვლილის (შენატანის) მნიშვნელობა და, შესაბამისად, იზრდება ქალის მწარმოებლური საქმიანობის როლი ოჯახის ბიუჯეტის ფორმირებაში.

საქართველოში ხდება ქალთა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემების იგნორირება, იგრძნობა უარყოფის ძლიერი ტენდენცია. გენდერული პრობლემების სამთავრობო გაგება ჯერ კიდევ ტრადიციულ ჩარჩოებშია მოქცეული. არ არსებობს კანონმდებლობა ან პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს ქალის დისკრიმინაციას ან არეგულირებს სახელმწიფო და ოფიციალური ან კერძო ინსტიტუტების მოქმედებას.

ასევე არ არსებობს ქალის წინააღმდეგ სქესის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის დეფინიცია. ქალის დისკრიმინაციის მხოლოდ რამდენიმე სარჩელი თუ ყოფილა სასამართლოში წარდგენილი. საქართველოში არ არის განვითარებული სპეციალური სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მექანიზმები, რომლებიც ქალებს მათი უფლებების დაცვის საშუალებას მისცემს. უკანასკნელ წლებში საქართველოში უმნიშვნელო სტატისტიკური გამოკვლევები და მონიტორინგებია ჩატარებული კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებათა დაცვისა და იმპლემენტაციის შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობით ქალები ძალადობისაგან დაცული არ არიან. არ არსებობს პარტნიორის მიერ ძალადობისაგან სამართლებრივი დაცვა და გაუპატიურება ქმრის ან პარტნიორის მიერ დანაშაულად არ არის აღიარებული. არ არსებობს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ. ქართული საზოგადოების პატრიარქალური ხასიათიდან გამომდინარე, ოჯახურ დანაშაულთა უმრავლესობა განუცხადებელი რჩება.

საქართველოში ოჯახურ დანაშაულთა შესახებ ცოდნა არ არსებობს და უამრავი ქალი ვერც კი აცნობიერებს, რომ იგი დანაშაულის მსხვერპლია. თუმცა, ამგვარი ქმედებების გაცნობიერების შემთხვევაშიც კი, ოჯახური დანაშაულობები უმეტესად დაფარული რჩება. საქართველოში ოჯახურ დანაშაულთა ნამდვილი სურათი შეუსწავლელია, რაც გამოწვეულია ქალთა მიერ განუცხადებლობით.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა მათ მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას. მიუხედავად ამისა, ქალთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გვხვდება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

მიუხედავად დიდი კულტურული ისტორიისა, საქართველო ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრი პატრიარქალური საზოგადოების ქვეყანაა. ამიტომ, როგორც ნებისმიერ პატრიარქალურ-მასკულინურ საზოგადოებაში, ქალი და მამაკაცი თანასწორუფლებიანი ვერ იქნება. აქ ქალის უფლებებსა და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე ჯერ კიდევ ირონიულად იღიმებიან. ხშირ შემთხვევაში, ქალის ადამიანის უფლებები სწორედ იმ ორგანოებსა თუ საფეხურებზე ირღვევა, რომლებიც ამ დარღვევათა აღმოფხვრისათვის უნდა ზრუნავდნენ.

პროსტიტუცია

საქართველოში დღეს პროსტიტუციის ზრდის ძირითადი მიზეზი 1991 წლიდან ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუარესება და საზოგადოებაში ღირებულებათა გადაფასებაა.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, პროსტიტუცია სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება. ამავე დროს, ე. წ. „ბორდელის“ მოწყობა, ქალის წაქეზება ასეთი საქმიანობისკენ, მკაცრად ისჯება. სამწუხაროდ, იზრდება არასრულწლოვანთა პროსტიტუციის რიცხვი.

სახელმწიფოს არ გააჩნია მეძავთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის სტატისტიკა. შესაბამისად, პრობლემა რამდენიმე ასპექტში გამოიხატება: უხეშად ირღვევა პროსტიტუციის მსხვერპლ ქალთა უფლებები, რომლებიც გაუსაძლისმა ეკონომიკურმა პირობებმა აიძულა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ წასულიყვნენ პროსტიტუციაში; ირღვევა პროსტიტუციით „დასაქმებული“ ქალების ოჯახის წევრთა, შვილების, მეუღლეების, მშობლების უფლებები, რომლებიც სახელმწიფოსაგან მოითხოვენ მყარი ოჯახური კავშირის არსებობისათვის საჭირო გარანტიებს და ოჯახის წევრთა უფლებამოსილების შესრულებისათვის სათანადო პირობების შექმნას; საფრთხე ემუქრება ეროვნულ გენოფონდს; საეჭვოა, რომ

პროსტიტუციით „დასაქმებულმა“ ქალებმა თავი გაართვან შვილების აღზრდის მოვალეობას, აღარაფერს ვამბობთ სიცოცხლისათვის საშიში დაავადების შეძენის რისკზე, როგორიცაა შიდსი, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მათთვის, და არა მხოლოდ მათთვის.

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 400-მდე შემთხვევა. გარდაიცვალა 33 ადამიანი. სავარაუდოა, რომ ოფიციალური მონაცემები არ ასახავს დაავადების რეალურ სურათს.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პერიოდულად აქტუალური ხდება პროსტიტუციის ლეგალიზაციის საკითხი. ამ საკითხზე დაწყებულია საჯარო მსჯელობა, ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ვფიქრობთ, რომ გამოსავალი არა ლეგალიზაციაში, არამედ რეგლამენტაციაში, რომელიც პროცესს კონტროლირებადს გახდის.

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს პრობლემას და მისი აღმოფხვრისათვის განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები. უნდა შეიქმნას ჯგუფი (კომისია), რომელიც გამოიკვლევს პრობლემის არსებობას და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლებისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გარკვეული ნაწილი უნდა დაეთმოს ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე მრავალშვილიანი დედების, მაღალმთიანი რეგიონებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის, ქალთა და ბავშვთა დახმარების საკითხებს.

მსჯავრდებულ ქალთა შეწყალების საკითხი

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეიწყალოს მსჯავრდებულნი, რაც თავისთავად, უდიდესი ჰუმანური აქტია.

როგორც წესი, შეწყალების აქტი გამოიყენება იმ პირთა მიმართ, ვინც სასჯელს იხდის შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის.

სამწუხაროდ, მიუხედავად არაერთი მიმართვისა, ვერ დავარწმუნეთ საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისია, გაევრცელებინა შედავათები (კერძოდ, სასჯელის დარჩენილი ნაწილის შემცირების შესახებ) იმ პატიმარ ქალებზე, ვისაც მსჯავრი დაედო მძიმე დანაშაულისათვის (ნარკოტიკების რეალიზაცია, მკვლელობაში თანამონაწილეობა და ა. შ.), თუმცა ვაცნობიერებთ, რომ ზოგიერთ მათგანს ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაული და სასჯელს დამსახურებულად იხდის. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, თუ რამ აიძულა მოქალაქე, გადაედგა უღირსი საქციელი – ჩაედინა დანაშაული. საზოგადოებისა თუ ოჯახის წევრების მიერ გამოვლენილი ფიზიკური თუ ვერბალური ძალადობა და აგრესიულობა ბადებს საპასუხო აგრესიას, რომელიც, რიგ შემთხვევებში, ვლინდება სხვათა მიმართ დაუნდობელ ქმედებებში – მკვლელობა, ყაჩაღობა. გაუსაძლისი პირობები აიძულებთ ქალებს ჩაიდინონ ისეთი მძიმე დანაშაული, როგორიცაა ნარკოტიკული და სხვა ძლიერ მოქმედ საშუალებათა უკანონო გასაღება. ყოველდღიურად იზრდება ე. წ. „მსხვერპლთა“ რიცხვი, რადგან სახელმწიფო პრობლემას არ განიხილავს გლობალურად. აუცილებელია აღმოიფხვრას დანაშაულის წყარო – ნარკობარონები, რომლებსაც ნაკლებად აგებინებენ პასუხს ჩადენილზე.

დღეისათვის სასჯელს იხდის 131 ქალი და ზოგიერთი მათგანის მდგომარეობა მართლაც დასაფიქრებელია. გათვალისწინებულ უნდა იქნას სასჯელის მოხდის ადგილებში პატიმარ ქალთა ქცევა, შრომისადმი დამოკიდებულება, დანაშაულის სიმძიმე, ოჯახური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, პირველადი ნასამართლობა, მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე ჩადენილი

დანაშაული და სხვა გარემოებები – ზოგიერთი მათგანი დაავადებულია და საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას; ჰყავთ უუნარო, ლოგინად ჩავარდნილი ახლობლები, რომელთა მარჩენალსა და ერთადერთ პატრონს ისინი წარმოადგენენ; ბავშვები მოკლებული არიან დედის ყოველდღიურ მზრუნველობას, რის გამოც სახელმწიფოს უძნელდება ამ კატეგორიის ბავშვთა სრულფასოვანი ინტეგრირება საზოგადოებაში. შედეგად ვღებულობთ მაღალი რისკის ჯგუფს იმ ბავშვების სახით, რომელთა ჩართვა დამნაშავეობაში მეტად რეალური ხდება.

აღსანიშნავია, რომ 1997 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად 54[2]-ე მუხლში „თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით“ აღნიშნული შეღავათები: 1. იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ვადით ათ წლამდე ჩათვლით, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ერთი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ; 2. იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ათ წელზე მეტი ვადით, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ნახევრის ფაქტიურად მოხდის შემდეგ; 3. იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ამ კოდექსის 54-ე მუხლის მე-6 ნაწილში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ), რითაც პატიმართა მდგომარეობა შემსუბუქების ნაცვლად დამძიმდა, რაც ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო ნორმას და სტანდარტს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „...დაუშვებელია დაეკისროს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში“. ყოველივე ამას ემატება ქალთა კოლონიის უკიდურესად მოუწესრიგებელი ყოფითი პრობლემები.

ამრიგად, სახელმწიფო, ფაქტობრივად, ვერ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს პატიმარი ქალების მიმართ, შეწყალებაზე კი უარს ეუბნება მათ.

სამხედრო პირთა უფლების დაცვის ცენტრის ანგარიში

მდგომარეობა სამხედრო ძალებში

პატარა სახელმწიფოს უნივერსალური განსაზღვრება ჯერჯერობით არ მოიძებნება, თუმცა არაერთხელ ყოფილა მცდელობა სახელმწიფოების კლასიფიკაციისა, მოსახლეობის რაოდენობის ან ტერიტორიის სიდიდის მიხედვით. სახელმწიფოს ტიპოლოგიის ორი ძირითადი მახასიათებლის – მიწის ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოს „წონას“ საერთაშორისო სისტემაში.

ქვეყანა შეიძლება იყოს პატარა, მაგრამ გააჩნდეს ძალიან ძლიერი და მყარი სახელმწიფოებრივი ბაზა და, შესაბამისად, ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდეს (მაგალითად, შვედეთი, ნორვეგია, ჰოლანდია და სხვ.); მეორეს მხრივ, დიდი და ძლიერი ქვეყანა შეიძლება სუსტი სახელმწიფო იყოს და ეროვნულ უსაფრთხოების სფეროში პატარა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სიძნელეები და სისუსტეები ახასიათებდეს. შიდა სისუსტეები, სოციალური და ეთნიკური ინტეგრაციის დეფიციტი, სუსტი ეკონომიკა და სტაბილური ინსტიტუტების უქონლობა, სერიოზულ

პრობლემებს უქმნის ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი პატარა სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო ათწლეულში მიმდინარე პროცესებს თუ გადავხედავთ, სამხედრო ძალების მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები, ხშირ შემთხვევაში, არასასურველი შედეგებით მთავრდებოდა. არასწორი პოლიტიკის გატარებასა და ტაქტიკურად სამხედრო ოპერაციების წარმოებას შეეწირა მრავალი ოჯახის სიცოცხლე და კეთილდღეობა. გაურკვეველი საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო საქმეების არაკოორდინირებულობის შედეგად მივიღეთ ასობით ათასი დევნილი და რამდენიმე ათასი დაღუპული, რამაც შემდგომში უზარმაზარი დაღი დაასვა ჩვენს ცნობიერებას „წაგებული ომი"-ს სინდრომის სახით (საუბარია აფხაზეთის კონფლიქტების შედეგებზე). საზოგადოებას მობეზრდა, ან სულაც ძალა გამოეცალა ეროვნული ღირებულებებისა თუ ფასეულობათა ბრძოლისათვის. აზრი იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება სადღაც ძალიან შორს, აქტუალური გახდა და ველით, როდესაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები საბოლოოდ შეთანხმდებიან, ვისი გავლენის სფეროს ქვეშ მოექცევა საქართველო, – მიზეზი ეროვნული იდეის (თუ იდეოლოგიის) არარსებობაა... რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს საზოგადოების გარკვეულ ფენებში, უმუშევრობისა და ელემენტარული საარსებო მინიმუმის არქონის გამო, საბჭოთა კავშირის აღდგენის ნოსტალგიაც კი გაჩნდა. დემოკრატია კორუფციასთან, უმუშევრობასა და სიღარიბესთან ასოცირდება, სოციალურ უფლებებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. დაცარიელდა რაიონები და სოფლები, ვინც მოახერხა, უცხოეთს შეაფარა თავი, ხოლო ვინც ვერ მოახერხა, დედაქალაქში ქუჩებსა და მეტროებში ვაჭრობით ირჩენენ თავს.

სამწუხაროდ, როდესაც სოციალურ პრობლემებზე ვიწყებთ საუბარს, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" პოპულისტებად გვნათლავენ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიას მარტო ჯარი არ წარმოადგენს, ჯარი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და არა ერთადერთი. კორუფციის მასშტაბების ზრდა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის უსაფრთხოების შესუსტებასთან.

იგივე მიდგომაა დღეს სამხედრო ძალების მიმართებაში. ხშირად გაისმის კითხვა, თუ ჩვენი ქვეყნის ბედი მაინც სხვა სახელმწიფოებში წყდება, რა საჭიროა ჯარი? ეს ხომ მეტად ძვირი სიამოვნებაა, მაშინ, როდესაც ქვეყანას ახრჩობს საგარეო თუ შიდა ვალები. განათლების, ჯანდაცვის თუ ნებისმიერი სხვა სფერო, პრაქტიკულად, ჩავარდნილია, ხოლო ზოგიერთი უწყება საერთოდ ატრიბუტიკისათვისაა შექმნილი. და თუ საჭიროა, რა ფუნქცია აკისრია მას მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს უსაფრთხოების კონცეფცია, არ არის ზუსტად განსაზღვრული ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და არც საკმარისი თანხები მოიძებნება ჯარის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის.

ამ პრობლემის აქტუალურობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით. საზოგადოება ცალსახად მხარს უჭერს ქვეყანაში შეიარაღებული ძალების არსებობის აუცილებლობას იმის გათვალისწინებით, რომ ნომერ პირველ პრობლემად რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, მით უმეტეს, რომ მოსახლეობის თითქმის 10% დევნილია. ასეთ ვითარებაში მთავრობას თითქოს არ სურს ბიუჯეტიდან გაიღოს ის მცირეოდენი თანხაც კი, რომელიც სამხედრო ძალებს ხმარდება. არსებული მცირე დაფინანსება ვერ უზრუნველყოფს ჯარის ფუნქციებისა და მიზნების განხორციელებას, ამასთანავე, გაუსაძლის სოციალურ მდგომარეობაში აყენებს სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს, რაც იწვევს გარკვეულ გაღიზიანებას, როგორც ოფიცერთა რიგებში, ასევე რიგით შემადგენლობაში. სახელმწიფოს მხრიდან არასწორი მიდგომების გამო დღეს სამხედრო ძალებში 2000-მდე დეზერტირია. მიუხედავად 1997 წლისა და 2001 წლის ამნისტიისა, ეს პრობლემა ისევ და ისევ გადაუჭრელი რჩება. არსებული პრობლემის

აღმოსაფხვრელად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლისას საჭირო აუცილებელი და ელემენტარული პირობების არარსებობა ხელს უწყობს დეზერტირობას და, აქედან გამომდინარე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი.

სამხედრო ნაწილებში ხშირ შემთხვევებში არ გააჩნიათ აუცილებელი სამედიცინო პრეპარატები. ამის გამო, ჯარისკაცთა ავადმყოფობის შემთხვევაში ხშირად მათ მშობლებს უწევთ მკურნალობისათვის საჭირო თანხების მოძიება. მაგალითისთვის, ამა წლის 6 აპრილს შინაგანი ჯარების რიგითი მოსამსახურე თამაზ მღვდლიაშვილი ავტოკატასტროფის შედეგად სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის მე-9 საავადმყოფოში, შემდგომ იგი უმძიმეს მდგომარეობაში გადაიყვანეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის რეანიმაციულ განყოფილებაში. ჩვენთან საუბრისას გაირკვა, რომ ორი კვირის განმავლობაში მშობლებმა რიგითი თ. მღვდლიაშვილის მკურნალობისთვის მარტო მედიკამენტებში 9 000-მდე ლარი გადაიხადეს. ამის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ გაეყიდათ თოთქმის ყველაფერი -- სახლი, მანქანა. აღნიშნული თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი მისი მკურნალობისათვის და, პრაქტიკულად, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ბევრი მშობელი აღარ ისურვებს შვილის ჯარში გაშვებას და ყველა ღონეს იხმარენ, რათა თავი დაიზღვიონ მღვდლიაშვილების ოჯახის მსგავსი პრობლემებისგან. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით იმ ჯარისკაცების შინაგანი მდგომარეობა, რომლებიც თ. მღვდლიაშვილთან ერთად მსახურობენ, მათ იციან, რომ ასეთ შემთხვევაში, თუ მშობლები არ იზრუნებენ მათზე, ისინი სასიკვდილოდ არიან განწირულები. ალბათ, რაოდენ ცინიკურად ჟღერს სამხედრო მოსამსახურეთათვის, როდესაც მაღალი ტრიბუნიდან მათ მოთმინებისკენ მოუწოდებენ „ბრწყინვალე მომავლის იმედით", ხოლო მომწოდებლების ვაჟები კი „ბრწყინვალე მომავალს" უცხოეთში ელიან....

სახალხო დამცველის აპარატი დაუკავშირდა შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილეს ზურგის დარგში პოლკოვნიკ თ. კუხიანიძეს რიგით თ. მღვდლიაშვილზე საჭირო თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით, რაზეც მან გვიპასუხა რომ შსს არ გააჩნია თანხები და საჭირო იქნებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დარწმუნება თანხების გამოყოფის აუცილებლობაში. ფინანსთა სამინისტროსა და სამხედრო ძალების ურთიერთობა კიდევ ცალკე და ვრცელი თემაა, მიმაჩნია რომ მოსახლეობის უსაფრთხოება არ უნდა იყოს აღნიშნული უწყების მოხელეთა „პრიორიტეტულ მიმართულებათა" ხედვაზე დამოკიდებული.

2002 წლის 10 აპრილს ვაზიანის სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა რიგითი ნ. მამედოვი, შედეგად მას გაუკეთდა ორივე ხელისა და მარჯვენა ფეხის ამპუტაცია, მისი მკურნალობაც ანალოგიურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ჩვენმა აპარატმა არაერთხელ მიმართა რიგითი ნ. მამედოვის სამკურნალო თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რაც მოხერხდა კიდევაც ბიუჯეტის დაცული მუხლებიდან გამოყოფით (რაც არა მიზნობრივ ხარჯვად ითვლება), მაგრამ, სამწუხაროდ, რიგითი ნ. მამედოვი ა.წ. 14 აპრილს გარდაიცვალა.

მიუხედავად ჩვენი წინა წლის რეკომენდაციისა, თავდაცვისა და განათლების სამინისტროებისადმი – სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდეს სპეციალური გაკვეთილები, რომლის საშუალებით მსმენელს მიეწოდება ინფორმაცია ნაღმებისა და ფეთქებადი ნივთიერებების, მათი საშიშროებებისა და ამ საშიშროების აცილების საშუალებებზე (დაფიქსირებულია ნაღმებზე აფეთქების 55 შემთხვევა); – *განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წვევამდელთა სპეციალურ მომზადებას (თავდაცვის სამინისტროსთან ერთად), რადგანაც ისინი მიეკუთვნებიან განსაკუთრებული რისკის ჯგუფს. რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული უსახსრობის გამო.* შედეგი კი ფატალურია.

ა.წ. 29 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა თავდაცვის სამინისტროს რიგითმა ზურაბ გოგოლაძემ. თებერვლის თვეში იგი მივლინებულ იქნა კოდორის ხეობაში საგანგებო დავალებით. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მძიმე კლიმატური პირობების გამო მას განუვითარდა "ბუდობრივი ალოპეცია სტაფილოგერმა" (თმების მასიური ცვენა), რის გამოც იგი გადაყვანილ იქნა თავდაცვის სამინისტროს მთავარ სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მას განუცხადეს, რომ მათ არ გააჩნიათ მედიკამენტები და საჭირო სახსრები მისი მკურნალობისთვის, და თუ რიგითი ზ. გოგოლაძე თავად მოიძიებდა მკურნალობის თანხებს (თვეში 200 ლარს), შესაძლებელი გახდებოდა მისი მკურნალობა.

რიგითი ზ. გოგოლაძის განმარტებით, მისი ხელფასი (4 ლარი) არ იძლევა არანაირ საშუალებას, რათა შეაგროვოს საჭირო თანხა.

ჩვენმა აპარატმა მიმართა თავდაცვის მინისტრს, რათა რიგით ზ. გოგოლაძეს დაუყოვნებლივ ჩაუტარდეს უფასო და კვალიფიციური მკურნალობა. სავარაუდოდ, მისი მკურნალობა, ისევ და ისევ, ფინანსთა სამინისტროს გადასაწყვეტი ხდება.

დეზერტირობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს სწორედაც რომ სამხედრო ძალებში მედიკამეტების უკმარისობა წარმოადგენს, არც ჰოსპიტლებს და არც ძალოვან უწყებებს არ გააჩნიათ რეზერვისთვის თანხები, რათა საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულად მოხდეს მედიკამენტების შეძენა.

თუმცა არც ბიუროკრატიული ხრიკებისგან არიან დაცულები სამხედრო ჰოსპიტლების პაციენტები. მაგალითისთვის: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა თავდაცვის სამინისტროს რიგითის ბ. ქიტოშვილის მშობელმა ალტერნატიული სამედიცინო საექსპერტო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი აღნიშნავდა რომ მისი ვაჟი, რიგითი ბ. ქიტოშვილი, მკურნალობას იტარებს თავდაცვის სამინისტროს მთავარ სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც იგი მივლინებულ იქნა საქართველოს სამხედრო ძალების ცენტრალური სამხედრო საექსპერტო საექიმო კომისიის მიერ გამოსაკვლევად (კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ავაზაშვილი). თავდაცვის სამინისტროს არასაშტატო სამხედრო საექიმო კომისიამ (თავმჯდომარე ანზორ ჯორბენაძე) დაუდგინა დიაგნოზი „წყლულოვანი დაავადება, გამწვავების ფაზა, თორმეტგოჯა ნაწლავის ბოლქვის წყლული". აღნიშნული დიაგნოზით რიგითი ბ. ქიტოშვილი ექვემდებარება დათხოვნას სამხედრო ძალებიდან.

სამხედრო ძალების ცენტრალურმა სამხედრო საექსპერტო კომისიამ ეჭვი შეიტანა თავდაცვის სამინისტროს არასაშტატო სამხედრო საექიმო კომისიის დიაგნოზში და რიგითი ბ. ქიტოშვილი ხელახლა იქნა გატარებული ენდოსკოპიურ გამოკვლევაზე საქართველოს შინაგანი ჯარების ჰოსპიტალში, სადაც მას დაუდგინეს დიაგნოზი „ზედაპირული გასტრიტი, მკვეთრად გამოხატული დუოდენიტი". აღნიშნულმა დიაგნოზმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. როგორც განმცხადებელი აღნიშნავდა, სამხედრო ძალების ცენტრალურ სამხედრო საექსპერტო საექიმო კომისიისა და თავდაცვის სამინისტროს არასაშტატო სამხედრო საექიმო კომისიის დავა ზიანს აყენებდა მისი ვაჟის ჯანმრთელობას გამომდინარე აქედან, რომ მას ხუთჯერ მოუწია ენდოსკოპიური გამოკვლევის ჩატარება, რაც მეტად უსიამოვნო პროცედურაა.

ჩვენმა აპარატმა მიმართა შრომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მინისტრს, ბ-ნ ა. გამყრელიძეს ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ბ. ქიტოშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად სამედიცინო საექსპერტო კომისიის გამოყოფასთან დაკავშირებით, კომპეტენტური სპეციალისტების მონაწილეობით.

არც ოფიცრები არიან განებივრებულები სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებით.

მათი ხელფასი არ შეესაბამება საარსებო მინიმუმსაც კი, მაგრამ ეს მცირედიც კი თვეობით იგვიანებს. არაერთ ოფიცერსა და ზემდეგს მოუმართავს სახალხო დამცველის აპარატისთვის ამგვარი პრობლემების გადაწყვეტაში დახმარებისათვის. თავისი კუთვნილი სახელფასო დავალიანების მიღებისას ისინი დამცირებულად გრძნობენ თავს, რადგან უწევთ სხვადასხვა არასასურველი ხერხების გამოყენება, მათ შორის ნაცნობობის, პროტექციის და ა. შ. ოფიცრები პირად საუბარში აღნიშნავენ, რომ ისინი, პრაქტიკულად, მიტოვებულები არიან სახელმწიფოს მხრიდან, მათ შეღავათებიც კი მოუხსნეს. ყოველივე ამას შეუძლებელია მათში არ გამოეწვია უკმაყოფილება საკუთარი და სახელმწიფოს უსუსურობის დანახვა მათი ყოფითი პრობლემების მოგვარებაში. ბევრ ოფიცერს ოჯახიც კი დაენგრა იმის გამო, რომ ისინი მატერიალურად ვერ უზრუნველყოფდნენ ცოლ-შვილს. ზემოაღნიშნულმა პრობლემებმა გამოიწვია სამხედრო ძალებიდან კვალიფიციური სპეციალისტების გადინება. სამწუხაროდ, ელიავას ბაზრობის „შრომის ბირჟაზე" ხშირად შეხვდებით ოფიცრებს დამქირავებლის მოლოდინში.

დღეს ხელისუფლებაში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ჯარს დახმარება სჭირდება, საზოგადოების ვალდებულებაა მხარში ამოუდგეს ხელისუფლებას შეიარაღებული ძალების მშენებლობის გზაზე. თუმცა, აქვე ისმის ადეკვატური კითხვა, რატომ ითხოვს ხელისუფლება დახმარებას, როდესაც მის ხელთ არის რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ბერკეტი. საზოგადოება, რომელიც იხდის გადასახადს, ირჩევს და „ქირაობს" ხელისუფლებას, რომელიც ვალდებულია დაუბრუნოს მოქალაქეებს მათ მიერ გაღებული თანხები და გაამართლოს ხალხის მიერ გამოცხადებული ნდობა. მოსახლეობა არ არის პასუხისმგებელი, ყოველი კრიზისის დროს თავის თავზე აიღოს ის შეცდომები, რომლებიც იწვევენ ამ თუ იმ უწყებაში მდგომარეობის გაუარესებას.

ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების" მონაცემებით, საქართველოს სამხედრო ძალების ნაწილებსა და შენაერთებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ამ ნაწილებში მდგომარეობა თითქმის ყველგან ერთნაირია, თუმცა მათ შორის იყო როგორც უკიდურესად მძიმე პირობების მქონე, ასევე შედარებით კარგ მდგომარეობაში მყოფი ნაწილებიც. თუკი ზოგადად სამხედრო ძალების სოციალურ მდგომარეობას შევეხებით, აქაც განსხვავებული სიტუაციაა. მაგალითად, სახელმწიფო დაცვის სამსახურში ყაზარმული ცხოვრება საერთოდ არ არის და გაწვეული სამხედრო მოსამსახურე 3 დღეში ერთხელ მორიგეობს დაცვის სამსახურში, ამასთანავე, იღებს განსხვავებული ოდენობის ხელფასსაც – 60 ლარს (იმ დროს, როდესაც სხვა სამხედრო სტრუქტურებში გაწვეული ჯარისკაცის ხელფასი შეადგენს 5 ლარს); შინაგან ჯარშიც თითქმის იგივე მდგომარეობაა, რაც თავდაცვის სამინისტროში, თუმცა აქ ხშირად მოხსნილია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორებიცაა საკვები, საწვავი, პირადი მოხმარების ნივთები, თუმცა ესეც დამოკიდებულია ამა თუ იმ ნაწილის პრესტიჟულობაზე. რაც შეეხება სასაზღვრო ძალებს, პირობები თითქმის მსგავსია, გარდა იმისა, რომ მათი სამსახური გამოირჩევა თავისი სპეციფიკურობით და ჯარისკაცებს სამხედრო სამსახური უწევთ სასაზღვრო ნაწილში, ანუ საველე პირობებში.

როგორც ვხედავთ, ზოგადად, სამხედრო ძალებში მდგომარეობა განსხვავებულია, ერთის მხრივ, კარგი, მეორე მხრივ, საშუალო და მძიმე პირობებით. ეს კი თავისთავად ქმნის უთანასწორობის შეგრძნებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყო არა მხოლოდ განსხვავებული დაფინანსებით, არამედ განსხვავებული მართვითაც. თუმცა, თავად ამ უწყებებს დაქვემდებარებულ ნაწილებშიც შეიმჩნევა აშკარა განსხვავება, რაც უკვე ამავე ნაწილის ხელმძღვანელობის უნარზეა დამოკიდებული.

სამხედრო ნაწილებში არსებული შენონა-ნაგებობების ძირითადი ნაწილი ამორტიზებულია. საჭიროებს სასწრაფო და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რისი სახსრებიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული.

რიგ სამხედრო ნაწილებში ყაზარმებსა და სხვა ოთახებში ჩამოდის წყალი, რის გამოც მათი ნგრევის რეალური საფრთხეც კი არსებობს. რამდენიმე ასეთი ფაქტი უკვე მოხდა ჯარში, რისი გამეორების საშიშროება კვლავაც არსებობს.

ზამთრის პერიოდში ყაზარმები შეშის ღუმელით თბება, რაც ვერ უზრუნველყოფს საჭირო ტემპერატურას, ამიტომ ჯარისკაცებს ტანსაცმელით სძინავთ.

რაც შეეხება თეთრეულს, მისი გამოცვლა, უმეტეს წილად, აბანოს მიღების შემდეგ ხდება, და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ნაწილში ჯარისკაცებს არც თუ ხშირად აქვთ ამის საშუალება, გასაკვირი არ იქნება, თუ მათი თეთრეული არ შეესაბამება არც მის ფერს და არც მის ხარისხს.

ჯარისკაცს ახალი თეთრეული ეკუთვნის ყოველ ექვს თვეში ერთხელ, რასაც გასაგები მიზეზების გამო, ვერ იღებენ, მრავალჯერადი რეცხვის გამო იგი ხშირად დახეული და უვარგისია.

ასეთ ვითარებაში მყოფი ჯარისკაცები ხშირად თავად აუმჯობესებენ შექმნილ მდგომარეობას. კერძოდ, აგროვებენ გარკვეულ თანხას, რომლითაც ატარებენ მცირე სახის სარემონტო სამუშაოებს, ღებავენ კედლებსა და იატაკს, ყიდულობენ ფანჯრის მინებს და ნათურებს, ასევე პირადი მოხმარების ნივთებს.

სახელმწიფო გარკვეული პერიოდის მანძილზე ვერ უზრუნველყოფდა ჯარისკაცებს სამხედრო სამოსელითა და პირადი მოხმარების ნივთებით და ეს საკითხი მხოლოდ ნაჩუქარი ოამუნიციის წყალობით წყდებოდა. თუმცა, დღესაც ხშირად შეხვდებით ჯარისკაცებს, რომლებსაც, სამხედრო ფორმის ნაცვლად აცვიათ ჯინსები თუ კედები. ის, რომ სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები არიან, არავისთვისაა გასაკვირი, მიუხედავად ამისა, თავმოყვარეობიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან ბაზრობებზე შეიძინონ სამხედრო სამოსი, რომელსაც ოფიცრები აბარებენ გადამყიდველებს უსახსრობის გამო. თუმცა, არც „მკვდარ სულებზე" განკუთვნილი სამხედრო ფორმაა გამონაკლისი, რომელსაც ზურგის სამსახურის ოფიცრები ყიდიან.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ჯარისკაცთა კუთვნილი ხელფასების მიღების საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალი და თავისუფლების" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ჯარისკაცების 50%-ს ჰქონდა მიღებული ხელფასი და ისიც სულ რამდენჯერმე.

სანიტარიული ნორმები დაცული არ არის ასევე სასადილოსა და პროდუქტის საწყობებში. ზოგი სამხედრო ნაწილის სამზარეულოში არ არის ინვენტარი, გაზისა თუ ელექტროენერგიის უქონლობის გამო საკვებს საველე სამზარეულოთი ამზადებენ. ამასათანავე, სასადილოში, მიუხედავად მისი ყოველდღიური დასუფთავებისა და დარეცხვისა, არ არის შენარჩუნებული სისუფთავე.

წინა მოხსენებებში არაერთხელ შევხებივარ ჯარისკაცის არაკალორიული და უხარისხო კვების პრობლემას. მინდა შემოგთავაზოთ სამხედრო ნაწილების პროდუქტებით უზრუნველყოფის ის სქემა, რომლითაც პროდუქტები ჯარისკაცამდე აღწევს:

1. ზურგის სამსახური – ხდება საჭირო პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. გენერალური შტაბი –შესაძენი პროდუქტის დაგეგმვა;
3. ფინანსთა სამინისტრო – გადაწყვეტილების მიღება თავდაცვის სამინისტროსთვის თანხის გამოყოფის თაობაზე (ბიუჯეტის კონკრეტული მუხლების დასაფინანსებლად);

4. თავდაცვის სამინისტროს ხაზინა – იღებს ფულს ფინანსთა სამინისტროდან;
5. საფინანსო სამმართველო – ორგანიზებას უკეთებს შესყიდვებს;
6. შესყიდვების სამმართველო – აწარმოებს მოლაპარაკებებს კერძო ფირმებთან;
7. ხელშეკრულების გაფორმება თავდაცვის სამინისტროსა და კერძო მეწარმეებს შორის;
8. იურიდიული დეპარტამენტი – ხდება ხელშეკრულების ექსპერტიზა;
9. ზურგის სამსახური – შეძენილი პროდუქტის მიღება;
10. ზურგის სამსახურის საწყობები – ინახება პროდუქტი;
11. სამხედრო ნაწილებს თავიანთი ტრანსპორტით გააქვთ პროდუქტი;
12. ნაწილის მეთაურის მოადგილე ზურგის სამსახურში – სამხედრო ნაწილში პროდუქტს იბარებს;
13. ნაწილის საწყობები – ხდება პროდუქტის განთავება;
14. ნაწილის სასადილოს გამგე – გეგმავს საკვების მომზადებას;
15. შტაბის უფროსი – ამტკიცებს კვირის მენიუს და შესაბამის დოკუმენტებს სასადილოს დაფაზე;
16. სასადილო – მზადდება დაგეგმილი საკვები;
17. ჯარისკაცი.

მოკლე ანალიზი თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი პროგრამული ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ პარამეტრებსა და მის რეალურად შესრულებას შორის

თავდაცვის სამინისტროს მიერ საბრძოლო მზადყოფნისა და რეფორმების შემდგომი განვითარების მიზნით, მიმდინარე წლის დაგეგმარება შესრულდა პროგრამული დაფინანსების პრინციპით, რაც შეადგენს 71 მლნ ლარს. სამწუხაროდ, არც საბიუჯეტო პარამეტრი და არც დაგეგმარების პრინციპი არ იქნა მიღებული. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ჩამოყალიბდა 36 მლნ. ლარის ოდენობით (+2,5 მლნ ლარი, არასაბიუჯეტო შემოსავლები), რომლიდანაც I კვარტალში სრულად არ დაფინანსდა არცერთი მუხლი და საერთო საბიუჯეტო დავალიანებამ შეადგინა 2 მლნ. ლარზე მეტი.

ალბათ, საინტერესო იქნება რამდენიმე პარამეტრის შედარება თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილ ბიუჯეტსა და დამტკიცებულს შორის:

– მუშა-მოსამსახურეთა ხელფასზე თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი იყო 10 მლნ 350 ათასი ლარი, დამტკიცდა 7 მლნ 805 ათასი ლარი (სხვაობა 2 მლნ 545 ათასი ლარი). საერთოდ გაუქმდა ისეთი მუხლები, როგორიც არის ჯილდო და დახმარება;

– ოფისის ხარჯები 4 მლნ 413 ათასი ლარი შეიკვეცა 1 მლნ. 735 ათას ლარამდე;

– ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები მოთხოვნილ იქნა 18 მლნ 101 ათასი ლარი, დამტკიცდა 8 მლნ 935 ათასი ლარი;

– მედიკამენტების შეძენაზე მოთხოვნილი იყო 1 მლნ. 521 ათასი ლარი, დამტკიცდა 391 ათასი ლარი;

– სპეც. პროგრამების მომსახურებაზე მოთხოვნილი იყო 10 მლნ. 300 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლი ბიუჯეტით საერთოდ არ დაფინანსებულა. ალბათ, საინტერესო იქნება ამ მუხლის რამდენიმე პარაგრაფის დასახელება. კერძოდ, აქ შედის: ტყვია-წამლის ხარჯები, მოდერნიზაცია, შეიარაღების რეზერვების შექმნა, შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი და სხვა;

– საერთოდ არ დაფინანსებულა მშენებლობა, სამხედრო სამეცნიერო კვლევები და სხვა მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებები;

– აუცილებლად მიგვაჩნია არსებობდეს საბიუჯეტო რეზერვი, რომელიც გამოყენებული იქნება, საჭიროების შემთხვევაში, ექსტრემალური მოვლენების დროს. აღნიშნული რეზერვის ხარჯვის გამჭირვალობისათვის სასურველია ამ თანხის განკარგვაზე კონტროლი განახორციელოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა;

– ასევე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანესია საჰაერო თავდაცვის სისტემის პროგრამის რეალიზაცია. თავდაცვის სამინისტროში ჩატარებულია საკმაოდ ინტენსიური სამუშაოები. მომზადებულია პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისი პროექტი.

2002 წელს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი იყო პროგრამული ბიუჯეტი 71 მლნ. ლარის (31,4 მლნ აშშ დოლარი) მოცულობით, რაც უზრუნველყოფდა საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას არსებულ დონეზე.

2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი განისაზღვრა 38 მლნ 500 ათასი ლარის ოდენობით (17 მლნ აშშ დოლარი), საიდანაც საბიუჯეტო სახსრები შეადგენდა 36 მლნ ლარს (15,9 მლნ აშშ დოლარი) არასაბიუჯეტო შემოსავლები განისაზღვრა 2,5 მლნ ლარის (1,1 მლნ. აშშ დოლარი) ოდენობით.

მიმდინარე წლის 1 კვარტლის დამტკიცებული საბიუჯეტო ხარჯები შეადგენდა 7 მლნ. 900 ათას ლარს, საიდანაც რეალურად მიღებულია 5 მლნ. 900 ათასი ლარი, ანუ გეგმიურის 74%. (მოთხოვნილის დაახლოებით 39%).

3 თვის დაუფინანსებლობამ შეადგინა 2 მლნ. ლარი.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ბიუჯეტიდან სახსრების მიღების გეგმაზომიერება, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვას. აღნიშნული მდგომარეობა განსაკუთრებით საგანგაშოა იმ მძიმე კრიზისული მოვლენების ფონზე, რაც ბოლო თვეების განმავლობაში ვითარდება საქართველოში.

რამდენიმე ძირითადი მუხლის დაფინანსების მონაცემები:

– პირადი შემადგენლობის შენახვის ხარჯების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 6 მლნ. 280 ათას ლარს, დაფინანსებამ კი შეადგინა 4 მლნ. 630 ათასი ლარი, ანუ გეგმიურის 74% (დანაკლისი შეადგენს 1 მლნ 652 ათას ლარს);

– შენაერთების ოპერატიული ხარჯების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 1 მლნ. 125 ათას ლარს, რეალურად მიღებულია 945 ათასი (84%), 180 ათასი ლარით ნაკლები;

– ტექნიკის ოპერატიული ხარჯების გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 513 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 318 ათასი ლარი, ანუ გეგმიურის 62% (დანაკლისი შეადგენს 195 ათას ლარს);

– შრომის ანაზღაურება – ნაცვლად 1 მლნ. 950 ათასი ლარისა, მიღებულია 1 მლნ 300 ათასი ლარი, თავდაცვის სამინისტრომ ვერ მიიღო 650 ათასი ლარი;

– კვების ხარჯები – ნაცვლად 2 მლნ. 285 ათასი ლარისა მიღებულია 1 მლნ 992 ათასი ლარი, დანაკლისი შეადგენს 293 თას ლარს;

– კვების კომპენსაცია – ნაცვლად 1 მლნ 700 ათასი ლარისა მიღებულია 1 მლნ 124 ათასი ლარი, დანაკლისი შეადგენს 577 ათას ლარს;

– საავტომობილო პარკის მოვლა-შენახვისა და საწვავ-საპოხი მასალების ხარჯებზე უნდა მიეღოთ 824 ათასი ლარი, რეალურად მიღებულია 529 ათასი ლარი, სხვაობა 295 ათასი ლარი;

– მედიკამენტების შესაძენად განკუთვნილი 77 ათას 900 ლარიდან არც ერთი თეთრი არ არის მიღებული.

არასაბიუჯეტო შემოსავლები

2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით არასაბიუჯეტო შემოსავლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განისაზღვრა 2,5 მლნ (1,1 მლნ აშშ დოლარი) ლარის ოდენობით, საიდანაც I კვარტალში მობილიზებული უნდა ყოფილიყო 500 (220 ათასი აშშ დოლარი) ათასი ლარი, რეალურად მოხერხდა მხოლოდ 147 ათასი ლარის (65 ათასი ა.შ.შ. დოლ.) მიღება, რაც გეგმიურის 27%-ს შეადგენს.

აღნიშნული სახსრებით დაფარულ იქნა შემდეგი ხარჯები:

– შრომის ანაზღაურებაზე – 19 000 ლარი;
– კვების ხარჯები – 8 000 ლარი;
– მედიკამენტების შეძენა – 5 800 ლარი;
– ოფისის ხარჯები – 45 600 ლარი;
– ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე – 15 200 ლარი;
– სხვა ხარჯებზე – 17 000 ლარამდე.

კვარტლის ბოლოს მიღებული შემოსავლებით ნაშთმა შეადგინა 24 600 ლარი.

2002 წლის I კვარტალში საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო სარეზერვო ფონდებიდან არ ყოფილა მიღებული არც ერთი თეთრი.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოწოდებული მასალები

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2000-2001 წლებში საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დანაშაულის ნიშნების შემცველი მასალების გადაგზავნისა და მათზე განხორციელებული რეაგირების შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების მთავარი სამმართველოს მიერ ბულგარეთიდან შემოტანილი ზეთის შემოსავალში აღებისა და სამხედრო ნაწილებში მისი განაწილების მასალები. გამოვლინდა: 5410 კგ. უხარისხო ზეთის შესყიდვის ფაქტი, კონტროლის პალატის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურორს 22.05. 2000. №7-პრ-1-03/29, საქმე აღიძრა სსკ-ის 274-ე მუხლის „5“ პუნქტით, საქმე წარმოებაშია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს საწვავ-საპოხი მასალების თბილისის ცენტრალური ბაზის შემოწმების მასალები

არამიზნობრივადაა გაცემული 518,2 ათ. ლიტრი ბენზინი, რის შედეგად სამინისტროზე მიყენებულია 2,6 ათასი ლარის ზარალი; უკანონოდაა გასხვისებული 7,6 ტ. პმტპ-100 მოთითუებული მილი; უკანონოდაა ჩამოწერილი 84 ტონა ბენზინი, 55,4 ტ. დიზელის საწვავი. მასალა გაერთიანდა საქ. თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს დოკუმენტური რევიზიის მასალებთან 2001 წლის 12. 03. აღიძრა სს საქმე №22101003. საქმე შეჩერებულია ძებნის მოტივით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს დოკუმენტური რევიზიის მასალები

გამოვლენილია 92 ათას ლარად ღირებული ქვის დამამუშავებელი ქარხნის აღურიცხაობის და 42,2 ათასი ლარის ხარჯების გაწევის ფაქტები. საქმე გადაიგზავნა კონტროლის პალატის მიერ სამხედრო პროკურატურაში 10. 01. 2001 №7-პრ-01 4/3. მასალა დაერთო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საწვავ-საპოხი მასალების ცენტრალური ბაზის შემოწმების მასალებს. აღძრულია სს საქმე №22101003, შეჩერებულია ძებნის მოტივით.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ქ. ფოთის საზღვაო დივიზიონის შემოწმების მასალები

გამოვლენილია საწვავ-საპოხი მასალების აღრიცხვიანობის ნაშლის, უკანონო ჩამოწერისა და დიდი ოდენობით დანაკლისის ფაქტები. საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურორს 13.04.2001. №7-პრ-01 04/37 2001 წლის 25.06 აღიძრა სს საქმე №22101010. სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილი, 339 მუხლი, საქმე წარმოებაშია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარების განთავსებისა და მშენებლობის სამმართველოს კომპლექსური შემოწმების მასალები

გამოვლენილია სამხედრო ქალაქებში უკანონოდ ჩასახლებების, შენობა ნაგებობების უკანონო დაშლის, სამშენებლო მასალების დატაცება-განიავების, სახელმწიფო სახსრების 132,0 ათასი ლარის ოდენობით უკანონო ხარჯვისა და 1,3 ათასი ლარის მითვისების ფაქტები. საქმე წარმოებაშია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მთავარი სამმართველოს კომპლექსური შემოწმების შედეგები

გამოვლენილია იარაღისა და საბრძოლო მასალების აღრიცხვიანობის ჩაშლის, ჯართის უკანონოდ ჭრისა და რეალიზაციის, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების უკანონოდ ფენქციონირებისა და სახელმწიფო სახსრების უკანონოდ ხარჯვის ფაქტები. 2001 წლის 3.09 აღიძრა სს საქმე №22101014 სსკ-ის 332 მუხლის I ნაწილით. საქმე შეჩერებულია ძიების მოტივით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქმეების უმრავლესობა საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში იგზავნება სამხედრო უწყების ხელმძღვანელების მიერ გამოსაძიებლად:

1 – რუსი ჯარისკაცები
2 – შინაგანი ჯარი – გაპარული ჯარისკაცები (50-ჯარისკაცი)

საქართველოს სახალხო დამცველს დახმარებისთვის მიმართეს საქართველოში რუსეთის ჯარების დაჯგუფების რიგითებმა – ლეონიდ ფილიპენკომ და დიმიტრი კოგტევმა, რომლებმაც 29 აპრილს თვითნებურად მიატოვეს თავისი სამხედრო ნაწილი და ჯერ თბილისის ქუჩებს, შემდეგ კი ერთ-ერთ ქართულ ოჯახს აფარებდნენ თავს. როგორც რიგითები აცხადებდნენ, ნაწილში მათ სცემდნენ, ამცირებდნენ, არ მისცეს 5 დღის მანძილზე ძილის საშუალება, აიძულებდნენ

ექურდათ და ამ გზით მიეტანათ ნაწილში სიგარეტები და საკვები. ყოველივე ამით დათრგუნული ჯარისკაცები დახმარებას ითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ მზად არიან სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად, მაგრამ არა თავის ნაწილში და არა საქართველოში, რადგან ეშინიათ თანამებრძოლების და მეთაურის.

სახალხო დამცველმა საქმის კურსში ჩააყენა თავისი კოლეგა რუსეთში; დაუკავშირდა საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენელს ალექსანდრე ლუცკევიჩს და ამ უკანასკნელს გადასცა სამხედრო ნაწილიდან გამოქცეული ჯარისკაცები.

ინციდენტი საბოლოო ჯამში ამოიწურა, რიგითი კოქტევი სამსახურს განაგრძობს რუსეთის ფედერაციაში, ხოლო რიგითი ფილიპენკო, მისივე თხოვნით, სამსახურს აგრძელებს რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბში.

.2002 წლის 24 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულს სამხედრო საკითხებში ნოდარ ეფრემიძეს დახმარებისთვის კოლექტიური წერილით მიმართა შინაგანი ჯარების 22-მა რიგითმა ჯარისკაცმა, რომელთაც სხვა ჯარისკაცებთან ერთად (სულ 59 კაცი), წინა დღეს თვითნებურად დატოვეს ნაწილი და თავი ტყეს შეაფარეს. როგორც ისინი აცხადებენ, მათ ვეღარ გაუძლეს დამცირებას, ცემას, სიტყვიერ შეურაცხყოფას და საკუთარი ღირსებისა და ჯანმრთელობის გადარჩენის მიზნით, პროტესტის ნიშნად და ყურადღების მისაქცევად, დატოვეს სამხედრო ნაწილი. გარდა ამისა, მათ მოითხოვეს სამი ოფიცრის: მ. ბადურაშვილის, ზ. ბლიაძისა და დ. შათირიშვილის სამსახურიდან გათავისუფლება.

გაქცეული ჯარისკაცები უარს არ აცხადებდნენ სამხედრო სამსახურის გაგრძელებაზე და ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ითხოვდნენ, არ დაეშალათ და სხვა ნაწილებში არ დაეფანტათ სამხედრო ნაწილიდან თვითნებურად გაქცეული ჯარისკაცები. სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ ჯარისკაცები დაუბრუნდნენ თავის ნაწილს და მათი მოთხოვნები სრულად იქნა გათვალისწინებული.

რელიგიის უფლებათა დაცვის ცენტრის ანგარიში

სინდისის თავისუფლება და რელიგიური ექსტრემიზმი

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ცივილიზებული კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს შენების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამდენად, როგორც კაცობრიობის მონაპოვარ ფენომენს, სათუთად გაფრთხილება, შენარჩუნება და დაცვა ესაჭიროება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის შესახებ მე-9 მუხლში ზემოაღნიშნული ეს უფლება შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

„ყველა ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება“.

თანამედროვე იურისპრუდენციაში ეს უფლება ერთმნიშვნელოვნად არის განმარტებული და ახსნილი.

კერძოდ, ნებისმიერ ადამიანს აქვს:

– რელიგიის, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა შეცვლის ნება, თავისუფლება;

– პირადი და კოლექტიური აღმსარებლობის, როგორც კერძო ან საჯაროდ კულტმსახურების, რელიგიური მოძღვრების, რელიგიური და რიტუალური (საკულტო) წესების აღსრულების თავისუფლება.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას (მუხლი მე-9), მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ ამით როდი იფარგლება. მაგალითად, კონსტიტუციის მე-19 მუხლში ხდება მე-9 მუხლის დებულებების კიდევ უფრო განვითარება.

მუხლი 19:

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება;

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ;

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არსებული რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლენის ფორმები ეჭვქვეშ აყენებენ ქვეყნის ძირითადი კანონით – კონსტიტუციით მინიჭებულ ამ უფლებებს და თავისუფლებებს, რაც დღითი-დღე ერთმანეთისაგან აშორებს, აცალკევებს კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ქვეყნის რეალურ რელიგიურ ცხოვრებას.

უკვე მესამე წელია, რაც შეშფოთებას გამოვთქვამთ რელიგიურ უმცირესობებზე განხორციელებული ორგანიზებული ჯგუფური თავდასხმების გამო. საქართველოს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერა და ვერ მოუღო ბოლო მოძალადეების თავდასხმებს რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებზე.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მეტად საშიში და აღმაშფოთებელი ტენდენცია ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან რელიგიური უმცირესობების მიმართ. კერძოდ:

პოლიცია უარს აცხადებს შეაჩეროს რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი მოძალადე-თავდამსხმელები, ზოგჯერ კი თავად ღებულობს მონაწილეობას ძალადობაში; ყოველგვარი არსებითი მიზეზების გარეშე ჭიანურდება სასამართლო პროცესები ექსტრემისტთა მიმართ, რაც, თავის მხრივ, სამწუხაროდ, მათ მორალურ მხარდაჭერაზე მეტყველებს.

იმის მაგივრად, რომ საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებმა მოახდინონ რელიგიურ უმცირესობათა სათანადო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე აშკარად გამოდის რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ, რითაც კიდევ უფრო ძაბავს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას.

ამ მიმართებით ირღვევა არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, არამედ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რომლის წევრ-ქვეყანასაც იგი წარმოადგენს (გაერო, ევროსაბჭო, ეუთო).

არაერთხელ განმიცხადებია და დღესაც აუცილებელ და გადაუდებელ პირობად მიმაჩნია, რომ საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა დაიწყონ ფართო დიალოგი ჩვენში არსებულ რელიგიურ დენომინაციებთან, რაც უპირობოდ შეუწყობს ხელს ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

უნდა დაჩქარდეს კანონის „რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ" მიღება, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს კანონ-პროექტის ფართო განხილვა მთელი საქართველოს მასშტაბით, მით უფრო, რომ დღეისათვის უკვე კანონ-პროექტის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, მათ შორის, უახლესი ვარიანტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის.

ამ მიმართებით სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბებული რელიგიის უფლებათა დაცვის ცენტრში მუშავდება კანონპროექტის ვარიანტი – „კანონი რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“, რომელსაც სულ მალე ფართო საზოგადოებრიობას წარვუდგენთ სამსჯავროზე.

აქვე უნდა განვაცხადო, რომ რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ საქართველოს კანონის მიღებას როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მოწინააღმდეგეების მთავარი არგუმენტი აღნიშნული კანონის წინააღმდეგ მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აღმსარებლობის თავისუფლება და ამიტომ შეუძლებელია რომელიმე კანონით დადგინდეს კონსტიტუციაზე უფრო მეტი გარანტია. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო: ჩვენ თუ ასე მივუდგებით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიების შექმნის სისტემას, მაშინ საერთოდ საჭირო არ იქნება საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კონსტიტუციიდან გამომდინარე, უფრო დეტალურად აწესრიგებს ადამიანის შესაბამისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს.

კონსტიტუცია, ჯერ ერთი, აწესრიგებს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას, მაგრამ იქვე არ ჩამოთვლის, თუ რა გარანტიებია დაწესებული ამ უფლების განსახორციელებლად (იხ. მე-19 მუხლი). კონსტიტუციის ამ მუხლში მხოლოდ აკრძალვებია მითითებული. კერძოდ, რომ დაუშვებელია დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო; ან პირის იძულება – გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ; რომ დაუშვებელია აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ თავისუფლების გამოვლენა ლახავს სხვათა უფლებას. სხვა გარანტიებზე კონსტიტუციაში არაფერია ნთქვამი. ბუნებრივია, რაც ამ სფეროში სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების გამოვლინების ფორმებს შეეხება, რაც შესაბამისი რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციას ადგენს, განსაზღვრავს მათ სამართლებრივ მდგომარეობას და სხვ.

მართალია, დევნის აკრძალვა, აგრეთვე აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობა, თავის მხრივ, იურიდიულ გარანტიებს წარმოადგენს, მაგრამ თუ ეს თავისუფლებები კონკრეტულად არ იქნა მოწესრიგებული, ეს კონსტიტუციური შესაძლებლობა არარეალიზებული აღმოჩნდება. ამდენად, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას მთელი რიგი ნიუანსები გააჩნიათ, რომლებიც კანონმდებლობამ დეტალურად უნდა მოაწესრიგოს.

ვფიქრობ, ამ მიმართებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კიდევ ერთხელ კრიტიკულად უნდა გადახედოს მის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს და იგი საჯარო მსჯელობის საგნად აქციოს.

რელიგიურ უფლებათა დაცვის ცენტრს, რომელიც უკვე ნახევარი წელი ფუნქციონირებს, მრავალი სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა მოუხდება. ამავე დროს, რამდენადაც აღნიშნული ცენტრი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სპეციალური წარმონაქმნია ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო სტრუქტურაში, გვინდა დეტალურად შევჩერდეთ მის საქმიანობაზე.

ცენტრის მუშაობა მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით: აპარატში შემოსული წერილების მიღება-რეგირება, სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობა, მრგვალი მაგიდის შეხვედრების მოწყობა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა. გარდა ამისა, ცენტრის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა: საქართველოში არსებული რელიგიის, რწმენის თავისუფლების დარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და რეალურად არსებული მდგომარეობის შესწავლას და შესაბამისი ანალიზის მომზადებას; სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას; სათანადო მასალის მოპოვებით ბიბლიოთეკის შექმნას; სხვადასხვა რელიგიური მიმართულების ორგანიზაციების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების და მათი მოსახლეობაზე გავლენის

შესწავლას; მოსახლეობისათვის სემინარების მოწყობას; საინფორმაციო ბიულეტენების და ჟურნალის გამოშვებას; სახელმწიფო ორგანოთა ქმედებების ეფექტიანობისა და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლას; მიმდინარე კანონმდებლობისა და მასმედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზს; რელიგიური ცენტრის არსებობა და ფუნქციონირება ხელს შეუწყობს მოსახლეობაში არსებული პრობლემატური საკითხების გამოვლენას რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვის კუთხით.

რელიგიის ცენტრმა, რომელიც სტრატეგიის დეპარტამენტის ერთ-ერთი ნაწილია, ივნისის თვეში მონაწილეობა მიიღო საქართველოში პენიტენციურ და თავდაცვის სისტემაში საეკლესიო მომსახურების შექმნის საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის სამუშაო შეხვედრის მუშაობაში.

ჩვენი ცენტრის მუშაობაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო ორი საინტერესო ტრენინგის ჩატარება: პირველი, რომელიც ჩაატარეს ევროსაბჭოს ექსპერტებმა და ეხებოდა ევროპული კონვენციის გამოყენებას მუშაობის პროცესში (მაისი, 2002) და, მეორე, გაეროს განვითარების ფონდი ქალებისათვის – კონფლიქტის მოგვარება, მშვიდობის მშენებლობა და ქალის როლი მშვიდობის მშენებლობაში. ორივე ტრენინგმა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია ჩვენი მუშაობის ხარისხზე.

საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკის ეგიდით გამოვეცით სახელმწიფოს, სამართლისა და რელიგიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული სამეცნიერო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომი „სახელმწიფო და რელიგია“, რომელშიც წარმოვაჩინეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა რწმენისა და აღმსარებლობის დარღვევის სფეროში, სადაც თანამიმდევრულადაა გაანალიზებული რელიგიურ გაერთიანებათა ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის ფესვები საქართველოში, რელიგიური ექსტრემიზმის უარყოფითი გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში; აღმსარებლობის თავისუფლების არსი, მისი დაცვის სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოში სამართლებრივი ბაზის აუცილებლობა, რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციის, მათი უფლებრივი სტატუსის სახელმწიფოსთან დამოკიდებულების სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით.

დღითიდღე ფართოვდება სახალხო დამცველის აპარატის მუშაობა არასამთავრობო სექტორთან. ეწყობა ერთობლივი სემინარები, კონფერენციები თუ დისკუსიები სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებათა დაცვის სფეროში.

სინდისისა და რელიგიის თავისუფლების ფაქტებთან დაკავშირებით წლის პირველ ნახევარში ჩვენს ცენტრში შემოვიდა 31 განცხადება, რომელთაგან ჭარბობს ისეთი განცხადებები, რომელზედაც, ჩვენი ჩარევის მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არ ხდება სათანადო რეაგირება.

მაგალითად: 2002 წლის 18 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა რელიგიური ორგანიზაციის „იეღოვას მოწმეების“ წევრების, ყვარლის მცხოვრებლების: ზ. ჯაფაშვილისა და უ. ცუცუნაშვილის განცხადება, რომელშიც საუბარია 3 თებერვალს ქარელში პოლიციის თანამშრომლის ზაზა ბლიაძისაგან მიყენებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე. განცხადებაზე რეაგირებისათვის მივმართე ქარელის რაიონის შს სამმართველოს უფროსს. პასუხი მივიღეთ დიდი დაგვიანებით (2002 წლის 12 აგვისტო), რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნულ ფაქტზე არსებობს სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება.

2002 წლის 2 აპრილს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა განცხადება, რომელშიც საუბარია, რომ რელიგიური ორგანიზაცია „იეღოვას მოწმეების“ წევრი ე. ვალიევა 2002 წლის 9 მარტს სცემა ბასილ მკალავიშვილის მრევლის წევრმა ლია ახალკაცმა, რომელიც ამის შემდეგ მოხვდა საავადმყოფოში. ე. ვალიევას ცემის ფაქტს შეესწრო ლ. გრიგორიანი, როემლმაც მოახერხა ე. ვალიევა გაეშველებინა ლ. ახალკაცისაგან. 2002 წლის 3 აპრილს მივმართეთ პროკურატურას, საიდანაც

გვატყობინებენ, რომ ლ. ახალკაცი არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, რომლის მოძებნა და დაკითხვა ვერ ხერხდება.

2002 წლის 2 აპრილს აპარატში შემოვიდა „იეღოვას მოწმეების" კოლექტიური განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ა. წ. 28 მარტს ქ. წყალტუბოში მოხდა მათი დარბევა. ამ ფაქტზე რეაგირებისათვის მივმართეთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საიდანაც 27 მაისს გვეცნობა, რომ აღნიშნულ ფაქტზე ქ. წყალტუბოს პროკურატურაში ჩატარებულ იქნა წინასაგამოძიებო შემოწმება და გამოტანილ იქნა სისხლის სამართლებრივ დევნაზე უარის თქმის დადგენილება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების არარსებობის გამო.

2002 წლის 17 მაისს შემოვიდა რუსთავის გზატკეცილისა და ფონიჭალის მოქალაქეების კოლექტიური განცხადება, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ ა. წ. 7 აპრილს რუსთავის გზატკეცილის №133-ში, ნინელი ხაჭაპურიძის ოჯახში, „იეღოვას მოწმეთა" ორგანიზაციის წევრების შეკრება დაარბია „პატრიოტულმა კავშირმა ჯვარმა".. ამ საკითხის შესახებ მივწერეთ მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს უფროსს პ. ედენტს. აღნიშნული განცხადება დღემდე მოძრაობს მთაწმინდა-კრწანისისა და რუსთავის შს საამართველოებს შორის.

საანგარიშო პერიოდში აღინიშნა მართლმადიდებელი მოსახლეობის მიერ სახალხო დამცველის სახელზე შემოსული იმ განცხადებების რიცხვის ზრდა, რომლებშიც საუბარია მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე. კერძოდ, 2002 წლის 4 აპრილს შემოვიდა რუსთავის მე-19 მ/რ-ში მცხოვრებ მზაღო გიგილაურისა და სხვა მართლმადიდებელთა განცხადება, რომელშიც საუბარია ორგანიზაცია „იეღოვას მოწმეების" მათ ბინებში შეჭრასა და მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის თაობაზე. ამ საკითხზე ა. წ. 6 აპრილს მივმართეთ რუსთავის შს სამმართველოს უფროსს. პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ა. წ. 30 აპრილს შემოვიდა ქ. თბილისში, წერეთლის გამზირის 56-63-ში მცხოვრები მართლმადიდებელი მოქალაქეების (40 მოქალაქე) კოლექტიური განცხადება, რომელშიც საუბარია მათ ოჯახებში „იეღოვას მოწმეების" იძულებითი შეღწევისა და მათზე ზეწოლის ფაქტებზე. განცხადებაზე რეაგირებისათვის მივმართეთ დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს უფროსს, რომელმაც ა. წ. 14 ივნისს გვაცნობა, რომ საქმე აყვანილია კონტროლზე და ტარდება ოპერატიული ღონისძიებები აღნიშნულ ქმედებათა ჩამდენი პირების გამოსავლენად.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია და შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ რელიგიური დაპირისპირება მთელ რიგ ოჯახებში მწვავე კონფლიქტების წყარო გახდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ოჯახის ცალკეული წევრები ხდებიან მოცემული ოჯახისათვის არატრადიციული რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარნი და ოჯახის დანარჩენი წევრებისაგან იძულების გამოყენების გზით მოითხოვენ ტრადიციული აღმსარებლობის შეცვლას, რაც ამ უკანასკნელთა პროტესტს იწვევს და ოჯახური კონფლიქტების წარმოშობისა და ოჯახის გათიშვის საფუძველი ხდება.

ასევე მწვავე ოჯახური კონფლიქტები აღინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც არატრადიციული რელიგიის მიმდევარნი (ამ შემთხვევაში „იეღოვას მოწმეები") ცდილობენ ბავშვების იძულების წესით ჩართვას თავიანთი რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობაში და მათი აღმსარებლობის შეცვლას მეორე მშობლის ნებართვის გარეშე. ამ მიმართებით შეიძლება აღინიშნოს ჩვენს აპარატში 2002 წლის 8 აპრილს ქ. რუსთავში, მე-17 მ/რ-ის 7-54-ში მცხოვრები მოქალაქე ნინელი გოგიტიძის განცხადება, რომელსაც განმცხადებელთან ერთად ხელს აწერს რამდენიმე მოქალაქე.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვნად მივიჩნევ იმ გარემოებას, რათა გაფართოვდეს სახალხო დამცველის რეალური ძალაუფლება და უზრუნველყოფილ იქნას მისი რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება, მით უფრო, რომ სწორედ ამას მიგვითითებს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის ადამიანის უფლებათა დაცვის

კომიტეტში პაქტის (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ) მე-40 მუხლის თანახმად, საქართველოს მიერ გაკეთებულ მეორე პერიოდულ მოხსენებაზე (74-ე სესია, 18 მარტი-5 აპრილი, 2002 წ.) მიღებული დასკვნითი შენიშვნების მე-16 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ:

„თუმცა კომიტეტი მიესალმება სახალხო დამცველის დანიშვნას, ის შეშფოთებით აღნიშნავს, რომ მისი ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და მისი რეკომენდაციების რეალურად განხორციელების ძალაუფლება შეზღუდულია.

ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სახალხო დამცველის ფუნქციები, უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და პაქტის მე-2 მუხლის შესაბამისად, მისცეს გავლენა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებზე".

სახალხო დამცველის რეალური ძალაუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობამ, უაღრესად მწვავედ იჩინა თავი, ჩვენში, რელიგიური ექსტრემისტების გახშირებული გამოსვლების აღსაკვეთად ჩემს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის მიცემული რეკომენდაციების განხორციელებასთან კავშირში.

საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლინების ზრდასთან მიმართებაში, ზემოთ აღნიშნული შენიშვნების მე-17 მუხლში მოცემულია შემდეგი რეკომენდაცია:

„კომიტეტი ღრმა შეშფოთებას გამოხატავს რელიგიის ნიადაგზე შეუწყნარებლობის ფაქტების ზრდასა და სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების, განსაკუთრებით „იეღოვას მოწმეების" წინააღმდეგ ძალადობის გახშირებასთან დაკავშირებით.

ხელისუფლებამ უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, როგორც ამას პაქტის მე-18 მუხლი მოითხოვს. მან აგრეთვე უნდა:

- გამოიძიოს და სამართალში მისცეს რელიგიურ უმცირესობებზე ძალადობის დოკუმენტირებული ფაქტები;
- დასაჯოს ამ დანაშაულთა ჩამდენნი;
- აწარმოოს რელიგიური შემწყნარებლობის მიზნით საზოგადოებრივი განათლების კამპანიები და განათლების მეშვეობით აღკვეთოს რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე არსებული შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია".

დასასრულს აღვნიშნავ, რომ საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმაროს ქვეყანაში რელიგიური თავისუფლების უხეშ დარღვევათა გახშირებული ფაქტების აღსაკვეთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება საქართველოს მისწრაფება და უნარიც კი – განავითაროს დემოკრატია და დაიცვას ადამიანის უფლებები.

თავი IV.
ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

პირველ რიგში, შეეხები გაეროს განვითარების პროგრამის „სახალხო დამცველის აპარატის განვითარების ხელშეწყობის პროექტს“, რომელიც 2001 წლის 1 იანვრიდან წარმატებით მიმდინარეობს ჰოლანდიის მთავრობასთან ერთად. საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში მათი მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით განხორციელდა:

– საქართველოს სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის I არხზე დაწყებული ტელეგადაცემათა 20-წუთიანი ციკლი „თქვენი უფლებები“. გავიდა 6 ტელეგადაცემა, რომელთა თემატიკაც პასუხობს ქვეყნის პრობლემატურ საკითხებს. ესენია: პენსიონერთა უფლებები თბილისსა და რეგიონებში; ქალისა და მამაკაცის უფლებები ოჯახში, ოჯახის გარეთ; რეპრესიების პერიოდში სიტყვის თავისუფლების დარღვევის (კომუნისტური, პოსტკომუნისტური პერიოდი); შრომის კოდექსის დარღვევები; საზოგადოებრივი პრობლემები რეგიონებში – ეროვნული უმცირესობების უფლებები, სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლების უფლებები ჯავახეთის მაგალითზე; ადამიანის უფლებების დარღვევა ადგილობრივი არჩევნების ჩატარების პროცესში.

აღნიშნული გადაცემები ტრანსლირებული იქნა საქართველოს რეგიონების 11 ადგილობრივი საკაბელო ტელევიზიის მეშვეობით;

– საქართველოს სახელმწიფო რადიომაუწყებლობის მიერ რადიოეთერში გავიდა 6 რადიოგადაცემა. მათი მეშვეობით სახალხო დამცველს საშუალება ეძლევა პირდაპირი კავშირი დაამყაროს მოქალაქეებთან, ყველა გადაცემის მსვლელობისას მოქმედი „ცხელი სატელეფონო ხაზის“ მეშვეობით;

– საგაზეთო ჯგუფი ამზადებს და ბეჭდავს სტატიებსა და ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, დაიჯესტებს შვიდი გაზეთისათვის, აქედან, ხუთი ცენტრალური და ორი ადგილობრივი გაზეთისათვის;

– გრძელდება საინფორმაციო-სადოკუმენტაციო ცენტრის შევსება წიგნადი ფონდით;

– დაიწყო ადამიანის უფლებათა ვიდეობიბლიოთეკის ფონდის შექმნა. დღეისათვის ვიდეობიბლიოთეკაში 25 ვიდეოფილმია მიღებული ჰელსინკის კავშირიდან, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან, სტუდია „რე“-დან და გაეროს ბავშვთა ფონდიდან, რისთვისაც მათ ვუხდით მადლობას. მიმდინარეობს მათი თარგმნა;

– დაიწყო რეგიონული ადამიანის უფლებათა საბიბლიოთეკო ქსელის შექმნა. გაკეთდა პაკეტები, რომლებიც გადაეცა რეგიონულ ბიბლიოთეკებს შიდა ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში;

– გრძელდება ინგლისური ენის კურსები სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის;

– მომზადდა და გამოქვეყნდა წიგნი „სახელმწიფო და რელიგია“ (ბ. გელაშვილი, ვ. ლორია, მ. ბენდელიანი);

– მ. წ. 18 თებერვლიდან 1 მარტამდე საქართველოს გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ორკვირიანი სემინარები 30 სტაჟიორ-პროკურორისათვის თემაზე: „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლა“. პროგრამა მოიცავდა საქართველოს კონსტიტუციას, შიდა კანონმდებლობას და საერთაშორისო ნორმებს. მსმენელებს გადაეცათ სათანადო სერთიფიკატები;

– 22 აპრილიდან 30 მაისამდე ასევე გენერალურ პროკურატურაში 30 სტაჟიორ-გამომძიებელსა და სტაჟიორ-პროკურორისათვის გაგრძელდა სასწავლო პროგრამის ციკლი თემაზე: „კორუფციულ და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის პრობლემები";

– 14 მარტიდან 24 ივნისამდე პოლიციის აკადემიაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 25 ხელმძღვანელი მუშაკისათვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი საფუძვლების შესწავლა".

ყველა სემინარის დროს ტარდებოდა სოციოლოგიური (ანკეტური) გამოკითხვა, რომელთაც აჩვენეს მიზნობრივი ჯგუფის დიდი დაინტერესება და სურვილი ასეთი სწავლების გაგრძელებისა.

ყველა აღნიშნული სემინარის ჩატარებას ერთი საერთო მიზანი აქვს: უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტების დანერგვა სამართალდამცავ სისტემაში, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობით მოვიხსენიებ საქართველოს გენერალურ პროკურორს ნ. გაბრიჩიძეს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს კ. ნარჩემაშვილს, პოლიციის აკადემიის რექტორს გ. ქარქაშაძეს და ამავე აკადემიის პრორექტორს გ. ლობჟანიძეს, რომელთა აქტიური მხარდაჭერით მოხდა აღნიშნული სემინარების ჩატარება.

დაგეგმილია ლექციების კურსის გამოცემა და ასეთი სემინარების გაგრძელება სამხედრო აკადემიასა და სხვა მიზნობრივ ჯგუფებში.

სტრატეგიის დეპარტამენტის იურიდიული ფაკულტეტის სამი სტაჟიორ-სტუდენტი გაგზავნილ იქნა ლონდონში ვეტსმინისტერ კინგსვეის კოლეჯში ადამიანის უფლებათა კურსის მოსასმენად. ეს, უდავოდ, ხელს შეუწყობს ახალგაზრდა კადრების მომზადებას, რომლებიც იქ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას გამოიყენებენ სახალხო დამცველის აპარატისა და თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში. მათ წარმატებით გაიარეს კურსი და სათანადო ტესტირება.

ვსარგებლობ შემთხვევით და გაეროს განვითარების პროგრამის მუშაობა ჰოლანდიის მთავრობასთან ერთად მინდა დავამთავრო მადლიერების გრძნობის გამოხატვით იმ პირთა მიმართ, რომელთა აქტიური და კომპეტენტური დახმარების გარეშე გაჭირდებოდა აპარატის ფეხზე დადგომა და მისი ქმედუნარიანობის დღითიდღე გაზრდა, რომლებიც ამ ანგარიშებიდანაც კარგად ჩანს. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ეს ანგარიშები მზადდება, იბეჭდება, ინგლისურ ენაზე ითარგმნება და ვრცელდება სწორედ ამ პროექტის ფარგლებში. ესენია: გაეროს პროგრამის ხელმძღვანელი, ბატონი ლანს კლარკი, მისი აღმატებულება, ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰარი მოლენარი, პროექტის ტექნიკური მრჩეველი, ბატონი ბილ ჩეპმენი და პროექტის ახალი კოორდინატორი, ქალბატონი ლუის ნაილინი, რომლებიც აქტიურად მუშაობენ სახალხო დამცველთან და მის აპარატთან, მათი კონსულტაციები და მონდომება პროექტის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მათი ასეთი პოზიტიური განწყობა საშუალებას გვაძლევს დავსახოთ პერსპექტივები, რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის აპარატს უფრო ეფექტიანი გახადოს მუშაობა და, რაც ყველაზე მთავარია – გააფართოოს საქმიანობის გეოგრაფიული არეალი.

ეუთო – კერძოდ, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ვარშავის ადამიანის უფლებათა ბიუროსთან (OSCE/ODIHR). სწორედ მათი დახმარებით წარმატებით დამთავრდა 6-თვიანი პილოტ-პროექტი „სწრაფი რეაგირების ჯგუფი", რომელზეც ცალკე თავშია ლაპარაკი.

ევროსაბჭო – ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატი, რომელთანაც 2002 წელს დაგეგმილი ღონისძიებებიდან წარმატებით ჩატარდა მ. წ. 16-17 მაისს ორდღიანი სემინარი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის თემაზე: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის გამოყენება სახალხო დამცველის მიერ". აღნიშნული სემინარი ორგანიზებული იყო აპარატის სტრატეგიის დეპარტამენტის მიერ. ევროსაბჭოს ფინანსური დახმარებით სემინარში მონაწილეობას იღებდა ორი ექსპერტი: ბატონი ბენჯამინ ნარაინი და ბატონი ირენეუშ ცეზარ კამინსკი, აგრეთვე ევროსაბჭოს სამდივნოს წევრი, ბატონი კჟიშტოფ ზიმანი, რომელსაც მადლობა მინდა გადავუხადო და განსაკუთრებულად გამოვყო მისი წვლილი აპარატის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, ასევე მადლობით მოვიხსენიებ ევროსაბჭოს თბილისის საინფორმაციო ბიუროს დირექტორს, ქალბატონ ნათია ჯაფარიძეს, რომელიც მხარში გვიდგას ევროსაბჭოსთან ერთობლივად წამოწყებულ ყველა საქმეში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩო და ელჩი, ქალბატონი დებორა ბარნს ჯოუნსი, რომლის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით 2002 წელს დაიწყო და ხორციელდება ორი პროექტი – დახმარება სახალხო დამცველს რეგიონული წარმომადგენლობისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის და ჯავახეთის რეგიონებში. განსაკუთრებით გამოვყოფ მეორე პროექტს, რომელმაც ხელი შეუწყო რეგიონული ოფისის განვითარების ხელშეწყობას, ისეთ რთულ რეგიონში, როგორიც ჯავახეთია. ასევე მადლობით მოვიხსენიებ განვითარების განყოფილების უფროსს დიდი ბრიტანეთის საელჩოში, ქალბატონ ლალი მესხს, რომელიც ყოველთვის აქტიურად გვეხმარება ჩვენს მიერ ერთობლივად წამოწყებულ საქმიანობაში.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ა. პატარკაციშვილის დამოუკიდებელი საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტს, ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, რომელმაც გამოიჩინა მისთვის ჩვეული გულისხმიერება და ფინანსურად უზრუნველყო, 2001 წლის მაისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილეში სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებული B ჰეპატიტის საწინააღმდეგო საპროფილაქტიკო ვაქცინების პატიმრებისათვის მიწოდების აქცია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქრონიკული დაუფინანსებლობისა და ქართველი მეცენატების მხრიდან არც თუ ისე განებივრებული სახალხო დამცველისათვის გაწეული ეს დახმარება, ნამდვილად აღსანიშნავი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სამომავლო გეგმები და პერსპექტივები დასახულია, რომელთა შესახებ უკვე შემდეგ ანგარიშში იქნება საუბარი.

საერთაშორისო ამნისტიის (ამნესტი ინტერნეიშნლის) 2002 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ

(სრული ვარიანტი)

არსებობდა უამრავი განცხადება ციხეში წამებისა და ცუდად მოპყრობის შესახებ. ორი ადამიანი გარდაიცვალა საპატიმროში, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო წამებითა და ცუდად მოპყრობით. ხელისუფლებამ ვერ შეძლო ადეკვატურად გამოეძიებინა განცხადებები და გაესამართლებინა პასუხისმგებელი პირები. არატრადიციული რელიგიის მიმდევრებზე თავდასხმები არ ნელდებოდა. ციხის პირობები ხშირად ძალიან მკაცრი იყო. იმ პირებს, რომლებიც უარს ამბობდნენ აფხაზეთში სამხედრო სამსახურზე პოლიტიკური თუ რელიგიურ-ეთიკური

მოსაზრებებით, აპატიმრებდნენ. აფხაზეთში შენარჩუნებული იყო სიკვდილით დასჯა, თუმცა სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანიათ და არავინ დაუსჯიათ ოფიციალურად.

შესავალი

1 ნოემბერს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძემ გადააყენა მთელი მთავრობა. ეს ნაბიჯი მოჰყვა ორი დღით ადრე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების მიერ დამოუკიდებელი სატელევიზიო არხის რუსთავის 2-ის ოფისის დარბევის მცდელობით გამოწვეულ მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს. თავდასხმა ინერპრეტირებულ იქნა, როგორც პოლიტიკური დაშინების აქტი და განახლდა დებატები საქართველოში თავისუფალი მედიის შესახებ, იმ საკითხის შესახებ, რომელიც მტკივნეულად დადგა ივლისში რუსთავი 2-ის ცნობილი ჟურნალისტის გიორგი სანაიას მკვლელობის შემდეგ.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სადაო რეგიონებს ისევ ვერ აკონტროლებდა საქართველოს მთავრობა და მათი სტატუსის განსაზღვრის მიზნით წარმოებული სამშვიდობო მოლაპარაკებები მნიშვნელოვან შედეგებს არ იძლეოდნენ. აფხაზეთში, კოდორის ხეობაში ოქტომბერში დაიწყო ბრძოლები, შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, რომლებშიც, როგორც ამბობდნენ, იბრძოდნენ ქართველი და ჩეჩენი მეომრები და აფხაზები. ნოემბერში საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ რუსეთის სამხედრო ძალებმა დამომბეს პანკისის ხეობა – სასაზღვრო რეგიონი, სადაც, როგორც რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, ქართველები იფარებდნენ ჩეჩენ მებრძოლებს.

წამება და ცუდად მოპყრობა

დაკავებისას, განსაკუთრებით აღიარების გამოძალვის მიზნით, წამებისა და ცუდად მოპყრობის ფაქტების შესახებ განცხადებები გრძელდებოდა. იყო ბრალდებები იმის შესახებ, რომ პოლიცია და გამომძიებლები არ აძლევდნენ დაკავებულებს ადვოკატთან და დამოუკიდებელ სამედიცინო ექსპერტთან შეხვედრის უფლებას, და, რომ წამებისა და ცუდად მოპყრობის შესახებ საჩივრების გამოძიება მიმდინარეობდა მიკერძოებითა და არაკანონიერად.

- 16 ნოემბერს ზეზვა ნადირაძე დაკავებულ იქნა კასპის რაიონის სოფელ სამთავისში. როგორც იუწყებიან, თბილისში პოლიციის ოფიცერმა იგი აწამა გენიტალიებზე ელექტრო შოკით, დაწვა სიგარეტით და სცემა ქურდობის ჩადენის აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით. ერთმა ოფიცერმა თითქოს მისი გაუპატიურებაც სცადა. 19 ნოემბერს ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ დაზარალებულის სხეულზე აღმოაჩინა სისხლჩაქცევები, დამწვრობები და დაბეჟილობა. პირველ სასამართლო მოსმენაზე მოსამართლემ მისი განთავისუფლების ბრძანება გასცა დაზიანებების გამო. მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე კვლავ წარმოებაში იყო. სატელევიზიო გადაცემის გასვლის შემდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა, არავინ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში 2001 წლის ბოლოსათვის.

- საგზაო პოლიციის ინსპექტორი რევაზ ბზიშვილი, რომელსაც 2000 წლის ივლისში მისჯილი ჰქონდა ორწლიანი პატიმრობა 1999 წელს დავით

ვაშაყმაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით "სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების" გამო, განთავისუფლებულ იქნა თებერვალში, 9 თვით ადრე. სასამართლომ მისი განთავისუფლების ბრძანება გასცა „დაკავებისას სამაგალითო მოქცევის" საფუძველზე. 1999 წლის ნოემბერში თბილისში პოლიციელებმა გააჩერეს დავით ვაშაყმაძე და ისე სასტიკად სცემეს, რომ იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა ორი დღის შემდეგ.

პატიმრობაში გარდაცვალების ფაქტები

ორი ადამიანი გარდაიცვალა პოლიციის საპატიმროში: ერთი პოლიციელთა მიერ დაკითხვისას გაურკვეველ ვითარებაში ფანჯრიდან გადავარდნის შედეგად; მეორე, როგორც იუწყებიან, პოლიციელთა მიერ სასტიკად ცემის შემდეგ.

- გია ჩიჩაქუა გარდაიცვალა იანვარში საპატიმროში მიყვანიდან ექვსი საათის შემდეგ. შეტყობინების თანახმად, ოზურგეთში დასავლეთ საქართველო, დაკითხვისას იგი პოლიციელებმა სცემეს კეტებით. შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ როგორც გია ჩიჩაქუას მეულლემ განაცხადა, ოთხმა მთვრალმა პოლიციელმა, რომლებმაც თქვეს, რომ მოქმედებდნენ მათი უფროსის ბრძანებით, წაიყვანეს იგი განყოფილებაში, რათა დაეკითხათ ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით. პოლიციის უფროსმა ტელევიზიით განაცხადა, რომ გია ჩიჩაქუა უეცრად გარდაიცვალა და მის სხეულზე არ შეინიშნებოდა ძალადობის კვალი. გარდა ამისა, მოხელემ, რომლის პიროვნება დაუდგენელია, ტელევიზიით აღნიშნა, რომ "ჩვენების მიცემისას იგი უეცრად ცუდად გახდა და გარდაიცვალა". არ არის ცნობილი, ჩაუტარდა თუ არა გვამს დამოუკიდებელი ექსპერტიზა. როგორც იუწყებიან, ამ ფაქტთან დაკავშირებით იანვარში დაკავებულ იქნა პოლიციის ოფიცერი, მაგრამ არ არის ცნობილი, წარდგა თუ არა იგი სასამართლოს წინაშე წლის ბოლოს.

ადამიანის უფლებების დამცველი

4 მაისს თბილისის №5 ციხის იზოლატორის უფროსი ფიზიკური განადგურებით დაემუქრა ნანა კაკაბაძეს წინასწარი დაკავების ადგილებში არსებული მდგომარეობის გაკრიტიკების გამო. 2 მაისს ციხის მონახულების შემდეგ ნანა კაკაბაძემ, ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციის - *ყოფილი პოლიტიკური პატიმრები ადამიანის უფლებებისათვის* – წევრმა ინტერვიუ მისცა გაზეთ *ალიას*. მან აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც ციხის იზოლატორის საკნების უმრავლესობა პატიმრებითაა გადატვირთული, ზოგი საკანი ცარიელია. ციხის უფროსმა დაურეკა მას ოფისში და გამძვინვარებულმა უთხრა, რომ ცარიელი საკნები მდიდარი პატიმრებისთვისაა განსაზღვრული, რომლებსაც შეუძლიათ ქრთამის მიცემა ციხის მოხელეთათვის, რათა თავი აარიდონ გადატვირთულ საკნებს და ამით იყვნენ პრივილეგირებულნი. მუქარიდან რამდენიმე საათში იუსტიციის მინისტრმა ციხის უფროსს სიტყვიერი საყვედური გამოუცხადა.

თავდასხმები რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებზე

რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს თავს ესხმოდნენ მართლმადიდებლური ეკლესიის რადიკალური მიმდევრები. უმეტეს შემთხვევაში პოლიცია ვერ ახერხებდა ამგვარი თადასხმების მსხვერპლთა დაცვას და როგორც ამბობენ, ხანდახან თავადაც იღებდა მონაწილეობას მსგავს ძალადობაში. ამ

თავდასხმებთან დაკავშირებით 3 სექტემბერს ბასილ მკალავიშვილსა და თავდასხმათა მეორე სავარაუდო ლიდერს - პეტრე (ანუ გია) ივანიძეს წაუყენეს ბრალდება, თუმცა ისინი არ იყვნენ დადანაშაულებულნი რაიმე სერიოზულ ფიზიკურ შეურაცხყოფაში.

შემდგომ კვლავ გაგრძელდა თავდასხმები. მაგალითად, 28 სექტემბერს დაახლოებით 100-კაციანმა დაჯგუფებამ გადაკეტა თბილისიდან მარნეულისაკენ მიმავალი მთავარი გზა, სადაც იმ დღეს უნდა ჩატარებულიყო იეღოვას მოწმეთა შეკრება. როგორც იუწყებიან, იეღოველებმა წინასწარ შეატყობინეს მთავრობას შეკრების შესახებ, პოლიციამ კი მათ მისცა გარანტია იმისა, რომ ყველა საჭირო ღონისძიებას გაატარებდა მათი შეკრების უფლების დასაცავად. თუმცა, იეღოველთა თქმით, პოლიცია განზე იდგა და უყურებდა, თუ როგორ გააჩერეს მანქანები, რომელთაც იეღოვას მოწმეთა დელეგაცია მოჰყავდა, როგორ გამოათრიეს კაცები, ქალები და ბავშვები და სცემეს წიხლებითა და კეტებით. დაშავდა 40-მდე ადამიანი, დაახლოებით 12-მა კი მიიღო სერიოზული დაზიანება. პოლიცია ისევ გვერდიდან ადევნებდა თვალყურს, როდესაც დაჯგუფების წევრები ძარცვავდნენ შეკრებილებს, ართმევდნენ იეღოველებს ფირს და ვიდეოკამერას.

გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ

მაისში წამების წინააღმდეგ კომიტეტმა განიხილა საქართველოს მეორე მორიგი ანგარიში წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის განხორციელების შესახებ.

კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა, იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ ხერხდება წამების შესახებ არსებულ უამრავ განცხადებათაგან ყველა მათგანზე დაუყოვნებელი, მიუკერძოებელი და სრული გამოძიების ჩატარება, ამასთან, გაწეული ძალისხმევა არასაკმარისია დამნაშავეთა დასჯისათვის, რამაც გამოიწვია წამებაში ეჭვმიტანილთა დაუსჯელობა.

კომიტეტმა ასევე განაცხადა, რომ პროკურატურის გარკვეული ძალაუფლება და ის გზა, რომლითაც ამ უწყების მუშაობა წარიმართება სერიოზულ ეჭვებს ბადებს მისი ობიექტურობის შესახებ და იმის შესახებ, არსებობს თუ არა საჩივრების მოსმენის დამოუკიდებელი მექანიზმი. ასევე აღინიშნა, რომ ციხის პირობები მიუღებელია და დაკავებულის უფლება შეხვდეს ოჯახის წევრებს და მის მიერ არჩეულ ადვოკატსა თუ ექიმს, არაადეკვატურია. კომიტეტმა ასევე შეშფოთება გამოხატა რელიგიურ უმცირესობაზე ჯგუფური ძალადობის შემთხვევათა გამო, და იმის გამო, რომ პოლიცია ვერ ახერხებს ჩარევას და ვერ ატარებს შესაბამის ღონისძიებას მოძალადეთა სასამართლოში გადასაცემად.

კომიტეტი მიესალმა საკანონმდებლო რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვას, და პენიტენციალურ სისტემაზე კონტროლის შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროზე გადაცემას.

აფხაზეთი

მარტში ჩატარებულ იალტის შეხვედრაზე ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ოფიციალურად კვლავ აღიარეს თავიანთი ვალდებულება – შექმნან ყველა აუცილებელი პირობა სადაო რეგიონში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნებისათვის. მიუხედავად ამისა, რეგიონში, განსაკუთრებით კი გალის სამხრეთი ნაწილში, დანაშაულობისა და უკანონობის მაღალი დონეა, რაც ემატება ადგილობრივი მოსახლეობის დაუცველობას.

ოქტომბერში სერიოზული შეტაკება მოხდა შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, როგორც ამბობდნენ, იბრძოდნენ ქართველი და ჩეჩენი მეომრები და აფხაზები. რთული იყო დაზარალებულთა შესახებ ინფორმაციის გადამოწმება, თუმცა, სავარაუდოდ, შეიარაღებული დაჯგუფებების დაახლოებით 60 წევრი, 16 აფხაზი და სულ მცირე 21 მშვიდობიანი მოსახლე იყო მოკლული. გარდა ამისა, ცხრა სამოქალაქო პირი დაიღუპა გულრიფშის რაიონში გაეროს ვერტმფრენის ჩამოგდების შედეგად.

ადამიანის უფლებათა დამცველები

ანგარიშების თნახმად, აფხაზეთის გენერალურმა პროკურორმა ანრი ჯერგენიამ 15 მაისს განაცხადა, რომ ამჟამად რუსეთის ფედერაციაში, ბრიანსკში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეში ამოცნობილ იქნა აფხაზეთში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის იურისტის – ზურაბ აჩბას მკვლელობაში ეჭვმიტანილი პიროვნება. აჩბა ცეცხლსასროლი იარაღით იქნა მოკლული სოხუმში 2000 წლის აგვისტოში. ჯერგენიამ აღნიშნა, რომ ეჭვმიტანილი იძებნებოდა რუსეთის პოლიციის მიერ და რომ კიდევ ორი ეჭვმიტანილი იქნა დაკავებული ზურაბ აჩბას მკვლელობასთან დაკავშირებით, თუმცა არც ერთისთვის არ წაუყენებიათ ბრალდება მკვლელობის მუხლით. იყო მოსაზრებები, რომ ზურაბ აჩბას მკვლელობაში ოფიციალური სტრუქტურები იყო ჩარეული.

სიკვდილით დასჯა

ამ წლის მანძილზე არ განხორციელებულა სიკვდილით დასჯა. სულ მცირე 15 სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი მანამ, სანამ აფხაზეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1992 წელს. კვლავ ძალაშია დე ფაქტო მორატორიუმი დასჯის შესახებ.

სინდისის პატიმრები

როგორც ცნობილია, ელგუჯა წულაია ერთი წლის მანძილზე იმყოფებოდა ციხეში სავალდებულო სამხედრო სამსახურზე რელიგიური მოტივით უარის თქმის გამო. დეზერტირობისათვის 2000 წლის ოქტომბერში სამხედრო სასამართლომ მას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით. როგორც იუწყებიან, იგი თავს არიდებდა გაწვევას, რადგან თვლიდა, რომ სამხედრო სამსახური შეუთავსებელი იყო მის რელიგიურ რწმენასთან. 2001 წელს არ არსებობდა სხვა ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური.

მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის
2002 წლის I ნახევრის

სტატისტიკური ცნობარი	საერთო რაოდენ.	%
1. მომართვების და მიღების საერთო რაოდენობა	6772	
2. ზეპირი და წერილობითი განცხადებების რაოდენობა	1934	
- თბილისიდან	1390	71.9
3. განცხადებები შინაარსის მიხედვით		
- სისხლის სამართლის საქმის წარმოება (მოკვლევა-გამოძიება)	330	17.1
მათ შორის: უკანონო ჰატიმრობა	84	4.3
- სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოების თაობაზე	297	15.4
მათ შორის: სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე	65	3.4
- რწმენის თავისუფლების შეზღუდვა	43	2.2
- სამხედრო სამსახურის შესახებ	27	1.4
- ქალთა უფლებები	3	0.2
- ბავშვთა უფლებები	7	0.4
- ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაცია	0	0.0
- პენსიებისა და სოციალური დახმარების საკითხი	231	11.9
- შრომითი უფლებები	208	10.8
- საბინაო პრობლემები	240	12.4
- მიწის დავები	20	1.0
- განათლების და კულტურის საკითხები	39	2.0
- სამედიცინო საკითხები	15	0.8
- საბანკო-საფინანსო საკითხები	25	1.3
- მეზობლური კონფლიქტი	21	1.1
- შეწყალების თაობაზე	75	3.9
- საოჯახო საკითხები	159	8.2
- სხვა	194	10.0
4. ვის უჩივიან		
- ხელისუფლების ორგანოებს	126	6.5
- მმართველობის ორგანოებს	76	3.9
- სასამართლო ორგანოებს	312	17.9
- თვითმმართველობის ორგანოებს	39	2.0
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს	184	9.5
- პროკურატურის ორგანოებს	144	7.4
- პენიტენციალური სისტემას	15	0.8
- თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებს	53	2.7

- უშიშროების ორგანოებს	1	0.1
- საგადასახადო ორგანოებს	9	0.5
- ყველა დონის საარჩევნო კომისიას	2	0.1
- ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის ორგანოებს	123	6.4
- სხვადასხვა ინსტანციებს	526	27.2
5. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და შუამდგომლობები	462	23.9
- დადებითად გადაწყვეტილი საქმეები	115	5.9
- არ არის გაზიარებული	108	5.6
- განხილვის სტადიაშია	239	12.4